# თბილისელები®

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირ... ფასი 1,50 ლარი 23-29 ივნისი №25 (704)




გვ. 11

რა შეტყობინება გაუგზავნა ალეკო ელისაშვილს პრეზიდენტმა და როგორ მოხვდა ის კოშმარში

გვ. 74

რა მითქმა-მოთქმა გამოიწვია „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ბოლო ტურმა და რა მოხდა სინამდვილეში

გვ. 18

რატომ დაინტერესდა „დისქავერის“ არხი ქართული ნაქალაქევითა და უძველესი, განმარხებული ძვლებით და რა სენსაციას მოახდენს ის მსოფლიო ისტორიაში



გვ. 14

რას ნიშნავს ნინო ძოწენიძისთვის პროექტ „ერთი ერთში“ გამარჯვება და რა ზეიმი მოუწყო მან ოჯახის წევრებს



რას მიხვდა ირაკლი ვახტანგიშვილი პირველი კურსის პირველივე სემესტრში და როგორ შეიცვალა ამის შემდეგ მისი ცხოვრება

გვ. 47



გვ. 70

რის გამო ჰქონდა ნანა ნებიერიძეს დეპრესია და როგორ გაუმკლავდა ის წლების წინ მიღებულ ტრავმას



ვის გამო გაიმეტა მოსაკლავად მეგობრები ჩელემ და ვინ დატოვებს ცოტა ხანში მას „ტრუსიკ-მაიკის“ ამარა

გვ. 68

## მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

**ნანიკო ხაზარაძე მუშაობის აქტიურ ფაზაშია. მუშაობს ტელევიზიაში, იღებენ ფილმში. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გეგმიანია და ცდილობს მის ცხოვრებაში ყველაფერი გეგმაზომიერად წარიმართოს, მაინც იჩენს ხოლმე თავს მოულოდნელობები, რომლისაც ნანიკოს არ ეშინია. თუ როგორი დედაა ნანიკო, სად ისვენებს ყველაზე უკეთ და რას ანდობს ის მკითხველის ფანტაზიას, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# როდის ეშინია ნანიკო ხაზარაძეს საკუთარი თავის და რატომ არ ერევა ის შვილის ცხოვრებაში

**– ნანიკო, სოციალურ ქსელში, საკუთარ გვერდზე გული გიხატია და მინაწერი გაქვს: ნანიკო არის მასთან (ანუ ამ გულთან) ურთიერთობაში. რას გულისხმობ?**

– რაც ნახეთ, იმას *(იცინის)*. არავისთვის კონკრეტული პასუხი არ გამიცია ამასთან დაკავშირებით. მე ეს დავწერე და დანარჩენი თქვენი ფანტაზიისთვის მიმინდვია. ეს არის ძალიან პირადი, რომელიც მხოლოდ ჩემია. დიდი ნაბიჯი გადავდგი, რომ საერთოდ გამოვდე ჩემი პირადი – იყოს ისე, როგორც არის იქ, სოციალურ ქსელში.

**– შესაძლოა, უახლოეს მომავალში ნანიკოს ცხოვრებაში ცვლილებები მოხდეს?**

– არაფერი ვიცი.

**– მარტო ის იცი, რომ ნანიკო ბედნიერია?**

– კარგად არის ნანიკო.

**– სამუშაო სიტუაციაზე გადავიდეთ. როგორც ვიცი, ფილმში გიღებენ შენ და დუტა სხირტლაძეს.**

– ჰო, გვიღებენ „ცელქი ბავშვები 2-ში". გადაღება ძალიან მალე დამთავრდება. ილუზია მაქვს, რომ მე და დუტა ისევ მთავარ როლში ვართ. იმიტომ რომ, ძალიან ბევრი გადაღების დღე გვაქვს, მაგრამ საბოლოოდ, აღმოჩნდება, რომ 10 წამი გავირბენთ. ვფიქრობ, ეს, მეორე ნაწილი ბევრად უფრო კარგი იქნება, ვიდრე პირველი იყო. თუმცა, პირველმაც ძალიან დიდი რაოდენობით მაყურებელი მიიღო.

**– ნანიკო არის უშუალო და მისთვის მისაღებია ყველანაირი ბრძოლის ხერხი, რაც ნორმებში ჯდება. იმისთვის რომ მისი ოჯახი იყოს კარგად, ნანიკო არანაირ სამსახურზე არ ამბობს უარს, ასეა?**

– არ ვთაკილობ არანაირ სამუშაოს, რაც ნორმებში ჯდება და მე ეს რეალურად მჭირდება. ხშირად ხდება, რომ მატერიალურად, რაღაცნაირად აღმოჩნდება ხოლმე, რომ ჩემთვის აღარ მრჩება ფული. ამიტომ, ხან მიმტანი ვარ და ხან ასე შემდეგ. მიმაჩნია, რომ ნებისმიერი სამუშაო, პროფესია დასაფასებელია და ის ადამიანი, ვინც ამ რგოლში მუშაობს. რომ არა ისინი, არ ვიცი, ჩვენი ქალაქი რას დაემსგავსებოდა. ასე რომ, აქედან მინდა, ყველას ძალიან დიდი მოკითხვით, პატივისცემითა და თავის დახრით მივესალმო, იქნება ეს მიმტანი, ქუჩის დამლაგებელი, რომელიც დილის 5 საათზე ყინვასა თუ თოვლში გამოდის და ქუჩას მილაგებს და ასე შემდეგ. ყველას ვერ ჩამოვთვლი, ძალიან ბევრნი არიან.

**– ამ ზაფხულს გაქვს მსგავსი გეგმები?**

– წინა ზაფხულს ვერ დავისვენე. რაღაცნაირად ვერ მოხერხდა სამსახურის გამო. მოკლედ, არ ვიცი. ასეთი არეული ზაფხული, ჯერ არ მქონია. მაგრამ, რამეს ვიზამ, არ დავიკარგები.

**– საერთოდ, გეგმიანი ხარ?**

– კი, მიყვარს, როცა დაგეგმილი მაქვს ყველაფერი.

**– მიუხედავად ამისა, მოულოდნელობები მაინც იჩენს ხოლმე თავს შენს ცხოვრებაში?**

– იჩენს, მაგრამ არ მეშინია. ავანტიურისტი ვარ. მივდივარ ნებისმიერ რაღაცაზე, არ მეშინია სიახლეების და საერთოდ, რისკიანი ვარ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მიყვარს, როცა დაგეგმილი მაქვს ყველაფერი და გეგმაზომიერად, ასე, ეტაპობრივად რაღაცისკენ მივდივარ – იქნება ეს სამუშაო, ფულის დაგროვება, თუ კიდევ ბევრი სხვა რამ.



გამოვასწორებდი ჩემს სიავეს და სიფიცხეს

**– როგორ მოხვედი ტელევიზიაში წამყვანად?**

– ეს პროფესია მე არ ამირჩევია და არც არასდროს მიოცნებია მასზე. აკადემია დავამთავრე და თეატრალურში ვსწავლობდი სამსახიობოზე, როცა ცოტნე ნაკაშიძემ დამირეკა – გიორგი ნაკაშიძის მამამ და მითხრა, რაღაცა გადაცემაა და იქნება უკან დაჯდე, სადღაც რაღაც გააკეთოო. დავიწყე უკან ჯდომით, ნელ-ნელა გადმოვედი წინ და იმის მერე, გავიდა 20 წელი და მე ჯერ კიდევ აქ ვარ.

**– წინ ხარ და კიდევ დიდხანს იქნები...**

– არ ვიცი, ვნახოთ. ეს ხომ ჩემზე არ არის დამოკიდებული. ამას ძალიან ბევრი ფაქტორი განაპირობებს. ვნახოთ, როგორ იქნება.

**– ბავშვზე მინდა, მიამბო – როგორ და რამდენად ერევი მის ცხოვრებაში. როგორ ასწრებ იყო აქტიური დედა?**

– ვასწრებ. ჩემი შვილი, ლილუ ნუცუბიძე უკვე 10 წლისაა. მას არასდროს ჩემი ყურადღება არ დაჰკლებია, იმიტომ რომ, ჩემი გრაფიკი ყოველთვის ისეა აწყობილი, მას არაფერი მოაკლდეს. ძიძა არ მყოლია, თვითონ გავზარდე და სულ ვცდილობ, ერთად ვიყოთ. ყველაზე მთავარი, რაც შეგნებული მაქვს ისაა, რომ ლილუ არის ჩემი შვილი, მაგრამ არ არის ჩემი საკუთრება. ის არის დამოუკიდებელი ადამიანი, რომელსაც თავისი დამოუკიდებელი ცხოვრება აქვს. თუ რამე სჭირდება, მკითხავს – ვეტყვი, თუ არა და მე ზოგადად არ მიყვარს რჩევის მიცემა არავისთვის, მით უმეტეს, შვილისთვის. თუ მივხვდი, რომ ცოტა იქით არის, სადაც არ უნდა იყოს, ჩემი პირადი მაგალითით ვუყვები, რომ ამის და ამის გამო, მე ეს და ეს დამემართა. სტრესისგან არავინ ვართ დაზღვეული და ჩემს შვილსაც, ალბათ, ბევრჯერ ექნება ცხოვრებაში ტკივილი – მეგობრებისგან, რა ვიცი, სამსახურიდან და ასე შემდეგ... ეს მისი ცხოვრებაა და ჯობია, თვითონ გაუმკლავდეს და ისწავლოს თავის შეცდომებზე. იმიტომ რომ, სხვის შეცდომებზე არავის, არასდროს არაფერი უსწავლია.

**– კი არის მსგავსი გამოთქმა, მაგრამ...**

– მე ვერ ვიზიარებ მაგ გამოთქმას.

**– თავისუფალ დროს როგორ ატარებ?**

– თავისუფალ დროს სახლში ვატარებ. თუ კი მაქვს თავისუფალი დრო, პირდაპირ სახლში მივდივარ.

**– ბევრი ამბობს, სახლში ვისვენებ და ამ დროს არ მიყვარს მაკიაჟი, ან დალაგება...**

– მაკიაჟი არ მიყვარს ნამდვილად. ესეც დასჯაა ჩემთვის, ეთერში რომ მაკიაჟი უნდა მეკეთოს. მიყვარს დალაგება, იმიტომ რომ, დალაგების დროს თვითონაც ვლაგდები. არ მიყვარს არეული სახლი. მიყვარს ყველაფერი თავის ადგილზე რომ დევს. ჩემი სახლი მუდმივად დალაგებულია. თუ სახლი არეულია, ეგ ნიშნავს, რომ მეც რაღაც არეული ვარ...

**– სამზარეულოში ტრიალი გიყვარს?**

– ჩემი და ჩემი შვილის რაციონი ძალიან მწირია. ამიტომ, მხოლოდ ის პროდუქტები გვაქვს, რითაც ვიკვებებით. ეს არის ქათამი, გაყინული პელმენი, რომელიც მუდამ არის ჩვენს სახლში, კვერცხი და კიდევ რაღაც რაღაცეები. აი, ამით ვცდილობთ, რომ გავიდეთ ფონს.

**– შენს შვილს მოსწონს დედას სამსახური, არ გამოუთქვამს სურვილი, რომ თვითონაც ასევე ეცხოვრა მომავალში?**

– არა. ლილუს მოსწონს, რომ დედა კარგად მუშაობს, მაგრამ ის, რომ დედის კვალზე გააგრძელოს მოღვაწეობა, ამაზე ჯერჯერობით არაფერი უთქვამს. რა ვიცი, მომავალში რა იქნება, ჯერ პატარაა.

**– როგორც ვიცი, თქვენ და გურამ შარაძის ქალიშვილი ძალიან კარგი მეგობრები ხართ.**

– ასეა. ჩემი ძალიან კარგი მეგობარია, ბევრი წლის. ფაქტობრივად, ბავშვობიდან ერთად ვართ. ძალიან მიყვარს. ახლა ჩამოსულია და გუშინდელი საღამო მასთან ერთად გავატარე. იმასაც შეზღუდული აქვს დრო, მეც და გუშინ მოვახერხეთ შეხვედრა.

**– გაბრაზებული ნანიკო როგორია?**

– გაბრაზებული ნანიკო არის ავი.

**– ხშირად ბრაზდები?**

– არა, ხშირად არ ვბრაზდები, მოთმინება მაქვს საკმაოდ კარგი, მაგრამ თუ გავბრაზდი, ჩემი თავის მეც მეშინია.

**– შენი რა თვისება მოგწონს და რას გამოასწორებდი?**

– გამოვასწორებდი ჩემს სიავეს და სიფიცხეს. რა მომწონს, არ ვიცი, საკუთარ თავზე ვერ ვისაუბრებ.

**– თავის დროზე შენს პროფესიულ არჩევანში თუ ჩაერივნენ მშობლები?**

– არა. მე ავყევი ტენდენციას, როცა ყველა ხატავდა – წავალ მეც დავხატავ-მეთქი. წავედი, მერე აკადემიაში მივხვდი, რომ ჩემი ადგილი თეატრალურშია. თეატრალურის დასრულება ვერ მოვასწარი, რომ ტელევიზიაში მოვხვდი და მას შემდეგ აქ ვარ, უკვე ამდენი წელია.

**ეკა ალბრეხტი**

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რატომ იზარალებენ ქართველი ავტოდილერები სომხეთის საბაჟო კავშირში გაწევრიანებით და აზერბაიჯანის მიერ 2005 წლამდე გამოშვებული ავტომანქანების აკრძალვით ........ 6

რა ვითარებაში დაიკარგა ვახტანგ მეექვსის თავის ქალა და ვინ შეურაცხყო ასტრახანში დაკრძალული ქართლის მეფის ცხედარი ..... 8

რა თანხას ინახავს ანაბრებზე ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ქეთევან ბოჭორიშვილი ........ 9

რატომ ნიშნავენ ერთი დაავადების სამკურნალო წამლებს ექიმები სხვა დაავადებების სამკურნალოდ და როგორ ახდევინებენ მედიკამენტების უკანონო რეკლამის ფულს თავად პაციენტებს ........ 10

რას უმალავდნენ „კაგებეს" მერაბ კოსტავა და ავთანდილ იმნაძე პერმის კოლონიის სამალავში და რა მოინანია მან ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებით ........ 12

სად ტარდება ყველაზე ეფექტური და უსისხლო ლაპაროსკოპიული ოპერაციები საქართველოში ........ 13

დიეტოლოგების რჩევები ........ 15

რატომ დაინტერესდა მსოფლიოში პოპულარული „დისქავერის" არხი ქართული ნაქალაქევითა და უძველესი, განმარხებული ძვლებით და რა სენსაციას მოახდენს ის მსოფლიო ისტორიაში ........ 18

ხვდებიან თუ არა მამაკაცები, რატომ მიჰყვებიან ქალები მათ ცოლად ........ 20

რომელია დღეს გავრცელებული ყველაზე მძიმე ცოდვები, რომლებიც ადამიანის სულს დაღუპვას უქადის და რა სასჯელს იღებს ის სიცრუისთვის ........ 24

მოძღვარი გვირჩევს.....25

ზლატან იბრაჰიმოვიჩი – მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის მთავარი დანაკლისი........26

ვისთან შევიდა კოლონიაში ელენე ყიფშიძე ხრუშჩოვის ბანკეტზე მოსაწვევი ბარათით და რატომ აღმოჩნდა ხანმოკლე მისი და ეროსი მანჯგალაძის ბედნიერება........30

45 წლის ჩეჩენი კაცი ჩეჩნების ტყეში ათეული წლების წინ დაკარგული ორი ქართველი ძმის ისტორიასა და თავადი გუგუშვილის გვართან დაკავშირებულ ამბავს იძიებს........31

რატომ არ ვარგა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დიდხანს დგომა და რაზე მეტყველებს ონკანიდან წყლის წვეთ-წვეთად ჟონვა ...... 32

რატომ არღვევდა პროტოკოლს სტალინის ესკორტი მოსკოვის ქუჩებში მოძრაობისას....35

რომელი თილისმა მოგიტანთ იღბალსა და წარმატებას ცხოვრებაში და რა განაპირობებს თქვენს წარუმატებლობას ... 36

ქართული ეროვნული საგანძურით სავსე ერთი ყუთი 33 წლის განმავლობაში ავლაბრის სასაფლაოზე იყო დამარხული .. 48

როგორ შეარჩია გამოცდილმა კრიმინალმა სამიზნედ მარტოხელა ბიზნესმენი და როგორ კლავდა ის შემთხვევის ადგილზე ორ ადამიანს ........ 49

ადვოკატი გირჩევთ ........ 50

ფლორის სამყაროში ........ 50

ვეტერინარის რჩევები ........ 51

რამდენიმე რჩევა ქალი მძღოლებისთვის .. 51

ქურდული ცხოვრება ........ 64

რატომ დაკრძალეს სპარსეთის სასულიერო პირის – მოგვის შვილი სვეტიცხოვლის საკურთხეველში ........ 72

რატომ ამსგავსებდნენ ბაგრატ ბატონიშვილს მეფე ხუან კარლოსს და ირაკლი ბაგრატიონის რა სურვილი აასრულა ბუნებრივად, წლების შემდეგ იოანე (ხუან) ბაგრატიონმა ........73

რა უნდა ვისწავლოთ ქართველებმა პოლონელებისგან ........ 75



## ყურადღება!

**„აკადემია ლიბერთი-პროფი"**

**9, 10 და 11 კლასდამთავრებულებს გაძლევთ უნიკალურ შანსს ისწავლოთ და ერთდროულად მიიღოთ:**

**სკოლის ატესტატი+პრესტიჟული სპეციალობის დიპლომი**

**სპეციალობები:**

**1. ფარმაცია; 2. კრიმინალისტიკა და გამოძიების მეთოდები; 3. ბუღალტერია; 4. ვებ-სპეციალისტი; 5. კბილის ტექნიკოსი.**

***სექტემბრიდან ემატება მე-6 და მე-7 სპეციალობები:***

**6. საბაჟო წარმომადგენელი; 7. კომპიუტერული ინჟინერია (დაშლა, აწყობა, დიაგნოსტირება და დაზიანებების აღმოფხვრა)**

***შეიძლება ექსტერნის ფორმით კლასიდან კლასში გადასვლა და ატესტატის მიღება.***

**მისამართი: ზაზიაშვილის ქუჩა №1 „ქარვასლასთან" („ნახალოვკაში")**

**ტელ.: 2 95 20 16; მობ.: 591 40 50 60 ვებ-გვერდი: www.libertyprof.ge**



# ჩრდილოური ვარიანტი

## „ლებედ, რაკ და შჩუკა“

ისე მოხდა, რომ **ამ ერთ ივნისში სომხეთი საბაჟო კავშირში გაწევრიანებას აწერს ხელს, ჩვენ – ევროკავშირში ასოცირებას, აზერბაიჯანი** კი **არც აქეთაა, არც – იქით** (როგორც კრილოვი იტყოდა: **„ლებედ, რაკ და შჩუკაო“).**

შესაბამისად, **უცნობია, რა ტიპის ეკონომიკური კავშირები გაიბმება ჩვენ შორის** (თორემ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კარგა ხანია, გაწყვეტილია და საქმეს ისეთი პირი უჩანს, კიდევ კარგა ხანს იქნება ამ დგომარეობაში), **უფრო ზუსტად, როგორ გართულდება.**

ბოლო რამდენიმე წელია, **რუსული პოლიტიკური სპექტრი გვიხსნიდა, რომ ევრაზიულ კავშირში** განა ერთად – **ჩვენ და ჩვენს სეპარატისტულ რეგიონებს ცალ-ცალკე მიგვიღებდა**, მაგრამ, **რაკი სივრცე ერთიანი იქნებოდა, საზღვრები წაიშლებოდა,** როგორც რფ-საქართველოს, ისე, მაგალითად, **თბილისსა და სოხუმს თუ თბილისსა და ცხინვალს შორის.**



სავსებით ბუნებრივია, **ჩვენ ამ შემოთავაზებას გულგრილად ვეკიდებოდით** (ან კი რა იყო აქ გულთან მისატანი?!). თუმცა გასულ კვირას **რფ-ის ნომერ პირველმა დიპლომატმა ბრძანა**, რომ **„სომხეთი ევრაზიულ კავშირში გაეროს მიერ აღიარებული საზღვრებით შევა** (ოჰო!).“

თუ გავითვალსწინებთ, რომ ბ-ნმა **ლავროვმა ეს აზერბაიჯანელ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა,** უნდა **ვივარაუდოთ, რომ, სანამ რფ-ს აზერბაიჯანის ევრაზიულ კავშირში შეტყუების იმედი ექნება, ყარაბაღის მიმართ გულგრილობას გამოამჟღავნებს**, თუმცა, **თუ აზერბაიჯანს თავისად დაიგულებს,** ნაკლებად სავარაუდოა, **სომხეთს აწყენინოს**, ან, შესაძლებელია, მესამე, **ჩრდილოური ვარიანტიც: სომხეთსაც აწყენინოს და აზერბაიჯანსაც** (როცა ორივესაც დაიბევებს)! –

# ჯერ მოაშენეს, მერე – დახოცეს

გასულ კვირას ფრიად სასიხარულო ამბავი შევიტყვეთ: კერძოდ, **კოლხური ხოხბის აღდგენის პროექტის ფარგლებში, დედოფლისწყაროში ადგილობრივ მცხოვრებლებს კოლხურ ხოხბებს დაურიგებენო** (ცოცხლებს, რასაკვირველია). გარემოს დაცვის სამინისტროს **ამ ინიციატივის მიზანი კოლხური ხოხბის გამრავლებაა,** ამიტომაც **მათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოაშენებენ და გაუშვებენ.**



მეტიც, **დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციამ** (ღმერთმა მეგობრები არ მოგვიშალოს!), დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან ერთად, **„კოლხური ხოხბის საშენი ცენტრის დაარსების“ პროექტიც შეიმუშავა**. –

**ამ საქმეში ჩართულები ბრძანდებიან**: კომპანია „ბრითიშ პეტროლეუმი”, მისი პარტნიორი კომპანიები, „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი,” გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF) და გაეროს განვითარების პროგრამა. პროექტის გენერალური მიზანი **კოლხური ხოხბის გამრავლება და მეხოხბეობის, როგორც სოფლის მეურნეობის დარგის, განვითარებაა.**

ამიტომაც, **ბუნებიდან ველური ხოხბის კვერცხები ამოიღეს და მათი ინკუბაცია მოახდინეს**. შესაბამისად, ვოლიერებში **უკვე ფრთიანდება 100 ზრდასრული და 150-მდე ლაპი**, რომლებიც მეგობართა ხელშეწყობით, სავარაუდოდ, **კიდევ და კიდევ იბარტყებენ.**

ინიციატივა, უდავოდ, მისასალმებელი და სასიხარულოა, რომ არა ერთი „მაგრამ”: **კოლხურ ხოხობს იმიტომაც ამრავლებენ, რომ შემდეგ მსურველები მათზე წარმატებით ანადირონ**. –

# ევრაზიულად ჯანმრთელები

## არა – წვრილქუსლიან ფეხსაცმელს!

მართალია, **დღემდე არ გადაწყვეტილა, დაუჭერს თუ არა რფ-ის „დუმა“ მხარს ერთ-ერთი „დუმელის“ ინიციატივას 40 წლამდე ქალებისთვის თამბაქოს ნაწარმის მიყიდვის აკრძალვის შესახებ**, მაგრამ **თითქმის იმავე მოტივების მეორე ინიციატივაც დააწიეს.**



კერძოდ, „სამართლიანი რუსეთისა“ და **„დუმის“ წევრმა ოლეგ მიხეევმა ევრაზიულ ეკონომიკურ კომისისას თხოვნით მიმართა,** რომ საბაჟო კავშირის ტექნიკურ რეგლამენტში ფეხსაცმელებთან დაკავშირებით ახალი მოთხოვნები შეიტანონ. **დეპუტატი ითხოვს, აიკრძალოს წვრილქუსლიანი და სრულიად უქუსლო ფეხსაცმელი.** –

**აკრძალვას მეტად კეთილშობილური მიზანი აქვს**. როგორც დეპუტატი განმარტავს, **ამ ტიპის ფეხსაცემელები აზიანებს მოქალაქეთა ჯანმრთელობას**, **ევრაზიული კავშირის წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეები კი ყველაზე ჯანმრთელები უნდა იყვნენ** ამ და, სასურველია, **ყველა გალაქტიკაში**, ერთად აღებულში!

**კომისიას** ინიციატივა მიუღია და **განხილვის პირობაც მოუციათ,** თუმცა ერთი ისაა, რომ **ვადები არ დაუკონტრეტებიათ**. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ, მაგალითად, დიმიტრი **როგოზინი რუსეთის მოქალაქეებს მთვარის საფუძვლიან ათვისებასაც დაჰპირდა,** ზედაც, **მარსიანად**, ამდენის **გასაძლებად კაჟივით ჯანმრთელობა მათ მოქალაქეებს ნამდვილად დასჭირდებათ!**


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თებუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com

# უაღგილოდ შეუპოვრები

## პირველ ადგილზე აშშ-ს შემდეგ!

თუმცა გაირკვა, რომ მთელი **ქვეყნის საარჩევნო მასშტაბით „ნაციონალური მოძრაობა“ საკრებულოების არჩეული დეპუტატების, გამგებლებისა და მერების რაოდენობით საგრძნობლად ჩამორჩება მმართველ კოალიციას** (მიუხედავად მეორე ტურების აუცილებლობისა) და ზოგ შემთხვევაში მას არასაპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიებმა გადაუსწრეს, **ყოფილი მმართველები შედეგებით მაინც კმაყოფილნი არიან** (მეორე ადგილზე ვართო). **მოტივი ძველი და ნაცნობია, როგორც საბჭოთა დროინდელი სახელმძღვანელოები გვამცნობდნენ,** ამა და ამ მიღწევით **საბჭოთა კავშირს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში აშშ-ს შემდეგო**. –



იმ მარტივი მიზეზით, რომ **ადამიანს სულ მცირე რამ სჭირდება ბედნიერებისთვის,** ყოფილთა **სიხარულის ადამიანური აქცენტები გასაგებია**. ამის მიუხედავადაც, **მხოლოდ სიხარულის ამ ნაგლეჯს არ სჯერდებიან და მარნეულის საარჩევნო ოლქში ლომებივით იბრძვიან**, რაკი მათი კანდიდატი დამარცხდა.

**იმდენად თავგანწირვით, რომ**, მოარული ხმებით, **ინციდენტი, რომელიც ხალხის რჩეულებს ჯაფარიძესა და ნადირაშვილს შეემთხვათ ბაქოს აეროპორტში, სწორედ მარნეულს უკავშირდება** (რაც ფულის გადმოტანის ვერსიას არ გამორიცხავს). თითქოს **ჩვენებური დეპუტატები მეზობელ აზერბაიჯანს აზერბაიჯანელი კოლეგების მარნეულში საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელი კანდიდატის „დაჩაგვრის“ გამო სთხოვდნენ დახმარებას.**

დამეთანხმებით, რომ **ეს ბრალდება არადეკლარირებული მილიონის გადმოტანის მცდელობის ბრალდებას ჯიბეში ჩაისვამს** და მსგავსი რამ **მხოლოდ მტერს თუ მოუმზიფდება თავსა თუ გულში**. თუმცა ისიცაა, რომ **დაბეჯითებით რამის მტკიცება შეუძლებელია**.

შეუძლებელი, რადგან **ჩვენი ყოფილები დღემდე თვით ომში დამარცხების ფაქტს არ აღიარებენ**, არათუ **ბაქოს აეროპორტის ინციდენტზე გაგვანდონ სრული სიმართლე.**

ასეა თუ ისე, **მარნეულს არ თმობენ და ჩნდება ეჭვი, ასეთი თავგანწირვით** (რაც ჰარმონიულად ჯდება პათოსში წყალწაღებულისა და ხავსის შესახებ) **2008 წლის აგვისტოში რომ ებრძოლათ თითოეული გოჯი მიწისთვის**, იქნებ **ოკუპაციის მასშტაბი 20 პროცენტზე გაცილებთი ნაკლებიც ყოფილიყო**. ვითომ არ ულირდათ?! –

# სამოხელეო უმწიკვლოების ფასი

## კაცი ვარ და სკამზე ვზივარ!

ჩვენმა ჩინოვნიკებმა თავიანთ **სამოხელეო უმწიკვლოებას ფასი ჯერ კიდე ვარდების რევოლუციის შემდეგ დაადეს**, როდესაც რეფორმებისა და განვითარების ფონდი შეიქნმა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ჩინოვნიკთათვის მაღალ-მაღალი ხელფასები, **რათა არ ცდუნებულიყვნენ** (ანუ **ჩვენი ჩინოვნიკები ზუსტად იმდენად ღირან, რამდენწულიანიცაა მათი ხელფასი,** აი, მაგალითად, პირადად მე ვფიქრობ, რომ, **უბრალოდ, შეუფასებელი ვარ** – .



**დრო გადიოდა და ძლომის განცდა უფრო და უფრო საამური ხდებოდა იქ, ზემოთ მყოფთათვის**. გასულ კვირას დიდი მითქმამოთქმა **საკრებულოს ბოლო საპრემიო გაბრძოლებამ გამოიწვია.** გაირკვა, რომ **პოლიტიკურ ნიჩაბზე დამსხდარი საკრებულოელები ხელფასის 350 პროცენტის ოდენობის პრემიას იწერდნენ.** თუმცა მოგვიანებით განგვიმარტეს, **350-ს კი არა, 300-სო** (ანუ მილიონს რომ კაპიკი აკლია, მილიონი არ არისო).



მეორეც – საკრებულოს თავჯდომარემ, ბ-ნმა შიხიაშვილმა მოგვახსენა, რომ **საკრებულოში, მათი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, არასდროს გაცემულა დაუმსახურებელი პრემია** (იმდენს ვშრომობთ, **სულ ჯანებში მიდისო**!).

მეტიც, (მოვიხმობ ციტატას): „**სწორედ ამის შედეგია, რომ აღარ ეძლევა საშუალება ზოგიერთ ვაჟბატონს, 50 მილიონობით ლარი არამიზნობრივად გაფლანგოს**.“ „ზოგიერთ ვაჟბატონში“, ცხადია, ბ-ნი უგულავა იგულისხმება. რაც მთავარია, **პრემიები იმიტომ გამოვიწერეთ, რომ საქველმოქმედო ფონდში გადავრიცხოთო** (ანუ, როგორც ჩემს ბავშვობისდროინდელ ერთ-ერთ მოთხრობაშია: **ჩვენ დავიჭერთ 5 ლომს, მაგრამ 3-ს გავუშვებთ, რადგან მხოლოდ 2 გვჭირდებაო**).

და მართლაც, ბ-ნმა **შიხიაშვილმა დოკუმენტიც გამოამზეურა, რომელიც ადასტურებდა, რომ თავისი ეს ბოლო პრემია საქველმოქმედო გზას გაუყენა** და იმედი გამოთქვა, რომ **მისი დანარჩენი კოლეგებიც ასევე მოიქცევიან**. ცნობისთვის, გაცემული **პრემიების ოდენობა 6 200 ლარიდან 8 496 ლარამდე მერყეობს** (ყველაზე მეტი, ბუნებრივია, საკრებულოს თავმჯდომარემ მიიღო).

ჩვენ არ ვიცით, **იმთავითვე იყო განზრახული თუ სიტუაციის ამღვრევის შემდეგ გაჩნდა პრემიების საქველმოქმედოდ გამოყენების იდეა,** თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, **თუ ქველმოქმედება ეწადათ, საკუთარი დანაზოგით ექველმოქმედათ,** ამ ჩვენი **გადასახადებით დაგროვილ ფულს რატომ ფანტავენ, თითქოს მამა-პაპამ დაუტოვა მემკვიდრეობით?!**

# ცოცხალი „მკვდრები“

## ასაღიარებელი ასაღიარებელს აეკიდაო

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ბ-ნმა **შტაინმაიერმა, ფართო ევროპულ და ჩრდილოურ საზოგადოებას აუწყა, რომ უკრაინა „ნატოს“ წევრი ვერ გახდება** და, თუკი **2008 წლის ბუქარესტის სამიტით ვიმსჯელებთ,** სადაც გერმანიისა და საფრანგეთის ძალისხმევით **„მაფი“ არ მოგვცეს, რაც მეტად ადეკვატურად გაიგო ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა** და აგვისტოს **ომით დააგვირგვინა**, სავარაუდოა, რომ **რფ გერმანელი დიპლომატის ამ განცხადებასაც „მწვანე შუქად“ აღიქვამს.**

ამის პარალელურად, გასულ კვირას, **ჩვენმა „იუჟნაია ოსეტიელმა“ „პრ.“ თიბილოვმა სპეცგანკარგულება გამოსცა,** რის მიხედვითაც **ოფიციალურად აღიარა თვითგამოცხადებული „ლუგანსკის რესპუბლიკა“.**

მანამდე კი **„იუჟნაია ოსეტიას“ „პარლამენტს“ ერთხმად მიუმართავს თავისი „პრ.“-სთვის**, აღიარე, დიდო ხელმწიფეო, რამეთუ **„ხალხის თვითგამორკვევის უფლება უზენაესიაო“!** მოგვიანებით საქმეში „სამხრეთოსური“ **„საგარეო უწყებაც“ ჩართულა და პროცედურების მომზადება დაუწყია „ლუგანსკის რესპუბლიკასთან“ დიპურთიერთობის დამყარებისთვის**. –

ცნობისთვის: ლუგანსკში რეფერენდუმი 11 მაისს ჩატარდა, 12-ში კი დამოუკიდებლობაც გამოაცხადეს, თუმცა ჯერჯერობით **დედამიწის ზურგზე, ამ ჩვენი სეპარატისტების გარდა, ისინი არავის უღიარებია**. ჩვენ არ ვიცით, **ეს „პრ.“ თიბილოვისა და მისი სეპარატისტული სამწყსოს პირადი შემოქმედებაა,** რათა რფ-ს საფუძვლიანად აამონ, თუ სხვა რამ მოტივი, თუმცა ის კი აშკარაა, მკვდარი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, **ასაღიარებელი)** მკვდარს **(ასაღიარებელს) აეკიდაო**...

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**ჩვენი მეზობელი სომხეთი უკვე გახდა საბაჟო კავშირის წევრი და პირი რუსეთისკენ ქნა; ჩვენ 27-ში ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას მოვაწერთ ხელს და პირს ეკონომიკურად ევროკავშირისკენ ვიზამთ. ჩვენი მეორე მეზობელი აზერბაიჯანი არც იქითაა, არც – აქეთ. ამ ორივესთან და რუსეთთან, ანუ ჯამში სამივესთან საკმაოდ აქტიური საგარეო სავაჭრო ბრუნვა გვაქვს. როგორ აისახება საქართველოს ეკონომიკაზე, კერძოდ, მის ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებელზე საბაჟო კავშირის შექმნა, (მით უფრო, უკვე დანამდვილებით ვიცით, რომ სომხეთში ავტომანქანების რეექსპორტს ველარ განვახორციელებთ, რადგან არასაბაჟო კავშირის წევრი ქვეყნებიდან პროდუქცია საბაჟო ტარიფის ოთხმაგი ოდენობით დაიბეგრება)? – ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ეკონომიკის ექსპერტ სოსო არჩვაძესთან ერთად შევეცდებით.**

# რატომ იზარალებენ ქართველი ავტოდილერები სომხეთის საბაჟო კავშირში გაწევრიანებით და აზერბაიჯანის მიერ 2005 წლამდე გამოშვებული ავტომანქანების აკრძალვით

**– როგორი ეკონომიკური დამოკიდებულება იქნება საბაჟო კავშირის წევრი ქვეყნების არასაბაჟო კავშირის წევრ ქვეყნებთან?**

– სახელმწიფოს აქვს რამდენიმე ატრიბუტი: გერბი, ჰიმნი, ვალუტა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები და სხვა. ასევე, სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ატრიბუტია საკუთარი საბაჟო სივრცე, ანუ საქონლის მოძრაობის გაკონტროლება და შესაბამისი ბაჟის ან გადასახადის დაწესება იმ საქონელზე, რომელზეც კანონმდებლობით გათვალისწინებულია გადასახადები. ეს შეიძლება, იყოს საბაჟო გადასახადი, იმპორტის გადასახადს რომ უწოდებენ; აქციზის გადასახადი; დამატებითი ღირებულების გადასახადი იმპორტირებულ საქონელზე, ექსპორტი გათავისუფლებულია ამ გადასახადისგან. ერთიანი ეკონომიკური სივრცის ყველაზე სრულყოფილი ფორმაა საბაჟო კავშირი. ეს ნიშნავს, რომ ცალკეული სუვერენული სახელმწიფოები თავიანთი სუვერენიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის დელეგირებას ახდენენ ერთიან სივრცეზე. ანუ საქონლის მოძრაობა ამ სახელმწიფოებს შორის განიხილება არა, როგორც სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის მოძრაობა, არამედ, როგორც ქვეყნის შიგნით ერთი ტერიტორიიდან მეორე ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილება.

**– ანუ რაღა ერევნიდან მოსკოვში საქონლის გაგზავნა და რაღა გორიდან – ქარელში?**

– დაახლოებით. ეს ნიშნავს, რომ გადასახადების გადახდას ეს საქონელი არ ექვემდებარება. ეს აჩქარებს საქონლის, კაპიტალის მოძრაობას, ამცირებს თვითღირებულებას და ასე შემდეგ. თუმცა აქ მეორე მომენტიცაა: რადგან ეკონომიკური განვითარების დონითა და პოტენციალით საბაჟო კავშირში შემავალი სახელმწიფოები ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდებიან, აქ მეტ სარგებელს ნახულობს ის, რომელსაც უფრო განვითარებული ეკონომიკა, განვითარებული რეალური სექტორი აქვს და, შესაბამისად, დანარჩენი წევრები დამოკიდებულები ხდებიან მასზე.

**– საბაჟო კავშირის წამყვანი მოთამაშე იქნება რუსეთი.**

– მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 17 000 დოლარამდეა, სომხეთში – 4 000-ს ოდნავ ასცდა, თუმცა მიმდინარე ფასებში კიდევ უფრო ნაკლებია. შესაბამისად, მაღალია რისკი, რომ სომხეთის ეკონომიკა მოექცეს რუსეთის ეკონომიკის გავლენის ქვეშ და ამის ნიშნები უკვე ჩანს.

**– ამის ნიშნებიც და იმისიც, რომ ჩვენს მეზობელ სომხეთში საკმაოდ გაძვირდება უცხოური, ანუ არასაბაჟო კავშირის წევრ ქვეყნებში წარმოებული პროდუქცია.**

– იმავე სომხეთში ჩვენი ექსპორტის დიდი ნაწილი მოდის ავტომობილებზე, ისევე, როგორც აზერბაიჯანში. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დიდი სახელმწიფოა აზერბაიჯანი, იქ ჩვენი



ჩვენ აზერბაიჯანში გასულ წელს 710 მილიონი დოლარის პროდუქცია გავიტანეთ და აქედან 52 პროცენტი ავტომობილებზე მოდიოდა. მათთვის ეს თანხა არ არის, საგარეო სავაჭრო ბრუნვა გასულ წელს 44 მილიარდი დოლარი ჰქონდათ

ექსპორტის დიდი ნაწილი მოდის ავტომობილებზე. საქართველო მაინცდამაინც ვერ გამოირჩევა აქტიური საექსპორტო პოტენციალით და ჩვენ ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელი გვაქვს რეგიონში ექსპორტის იმპორტით გადაფარვის. თუმცა, მაგალითად, სამხრეთ კავკასიის ორივე სახელმწიფოსთან გასული წლის მდგომარეობით ჩვენ გვქონდა ექსპორტის იმპორტით გადაფარვის 100-პროცენტიანზე უფრო მაღალი მაჩვენებელი.

**– ეს სულ ავტომობილების რეექსპორტის შედეგია?**

– ძირითადად, ეს ავტომანქანების რეექსპორტის ხარჯზეა. მაგალითად, აზერბაიჯანთან ეს მაჩვენებელი 111,3 პროცენტია, სომხეთთან – 173,6 პროცენტი. მაგრამ ამ ბედნიერებამ, როგორც კინოფილმებშია, დიდხანს ვერ გასტანა.

**– მიზეზები სხვადასხვაა: აზერბაიჯანში უბრალოდ იკრძალება 2005 წლამდე გამოშვებული ავტომანქანები, რაც ჩვენს ავტოდილერებს საშუალებას მისცემს, რომ ახალი ავტომანქანების იმპორტირებას მიჰყოს ხელი აზერბაიჯანში.**

– აზერბაიჯანი აბსოლუტურად სხვა წონით კატეგორიაშია. მისი საგარეო ვაჭრობის მოცულობა თითქმის სამჯერ აღემატება საქართველოს მთლიან შიგა პროდუქტს. ცალკეული წლების მიხედვით მას უფრო მაღალი მაჩვენებელიც ჰქონია, მაგრამ გასულ წელს აზერბაიჯანს 44 მილიარდი დოლარის საგარეო სავაჭრო ბრუნვა ჰქონდა. თანაც, ექსპორტით იმპორტის გადაფარვის მართლაც სანატრელი მაჩვენებელი აქვს: ჩვენზე 10-ჯერ უკეთესი. ჩვენ, დაახლოებით, 35 პროცენტამდე გვაქვს, აზერბაიჯანს – 338 პროცენტი.

**– ნავთობისა და გაზის ხარჯზე ოღონდ.**

– რასაკვირველია, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ აზერბაიჯანში შევიდა დიდი ოდენობით უცხოური კაპიტალი, ინვესტიციები და ამან საშუალება მისცა აზერბაიჯანს, ხელი მოეკიდა მეგაპროექტებისთვის. გაუჩნდათ ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ჩატარების, დუბაისთან შეჯიბრის ამბიცია: კასპიის ზღვაზე თითქმის კილომეტრიანი შენობის აგებას აპირებენ. ეს ყველაფერი მოდის ჭარბი ფულიდან. ამას ეკონომისტები ჰოლანდიურ ავადმყოფობასაც უწოდებენ. მაგრამ ეს სხვა თემაა. ფაქტია, აზერბაიჯანს აქვს ამის პოტენციალი. მოსახლეობის ერთ სულზე თითქმის 5 000 დოლარის საგარეო სავაჭრო ბრუნვა აქვს.

**– ამიტომ იმედია, შეისყიდიან ჩვენი ავტოდილერებისგან ახალ ავტომანქანებს, თუმცა სომხური ბაზარი ნამდვილად იკეტება ქართველი ავტოდილერებისთვის. რა ოდენობის ზარალს განიცდიან ისინი?**

– სომხეთთან ვაჭრობას, მაინცდამაინც, დიდი წილი არ უკავია. საზღვრისპირა არაორგანიზებული ვაჭრობა ხილით მხედველობაში არ მიიღება.

**– თუმცა სომხები უშვებენ წებოს, მასტიკას, სამშენებლო პროცესისთვის გამოსადეგ წვრილ-წვრილ საქონელს. რის წარმოებასაც მძლავრი ბაზა არ სჭირდება, მაგრამ მაინც წარმოებაა. ჩვენ, რატომღაც, წებოს წარმოებაც კი ვერ მოვახერხეთ.**

– სხვათა შორის, სომხეთში რეალური სექტორი, მათ შორის, მრეწველობა საკმარის დონეზეა განვითარებული და ეკონომიკაში მრეწველობის წილი ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოს მრეწველობის წილი საქართველოს მთლიან შიგა პროდუქტში. გასაგებია, სომხეთს ატომური ენერგეტიკა აქვს და ამინდს უქმნის, მაგრამ მრეწველობა საკ-

## გიორგი (ჭაჭო) ცინაძეს

სამოცი წლის გახდი და ცხოვრების გზაც სანახევროდ განვლე. გილოცავთ იუბილეს ღირსეულ კაცს და სიკეთით სავსე ადამიანს. ყველაფერ საუკეთესოს გისურვებთ, რაც დაიმსახურე... არ მოგკლებოდეს ახლობლების, ოჯახის წევრების სითბო და მზრუნველობა. შენც ხომ გასცემ სიკეთეს და სითბოს. ჯანმრთელი და მხნე ყოფილიყავი კიდევ მრავალი წლის განმავლობაში ყველას გასახარად.

**ასპინძის „ვარძიის“ ვეტერანი ფეხბურთელები**

მაოდ აქვს განვითარებული და სოლიდურ შემოსავალს აძლევს დასაქმებულებსაც და ბიუჯეტსაც.

თუ დავითვლით, გამოვა, რომ სომხეთში ავტომანქანების გატანის შეზღუდვა 150 მილიონი დოლარის ზარალს გვაძლევს. ამდენით შეიძლება, შემცირდეს ბრუნვის მოცულობა, თუ ოთხმაგი ტარიფები იქნა შემოღებული სომხეთში, რითაც დღეს რუსეთი აჩერებს იმპორტის მოძალებას საკუთარ შიდა ბაზარზე. ვიცი, რომ ისინი ზრდიან გადასახადებს თამბაქოს ნაწარმზე, აპირებენ აქციზის მომატებას ნავთობპროდუქტებზე, თუმცა ეს იქნება შიდა კამპანია.

**– შიგნით რუსული თამბაქო და ნავთობპროდუქტები თავისუფლად იმოძრავებს?**

– რა თქმა უნდა და შედარებით იაფად, აქციზის გადასახადის ფარგლებში. მაგრამ, მაგალითად, ჩვენთან, როდესაც 2005 წელს სიგარეტზე აქციზის განაკვეთი სამჯერ გაძვირდა, ქართული ბაზარი დაიპყრო კონტრაფაქტურულმა სიგარეტმა; მაშინ ჩვენმა საგადასახადო სამსახურმა 110 მილიონი ლარი იზარალა. შემოსავალი, რაც მას უნდა მიეღო აქციზური განაკვეთის ზრდის ხარჯზე, კი არ გაიზარდა, პირიქით, შემცირდა. კურიოზი მოხდა: აქციზის განაკვეთმა აიწია, მაგრამ შემოსავალმა იკლო, იმიტომ რომ რუსეთში აქციზური განაკვეთი იყო 9 ცენტის დონეზე, სომხეთში – 18 ცენტის დონეზე, როდესაც ეკონომიკური საზღვრები არ არის დაცული, იქ იაფი საქონელი იკავებს ძვირად ღირებულის ადგილს.

**– რუსეთთან გვაქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება და ის, ასევე, არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, ისევე, როგორც სომხეთი. გარდა ავტომანქანებისა, სომხეთში შედის ქართული მედიკამენტები, რომლებიც, როგორც ამბობენ, უფრო იაფად იყიდება იქ, ვიდრე საქართველოში. სომხეთის საბაჟო კავშირში გაწევრიანების შემდეგ მედიკამენტებიც გაძვირდება?**

– შეიძლება, გაძვირდეს, თუმცა არ ვიცი, რამდენად საინტერესო იქნება ისევ სომხეთისთვის ქართული ფარმაცევტული პროდუქციის შეტანა. რადგან, მაგალითად, ბელორუსში ჩვენთან შედარებით, დაახლოებით, 4-5-ჯერ უფრო იაფია წამლები. ამიტომ იქიდან შეიტანს. თუ აქამდე გეოგრაფიული სიახლოვის ფაქტორი მუშაობდა, ახლა იმუშავებს დაბალი ფასების ფაქტორი.

**– ქართული ვაჭრობისა თუ ეკონომიკის რა სფეროები დაზარალდება საბაჟო კავშირის ამოქმედებით?**

– მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დროს ერთიანი ეკონომიკური სივრცე არსებობდა, ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკას შორის კოოპერირების დონე არ იყო მაღალი და დღეს საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც კავშირი აქვს სომხეთთანაც და აზერბაიჯანთანაც, მაგრამ ჩვენს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წილი 10-15 პროცენტია. გაცილებით ნაკლებია ეს მაჩვენებელი აზერბაიჯანისთვის საქართველოსთან მიმართებაში. აზერბაიჯანში საერთოდაც რომ არ შევიდეს ავტომობილები საქართველოდან, შეიძლება, ვერც იგრძნონ. აზერბაიჯანის იმპორტის მხოლოდ 0,8 პროცენტი მოდის საქართველოდან იმპორტზე.

**– ჩვენთვის კი რა დიდი მაჩვენებელია ის, რასაც ჩვენგან აზერბაიჯანელები ყიდულობენ.**

– დიახ, ჩვენ აზერბაიჯანში გასულ წელს 710 მილიონი დოლარის პროდუქცია გავიტანეთ და აქედან 52 პროცენტი ავტომობილებზე მოდიოდა. მათთვის ეს თანხა არ არის, როგორც გითხარით, საგარეო სავაჭრო ბრუნვა გასულ წელს 44 მილიარდი დოლარი ჰქონდათ.

**– რა ტიპის პროდუქციაზე შეიძლება, მოიმატოს ფასებმა სომხეთში და ზოგადად საბაჟო კავშირის წევრი ქვეყნებისთვის?**

– ყველა იმ პროდუქციაზე, რომელიც სომხეთში შევა საბაჟო კავშირის არაწევრი ქვეყნებისგან, ანუ დანარჩენი მსოფლიოსგან, გარდა რუსეთის, ბელორუსისა და ყაზახეთისა.

**– მიუხედავად იმისა, ის ქვეყნები არიან თუ არა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები?**

– დადგინდება თამაშის საერთო წესები, რომ საბაჟო კავშირის არც ერთმა წევრმა ქვეყანამ არ იზარალოს. თუ რომელიმე ქვეყნიდან პროდუქციის მიწოდებაზე მაღალია დამოკიდებულება, მაშინ საბაჟო ტარიფი იქნება დაბალი. ამას მარტო საბაჟო კავშირი კი არ აკეთებს, არამედ ევროკავშირიც. მაგალითად, იმ შეთანხმებით, რომელსაც 27 ივნისს ვაწერთ ხელს, საქართველოსთვის პროდუქციაზე კვოტებია დაწესებული. ხოლო, თუ შეტანისას მათი ფასი იქნება ევროკავშირში მოქმედ ფასზე დაბალი, ევროკავშირს შეუძლია, მაღალი ტარიფი დააწესოს ამ პროდუქტებზე, რომ არ აღმოჩნდეს ევროკავშირში არსებულ ფასებზე დაბალი. როგორც იტყვიან, გარკვეული პროტექციონისტული პოლიტიკაა და საბაჟო კავშირის პრინციპი ერთია: იცავს შიდა მწარმოებელთა ინტერესებს.

**– ცოტაა თუ ბევრი, არაერთი ადამიანი სარგებლობს სომხეთში პროდუქციის გატანით: რა ზარალს ნახავენ ისინი?**

– სომხეთთან საქონელბრუნვის მოცულობა არ არის დიდი: ექსპორტი არის 300 მილიონზე მეტი და იმპორტი 200 მილიონზე ნაკლები.

**– 500 მილიონი არ არის ცოტა ჩვენთვის.**

– მაგრამ საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 11 მილიარდს აღემატება.

**– ბელორუსთან, რუსეთთან და ყაზახეთთან?**

– ბელორუსთან გვაქვს სავაჭრო ურთიერთობა, მაგრამ ის ათეულშიც არ შედის. ჩვენს საგარეო ვაჭრობაში ლიდერის მაისური ისევ თურქეთს აქვს, თუმცა შესაძლოა, რუსეთმა ჩამოართვას; მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი, მესამეზე – რუსეთი, შემდეგ – უკრაინა, სომხეთი. მართალია, უკრაინასთან სავაჭრო ბრუნვა ოდნავ, 30 პროცენტით, შემცირდა ამ წლის პირველ ოთხ თვეში წინა ოთხ თვესთან შედარებით.

**– რუსეთის საბაჟო კავშირში გაწევრიანება როგორ აისახება ჩვენს ეკონომიკაზე?**

– ჩვენი საზოგადოება იდეოლოგიურ შტამპებშია მოქცეული და არ ითვლის ეკონომიკურ მიზანშეწონილობას. ამიტომ ამ თემაზე საუბრის დაწყება ნებისმიერი ხელისუფლებისთვის შესაძლოა, არაპოპულარული აღმოჩნდეს. თუმცა მე ვფიქრობ, ეკონომისტები, ექსპერტები, პოლიტოლოგები უნდა დასხდნენ და აწონ-დაწონონ რას იძლევა ევროკავშირი ან საბაჟო კავშირი და დაიდოს მათემატიკური ფორმულა, პირობითად: რა უპირატესობა აქვს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას საბაჟო კავშირში გაწევრიანებასთან შედარებით? თუ ვამბობთ, რომ ევროკავშირი კარგია, უნდა ინახოს ციფრებში, რა სარგებელს ნახავს საქართველო თუ მოაწერს ხელს ასოცირების ხელშეკრულებას. მაგრამ აქ ნდობის საკითხია: ევროკავშირის უპირატესობა აღიარებულია.

**– ანუ საბაჟო კავშირის შექმნა და ჩვენი ევროკავშირის სივრცესთან ინტეგრირების მცდელობა დააზარალებს ჩვენს ეკონომიკურ მაჩვენებლებს?**

– ნებისმიერი ბარიერი და აკრძალვა თავისუფალ მოძრაობას აზრი იქნება ეს, საქონელი თუ კაპიტალი, რა თქმა უნდა, აზარალებს. როდესაც სამეზობლოში ასეთი ვითარება იქნება, ვინ გვრჩება პარტნიორად? სომხეთი და აზერბაიჯანი...

**ნინო ხაჩიძე**


**თუ თქვენს ჯანმრთელობაში ეჭვი გეპარებათ ან სასწრაფოდ გჭირდებათ საიმედო მკურნალის ხელი, შეგიძლიათ, დაუყოვნებლივ მიმართოთ**

**თინათინ მაჩაიძეს**



**მუშაობს განუმეორებელი და შეუდარებელი კომპლექსური სამკურნალო მეთოდებით**

უპრობლემოდ კურნავს მასთან მისულ ჯანმრთელობაშერყეულ ადამიანებს. მკურნალობს ნევროზებსა და ნერვული სისტემის მოშლასთან დაკავშირებულ ყოველგვარ პრობლემას, შიშებს, დეპრესიას, აკვიატებულ აზრებს, ენერგიის ნაკლებობას, თავის ტკივილებს, უძილობას, ოსტეოქონდროზს, მარილებს, რადიკულიტს, ნერვისა და სახსრების ანთებას, კუჭ-ნაწლავისა და ნაღვლის ბუშტის ანთებებს, ენურეზს, ალერგიებს, ჰაიმორიტს, გინეკოლოგიურ პრობლემებს, სხვადასხვა ქრონიკულ დაავადებას და ასე შემდეგ.

**დამატებითი ინფორმაცია მიიღეთ ტელეფონით.**

**ტელ.: 599-58-69-47, 555-12-78-30, 599-96-44-21, 235-18-68 (ოფისი)**

**პაციენტების მიღება ხდება წინასწარი ჩაწერით**

**დამოუკიდებლობის დღიდან მოყოლებული რამდენჯერმე დადგა ასტრახანიდან ვახტანგ მეექვსისა და თეიმურაზ მეორის ცხედრების გადმოსვენების საკითხი, თუმცა უშედეგოდ. რუსული მხარე თითქოს თანახმაა (ან კი რატომ არ უნდა იყოს თანახმა), თუმცა ქართველ მეცნიერებს არც ჩვენს მეფეთა საძვალის მონახულების უფლებას რთავენ და არც გათხრების ჩატარების. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, შეფერხებას საკმაოდ ტრაგიკული მიზეზი აქვს. რუსმა პოლიტოლოგმა პირად საუბარში არაოფიციალურად გვითხრა, რომ ვახტანგ მეექვსის ცხედარი შეურაცხყოფილია – თავის ქალის ნაწილი აკლია. ინციდენტი რამდენიმე ათეული წლის წინათ მოხდა, როდესაც ერთ-ერთმა სამხედრო ექიმმა მისი ცხედარი სტუდენტების საჩვენებელ მასალად გამოიყენა. ამ მიზეზის გამო რუსული მხარე არასდროს დასთანხმდება ვახტანგ მეექვსის ცხედრის საქართველოსთვის გადმოცემას ზედმეტი გართულებისა და შეკითხვების თავიდან ასაცილებლად. რამდენად რეალურია ეს ვერსია და, საერთოდაც, რატომ აღესრულნენ შორეულ ასტრახანში ქართლის მეფეები ვახტანგი და თეიმურაზი? – მოკლე ისტორიულ ექსკურსს ისტორიკოსი ვახტანგ გურული ჩაგვიტარებს.**

# რა ვითარებაში დაიკარგა ვახტანგ მეექვსის თავის ქალა და ვინ შეურაცხყო ასტრახანში დაკრძალული ქართლის მეფის ცხედარი

– მე ამ ინფორმაციას არ ვფლობდი, თქვენგან მოვისმინე პირველად, მაგრამ ერთი რამ მართლაც საეჭვოა: ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს ჩავიდა დელეგაცია საქართველოდან ასტრახანის კრემლის კომპლექსში არსებულ მიძინების ტაძარში, რადგან ვიცოდით, რომ იქ იყვნენ დაკრძალულნი ჯერ ვახტანგ მეექვსე, მოგვიანებით კი – თეიმურაზ მეორე. პროფესორმა გიგა პაიჭაძემ და არქეოლოგმა ვახტანგ ჯაფარიძემ გახსნეს საფლავები და ნახეს, რომ ვახტანგის საფლავში ძვლები ერთმანეთში იყო არეული, თუმცა თეიმურაზის საფლავი ხელუხლებელი დახვდათ. რაც თქვენ თქვით, ის ვერსია, ალბათ, მაშინაც არსებობდა, მე ამას ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ, მაგრამ ამის შესახებ ვერ იტყოდნენ, ამიტომ მათ დაწერეს, რომ ვახტანგის საფლავი გაძარცვული იყო.

**– სარწმუნოა ეს ვერსია?**

– საეჭვოა, ვახტანგის საფლავი გაძარცვულიყო და იქვე მდებარე თეიმურაზის საფლავი ხელუხლებელი დაეტოვებინათ. ან რა ქონება უნდა ჩაეტანებინათ ვახტანგისთვის, რომ მას მძარცველები მიეზიდა?! ამასთან, იმ ტაძრის გაძარცვა ასე ადვილი საქმე ვერ იქნებოდა, იმას გარდა, რომ იქ ისეთი საფლავებია, რომლებშიც ათჯერ და ასჯერ მეტი სიმდიდრე იქნებოდა. ჩემთვის აუხსნელია, რატომ გახდა ვახტანგ მეექვსის საფლავი გაძარცვის ობიექტი, მაშინ უნდა გაეძარცვათ თეიმურაზის საფლავიც. ამდენად, არაბუნებრივია, თეიმურაზის საფლავი პირვანდელი სახით შენარჩუნებულიყო, ვახტანგის საფლავი კი გაეძარცვათ. თეიმურაზის კაბაც კი ჩამოიტანეს თბილისში, რესტავრაცია ჩაუტარეს და მუზეუმში ინახება.



**იმ ტაძრის გაძარცვა, სადაც ვახტანგ მეექვსე განისვენებდა, ადვილი ვერ იქნებოდა, ტაძარი კრემლის კომპლექსშია და ამას გარდა, იქ ისეთი საფლავებია, რომლებშიც ათჯერ და ასჯერ მეტი სიმდიდრე იქნებოდა**

**– კაბა თუ ჩამოიტანეს, თეიმურაზისა და ვახტანგის ცხედრები რატომ არ გადმოასვენეს?**

– მაშინ არც დასმულა ეს საკითხი. ერთი ქვეყანა იყო ან ვინ დასვამდა: ეროვნული ხელისუფლება ჩვენ არ გვყავდა და ეკლესიას ამის უფლებას არავინ მისცემდა. მეტიც, ჩვენ დღესაც არ ვიცით, ვისი ინიციატივით მიეცათ ქართველ მეცნიერებს ასტრახანში ჩასვლისა და საფლავების გახსნის უფლება.

**– ამ დელეგაციის გარდა, სხვა ქართული დელეგაცია იქ აღარ ჩასულა?**

– ასტრახანის კრემლის კომპლექსში არსებული მიძინების ტაძარი პირველად და უკანასკნელად, რამდენადაც ვიცი, გიგა პაიჭაძემ და ვახტანგ ჯაფარიძემ გახსნეს.

**– რატომ ვერ მოხერხდა ამ პროცესის დაძვრა? რა ფასეულობა აქვს რუსეთისთვის ამ ჩვენი ორი მეფის ცხედარს, რომელთა ტრაგიკული ბედი სწორედ რუსეთის დამსახურებაა? მათი ძვლები ხომ მხოლოდ ჩვენთვისაა ძალიან ფასეული?**

– რუსებს საერთოდ ახასიათებთ ერთი რამ: არაფერს თმობენ, მიუხედავად იმისა, სჭირდებათ თუ არა.

**– ნამდვილად ვახტანგი და თეიმურაზია იმ საფლავებში?**

– თეიმურაზ მეორეზე ეჭვი არ არის, მისი საფლავი აბსოლუტურად დაუზიანებელია. მართალია, მის გვერდით ვახტანგის ამოცნობა შეუძლებელი იყო, მაგრამ, აბა, სხვა ვინ უნდა ყოფილიყო?! წარწერაც ამას ადასტურებს. დოკუმენტურ წყაროებშიც წერია, რომ ვახტანგ მეექვსე გარდაიცვალა ასტრახანში 1737 წლის 26 მარტს და 30 მარტს დაკრძალეს. ამას გარდა, მაშინ იმ საფლავს ხომ პატრონი ჰყავდა?! თუმცა გამორიცხულია, რომ 1917 წლამდე ეს საფლავი ვინმეს გაეძარცვა. მიძინების ტაძარი ასტრახანის კრემლის კომპლექსშია და მთავარი საკრებულო ტაძარია, მაგრამ 1917-1919 წლებში ასტრახანის გარშემო ისეთი ამბები ტრიალებდა, რომ საფლავი შეიძლებოდა, გაეძარცვათ, მაგრამ ამის შესახებ არანაირი ცნობები არ არსებობს. ასე რომ, გაძარცვის თარიღს ახლა ვერავინ დაადგენს.

**– როგორ მოხვდნენ სიცოცხლის ბოლო წუთებში ვახტანგი და თეიმურაზი ასტრახანში გავიგეთ, მაგრამ გავიხსენოთ, როგორ მოხვდნენ ისინი რუსეთში?**

– 1722 წელს პეტრე პირველმა კასპიისპირეთში ლაშქრობა დაიწყო. უნდოდა, დაეკავებინა დარუბანდიდან ბაქომდე ზღვის სანაპირო ზოლი, რომ იქიდან მოესინჯა ინდოეთში გასასვლელი გზა. მაგრამ პეტრემ იმავე წელს შეწყვიტა ლაშქრობა, ვერ შეუერთდა ვახტანგს, რომელიც განჯაში იდგა და ვახტანგი, ფაქტობრივად, მარტო დარჩა ირანის წინააღმდეგ, როგორც რუსეთის კავკასიაში მომყვანი. მთელი უბედურება ის იყო, რომ პეტრე პირველმა ირანის შიშით კი არ შეწყვიტა ლაშქრობა, არამედ ოსმალეთი დაემუქრა, ამიტომ მაშინვე, 1723 წელს, ზავი დადო ირანთან. ზავი 1724 წელსაც დაიდო, მაგრამ ერთი სიტყვაც არ დაუსველებია ვახტანგის სასარგებლოდ – ჩემი მოკავშირე იყო და დააბრუნეთ ტახტზეო. პეტრე პირველმა ვახტანგი სრულიად დაუცველი დატოვა, რის გამოც ვახტანგი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. 1725 წელს პეტრე გარდაიცვალა, მისი მემკვიდრეები ერთი მეორეზე უნიჭოები და უღირსები აღმოჩნდნენ და ვახტანგს აღარანაირი ყურადღება არ მიაქციეს. 1723 წლის შემდეგ რამდენიმე ზავი დაიდო ირანთან, მაგრამ არც ერთ ხელშეკრულებაში რუსეთმა ვახტანგის ინტერესები არ დაიცვა. 1735 წელს, როდესაც იმ ეპოქის ბოლო ხელშეკრულება გაფორმდა განჯაში, ვახტანგი დარუბანდში იყო წასული, როდესაც უთხრეს, რომ ხელშეკრულება დაიდო, რომელშიც ქართლის ინტერესები არ იყო დაცული, ის დაბრუნდა ასტრახანში. ჯანი უკვე გატეხილი ჰქონდა. გადაწყვიტა, კიდევ ეცადა ბედი და ბაქარი, ტახტის მემკვიდრე, გაგზავნა პეტერბურგში რუსეთის იმპერატორთან მოსალაპარაკებლად. თვითონ შედეგებს ასტრახანში ელოდა. ამ მოლაპარაკებებს არანაირი შედეგი არ მოჰყოლია და ამ მოლოდინში ვახტანგი 1737 წლის 26 მარტს ასტრახანში გარდაიცვალა.

რაც შეეხება თეიმურაზს: ის 1760 წელს გაემგზავრა რუსეთთან მოლაპარკებისთვის. ამ დროს ერეკლე კახეთის მეფეა, ქართლის – თეიმურაზი. ეს სტაბილურობის პერიოდია, ქართლ-კახეთს აწყობილი აქვს ურთიერთობა ოსმალეთთანაც და ირანთანაც.

**– აბა, რა უნდოდათ მოსკოვში?!**

– ერეკლე და თეიმურაზი ხვდებოდნენ, რომ პროირანულმა ორიენტაციამ გაამართლა, ქერიმ-ხანი მათთან კარგად არის, მაგრამ ირანი სუსტდება, ქერიმ-ხანი, ზენდების დინასტიიდან, ვერ გახდა შაჰი, ალა-მაჰმად ხანის ტომი, ყაჯრების დინასტია, ემტერება მას. ერეკლე და თეიმურაზი მიხვდნენ, როდესაც ირანი დასუსტდება ხომ შეიძლება, ირანის ტერიტორიის გადანაწილება მოინდომონ რუსეთმა და ოსმალეთმა? ამიტომ დაიწყეს რუსეთთან იმის გარკვევა, ირანის დასუსტების შემთხვევაში თუ აეწყობოდა რუსეთთან ქართლ-კახეთის ურთიერთობა. სამომავლოდ ზვერავდნენ საქმეს, იმიტომ რომ ხვალ შეიძლება, ყაჯრებს დაემარცხებინათ ზენდები. ყაჯრებთან ურთიერთობის აწყობას ერეკლე მაინცდამაინც არ ელოდა, იმიტომ რომ ქერიმ-ხანის მეგობრებს ყაჯრები არ დაინდობდნენ. ამიტომ წავიდა თეიმურაზი რუსეთში, მაგრამ რუსები ხომ მშვენივრად მიხვდნენ, რატომ ჩავიდა თეიმურაზი მათთან? და კარტი არ გაუხსნეს. ბოლოს, როდესაც თეიმურაზმა დააყენა საკითხი, თუ დაგვეხმარებით ჯარითო, რუსებმა ომი მოიმიზეზეს. იმ დროს რუსეთი ჩაბმული იყო 7-წლიან ომში. 1757 წელს დიდი ევროპული ომი დაიწყო, რომელიც 1763 წლამდე არ დამთავრებულა. ამიტომ თეიმურაზს უთხრეს, ომია და კონკრეტულ დაპირებებს ვერ მოგცემთო. რით დასრულდებოდა ეს მოლაპარაკება უცნობია, რადგან სრულიად მოულოდნელად თეიმურაზი პეტერბურგში გარდაიცვალა.

**– რით?**

– მოწამვლის ან ძალადობრივი სიკვდილის ვერსია გამორიცხულია, რადგან ასეთ შემთხვევაში ცხედარი ასე კარგად ვერ შეინახებოდა საუკუნეების განმავლობაში. უკვე ასაკოვანი იყო თეიმურაზი, ასეთ დიდ გზაზე მოგზაურობამ დალალა. 1761 წელს ყიზლარსა და ასტრახანში არ შეუშვეს და რამდენიმე თვეს აცდევინეს. პეტრე პირველის მიერ დაწესებული წესით, იმ ქალაქში, სადაც სამხედრო გარნიზონი იდგა, როდესაც გვირგვინოსანი შედიოდა, სალუტი უნდა მიეცათ, მაგრამ რუსეთის იმპერატორს ეშინოდა, თეიმურაზისთვის სალუტის მიცემას არ გაეღიზიანებინა ირანი და ოსმალეთი. ამიტომ არ მისცა კომენტატმა სალუტი და თეიმურაზიც არ შევიდა ქალაქში, სანამ სალუტი არ მისცეს. ვერაფერი გაარკვია თეიმურაზმა, თუმცა კარგი დიპლომატი იყო. მაგრამ ცოცხალიც რომ ყოფილიყო, ალბათ, მიზანს მაინც ვერ მიაღწევდა, რადგან რუსეთს არ მოსწონდა, რომ ქრისტიანული ქვეყანა იდგა პროირანულ ორიენტაციაზე.

**– აბა, როგორ გადარჩენილიყვნენ?**

– რუსეთს არ აინტერესებს, გადარჩები თუ არა. ის არ გეხმარება, მაგრამ მაინც მის მხარეს უნდა იყო.

**– რაც უნდა ვაძაგოთ აღმოსავლური იმპერიები, ისინი, თვით მონღოლების ველური იმპერიაც კი, თამაშის რაღაც წესს იცავდნენ, ვახტანგის მაგალითით გამოჩნდა, რომ რუსეთი არის სახელმწიფო, რომელიც არ ცნობს არანაირ წესს. როგორ გაბრიყვდნენ ვახტანგის ტრაგიკული მაგალითის შემხედვარე?**

# რა თანხას ინახავს ანაბრებზე ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ქეთევან ბოჭორიშვილი

ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ქეთევან ბოჭორიშვილი 1981 წელსაა დაბადებული. საქართველოში უმაღლესი განათლება ტექნიკურ უნივერსიტეტში მიიღო, სადაც 1998-2005 წლებში სწავლობდა და ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხებიც მოიპოვა საერთაშორისო და რეგიონალურ კონფლიქტებში. 2006-2008 წლებში მილანის მენეჯმენტის სკოლაში განაგრძო სწავლა და საერთაშორისო საჯარო მენეჯმენტში მაგისტრის ხარისხიც მიიღო. მინისტრის ახალგაზრდა მოადგილე ქალბატონის შრომითი ბიოგრაფია 1999 წელს იწყება საერთაშორისო განათლების ამერიკის საბჭოებში, სადაც მან 2006 წლამდე პროექტის მენეჯერად იმუშავა. 2007-2008 წლებში იტალიაში, VISION & VALUE Management Consulting-ის ანალიტიკოსი გახდა; 2008-2010 წლებში – ფონდ „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი; 2010 წელს საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორად დაინიშნა, 2012 წლიდან დღემდე კი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეა.

ქ-ნი ბოჭორიშვილის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 2011 წლით თარიღდება, რომელიც მან შეავსო, როგორც ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორმა. ოჯახის წევრებად არავინ მიუთითებია და არ არის აღნიშნული არც უძრავი და არც მოძრავი ქონება. მხოლოდ ისაა მითითებული, რომ 2010 წლის განმავლობაში მან, როგორც ათასწლეულის ფონდის საზოგადობასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტმა, 39 250 ლარი აიღო. ამას გარდა, 2009 წელს ქეთევან ბოჭორიშვილს 40 000 აშშ დოლარის ოდენობის სესხი აუღია, რომლის მომსახურებაშიც 2010 წელს 10 071 აშშ დოლარი გადაუხდია.

2013 წელს ქეთევან ბოჭორიშვილმა დეკლარაცია ეკონომიკის მინისტრის მოადგილის ამპლუაში შეავსო და ოჯახის წევრებად მიუთითა: მამა – ავთანდილ ბოჭორიშვილი; დედა – მარიამ ბოჭორიშვილი; ძმა – ნიკოლოზი; რძალი – თამარ ბალაძე და ძმისშვილი – სანდრო. ოჯახის უძრავი ქონება ავთანდილ ბოჭორიშვილის საკუთრება იყო. კერძოდ: მიწის ნაკვეთი სოფელ დიღომში (595 კვ. მ. ფართობის) და იქვე მდებარე საცხოვრებელი სახლი – 350 კვ. მ. ფართობის. ნიკოლოზ ბოჭორიშვილს კი ჰყავდა ორი ავტომანქანა: 2011 წლის hunday grande და 2011 წლის „მინი-კუპერი.“ ქეთევან ბოჭორიშვილს ანაბარი ჰქონდა გახსნილი „საქართველოს ბანკში“, რომელზეც 8 042 აშშ დოლარს ინახავდა.



ნიკოლოზ ბოჭორიშვილი შპს „სტუდია მეტროს“ პარტნიორია და ამ საქმიანობამ მას 2011 წლის განმავლობაში 17 130 ლარი მოუტანა. რაც შეეხება სხვა შემოსავლებს: 2011 წლის განმავლობაში ნიკოლოზ ბოჭორიშვილმა, როგორც „სტუდია მეტროს“ დირექტორმა 72 400 ლარი აიღო; თამარ ბალაძემ, როგორც „რომპეტროლის“ მომხმარებელთა მომსახურების კოორდინატორმა – 18 000 ლარი; ხოლო ქეთევან ბოჭორიშვილმა, როგორც საინვესტიციო სააგენტოს დირექტორმა – 38 000 ლარი.

2013 წლის დეკლარაციით ვიგებთ, რომ ოჯახის უძრავი ქონების ჩამონათვალს დაემატა: ნიკოლოზ ბოჭორიშვილის საკუთრება – საცხოვრებელი სახლი ბახტრიონის ქუჩაზე (203 კვ. მ.) და მარიამ ბოჭორიშვილის საკუთრება – საცხოვრებელი სახლი აბაშელის ჩიხში (68 კვ. მ. ფართობის). ქეთევან ბოჭორიშვილს კი უკვე ორი ანაბარი აქვს, რომლებზეც 18 347 ლარსა და 10 271 აშშ დოლარს ინახავს. ნიკოლოზ ბოჭორიშვილი კვლავაც „სტუდია მეტროს“ პარტნიორია – 2012 წლის განმავლობაში მან ამ ამპლუაში 17 130 ლარი აიღო; სამეწარმეო საქმიანობა დაუწყია მარიამ ბოჭორიშვილსაც და მან, როგორც საგანმანათლებლო ორგანიზაცია „დიდაქტიკის“ პარტნიორმა, 4 600 ლარი აიღო. რაც შეეხება სხვა შემოსავლებს: ნიკოლოზ ბოჭორიშვილმა, როგორც „სტუდია მეტროს“ დირექტორმა, წლიურ ხელფასად 78 353 ლარი აიღო; მისმა მეუღლემ იმავე პოზიციაზე „რომპეტროლში“ – 32 971 ლარი; ქეთევან ბოჭორიშვილმა, როგორც ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ, 62 129 ლარი; მარიამ ბოჭორიშვილმა, როგორც სამედიცინო კოლეჯ „პანაცეის“ ლექტორმა – 230 ლარი. ქეთევან ბოჭორშვილს იპოთეკური სესხის მომსახურება 2012 წელს 17 214 აშშ დოლარი დაუჯდა.

2014 წელს შევსებული დეკლარაციით, ქეთევან ბოჭორიშვილი დედ-მამასთან ცხოვრობს. აქვს ორი ანაბარი, რომლებზეც 20 851 ლარსა და 10 271 აშშ დოლარს ინახავს. მარიამ ბოჭორიშვილი კვლავ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და როგორც „დიდაქტიკის“ პარტნიორმა, 2013 წლის განმავლობაში 1 600 ლარი აიღო, როგორც „პანაცეის“ ლექტორმა – 2 347 ლარი. დასაქმებულა ავთანდილ ბოჭორიშვილიც – საპროექტო ინსტიტუტ „თბილზნიეპის“ დირექტორის მოადგილედ და მის შემოსავალს 1 000 ლარი შეუდგენია. ხოლო ქეთევან ბოჭორიშვილმა, როგორც ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ – 62 129 ლარი აიღო. ქეთევან ბოჭორიშვილს 2013 წელს 40 000 აშშ დოლარიანი იპოთეკური სესხის მომსახურება 5 370 აშშ დოლარი დასჯდომია და მეორე სესხიც აუღია – უნივერსალური იპოთეკური, 67 000 აშშ დოლარის ოდენობით.

**ნინო ხაჩიძე**

---

– ლოგიკური კითხვაა. სხვათა შორის, თქვენს სასარგებლოდ უნდა ვთქვა, რომ ივანე ჯავახიშვილსაც უკვირდა ეს. საქმე ის არის, რომ ახსნა ყველაფერს აქვს. ერეკლე და თეიმურაზი არავითარ შემთხვევაში არ შეცვლიდნენ პროირანულ პოლიტიკას, ირანი რომ ძლიერ სახელმწიფოდ დარჩენილიყო. ისინი ფიქრობდნენ, დაინგრევა ირანი და დანგრეულ ირანს მიეტანებიან ოსმალეთი და რუსეთი. ვინმეს გავლენის სფეროში მოვხვდებით, ისინი ვარაუდობდნენ, რომ ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი დარჩებოდა რუსეთს და გინდა თუ არა, მასთან უნდა გაგერკვია ურთიერთობა. გავიხსენოთ ვახტანგ მეექვსის ისტორიაც: 1712 წელს ჩაიყვანეს ირანში, მაგრამ მაჰმადიანობა მიიღო მას შემდეგ, რაც სულხან-საბა ხელცარიელი დაბრუნდა ევროპიდან. 1716 წლამდე იცდიდა ვახტანგი, მაგრამ ევროპიდან არანაირი იმედი არ იყო. იქ პეტრე პირველმა მიუგზავნა არტიომ ვოლინსკი, ცნობილი დიპლომატი, საიდუმლო შეხვედრები ჰქონდათ კურიერებით. ოდნავ დამაიმედებელი ცნობა რომ ყოფილიყო ევროპიდან, ვახტანგი არ მიიღებდა მაჰმადიანობას, მაგრამ არავინ ეუბნებოდა ირანის შაჰს, გაუშვით საქართველოშიო. მეფედ იყო დამტკიცებული და მაინც ირანში ჰყავდათ. ვახტანგი მიხვდა, რომ ევროპამ ის გასწირა და ვა-ბანკზე წავიდა.

**– პეტრესთან მოლაპარაკებას ოფიციალური სახე ჰქონდა?**

– ვახტანგი და პეტრე ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან და არც ხელშეკრულება გაუფორმებიათ, კურიერებით საუბრობდნენ. პეტრეს არანაირი ვალდებულება არ აუღია. მან 1722 წელს დაიწყო ლაშქრობა და მარტო დატოვა ვახტანგი 40 000-ანი ლაშქრით განჯაში. 32 000 ქართველი იყო, 8 000 – სომეხი. ვახტანგის შეცდომა ის იყო, რომ მთელი პოლიტიკა ააგო რუსეთის მიერ ირანის დანგრევაზე. თუ რუსეთი ირანს ვერ დაშლიდა, ვახტანგი დაიღუპებოდა. მასში ირანის დიდი ზიზღი იყო: თვითონ ძალით გაამაჰმადიანეს, გიორგი მეთერთმეტე, მისი ძმები ქაისხოსრო და როსტომი ირანში დაიღუპნენ. საერთოდაც, უამრავი ქართველი შეეწირა ირანელების ავღანელებთან ბრძოლას. ვახტანგი ფიქრობდა, როგორც ადამიანი: როდემდე უნდა იღუპებოდნენ საუკეთესო ქართველი ვაჟკაცები?! და მივიდა ამ გადაწყვეტილებამდე. ვახტანგს გონება დაუბინდა ამ ზიზღმა.

**– მონარქს არ შეშვენის ასე ჩვეულებრივი ადამიანივით ემოციურად აზროვნება.**

– რა თქმა უნდა, თან, ისეთ განათლებულ ადამიანს, როგორიც ვახტანგი იყო. როდესაც ვახტანგის ძმა როსტომი დაიღუპა, ირანის შაჰმა ვახტანგის შვილი ბაქარი დანიშნა სარდლად და უთხრა, ჯარი მომაშველე ავღანეთის წინააღმდეგო. ბაქარმა ჯარი შეკრიბა და ჯავახეთში იყო გასული 5 000 კაცით, ვახტანგმა რომ უკან დააბრუნა. ბაქარი უხსნიდა – მე ამ ჯარით ირანის შაჰთან წავალ, შენ შენი ჯარით პეტრესთან წადი, ბოლოს და ბოლოს, თავს ვიმართლებთ, მე ხომ მოგაშველე ჯარი, მაგრამ პეტრე ამხელა ჯარით მოდიოდა და შესაკავებლად დავრჩითო, მაგრამ ვახტანგმა მაინც არ გაუშვა ბაქარი. სიფრთხილისკენ მოუწოდებდა მეფეს სამეფოს დარბაზიც. ჩვენ დღეს გვიჭირს ამის წარმოდგენა, მაგრამ ვახტანგს, მართლმადიდებელ მეფეს, მეორე მართლმადიდებელი მეფის დიდი იმედი ჰქონდა.

**– ოსმალეთს რატომ არ მიმართა დახმარებისთვის?**

– ოსმალეთმა თვითონ შესთავაზა ვახტანგს დახმარება, მაგრამ ვახტანგმა უარი თქვა. მაინც არ გამოვიდოდა აქედან არაფერი. სამი მოთამაშე ართულებდა ვითარებას: თუ ირანი რუსეთს დარჩებოდა, ვახტანგის პოლიტიკა სწორი აღმოჩნდებოდა, მაგრამ ირანი არ დარჩა რუსეთს. ერეკლეს დილემაც ეს იყო: სამი მოთამაშე და ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, ვინ ვის სძლევდა. როდესაც პეტრე დარუბანდიდან შემოვიდა და ბაქოსკენ დაიძრა, ოსმალეთმა ჯარი მცირე აზიაზე კი არ დააყენა, ყირიმის ხანს უბრძანა, 40 000 ცხენოსნის აყრა და პეტრეს ზურგში ჩაუყენა დარუბანდში. პეტრემ მაშინვე შეწყვიტა ლაშქრობა. ამიტომ აქ რუსეთი ირანის პრობლემას ვერ წყვეტდა ოსმალეთისგან დამოუკიდებლად. ვახტანგი ხედავდა, რომ ირანი კვდებოდა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, სამოღვაწეო ასპარეზზე ნადირ-ხანი გამოვიდა და მან 10-15 წლით გააცოცხლა მომაკვდავი ირანი: ოსმალეთსაც უწევდა წინააღმდეგობას და რუსეთიც აბარგდა კასპიისპირეთიდან, რაც საკმარისი იყო იმისთვის, რომ ვახტანგი საბოლოოდ გაკოტრებულიყო. მაგრამ 1747 წელს მოკლეს ნადირშაჰი, ისევ აირია ირანი და ერეკლემ და თეიმურაზმა არ იციან, ვისთან ჰქონდეთ ურთიერთობა. თორემ ქერიმ-ხანი რომ გამხდარიყო შაჰი, ირანი დიდხანს იქნებოდა ძლიერი სახელმწიფო და ერეკლე და თეიმურაზი არავისთან კავშირზე არ იფიქრებდნენ.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი

0 9 0 2 20 0 200

SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან



ზარი ფასიანია

**სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ამა თუ იმ დაავადების გაიდლაინი (დანიშნულების სტანდარტი) არ არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული ექიმი საკუთარი შეხედულებისამებრ ნიშნავს მკურნალობას და, შესაბამისად, იმ მედიკამენტებსაც, რასაც ამა თუ იმ დაავადების მკურნალობისას იყენებს. თავის მხრივ, მედიკამენტების ხარისხს არავინ ამოწმებს და არც იმას, რამდენად ეფექტიანი აღმოჩნდა ექიმის დანიშნულება. ამდენად, სავსებით ლოგიკურია, რომ საჭიროზე მეტ მედიკამენტს ვიღებთ, რაც დაავადებებისგან ვერ გვკურნავს, მაგრამ, სამაგიეროდ, საფუძვლიანად ამდიდრებს ფარმაცევტულ კომპანიებს და იმ ექიმებსაც, რომლებიც ამ კომპანიებს წილში ჰყავთ და „ატკატებს“ უხდიან. იმის გათვალისწინებით, რომ ეს მანკიერი პრაქტიკა თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშია გავრცელებული, ბუნებრივია, მისგან ვერც ჩვენ ვიქნებით დაცული, თუმცა ჩვენ სხვა პრობლემაც გვაქვს: ხშირად საქართველოში ისეთი წამლები იყიდება, რომლებიც ევროპულსა თუ ამერიკულ ბაზარზე აკრძალულია. როგორ და რის სანაცვლოდ ატყუებენ ფარმაცევტული კომპანიები და ექიმები პაციენტებს თვით ყველაზე დაცულ ამერიკულ ბაზარზე და რა საფრთხეების წინაშე დგანან ქართველი პაციენტები, – თემას ჯანდაცვის ექსპერტთა კლუბის თავმჯდომარე თინა ტურძილაძე განგვიმარტავს.**

# რატომ ნიშნავენ ერთი დაავადების სამკურნალო წამლებს ექიმები სხვა დაავადებების სამკურნალოდ და როგორ ახდევინებენ მედიკამენტების უკანონო რეკლამის ფულს თავად პაციენტებს

**– რა ტიპის გარიგებები არსებობს ფარმაცევტულ კომპანიებსა და ექიმებს შორის და რა მეთოდით ატყუებს ორივე მხარე პაციენტს? მით უფრო, რომ აშკარად თვალშისაცემია მედიკამენტების სიუხვე, რომლებსაც ექიმები უნიშნავენ პაციენტებს: თუ დაავადებას გადაურჩი, მედიკამენტების გვერდითი მოვლენები ნამდვილად მოგიღებს ბოლოს.**

– ამ დღეებში, ზედიზედ რამდენიმე ახლობლის სამედიცინო დანიშნულების გადახედვა მომიწია, შევწუხდი – ეს არ იყო უბრალოდ არარაციონალური დანიშნულება, ეს იყო ჯანმრთელობისთვის საშიში პოლიპრაგმაზია! დამატებით ამისა, საეჭვო თერაპიული ღირებულების „ბრენდნეიმები“ ექიმის „ატკატებისთვის“ 10-პროცენტიანი ბონუს ბარათებით.

წამლების ბრენდული დასახელებებით გამოწერის პრაქტიკა, რომელიც ფორმალურადაც და არაფორმალურადაც ხელშეწყობილია საქართველოში, შინაარსობრივად გულისხმობს ექიმების მიერ პაციენტისთვის კონკრეტული მწარმოებლის წამლის დანიშვნას. აი, აქ ჩნდება ექიმის მწარმოებლებთან გარიგების რისკი, „რისკის“ „მოტივაციად“ მეტამორფოზისთვის ფარმაცევტული ბიზნესი საქმეში რთავს თავის მძიმე არტილერიას – „პრომოუშენს“.

„წამლის პრომოუშენი“ საბაზრო ინფორმაციის მართვის ტექნოლოგიაა და ითვალისწინებს გაყიდვების სტიმულირების ღონისძიებების კომპლექსს. ხშირად, უფრო მეტიც, ძალიან ხშირად, ეს ღონისძიებები სცილდება ეთიკურობისა და კანონიერების ზღვარს. ამ ტიპის ღონისძიებაა, მაგალითად, ექიმების „ბონუსების სისტემა“, ანუ „ატკატები“. კერძოდ, კონკრეტული ბრენდის დანიშვნის საზღაურად ექიმი მწარმოებლისგან ან სავაჭრო ლიცენზიის მფლობელისგან პაციენტის მიერ წამლის ყიდვის შემთხვევაში, იღებს ეგრეთ წოდებულ „ატკატს,“ წამლის ფასის 10 პროცენტის სახით. ეს ამორალური მარკეტინგია, რომელიც რყვნის სამედიცინო დანიშნულების პროცესს, საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ ჯანმრთელობას და რაც ძალიან ცინიკურია, თავად საზოგადოებას ახდევინებს ამ უკანონო პრომოუშენის ხარჯებს, ვინაიდან ეს ხარჯები წამლის ფასში აისახება.

**– რა საშუალებები არსებობს ამისგან თავის დასაცავად, ეს არ იქნება მხოლოდ ქართული სამედიცინო სფეროსთვის დამახასიათებელი ტენდენცია?**

– ჯანდაცვაში თაღლითობა ადამიანებისთვის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის მოპარვას ნიშნავს და, ბუნებრივია, ეს საზოგადოებისგან სერიოზულ დამოკიდებულებას მოითხოვს. მოგიყვანთ მაგალითებს ამერიკის ჯანდაცვიდან, რომლებიც ამ ბოლო წლებში იქნა გამოვლენილი და ადმინისტრირებული ხელისუფლების მიერ. 2008 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში FDA-მ Eli Lilly-ის პრეპარატ „ზიპრექსას“ ავტორიზაცია განახორციელა, პრეპარატი გამოიყენება ფსიქიკური აშლილობის, ბიპოლარულ აშლილობასთან დაკავშირებული მწვავე მანიაკალური ეპიზოდების (მოკლე კურსით) და შიზოფრენიის (რომელიც სტაბილურია დაახლოებით 8 თვის განმავლობაში) სამკურნალოდ. „ზიპრექსა“ არასოდეს ყოფილა დაშვებული ჭკუასუსტობის და ალცჰეიმერის სამკურნალოდ, არც მასთან დაკავშირებული ფსიქოზებისა და დემენციასთან დაკავშირებული კოგნიტური დარღვევების სამკურნალოდ. მიუხედავად ამისა, კომპანია Eli Lilly ახორციელებდა ამ არასანქცირებული ჩვენებებით პრეპარატის პრომოუშენს. კომპანიამ შექმნა ყალბი მარკეტინგული მასალა არაპირდაპირი დანიშნულებით რეალიზაციისთვის, რომლითაც ექიმებს არწმუნებდა, რომ პრეპარატი ეფექტიანი იყო დემენციის, ალცჰეიმერის, დეპრესიის, შიშების და ძილის პრობლემების, ქცევითი პრობლემების – აღგზნება აგრესია, მტრული განწყობა – კორექციისთვის. ამ კამპანიაში მწარმოებელმა ჩადო დიდი ფინანსური რესურსი და ჩართო თავისი სავაჭრო წარმომადგენლები. მოკვლევით გამოვლინდა, რომ Eli Lilly-მ უკანონო პრომოუშენი ეტაპობრივად განახორციელა 3 სეგმენტში: მოხუცებულთა სახლებში, სადაც გრძელვადიანი პატრონაჟის პროგრამები ხორციელდებოდა, პირველად ჯანდაცვაში და ბოლოს, ყველაზე დიდი ინვესტიცია უწყვეტი განათლების სისტემაში ჩაიდო. ეს სეგმენტი მილიონობით დოლარით დასპონსორდა, გაიცა გრანტებიც „ზიპრექსას“ არასანქცირებული ჩვენებებით დანიშნულების პრომოუშენისთვის.

**– როგორი იყო სანქცია?**



**ამ დღეებში, ზედიზედ რამდენიმე ახლობლის სამედიცინო დანიშნულების გადახედვა მომიწია, შევწუხდი – ეს არ იყო უბრალოდ არარაციონალური დანიშნულება. ეს იყო ჯანმრთელობისთვის საშიში პოლიპრაგმაზია!**

– ამ თაღლითობისათვის Eli Lilly დაჯარიმდა 515 მილიონი აშშ დოლარით, ჩამოერთვა 100 მილიონი აშშ დოლარის აქტივები და დაეკისრა ფედერალური ბიუჯეტისთვის 800 მილიონი დოლარის ზარალის ანაზღაურება. საერთო ჯამში, ჯარიმამ მილიარდ 415 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ფინანსური სანქციების პარალელურად, კომპანიას დაევალა თავის ვებ-გვერდზე ექიმების კომპენსაციების, მათ შორის, მოგზაურობებისა და დასვენებების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება და საერთოდ, კორპორატიული საქმიანობის მეტი გამჭვირვალობა.

2009 წელს ამერიკის იუსტიციის სამინისტროს საიტზე გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ფაიზერის“ შვილობილმა კომპანიამ სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯებიდან მილიონობით დოლარი ქრთამის სახით, გადაუხადა ექიმებს და ჩინოვნიკებს 11 სახელმწიფოში. მათ შორის, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებშიც და თუმცა კომპანიამ ეს დანაშაული აღიარა, ამით არ ამოწურულა „ფაიზერის“ სკანდალი. როგორც მოკვლევით დადასტურდა, კომპანია ახორციელებდა პრეპარატ „ბექსტრას“ უკანონო პრომოუშენს, იმ ჩვენებებით და დოზებით, რომელიც FDA-ს მიერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მაღალი საფრთხეების გამო არ იქნა სანქცირებული. აღნიშნულის გამო კომპანია დაჯარიმდა 1,3 მილიარდი აშშ დოლარით. ანალოგიური ბრალდებით, დავა გაგრძელდა პრეპარატების: „გეოდონის“, „ლირიკას“, ზივოქსის გამო. დამატებით კიდევ 1 მილიარდი აშშ დოლარის ჯარიმა დაეკისრა „ფაიზერს“. დადასტურდა „ფაიზერის“ მიერ თავისი პრეპარატების დანიშვნის წასახალისებლად, სამედიცინო სერვისების პროვაიდერებისთვის ეგრეთ წოდებული „ატკატების“ გადახდა.

ჯამში, კომპანია „ფაიზერი“ დაჯარიმდა და დავების რეგულირებისთვის დაეკისრა 2,3 მილიარდი აშშ დოლარის გადახდა. დანაშაულის გამოვლენის ხელშეწყობისთვის 6-მა ინფორმატორმა კომპანიის მიერ გადახდილი ჯარიმიდან 102 მილიონ აშშ დოლარი მიიღო.

2012 წლის 2 ივლისს აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს საიტზე გამოქვეყნდა ინფორმაცია GlaxoSmithKline-ის მიერ განხორციელებული უპრეცედენტო მასშტაბის თაღლითობის შესახებ. საქმე აქაც წამლების უკანონო პრომოუშენს შეეხო, მათ შორის „პაქსილს“, „ველბუტრინს“, „ავანდიას“... მოკვლევით დადასტურდა, რომ კომპანია აყალბებდა პრეპარატების შესახებ ინფორმაციას და აფინანსებდა ცრუ ინფორმაციის გავრცელებას, მათ შორის სამედიცინო და სამეცნიერო ჟურნალებში, მაგალითად, „პაქსილის“ შესახებ კომპანიამ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს პრეპარატ „პაქსილის“ ეფექტიანობა ბავშვებში კლინიკური კვლევებით იქნა დადასტურებული, სინამდვილეში, მართლაც ჩატარდა 2 კვლევა, რომლითაც პირიქით, არ დადასტურდა პრეპარატის ეფექტიანობა ბავშვებში.

ანალოგიურად გააყალბა „გლაქსომ” ინფორმაციები „ველბუტრინთან“ დაკავშირებითაც. წამალი, რომელიც FDA-ს მიერ სანქცირებული იყო მხოლოდ დიდი დეპრესიული აშლილობის სამკურნალოდ, მწარმოებლის მიერ ბაზარზე იყიდებოდა არასანქცირებული ჩვენებებით, მათ შორის, ანორექსიგენულ საშუალებად, სექსუალური დისფუნქციის სამკურნალოდ, ნარკომანების სამკურნალოდ და ასე შემდეგ. კომპანიამ მილიონობით დოლარით დააფინანსა პრეპარატის უკანონო პრომოუშენი, ფულს უხდიდა ექიმებს ცრუ ინფორმაციის სპიკერობაში. დანიშნულების წახალისების მიზნით, ექიმებს უფინანსებდა ძვირად ღირებულ სადილებს, ექსკურსიებს კურორტებზე, უწყვეტი სამედიცინო განათლების პროექტებს, უხდიდა „ატკატებს“. ამ შემთხვევაშიც კომპანიამ აღიარა თავისი დანაშაული! ანალოგიური პრობლემებია „ავანდიასთან“, „იმიტრექსთან“, „ლო-

**(გაგრძელება მე-16 გვერდზე)**

**ალეკო ელისაშვილი საკრებულოს დეპუტატის მანდატს ოფიციალურად რამდენიმე დღეში აიღებს – საარჩევნო მარათონი, რომელიც მან მშობლიურ საბურთალოს რაიონში მოიგო, თბილისური არჩევნების ყველაზე დიდ პრეცენდენტად იქცა. რთული საარჩევნო კამპანიის შემდეგ, გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო, ისე ჩაერთო საქმეში – „შავჯიპიანებს" ახლა უკვე ახალი ამპლუიდან შეუტია და როგორც ჩანს, არც მომავალი ოთხი წლის განმავლობაში მოაკლებს მათ „სიურპრიზს", ისეთს, როგორიც „წინა" ცხოვრებაშიც საკმაოდ ბევრი ჰქონდა.**

# რა შეტყობინება გაუგზავნა ალეკო ელისაშვილს პრეზიდენტმა და როგორ მოხვდა ის კოშმარში

**– ალეკო, გამარჯვებას გილოცავთ! როგორია გამარჯვების განცდა საკრებულოს მძიმე მარათონის შემდეგ?**

– ვერაფრის გააზრებას ვერ ვასწრებ. გამარჯვების განცდაც კი ვერ მოვასწარი, ისე ვარ დაქოქილი და ისე უცებ გადავერთე სამუშაო რეჟიმში. აქამდე ხალხს ვუყვარდი ტელევიზორით, რაც ნაკლები პასუხისმგებლობა იყო. აქ კი, რომ ჰპირდები, ამას და ამას გავაკეთებო, და მათ შენი იმედი აქვს, ეს რთული ამბავია. თუმცა, ამისთვის მზად ვარ. ის, რაც გავიარე თვე და ერთი კვირის განმავლობაში, როცა მძიმე საარჩევნო კამპანიაში ვიყავი ჩართული, იყო ძალიან რთული. არჩევნები მოვიგე 12 ათასი ლარით, რომელიც შემიგროვეს ჩემი ბავშვობის მეგობრებმა. ისინი საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები არ არიან, მაგრამ ყველა წარმატებული ტიპია და საბურთალოზე მათ ყველა იცნობს. ფული დაიხარჯა მხოლოდ ბილბორდებსა და ოფისის ქირაში. ზოგმა პლაკატი დამიბეჭდა. მოდიოდა ხალხი – ზოგი რას მთავაზობდა, ზოგი რას. მამაჩემის ტოლი ხალხი მოდიოდა და დახმარებას მთავაზობდა. მე ჩემი ხელით ვარიგებდი ბუკლეტებს, პლაკატებსაც ვაკრავდი. ახლაც ჩემი ხელით არის ჩამოსახევი ის პლაკატები. მთელი სანათესაო და სამეგობრო მყავდა ჩართული. მათ შორის ჩემი უახლოესი ნათესავებიც კი ჩამოვიყვანე სამტრედიიდან.

**– თან, როგორ კანდიდატს მოუგე, რომელსაც თავიდანვე მოიზარებდნენ საკრებულოს თამჯდომარედ. როგორ ფიქრობ, რა გახდა გადამწყვეტი ამ გამარჯვებაში, რაც ჩვენი სოციუმის ახალ პრეცენდენტად იქცა?**

– საკუთარ თავზე ლაპარაკი ცოტა რთულია, მაგრამ ერთს გეტყვით. ჩვენთან პოლიტიკა ხომ ბინძურ თემად არის ქცეული. ბევრი იმედგაცრუებული ადამიანი მეუბნებოდა: ვაიმე, რა გინდა ამ პოლიტიკაში, შენც არ გაისვარო, შენც ხომ იმას არ აპირებ, რაც ხდებაო. ამომრჩეველთან შეხვედრებზე, ხალხი თან რაღაც დავალებებს მაძლევდა, თან ვგრძნობდი, როგორ უნდოდათ, რომ ჩემი იმედიც არ გაცრუებოდათ. ყველას ვეუბნებოდი, რომ მეც მომბეზრდა ამდენი ბინძური პოლიტიკოსის ყურება, მათი გარიგებები იმისთვის, რომ ორ კაპიკს დახამდნენ. მე ყველასთან მომყავდა ეს მაგალითი – საქმე ისაა, რომ ჩვენ გვყავდა პოლიტიკოსები: ილია ჭავჭავაძე, რომელიც თბილისის საკრებულოს წევრი იყო, მერე რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი; ქალაქის მერი იყო დიმიტრი ყიფიანი; ნიკო ნიკოლაძე გახლდათ ოთხგზის თბილისის საკრებულოს წევრი, შემდეგ ფოთის მერი და პარლამენტის წევრი; ექვთიმე თაყაიშვილი იყო პარლამენტის ვიცე-სპიკერი. ამ ოთხიდან სამი წმიდანია და ოთხივე მთაწმინდის პანთეონში წევს. რატომ არ უნდა გავაკეთო სწორება ამ პოლიტიკოსებზე და რატომ უნდა მივბაძო იმ ჩანჩურებს, რომლებიც ჩვენს პოლიტიკაში არიან და ერთი სული აქვთ შავ „ჯიპებში" ჩასხდნენ. მე სწორება ასეთ ხალხზე მაქვს და არა დღევანდელ პოლიტიკოსებზე, რომელთა უმეტესობა თავისი ცხოვრების მოწყობისთვის მოდის პოლიტიკაში.

**– საკრებულოს დეპუტატის მანდატისთვის დატოვე ძალიან მნიშვნელოვანი პოზიცია, სადაც ასევე ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეგეძლო. საკრებულოს მანდატი ამად გიღირდა? რატომ გააკეთე ეს არჩევანი?**

– თანამდებობრივად შეწყალების კომისიის ხელმძღვანელობა, უფრო მაღალი პოზიციაა, ვიდრე საკრებულოს დეპუტატობა. თან, იქ უვადოდ ხარ დანიშნული. მთელი სულით და გულით ვემსახურებოდი იმ საქმეს, ოთხი თვის განმავლობაში 2 300 ადამიანი მივიღე. კარგი ამბის სათქმელად იქ არავინ მოდიოდა. ხომ წარმოგიდგენიათ, რეებს მიყვებოდნენ. იმ პერიოდში დამაწყნარებლების დალევა დავიწყე. ისეთ კოშმარებს ვისმენდი, ღამე ვერ ვიძინებდი. იმ საქმის კეთება რომ მოგწონდეს ან მანიაკი უნდა იყო, ან კორუმპირებული. მე არც ერთი ვარ და არც მეორე. თუმცა, იმ ოთხ თვეში თავი არ დამიზოგავს. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, პატიმრების შეწყალება და კორუფცია ერთმანეთთან ბმაში აღარ ყოფილიყო, კომისიის მუშაობა გათავისუფლებულიყო კორუფციისგან.



გამარჯვება მივუძღვენი ჩემს ორ შეყვარებულს – ცოლს და თბილისს

**– არანაკლები „ასპარეზია" საკრებულო, არც მას აქვს ნაკლებად მძიმე კულისები.**

– მე მიყვარს თბილისი და ამ ქალაქის სამსახური. კულისების მცდელობა აქაც იყო საარჩევნო პერიოდში. მომისინჯეს კბილი, იყო შეთვლა-შემოთვლები, პატარა გარიგების მცდელობები, რაც ძალიან მარტივად აღვკვეთე. ვუთხარი იმ ადამიანს, რომელიც ზუსტად აქ იჯდა, სადაც თქვენ ზიხართ და მეფუთფუთებოდა: მე ასეთ რამეებში რომ გამოგყვეთ, ზუსტად ისეთი ტიპი გავხდები, რომლებიც არ მომწონდნენ-მეთქი. მე ვთქვი, მირჩევნია წავაგო, ვიდრე წამოვიდე გარიგებებზე და ეს ასეც იქნება ყოველთვის.

**– მარტო, თანამოაზრეების გარეშე, რის გაკეთებას შეძლებ?**

– არანაირად არ ვარ მარტო კაცი. მე საკრებულოში ამირჩია საბურთალოს ამომრჩეველმა 41 000-იან ოლქში, რატომ ვარ მარტო? გავიაროთ ერთად ქუჩაში და ნახავთ, რამდენი კაცი გამაჩერებს და მკითხავს რაიმე-

## 12 ათასი ლარით მოვუგე არჩევნები მთავრობას

ეს. აბა, მე მარტო ვარ? ისინი, ვინც საკრებულოს დეპუტატები გახდნენ, მიხვდნენ, რომ მათ ხალხმა დაუჭირა მხარი და იქ იმიტომ მოხვდნენ. „ქართულმა ოცნებამ" ამ არჩევნებზე ძალიან კარგი გაკვეთილი მიიღო მეორე ტურის პრეცენდენტით. წელიწად-ნახევრის წინ ეიფორიითა და ზარზეიმით მოსული ხელისუფლება დედაქალაქში ვერ იგებს მერის არჩევნებს და მეორე ტური სჭირდება „ნაციონალურ მოძრაობასთან". ამით იმედია, მიხვდნენ, რომ ხალხის დავიწყება არ შეიძლება. ის საკითხები, რასაც მე დავსვამ ზეციური საკითხები კი არაა, ეს ის თემებია, რაც ხალხს აწუხებს. „სითი პარკის" თემა ავიღოთ, ამ ამბავში მარტო ვარ? რომელი დეპუტატი ადგება და იტყვის, რომ ეს არაა პრობლემური საკითხი? 7 წელია, ძარცვავს „სითი პარკი" თბილისს და ისეთი მდგომარეობაა, ბავშვს ტროტუარზე ვერ გაატარებ, ეგრე სადაა? ცაგარელის ქუჩაზე, კორპუსთან, რომელიც ლამის დაინგრეს, გაყიდეს მიწა, რომ მშენებლობა დაიწყონ. ყველაფერს გავაკეთებ, რომ სახელმწიფომ უკან გამოისყიდოს ის მიწა და იქ გაკეთდეს სკვერი. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ქალაქს ჰქონდეს დაგეგმარების დოკუმენტი, რომ იპოდრომზე იყოს პარკი, რომ ინფექციური საავადმყოფოს ეზოში არ გაიჩეხოს ფიჭვები, რომ 52-ე სკოლის ეზოში არ გაიხსნას ლუდის რესტორანი. გახსნან წიგნის მაღაზია, ბატონო! ყველაფერზე წავალ და სკოლის ეზოში ლუდის რესტორანს არავის გავახსნევინებ. ამ ყველაფერს ანგარებით და მამაძაღლობით კი არ ვუყურებ, როგორც აქამდე იყო. ბევრს ჰგონია, რომ გიჟი ვარ, ან პოპულისტი. მე ის მიყვარს, რომ ბევრი დამირწმუნებია, არც ერთი ვარ და არც მეორე. თუ მოინდომებ, ყველაფრის გაკეთება შეიძლება. ჩემი უპირატესობა ისაა, რომ მე არ მექნება კულისები. ვისაც რა ექნება სათქმელი, პირდაპირ მითხრას. ამ კულისებში რომ შეჰყვები ვინმეს, ჩაგითრევენ და „შეგჭამენ". დარწმუნებული ვარ, „სითი პარკის" ხალხიც „ვინმეს" გამოძებნის ჩემთან გამოსაგზავნად. აქედანვე ვეტყვი მათ: ჯობია, ჩაალაგონ ჩემოდნები, ზოგზოგიერთი კი ციხისთვისაც გაემზადოს და თბილი ტანსაცმელი ჩააწყოს იმ ჩემოდნებში.

**– პრეზიდენტი როგორ შეგელია?**

– პრეზიდენტმა მომილოცა ესემესებით. ძალიან აღტაცებული შეტყობინება მომწერა, ოღონდ არ დამიმალა, შენს წაგებას ვგულშემატკივრობდიო *(იცინის).* იყო დრო, ორივე თავისუფალი მოქალაქეები ვიყავით და ლუდსაც ხშირად ვსვამდით ერთად. ბოლოს ისეთ დავიდარაბაში ვიყავი, პრეზიდენტს კი არა, ცოლ-შვილს ვერ ვხედავდი.

**– ახლა, უკვე ბევრ რამეს შეელევი წარსულიდან.**

– არა მგონია, თუმცა საარჩევნო კამპანიის დროს მომიხდა ჩემს საყვარელ ბათინკებთან შელევა. ბოლო ექვსი წელი, ზამთარ-ზაფხულ სულ სამხედრო ბათინკები მეცვა. ასე ვიჯექი „კავკასიის" ეთერში, ასე დავდიოდი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. ცოტა ისე მიყურებდნენ, სამხედრო შარვლითა და „ბათინკით" რომ მხედავდნენ. საარჩევნო კამპანიის დროს გავიხადე ჩემი „ბათინკები", რთული იყო ფეხსაცმელებთან შეჩვევა. როგორც კი არჩევნების დღე დასრულდა და შედეგებს ველოდებოდით, გავიქეცი სახლში და „ბათინკები" ჩავიცვი. ეს იყო ერთადერთი კმაყოფილება, თორემ ისეთი სტრესული იყო უბნებიდან შედეგების მიღების მოლოდინი – არ ვიცი, ლამის გადავირიე. 25 უბანი იყო დათვლილი, ვიცოდი შედეგები, მაგრამ მაინც ვერ ვიჯერებდი გამარჯვებას. იქამდე მაგარ „დუხზე" ვიყავი, მაქსიმუმი გავაკეთე. არჩევნების დღეს კი ცოტა სკეპტიკურად განვეწყვე, უკვე ველარაფერს შევცვლიდი. ჯობდა, სკეპტიკურად ვყოფილიყავი და მომეგო, ვიდრე პირიქით. გამარჯვება პირველად უახლოესმა მეგობრებმა მომილოცეს – შამპანურით გამწუწეს.

**– ჟურნალისტობა არ მოგენატრა?**

– პოლიტიკურ ჟურნალისტიკაში ჩემი თავი ამოვწურე. მე ის მომწონდა, როცა სხვები ვერ ბედავდნენ სიმართლის თქმას და რამდენიმე კაცი ვბედავდით ამას მხოლოდ. აი, აქ ვხედა-

**(გაგრძელება 46-ე გვერდზე)**

**ავთანდილ იმნაძე იმ ქართველ დისიდენტთა წარმომადგენელია, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს „კაგებეს” იზოლატორისა თუ გადასახლების სიმძიმე და, რომლებიც, სამწუხაროდ, წლების შემდეგაც, ჩვენი საზოგადოებისთვის ისევ უმცირესობაში დარჩნენ. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წევრი და ადამიანის უფლებების დამცველი, წარსულის ისტორიების გახსენებისას უპირველეს ყოვლისა, მერაბ კოსტავასთან ერთად პერმის კოლონიაში გატარებულ პერიოდს იხსენებს.**

# რას უმალავდნენ „კაგებეს” მერაბ კოსტავა და ავთანდილ იმნაძე პერმის კოლონიის სამალავში და რა მოინანია მან ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებით

**ავთანდილ იმნაძე**: დისიდენტურ მოძრაობას ცხოვრება ადრეულ ასაკში დავუკავშირე, ამ ამბავს დიდი ისტორია აქვს. 20-21 წლის ვიყავი, როდესაც გეპეიში გეოლოგიის ფაკულტეტზე მოვხვდი ჯგუფში ადამიანთან, რომელიც არის წმინდა გრიგოლ ფერაძის ძმისშვილი. ჩვენ დავმეგობრდით, დღემდე მასზე ახლობელი მეგობარი არ მყავს. ჩემი მეგობრის მამამ, ვასო ბიძიამ მომიყვა პირველად თავისი ძმის, გრიგოლ ფერაძის ისტორია, რამაც ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. მისი დახვრეტის შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს, თუმცა ყველაზე რეალური ისტორია მისი ღვიძლი ძმისგან მოვისმინე. ვასო ბიძია გენიალური პიროვნება იყო, ბევრს გვესაუბრებოდა ჩვენს სამშობლოზე, მისგან გავიგე, რომ საბჭოთა კავშირი არც ისე ურღვევი იყო, როგორც ამას ჰიმნში გვიმღეროდნენ, მოკლედ, მან ბევრ რამეზე ამიხილა თვალი, თუმცა ალბათ ჩემშიც იყო თავისუფლების მარცვალი, რომელიც 50-იანი წლების ბოლოდან განსაკუთრებულად გაღვივდა. რამდენიმე მეგობარმა დავიწყეთ არალეგალური მოძრაობა, ჩვენს შორის იყო ირაკლი შენგელაია, ნემო ბურჭულაძე, გიორგი ყორღანაშვილი, ჩვენი ჭკუით დისიდენტური მოძრაობისთვის ვემზადებოდით. ჯერ კიდევ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვსწავლობდი, როდესაც სტუდენტების ჯგუფმა დავაარსეთ თეატრის დასი, რომელიც დღემდე არსებობს და დავიწყეთ სპექტაკლების დადგმა. რეპეტიციების შემდეგ ჩვენი ჯგუფის წევრები გვიანობამდე ვრჩებოდით ინსტიტუტში და ვსაუბრობდით იმ საშუალებებზე, რითიც შეიძლებოდა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა. გადავწყვიტეთ პროკლამაციების გავრცელებაც, რამდენიმე დღეში ინსტიტუტის პარტკომში დამიბარეს და – შენ რა დღეში ხარო. დროებით შევაჩერეთ ჩვენი მოძრაობა. როდესაც თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე, ჩემი ჯგუფელი იყო ბიძინა ჩხეიძე. მისგან გავიცანი მისი და, თამრიკო ჩხეიძე, რომელიც ბავშვობიდან იყო ჩართული ამ ამბებში. თამრიკოსთან ერთად იყვნენ გელა ნიკოლაიშვილი, გია ჭანტურია და კიდევ რამდენიმე გულანთებული სტუდენტი. ახალგაზრდების ჯგუფი ცალკე არსებობდა, უფრო გამოცდილებისა და დიდების ჯგუფი – ცაკლე. მე და თამრიკოს კარგი მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. როდესაც ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა დააპატიმრეს, ჩვენ დავიწყეთ მათი თავისუფლების მოთხოვნით პროკლამაციების გავრცელება. 7 ნოემბრის აღლუმზე მე, თამრიკომ, გელა ნიკოლეიშვილმა და მისმა მეგობარმა ფილარმონიის წინ მდებარე სახლის სახურავიდან ხალხს თავზე გადმოვაყარეთ პროკლამაციები, ზედ თავზე დავაყარეთ საპროტესტო პროკლამაციები, რომლებშიც უკვე ვრცელი ტექსტით იყო საპროტესტო განწყობები საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. კიროვის ბაღამდე იყო მიმიფანტული ის ფურცლები, რასაც „კაგებეში” დიდი ამბავი მოჰყვა.



**– ამ ისტორიის გამო მოხვდით პატიმრობაში და შემდეგ გადასახლებაში?**

– დაპატიმრებას ვერ გადავურჩი, მაგრამ ეს მოხდა მოგვიანებით, როდესაც თბილისში გაიმართა ცნობილი მანიფესტაცია ქართული ენის დაცვასთან დაკავშირებით. 14 აპრილის დემონტრაციამდე რამდენიმე დღით ადრე ბიძინასთან და თამრიკოსთან ვიყავი სტუმრად. მიდიოდა გაცხარებული საუბარი კონსტიტუციის იმ მუხლზე, რომელიც ქართული ენის ამოღებასთან იყო დაკავშირებული და რასაც მოჰყვა მერე მთელი ამბები. დაწესებულებებში, ქარხნებში იმართებოდა „ომახიანი კრებები”, რომლებზეც „ამტკიცებდნენ”, რომ ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა, ამოღებული უნდა ყოფილიყო კონსტიტუციიდან. ამ დროს მწერალთა კავშირში, სამხატვრო აკადემიაში, უნივერსიტეტში, „ქართულ ფილმში” და კიდევ ბევრგან, სულ სხვა განწყობა იყო. მათი მოთხოვნები შებრუნებულად მიჰქონდათ „ცეკაში“. ამ თემაზე საუბარში ვიყავით, როდესაც ჩემთვის ჩავილაპრაკე – დემონტრაცია უნდა მოვაწყოთ-მეთქი. არ მინდა ეს ამბავი მთლიანად მე დავიბრალო, მაგრამ, იმ დემონსტრაციის იდეის ერთ-ერთი ავტორი მეც ვიყავი. მე უკვე დამთავრებული მქონდა ინსტიტუტი, მაგრამ, უნივერსიტეტში ბევრი ახლობელი მყავდა. დავიწყე სიარული უნივერსიტეტში და ხმების გავრცელება, რაც იგეგმებოდა 14 აპრილისთვის. თამრიკო ჩხეიძე განსაკუთრებით აქტიურობდა ამ ამბავში, მასზე თბილისში ლეგენდები დადიოდა. თამრიკომ თქვაო, რომ იტყოდნენ, ეს სარწმუნო იყო, წყალი არ გაუვიდოდა. როცა 14 აპრილის მანიფესტაცია დამთავრდა, მე და თამრიკო გავიქეცით სალაპარაკო პუნქტებში და დავრეკეთ ანდრეი სახაროვთან, „ამერიკის ხმის”, „ნიუ იორკ ტაიმსის”, „ბი ბი სის” კორესპონდენტებთან მოსკოვში და მათ თბილისში მომხდარი მანიფესტაციის შესახებ ვუამბეთ. „კაგებე” არა მარტო გვისმენდა, გვითვალთვალებდა კიდეც, თუმცა, მაშინ ამაზე არც ერთს არ გვიფიქრია. რამდენიმე დღეში, გამთენიისას, ჩემთან სახლში მოვიდა თხუთმეტამდე შეიარაღებული ჩეკისტი, ლოგინიდან წამომაგდეს, ჩაცმის საშუალება მომცეს და წამიყვანეს უშიშროებაში, საიდანაც ხუთი წელი არ გამომიშვეს.

## მერაბმა მომწერა საიდუმლო წერილი: რა ტყუილად დაუჭერიხარ, რომ შეიძლებოდეს, შენს წლებს მე ავიღებდი, ჩემსას კი შენ მოგცემდიო

**– სასჯელს იმ ბანაკში იხდიდით, სადაც მერაბ კოსტავა იყო?**

– ჩვენ ერთად მოვხვდით კოლონიაში, რომელიც მდებარეობდა პერმის ოლქში. ჩვენი ბანაკი ორ ლოკალურ ზონად იყო გაყოფილი. ერთ ზონაში მე ვიყავი, მეორე ზონაში – მერაბ კოსტავა. ეს ზონები ერთმანეთისგან სამრეწველო, „პრომზონით” იყო გამოყოფილი, სადაც ჩვენ გვამუშავებდნენ მუშებად. იქით ზონაში ქართველი მარტო მერაბი იყო, აქეთ ზონაში კი მე და კიდევ ორი ქართველი ვიყავით, ის ორნი სამხედრო დამნაშავეები იყვნენ. ერთ-ერთი მათგანი, შესანიშნავი პიროვნება, ვასო ელიზბარაშვილი, რომელიც 82 წლის იყო, ჩემთან ერთად იხდიდა სასჯელს. ის საქართველოდან 30-იან წლებში წავიდა და საფრანგეთში ცხოვრობდა. ბატონი ვასო იყო პოლკოვნიკი და მოხვდა შალვა მაღლაკელიძესთან, ქართულ დივიზიაში, რომელიც გერმანელებმა ჩამოაყალიბეს. ომის დასრულების შემდეგ ვასო ელიზბარაშვილი „კაგებემ” საქართველოში ჩამოიტყუა და დააპატიმრა. კოლონიაში ოთხი-ხუთი დისიდენტი ვიყავით, დანარჩენების უმეტესობა სამხედრო დანაშაულის მუხლით იყო გასამართლებული. დისიდენტებს შორის იყო იური ორლოვიც – რუსეთში ყველაზე ცნობილი დისიდენტი ანდრეი სახაროვის შემდეგ. იური მალევე დამიმეგობრდა, ისე მენდობოდა და ისეთ ისტორიებს მიყვებოდა ხოლმე, სხვებს რომ არ უმხელდა.

კოლონიაში მერაბ კოსტავასთან ურთიერთობა ფიზიკურად არ მქონდა, რადგან, იქ მკაცრი წესები იყო, თუმცა, ერთმანეთს ძალიან ვგულშემატკივრობდით. მოგვიანებით მივხვდი, რომ ჩვენი მოხვედრა ერთ ბანაკში შემთხვევითი, ალბათ, არც იყო. შესაძლოა, მათ სურდათ ჩემი გადაბირება, რომ მერე მე მემუშავა მერაბის გადმობირებაზე, თუმცა, ეს წარმოუდგენელი იყო. მერაბი ისე წაიყვანეს გადასახლებაში ციმბირში, რომ ჩვენ ერთმანეთთან დაკონტაქტებას მხოლოდ წერილებით ვახერხებდით. ჩვენ ერთ დაზგასთან ვმუშაობდით მორიგეობით – მე რომ გამიყვანდნენ, მერაბი შემოდიოდა და ის იწყებდა მუშაობას. ერთხელაც, ისეთ ადგილზე, რომ დარაჯებს არ შეემჩნიათ, ცარცით დავუწერე: „გამარჯობა, მერაბ!” მეორე დღეს, სამალავიდან, საიდანაც ხდებოდა ერთი ზონიდან მეორეში ინფორმაციის გადაცემა მომივიდა მისი წერილი: რა ტყუილად დაუჭერიხარ. რომ შეიძლებოდეს, შენს წლებს მე ავიღებდი, ჩემსას კი შენ მოგცემდიო. ის წერილი, რა თქმა უნდა, არავის

(გაგრძელება მე-16 გვერდზე)

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

# სად ტარდება ყველაზე ეფექტური და უსისხლო ლაპაროსკოპიული ოპერაციები საქართველოში

**უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ კონსტანტინე ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრის პრიორიტეტს წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების მაღალ ხარისხთან შერწყმული ხელმისაწვდომი ფასი. ეს არის ქირურგიის „ერთგვარი მექა" საქართველოში, სადაც წარმატებით ფუნქციონირებს თითქმის ყველა ქირურგიული დარგი. მაღალკვალიფიციური ექიმები ფართო სპექტრის ურთულეს ოპერაციებს აკეთებენ. კლინიკაში ფართოდაა დანერგილი ლაპარასკოპიული ქირურგია, რომელსაც წარმატებით ფლობს ქირურგთა აბსოლუტური უმრავლესობა. კლინიკა აღჭურვილია ერთ-ერთი საუკეთესო ბრენდის, OLIMPUS-ის 2013 წლის უახლესი მოდელის აპარატით – VICERA PRO.**

**ლაპარასკოპიული მეთოდით, ასევე, ტარდება როგორც გეგმიური, ისე ურგენტული ოპერაციები. ლაპარასკოპიული ქირურგია ცენტრში 24 საათის განმავლობაშია ხელმისაწვდომი, რაც მისი ექსკლუზივია. ჩვენი რესპონდენტები არიან ქირურგიული დეპარტამენტის უფროსი – ლექსო ლაგვილავა და გინეკოლოგიური დეპარტამენტის უფროსი – მინდია იობაშვილი.**

**ლექსო ლაგვილავა**: ქირურგიის ეროვნული ცენტრის პრიორიტეტია მედიცინის უახლესი მიღწევების დანერგვა და თანამედროვე ქირურგიის განვითარება. ამისთვის მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს სიახლეების ძიება და ახალი მეთოდების ათვისება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლაპარასკოპიულ მიმართულებას, რადგან თანამედროვე მიდგომა გულისხმობს, მინიმალური ჩარევით მაქსიმალური შედეგის მიღწევას.

**– რა ოპერაციები ტარდება ქირურგიის ცენტრში ლაპარასკოპიულად?**

– თითქმის ყველა ოპერაცია შესაძლებელია, ჩატარდეს ლაპარასკოპიულად, თუ ამის სათანადო ჩვენება არსებობს. გვაქვს დიდი გამოცდილება გეგმიური ოპერაციების წარმოებაზე, მაგალითად, ნაღვლის ბუშტსა და ელენთაზე (ქოლეცისტექტომია, სპლენექტომია).

ქირურგიის ცენტრში კეთდება ბარიატრიული ოპერაციები სიმსუქნის გამო. ეს არის კუჭის ვერტიკალური რეზექცია (სლივგასტრექტომია). ეს ოპერაციაც ლაპაროსკოპიული მეთოდით კეთდება და პრაქტიკულად, მესამე დღეს ავადმყოფი ბინაზე ეწერება. ოპერაციის შემდეგ, პაციენტი წონაში იკლებს და ის სიმპტომები, რომელიც სიმსუქნის გამო იყო გამოწვეული, პრაქტიკულად, უქრება. უმჯობესდება მისი ცხოვრების ხარისხი, იზრდება მოტივაცია.



ლექსო ლაგვილავა

**მინდია იობაშვილი**: კლინიკაში წარმოებს ნებისმიერი სირთულის ოპერაციები როგორც ღია, ისე ლაპაროსკოპიული მეთოდით. მათ შორის: საკვერცხის კისტის და საშვილოსნოს მიომის ამოკვეთა, საშვილოსნოს და დანამატების ამოკვეთა (ვაგინალური და ლაპაროსკოპიული მეთოდით), ლაპაროსკოპიული ოპერაციები საშვილოსნოსგარე ორსულობის გამო, ყელისა და საშოს კედლების პლასტიკა, პოლიპექტომია.

**– რატომ არის ლაპაროსკოპია არჩევის მეთოდი რეპროდუქციული ასაკის ქალებში?**

– ხანმოკლე ოპერაციის შემდგომი პერიოდი წარმოადგენს ლაპაროსკოპიის ერთ-ერთ დადებით მხარეს მუცელკვეთასთან შედარებით. რეაბილიტაციის პერიოდი მოკლეა, პაციენტი სწრაფად უბრუნდება აქტიური ცხოვრების რიტმს. ამავე დროს, ქალს არ რჩება უხეში პოსტოპერაციული ნაწიბური კანზე და პრაქტიკულად, არ ვითარდება შეხორცებები მუცლის ღრუში. ამიტომ, რეპროდუქციული ასაკის ქალებისთვის, ვისაც დედობა სურს, არჩევის მეთოდად მიჩნეულია სწორედ ლაპაროსკოპიული გინეკოლოგია.

**– უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოპერაციები, რომლებიც ქირურგიის ინსტიტუტში კეთდება, სხვასთან შედარებით, ხელმისაწვდომი ფასებითაც გამოირჩევა.**

კლინიკა თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპებით იმართება. აქტიურად ვმონაწილეობთ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც, გადაუდებელი ქირურგიული და კონსერვატიული მკურნალობა უფასოა. გეგმიურ ოპერაციებზე კი, მოქმედებს თანადაფინანსების პრინციპი და მხოლოდ 30%-ის გადახდა უწევს პაციენტს, ისიც დაბალი ტარიფიდან.



მინდია იობაშვილი

***ინტერვიუს დასასრულს, არ შემიძლია, არ შევეხო, ერისთავის სახელობის ქირურგიის ეროვნულ ცენტრში, აქტიურად მიმდინარე სამედიცინო მენეჯმენტისა და ჰოსპიტალური ადმინისტრირების თანამედროვე სტანდარტების დანერგვას. ამაში ცენტრს ეხმარებიან უცხოელი პარტნიორები, კლინიკები, რომლებთანაც ჩამოყალიბებული აქვს საკმაოდ კარგი ურთიერთობა. ერისთავის სახელობის კლინიკის გენერალურმა დირექტორმა ახლახან, ამერიკის შეერთებულ შტატებში მეტად საინტერესო პროგრამა გაიარა, რომლის სახელწოდებაც არის – „საბიტი." პროგრამა მოიცავდა 4 სხვადასხვა შტატში, 10-ზე მეტი მსხვილი ჰოსპიტლის, ასევე, სადაზღვევო კომპანიების ასოციაციების, ჰოსპიტალური ასოციაციების, სამედიცინო აპარატურის მწარმოებელი ფირმებისა და კომპანიების, ასევე, სხვადასხვა ორგანიზაციების გაცნობას. „საბიტის" საშუალებით, ერისთავის კლინიკამ მოიპოვა ძალიან ბევრი პარტნიორი ამერიკის შეერთებულ შტატებში და დღეს ამ პროცესების აქტიური დანერგვა მიმდინარეობს. ამ ეტაპზე იგეგმება გაცვლითი პროგრამები და ექიმთა სტაჟირება ამ მიმართულებით. პროგრამის წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის „საბიტის" პროგრამის დირექტორატს. აღნიშნული პროგრამა ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია.***

SABIT

SPECIAL AMERICAN BUSINESS INTERNSHIP TRAINING (SABIT) PROGRAM

HOSPITAL ADMINISTRATION
MARCH 29 – APRIL 19, 2014

**მარიკა ხიდურელი**

**დასრულდა პროექტი „ერთი ერთში", რომელიც სამი თვის განმავლობაში იპყრობდა მაყურებლის ყურადღებას და მონაწილეები თავს არ ზოგავდნენ საუკეთესო შედეგის ჩვენებისთვის. პროექტის გამარჯვებული გახდა მომღერალი ნინო ძოწენიძე, რომელსაც საჩუქრად დეველოპერული კომპანია „ვერტექსისგან" გადაეცა ბინა Mtatsminda Royal apartament-ში. ჩვენი რესპონდენტია მუსიკოსი გიგა კუხიანიძე, რომელიც მეუღლის წარმატებით ძალიან გახარებულია და, როგორც საუბრის დროს აღნიშნა, ეს გამარჯვება ნინოსთვის ძალიან დიდი სტიმულია.**

# რას ნიშნავს ნინო ძოწენიძისთვის პროექტ „ერთი ერთში" გამარჯვება და რა ზეიმი მოუწყო მან ოჯახის წევრებს

**– ნინოს ყველაზე დიდი გულშემატკივარი შენ რომ იყავი, ამაში ეჭვი ერთი წუთითაც არ მეპარება.**

– რასაკვირველია, ნინოს ძალიან ვგულშემატკივრობდი, მაგრამ, ჩემზე მეტად ჩვენი შვილი, სანდრო იყო დედის გულშემატკივარი. ძალიან ემოციური დღეები ჰქონდა მთელი სამი თვე, რაც პროექტი „ერთი ერთში" მიმდინარეობდა.

**– ამ სამი თვის განმავლობაში ნინოს, ალბათ, არა მხოლოდ როგორც მეუღლე და ოჯახის წევრი, არამედ, როგორც პროფესიონალი მუსიკოსი, ისე ედექი მხარში და საჭირო რჩევებსაც აძლევდი.**

– სიმართლე გითხრა, ნინოს ძალიან ბევრი რჩევის მიცემა მართლა არ სჭირდებოდა. უბრალოდ, მას ახლა დაუდგა ისეთი მომენტი, რომ თავისი ნიჭი და შესაძლებლობები გამოეტანა ფართო ასპარეზზე. მას ჩემი რჩევები ნამდვილად არ დასჭირვებია, რადგან, ძალიან კარგად იცის თავისი საქმე, რა როგორ უნდა გააკეთოს.



**– ფინალის დღე ძალიან დაძაბული და მოლოდინით აღსავსე იყო. პროექტის ოთხი მონაწილე მოუთმენლად ელოდა, ვინ გახდებოდა გამარჯვებული.**

– გუშინდელი დღე *(ინტერვიუ ჩაწერილია 19.06.14, – ავტორი)* მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო პროექტის ფინალისტებისთვის. ჩვენს ოჯახში მართლა დიდი ზეიმია. ამის მიზეზი არ არის მხოლოდ პროექტში გამარჯვება და ამხელა საჩუქარი – ბინა Mtatsminda Royal apartament-ში, რომელიც ყველას ნუსხავდა და მთელი საქართველო ამაზეა შეშლილი. ჩვენთვის, პირველ ადგილზე ჩვენი ოჯახის ბედნიერებაა. მე, ნინო და ჩვენი შვილი ძალიან გახარებულები ვართ. მთელი ჩვენი სამეგობროს ამხელა წრე თავდაუზოგავად გულშემატკივრობდა ნინოს და მისი გამარჯვებისთვის თავს არ ზოგავდა. ამდენ ზარს, ამდენ მოლოცვას და ამდენ სიხარულს ველარ ავუდივართ. ძალიან სასიამოვნოა, როცა ჩვენი გამარჯვება ყველას უხარია.



**– ნინოს გულში რა ხდება?**

– ძალიან გახარებულია, მისთვის ღირსეული გამარჯვება და ასეთი საჩუქარი მართლა დიდი სტიმულია. მიხარია, რომ ნინო ხალხის რჩეული იყო და მის სასარგებლოდ ამდენი ხმა შემოვიდა. ძალიან ბევრი გულშემატკივარი ჰყოლია და ხალხმა შეიყვარა, მათაც კი, ვინც მანამდე ნაკლებად იცნობდა. ძალიან ბევრი კომენტარი და მიმოწერა წავიკითხეთ – თურმე, ნინო რა მაგარი მომღერალი ყოფილა, რა მაგარი მსახიობი ყოფილა და არ ვიცოდით, – და ასე შემდეგ. ამ ყველაფრით ნინო ძალიან ბედნიერია. მას ნამდვილად მიეცა იმის სტიმული, რომ აწი და აწი უფრო მეტი იმუშაოს შემოქმედებითად და კარიერაში წინ და წინ წავიდეს.

**– ამ სამი თვის განმავლობაში რომელი მომღერალი მოგეწონა ნინოს განსახიერებით?**

– ძალიან მომეწონა ტინა ტერნერი, სტივ ტაილერზე ხომ შოკში ვართ ყველა. ასევე, ევა ფიტცჯერალდი, ბიონსე, ლაიზა მინელი. ძალიან მაგრად „გააკეთა" ირინა ალეგროვა. პრინციპში, ყველა ძალიან მაგარი იყო. თან, რაც უფრო მეტი დრო გადის პროექტის დაწყებიდან, უფრო ეჩვევი რეჟიმს, უფრო მაგრად აკეთებ შენს საქმეს, უფრო მეტად შედიხარ ეშხში, მოგება გინდა, სიხარული გინდა, საჩუქარი გინდა და ასე შემდეგ. ამ ყველაფრისთვის რომ იბრძვი, მერე უკვე ძალიან ბევრს მუშაობ და, თავისთავად, იზრდები. ბოლო გამოსვლებში ნინომ ძალიან მაგარი ნომრები უჩვენა მაყურებელს და მისგან დიდი ენერგეტიკა მოდიოდა.

**– ნინო მართლაც ძალიან მაგარი იყო ფინალში, სტივ ტაილერის როლში.**

– ნინოს ძალიან უნდოდა, ლოტოტრონზე რომელიმე მომღერალი კაცი ამოსვლოდა, მაგრამ ეს ფინალამდე არ მოხდა. მართლა საოცარი გარდასახვა გვიჩვენა, იმდენად ჰგავდა სტივ ტაილერს, მართლა შოკში ვიყავით ყველა. ძალიან მაგარი გრიმი ჰქონდა გაკეთებული. საერთოდ, ძალიან მაგარი პროექტია „ერთი ერთში." აქ მხოლოდ სიმღერაზე კი არა, ბევრ რამეზე ერთად აქვს მონაწილეს სამუშაო. რთულია და, თან, საინტერესო, მით უმეტეს, რომ თითოეული ნომრის მოსამზადებლად ძალიან მცირე დრო აქვთ კონკურსანტებს.



**– ფინალურ ტურში ნინოს უამრავი გულშემატკივარი ჰყავდა დარბაზში.**

– ნინოს გულშემატკივარი ყოველთვის იმდენია, რამდენიც სხვების, უბრალოდ, ენერგეტიკა გადაედო მთელ დარბაზს და მერე უკვე ყველა ნინოს გულშემატკივარი აღმოჩნდა.

**– დამსახურებულად მოპოვებული ბინა როდის უნდა ჩაგაბარონ?**

– გვაჩვენეს ბინა, რომელიც ძალიან მოგვეწონა. სამი თვის განმავლობაში ყველა მონაწილე ამ ბინაზე ოცნებობდა, მაგრამ, ჩვენ გაგვიმართლა. მადლობა ამ კომპანიას ასეთი კარგი პრიზის დაწესებისთვის და, რა თქმა უნდა, „ჯიდიესს." როგორც გვითხრეს, გარემონტებული ბინა Mtatsminda Royal apartament-ში ნოემბერში ჩაბარდება გამარჯვებულს.

**– ბინა დიდია?**

– თუ არ ვცდები, 55 კვადრატული მეტრია. ნინომ ძალიან ბევრი იშრომა, ფაქტობრივად, სულ „ჯიდიესში" იყო, ნორმალურად ვერც კი ვგნახულობდით მე და სანდროს. შრომამ შედეგი გამოიღო და მაყურებლის ღირსეული რჩეულიც გახდა. ძალიან დიდი მადლობა ყველას, ვინც თუნდაც ერთი ესემესი გამოუგზავნა და არჩევანი ნინოზე გააკეთა. ნინოსთვის ეს პროექტი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა.

**მარიკა ხიდურელი**

# წონაში კლება და დიეტოლოგების რჩევები

***ცნობილი დიეტოლოგი და ნუტრიციოლოგი ჯეიჯეი ვირჯინისე რამდენიმე რჩევას გვიზიარებს, რომელთა მეშვეობითაც მისმა ერთ-ერთმა პაციენტმა 3 კვირის ვადაში სწრაფად, ეფექტურად და, რაც მთავარია, ჯანმრთელად დაიკლო არასასურველი კილოგრამები. თუ თქვენ კონკრეტული ღონისძიებისთვის ემზადებით ან უბრალოდ საზაფხულო არდადეგებისთვის სხეული სასურველ ფორმაში გსურთ მოიყვანოთ, გადაიკითხეთ ვირჯინისეს რეკომენდაციები.***




1. ამოიღეთ საკვები რაციონიდან გლუტენის შემცველი საკვები პროდუქტები: ხორბალი, ქერი, ჭვავი და მათგან დამზადებული ნებისმიერი პროდუქცია. როგორც ერთ-ერთი უახლესი კვლევა ადასტურებს, გლუტენზე უარის თქმა დადებითად აისახება თქვენს წონაზე.

2. დღის რაციონიდან 2 კვება შეცვალეთ ცილოვანი შეიკით – დიეტოლოგი საკუთარი გამოცდილებით გვირჩევს, რომ ასეთი ჩანაცვლების დროს ცხიმის კლება და დაკლებული წონის შენარჩუნება გაცილებით მარტივია. სპეციალური ცილოვანი ფხვნილი (შეიძინეთ მხოლოდ აფთიაქებში და მხოლოდ ექიმთან კონსულტაციის გავლის შემდეგ!) შეგიძლიათ სხვადასხვა ხილთან ან ბოსტნეულთან ერთად დააბლენდეროთ – კენკრა, ავოკადო, სალათის ფოთლები, სელის თესლი, ქოქოსის ან ნუშის რძე – და მიირთვათ.

3. დღის განმავლობაში მხოლოდ 150 გრამამდე ხილი მიიღეთ – ორგანიზმში ჭარბი რაოდენობით ფრუქტოზის მოხვედრა (ფრუქტოზა ხილში არსებული ბუნებრივი დამატკბობელია) რიგ შემთხვევებში, წონაში დაკლებასაც აფერხებს და შესაძლოა, მატებაც კი გამოიწვიოს. დიდი რაოდენობით ფრუქტოზამ შესაძლოა ლეპტინისადმი რეზისტენტობა გამოიწვიოს თქვენს ორგანიზმში – ლეპტინი ჩვენს ტვინს დანაყრებისა და, შესაბამისად, ჭამის შეწყვეტის სიგნალს აძლევს.

4. სახამებლის შემცველი ნახშირწყლების ნაცვლად სხვა მწვანე ბოსტნეული მიირთვით – კარტოფილი, ბრინჯი და მსგავსი სახამებლისშემცველი საკვები ჩაანაცვლეთ ფოთლოვანი ბოსტნეულით, რომლებიც გაცილებით მეტი რაოდენობით უჯრედისს და მკვებავ ნივთიერებებს შეიცავენ.

5. უჯრედისის მიღება ეტაპობრივად გაზარდეთ – დიდი რაოდენობით უჯრედისს შეიცავს და ცხიმების წვაში გვეხმარება ავოკადო, მოცვი, ოსპი, ასე რომ, შეიტანეთ ისინი თქვენს საკვებ რაციონში.

6. მადის შესამცირებლად სცადეთ შემდეგი: ჭამამდე 30-60 წუთით ადრე რამდენიმე ჩაის კოვზი დაფქული სელის თესლი შეურიეთ ერთ დიდ ჭიქა წყალს და მიირთვით.

7. დღე-ღამის განმავლობაში მინიმუმ 7 საათით მაინც გამოიძინეთ – საუკეთესო ვარიანტში იძინეთ 9 საათი (ეს პირადად ჩემთვის ყველაზე ძნელად შესასრულებელი პუნქტია!)

8. აკეთეთ კარდიოსავარჯიშოები, როდესაც 30 წამიდან რამდენიმე წუთამდე ვარჯიში მაღალი ინტენსივობით მიმდინარეობს, შემდეგ კი 1-5 წუთი შედარებით მშვიდი და მსუბუქი ვარჯიში მოსდევს. ასეთი ვარჯიში ცხიმის წვისთვის იდეალურია.

9. და ბოლოს, მუდმივად ეცადეთ, რომ განიტვირთოთ, სარელაქსაციო ვარჯიშები, მედიტაცია აკეთოთ, რაც დადებით ემოციებთან და ფიქრებთან არის დაკავშირებული. არაფერი უწყობს წონაში მატებას ხელს ისე, როგორც ყოველდღიური სტრესი და დაძაბული გრაფიკი.

და რაც მთავარია – დიეტოლოგები გვირჩევენ, რომ წყლის დასალევად, წყურვილის გრძნობას ნუ დაველოდებით – თუ მოგვწყურდა, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმში წყლისგან გამოფიტვის პროცესი დაწყებულია. მნიშვნელოვანია, რომ წყლის დალევა ჩვევად აქციოთ, რასაც ყველა თავისებურად ახერხებს. საკუთარი მაგალითი შემიძლია, გაგიზიაროთ და გითხრათ, იმისათვის, რომ ეს წესი ჩვევად მექცია, დაახლოებით, ერთი კვირა დამჭირდა. ამაში კი „ბაკურიანის" წყლის 1.5-ლიტრიანი ბოთლი დამეხმარა, რომელსაც ყოველ დილით, სამსახურში მისვლამდე ვყიდულობ.

**ნინო მდივანი**

# რატომ ნიშნავენ ერთი დაავადების სამკურნალო წამლებს ექიმები სხვა დაავადებების სამკურნალოდ და როგორ ახდევინებენ მედიკამენტების უკანონო რეკლამის ფულს თავად პაციენტებს

(მე-10 გვერდიდან)

ტრონექსთან“ და „ფლოვენტთან“ დაკავშირებით და, სამწუხაროდ, ეს სია ძალიან გრძელია.

**– რომელი იყო ყველაზე გახმაურებული სკანდალი, თუმცა მესმის, რომ ერთი პრეპარატის სხვა დანიშნულებით გამოყენება უკვე სკანდალია.**

– შთამბეჭდავია სამედიცინო ტექნოლოგიების გლობალური ლიდერის „მედტრონიკის“ სახელთან დაკავშირებული სკანდალი, რომლის მარკეტინგის სამზარეულო ამერიკის სენატმა მოიკვლია და გამოამზეურა. სკანდალის საგანი გენური ინჟინერიის მორფოგენეტიკური პროტეინი Infuse გახდა. Infuse გამოიყენება სპინალურ ქირურგიაში ძვლის ქსოვილის ზრდის სტიმულაციისთვის. ეს ძლიერი ბიოლოგიური აგენტია, სერიოზული გვერდითი ეფექტებით. როგორც აღმოჩნდა, ცნობილი ექიმების სახელით, წამყვან სამეცნიერო ჟურნალებში Infuse-ს შესახებ გამოქვეყნებული 11 სტატია „მედტრონიკის“ მარკეტოლოგების ფარული მონაწილეობით იყო შედგენილი. მარკეტოლოგების „მეგობრული რჩევების“ გათვალისწინება კი სოლიდურად ნაზღაურდებოდა. მაგალითად, სტატიების მთავარ ავტორს, სპინალურ ქირურგს, ქენ ბარკესს, კომპანიისგან 1998-2010 წლებში მიღებული აღმოაჩნდა 6,4 მილიონი აშშ დოლარი. დოკუმენტურად დადასტურდა, რომ 15 წლის განმავლობაში „მედტრონიკმა“, ექიმთა 13-კაციან ჯგუფს და მათთან დაკავშირებულ 2 კორპორაციას, გადაუხადა 210 მილიონი აშშ დოლარი. მგონი, საკმარისია ეს მაგალითები, ტრენდის შესაფასებლად.

**– თუ ეს ხდება ამერიკის შეერთებული შტატების ფარმაცევტულ ბაზარზე, ადვილი წარმოსადგენია, რა შეიძლება, ხდებოდეს ჩვენს ბაზარზე, სადაც მედიკამენტების შემოწმების არც ვალდებულებაა და არც საშუალება. თეორიულად, რა საფრთხეების წინაშე დგანან ქართველი პაციენტები იმ კუთხით, რაზეც ისაუბრეთ?**

– ქართულ ბაზარზე უმწვავესია წამლების უსაფრთხოების და ეფექტიანობის პრობლემები. პაციენტი მიტოვებულია ბიზნესის პირისპირ მარტოდ და ამერიკული მაგალითებიდანაც ჩანს, როგორ იქცევა იქ ბიზნესი – უბრალოდ იქ ამის გაზომვა და ადმინისტრირება შესაძლებელია და აქ გაზომვის შესაძლებლობები უკიდურესად შეზღუდულია.

**– ყოფით დონეზე ვიცით, რომ, მაგალითად, „ანალგინი“, „ბარალგინი“ და სხვა გარცელებული პრეპარატების გამოყენება აკრძალულია დასავლეთის ქვეყნებში, თუმცა ჩვენ მაინც ვიყენებთ. იგივე ეხება „ნიმესილსაც“, რომელიც ჩვენთან პოპულარულია. როგორ ხვდება ეს პრეპარატები ჩვენს ბაზარზე? იმ ქვეყნებიდან, სადაც არ არის აკრძალული?**

– ქვეყანაში წამლის დაშვება ხდება სამედიცინო საქმიანობის რეგულაციის სააგენტოს მიერ, დადებითი თუ უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღება წამლის დოსიეს ექსპერტიზის საფუძველზე, დოსიეს ნაწილია კლინიკური კვლევების მასალა. თუკი სააგენტო უშვებს ქართულ ბაზარზე წამალს, რომელიც არ არის დაშვებული ფარმაციაში წამყვანი სისტემების მიერ, გამოდის, რომ ის, რაც უსაფრთხოდ და ეფექტიანად არ მიიჩნია წამყვანმა მარეგულირებლებმა, უსაფრთხოდ და ეფექტიანად მიიჩნიეს ჩვენთან. ამის საპირწონე არ არის, მაგრამ ობიექტურობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ძალიან ღარიბები ვართ და ჩვენი ბაზარი განსხვავდება განვითარებული ბაზრებისგან, სადაც მეტწილად ბლოკბასტერებია წარმოდგენილი. ჩვენ ვერ გავწვდებით მათ, მაგრამ უნდა მოვაგვაროთ გენერიკების ეფექტიანობის პრობლემები, არაპირდაპირი დანიშნულებით ლეგალიზაციის პრობლემები, ეს ეხება „ნიმესილსაც“ და ძალიან ბევრ სხვა წამალსაც.

**– მესმის, რომ საქართველო არ არის დიდი მოცულობის ბაზარი, მაგრამ მსოფლიო ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული ვითარებიდან გამომდინარე, რა ტიპის პრეპარატების გასაღების ბაზარია ჩვენი ქვეყანა?**

– ბაზარი სავსეა საეჭვო წამლებით, ნდობას არ იმსახურებს არც მათი ეფექტიანობა, არც უსაფრთხოება, არც მათი ჩვენებები, არც მათი სტანდარტულობა და არც წარმომავლობა. ამას წინათ, ამერიკელი ექიმის მელისა იანგის ბლოგზე სტატია წავიკითხე, რომელიც ასე მთავრდებოდა: „ყველამ, ვინც უკმაყოფილოა, ჩვენი ჯანდაცვის სისტემით, ერთი ან ორი წელი მესამე სამყაროს ქვეყნებში უნდა გაატაროს“... და მართლაც, ამერიკა იქით იყოს, ჩვენ რა გვეშველება? რა ეშველებათ მარკეტინგულ ლაბირინთებში უპატრონოდ მიტოვებულ ჩვენს პაციენტებს? რას აპირებს ხელისუფლება, თუ მიიჩნევს, რომ საქართველოში ეს პრობლემები არ არის? რა თქმა უნდა, ეს პრობლები ჩვენთანაცაა და მისი უყურადღებოდ მიტოვება დაუშვებელია. ამ პრობლემების დიაგნოსტირებისთვის, ხელისუფლებამ სულ ცოტა, ორი რამ უნდა გააკეთოს: გაასაჯაროოს საქართველოში ჩატარებული ან რეგისტრაციის მიზნით მარეგულირებლისთვის წარმოდგენილი ყველა კლინიკური კვლევის მასალა; შემოიღოს ფარმაცევტული კომპანიების ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნების ვალდებულება.

**– როგორია ექიმების როლი ამ პრობლემაში?**

– რაც შეეხება ექიმებს, ჩემი აზრით, უნდა გადაიხედოს ექიმის სტერეოტიპი. ადამიანებმა უნდა გააცნობიერონ, რომ არც ჯანდაცვაა 100 პროცენტით გარანტირებული და არც ექიმია ღმერთი და ჯადოქარი. ის ჩვეულებრივი ადამიანია, რომელსაც სხვა ადამიანების მსგავსად, აქვს პირადი ცხოვრება, პირადი პრობლემები, ტრაგედიაც და ბედნიერებაც, რომ მას სხვა ადამიანებივით ვალდებულებები და მოტივაციები მართავს. ეს უნდა ახსოვდეთ ჯანდაცვის პოლიტიკის არქიტექტორებს.

**ნინო ხაჩიძე**

# რას უმალავდნენ „კაგებეს” მერაბ კოსტავა და ავთანდილ იმნაძე პერმის კოლონიის სამალავში და რა მოინანია მან ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებით

(მე-12 გვერდიდან)

წაუკითხავს – მაშინვე ვანადგურებდით, მაგრამ, მართლა ასე მოხდა – მერაბი მალე გადაიყვანეს ციმბირში. თუმცა, მანამდე მოხდა ერთი ინციდენტი: ერთხელ ჩვენს დაზგასთან ძალიან ბევრი „დაბრაკული” დეტალი შევნიშნე, ამ დეტალებში კაპიკებს გვიხდიდნენ, რომლითაც კიოსკში საკვებს, კარაქს, „პეჩენიას” ვყიდულობდით. ამ კაპიკებს ჩვენთვის მნიშვნელობა ჰქონდა. მერაბს მივწერე სამალავის მეშვეობით: ეს რა დაგმართნია, ამდენი დეტალი რომ გაგფუჭებია, რაღა უნდა აიღო და რა უნდა ჭამო-მეთქი. საოცარი წერილი მომწერა: ავთო, ძმაო, ესენი ჩვენ გვამუშავებენ და ჩვენი ხელით საბჭოთა კავშრის ძლიერებაზე ფიქრობენ. ეს დეტალები სვერდლოვსკის სამხედრო ქარხანაში მიაქვთ, ამიტომაც, სპეციალურად გავაფუჭე.

**– როგორ გადაიკვეთა თქვენი ცხოვრება უკვე თბილისში?**

– როცა მე ამოვწურე პატიმრობის ოთხი წელი, გამიშვეს გადასახლებაში, ხაბაროვსკის მხარეში, ეგრეთ წოდებულ „კალიმას“ მეზობლად. მერაბი უკვე გადასახლებაში იყო, ოღონდ, სხვა მხარეს. საშინელ ადგილას აღმოვჩნდი. მარტო მე ვიყავი ქართველი. ჩემი გათავისუფლება ძალიან მოულოდნელად მოხდა, საერთოდ არ ველოდი. ჩვენს დასახლებაში იყო ერთი ჩეჩენი, იგი მანქანის მძღოლად მუშაობდა, მაგრამ მისი მიზნები სულ სხვა იყო, ოქრო და ბეწვეული, რის გამოტანასაც არალეგალურად ახერხებდა. ის ჩემი ძმადნაფიცი გახდა კავკასიური წესით. იცნობდა იმ რაიონის „კაგებეს“ უფროსს და მისგან გაიგე, რომ თბილისიდან ხაბაროვსკში იყვნენ ჩამოსული ქართველი „კაგებეს“ თანამშრომლები. ჩამიყვანეს ხაბაროვსკში, შევხვდი მათ. ორნი იყვნენ. დაიწყეს მუშაობა ჩემს გადაბირებაზე, მაგრამ ისეთი რამ ვუთხარი, რომ ხელი აიღეს ამ განზრახვაზე. იქიდან წამომიყვანეს ვითომ „შევებულებით“. თბილისში დავბრუნდი 1982 წელს, 1987 წელს მერაბიც ჩამოვიდა. ზუსტად ათი წელი იყო თბილისიდან გარიდებული. ტელევიზიის მუსიკალურ რედაქციაში დავიწყე მუშაობა, მე და ლუიზა შაკიაშვილი ერთად ვმუშაობდით. ახალგამოსულ პოლიტპატიმარს ტელევიზიაში იმიტომ დამაწყებინეს მუშაობა, რომ უფრო მეტად ვეყოლებოდი „ხელისგულზე”, სადმე ქარხანაში ან ფაბრიკაში უფრო გაუჭირდებოდათ ჩვენი მეთვალყურეობა. ლუიზა და ჩვენი საერთო მეგობრები კვლავ აქტიურობდნენ. მე ცოტა მოგვიანებით ჩავერთე. როგორც კი მერაბი თბილისში ჩამოვიდა, მაშინვე მივედი მერაბთან სახლში. მახსოვს, გია წავიყვანე, ჭანტურია. მე გავაცანი ისინი ერთმანეთს.

**–ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში თქვენ იყავით ადამიანის უფლებების ერთ-ერთი პირველი დამცველი, მაშინ, როცა ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ არ იყო მზად ამისთვის.**

– ჩემი მეგობრები ხშირად ხუმრობენ ხოლმე, პირველი ელენე თევდორაძე ხარო ***(იცინის).*** მაშინ უზენაეს საბჭოში სოციალურ საკითხთა კომისიაში იყო ქვეკომისია, რომელიც იცავდა ადამიანის უფლებებს და მე ამ კომისიის ხელმძღვანელი ვიყავი. მერე ვუთხარი ზვიადს, უხერხული არაა, უზენაეს საბჭოში მუდმივმოქმედი კომისია არ იყოს მაშინ, როცა ჩვენ ხელისუფლებაში ადამიანის უფლებების დაცვით ვართ მოსული-მეთქი. მართალი ხარო, – მითხრა ზვიადმა. ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიისთვის დებულების შექმნა დამავალა და კომისიაც შეიქმნა. იმ პერიოდში უამრავი წერილი მოდიოდა უცხოეთიდან ჯაბა იოსელიანის უფლებების დაცვისა და მისი გათავისუფლების მოთხოვნით, დაკავებული იყო გია ჭანტურია და გოგა ხაინდრავა, რომელთა გათავისუფლება ჩემზე არ იყო დამოკიდებული, თუმცა, როგორც შემეძლო, ისე ვიცავდი მათ უფლებებს. ამ მხრივ, ჩემი გზა გააგრძელა ჩემმა შვილმა, ნათია იმნაძემ, რომელიც წლების განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატში მუშაობდა, დღეს კი არასამთავრობო ორგანიზაციაშია.

**– დღეს რას საქმიანობთ ძველი დისიდენტები?**

– ვინც ცოცხლები დავრჩით, გვაქვს ურთიერთობები ერთმანეთთან. ამას წინათ ჩემმა მეგობარმა, რომელიც „მერაბ კოსტავას საზოაგდოების” წევრია, დაიჩივლა ჩემთან, „მერაბ კოსტავას საზოგადოებას“ ხალხმა ხმა არ მისცა არჩევნებზეო. მე ვუთხარი, „მერაბ კოსტავას საზოგადოებას“ კი არა, თვითონ მერაბი რომ ყოფილიყო ცოცხალი, ალბათ, იმასაც არ მისცემდნენ ხმას, ისეთი ვითარებაა შექმნილი-მეთქი. ძალიან სამწუხაროა, რომ დისიდენტები, რომლებიც ათეული წლების წინ უმცირესობაში ვიყავით, ისევ უმცირესობაში დავრჩით. ეს გულს კი გვტკენს, მაგრამ, ჩვენ იმდენი რამ გავიარეთ, იმდენი კარგი საქმე გავაკეთეთ ჩვენი ქვეყნისთვის, ამად ყველაფერი ღირდა. ბევრი რამ მოვინანიე ღვთის წინაშე, მათ შორის ისიც, რომ ბოლოს ზვიადის ოპოზიციაში აღმოვჩნდი. ცხოვრება ასეა – შეცდომების გარეშე გზას ვერ გავდივართ.

**თამუნა ნიჟარაძე**

# ინტიმური საუბრები

## მეზობლისგან გავიგე, რომ აყვანილი შვილი ვარ

სამი და-ძმა ვართ. მე უფროსი ვარ, 13 წელი ახლახან შემისრულდა. ჩემი ძმა 11 წლისაა, და კი – 9-ის. ძალიან ბედნიერად ვცხოვრობდით მანამ, სანამ ბებიაჩემს მეზობლის ქალთან უსიამოვნება მოუვიდოდა. ბებიამ ცოტა უხეშად იცის ხოლმე პირში თქმა, ეტყობა, იმ ქალს რაღაც ისეთი უთხრა, რაც იმან აღარ აპატია და სამაგიეროდ იმით გადაუხადა, რომ მეორე დღესვე დამიძახა, თავისთან შემიყვანა და მითხრა, აყვანილი შვილი ხარო. მე, ცხადია, არ დავიჯერე, რადგან, ჩემს მშობლებს სამი შვილი ჰყავდათ, რაზეც მეზობელმა მითხრა, დედაშენს რამდენიმე წელი შვილი არ უჩნდებოდა და შენ გიშვილეს, ერთი წლის შემდეგ კი დაფეხმძიმდა და იმის მერე კიდევ ერთი შვილი გააჩინა. ასე ძალიან ხშირად ხდებაო.

აღრიალებული დავბრუნდი სახლში. დედას და ბებიას ყველაფერი ვუამბე და მოვითხოვე, სიმართლე ეთქვათ. რა თქმა უნდა, ბებიაჩემი მაშინვე მიუვარდა იმ ქალს და სულ თმებით ითრია. მეზობლებმა რომ გაიგეს, რაც ხდებოდა, თქვეს, არ გააშველოთ, ახია იმ საზიზღარზეო. ბოლოს ვილაცამ პატრული გამოიძახა და მხოლოდ იმათ შეძლეს, ხელიდან გამოეგლიჯათ მსხვერპლი ბებიაჩემისთვის. მაგრამ, ეს ჩხუბი რას მიშველიდა. მე სიმართლის გაგება მინდოდა. ვერაფრით რომ ვერ დამაწყნარა, დედამ მამაჩემს დაურეკა. ეტყობა, ტელეფონშივე უთხრა, რაც მოხდა, რადგან, ზუსტად ათ წუთში მამა სახლში გაჩნდა. მერე ყველას სთხოვა, მარტო დაგვტოვეთო. ამხელა გოგო კალთაში ჩამისვა, მომეფერა და სიმართლე მიამბო. თურმე, შვილი მართლა არ უჩნდებოდათ და ფიქრობდნენ კიდეც ბავშვის აყვანას. სწორედ იმ პერიოდში მამას ნათესავი ცოლ-ქმარი ავარიაში მოჰყვა და ორივე დაიღუპა, გადავრჩი მხოლოდ მე – რამდენიმე თვის ჩვილი, რადგან, უკანა სავარძელზე მეძინა და, მანქანა რომ დაეჯახათ, სავარძლის ქვეშ ჩავვარდი. მყოლია მხოლოდ მოხუცი ბაბუა, რომელიც ვერანაირად ვერ შეძლებდა ჩემს მოვლას და იმას უთხოვია პანაშვიდზე მისული ჩემი მშობლებისთვის (ვინც გამზარდეს), მაინც გინდოდათ, ბავშვი გეშვილათ და ჩემი შვილიშვილი წაიყვანეთ, მადლსაც იზამთ და მეც მშვიდად წავალ იმქვეყნადო. მერე კი მართლა ორჯერ დაფეხმძიმებულა დედაჩემი და ჩემი და-ძმა გაუჩენია.

მამას ახსნა-განმარტებამ დამამშვიდა, მაგრამ, ბაბუას ნახვა მოვინდომე, რაზეც მამაჩემმა მიპასუხა, რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალაო. ერთი კვირის შემდეგ კი მე, მამა და დედა ჩემი მშობლებისა და ბაბუის საფლავზე წავედით.

ამ ისტორიის გაგების შემდეგ კიდევ უფრო შემიყვარდა ჩემი გამზრდელი დედ-მამა. იმ მეზობელს კი აღარავინ ელაპარაკება.

**მარიამი, 13 წლის.**

## რძალმა ძმა წამართვა

მშობლებმა მე და ჩემი ძმა ისე გაგვზარდეს, ბავშვობაშიც კი, სათამაშოზე არ გვითქვამს, ჩემია და არ გათხოვებო. თავზე არ გადაგვდიოდა, მაგრამ, რაც აუცილებელი იყო, ყველაფერი თავის დროზე გვქონდა. რომ წამოვიზარდეთ, ლუკმას არ ჩავიდებდით პირში უერთმანეთოდ. მოკლედ, სიტყვები – „ჩემია“ და „შენი არ არის“ ჩვენთვის არ არსებობდა. ერთხელაც კი არ წავჩხუბებივართ ერთმანეთს. პატარები რომ ვიყავით, მაშინაც ერთმანეთზე ვზრუნავდით. დედა თავის მეგობრებში რომ ამბობდა, ჩემს შვილებს კამათიც კი არ მოსვლიათო, არავის სჯეროდა.

ჩემი ძმა ოთხი წლით უფროსია ჩემზე, მაგრამ, რომ წამოვიზარდე, საერთო სამეგობრო წრე შეგვეკრა და ყველგან ერთად დავდიოდით.

ინსტიტუტს რომ ამთავრებდა, თავისი თანაკურსელი გოგო მოიყვანა სახლში და გაგვაცნო – ერთმანეთი გვიყვარს და დიპლომებს ავიღებთ თუ არა, დაქორწინებას ვაპირებთო. მე რომ ჩემი ძმისთვის წარმომედგინა და მინდოდა, მთლად ისეთი გოგო არ იყო, მაგრამ, რადგან უყვარდა, გულით მივიღე. დედამ და მამამ სუფრა გაუშალეს, ერთად ვისადილეთ და მათი ბედნიერი მომავალი დავლოცეთ. წასვლისას დედაჩემმა ძალიან ძვირფასი ფრანგული სუნამო აჩუქა და უთხრა, ხშირად მოდი ჩვენთანო. საბას (ჩემს ძმას) მართლაც ხშირად მოჰყავდა ანანო, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ვცდილობდი მასთან დაახლოებას, ვერაფრით გამოვნახე საერთო ენა. ყოველთვის ცივად ხვდებოდა ჩემს მცდელობებს და ირონიული ღიმილით მელაპარაკებოდა. ეს ისე მწყინდა, რომ ტირილამდე მივდიოდი, მაგრამ არავისთვის არაფერი მითქვამს.

ერთხელ საბას და ჩემი მეგობრები პიკნიკზე აპირებდნენ წასვლას. ცხადია, მეც მოვემზადე. ამ დროს საბა და ანანო მოვიდნენ პიკნიკისთვის რაღაცეების წასაღებად. ჩაცმული რომ დამინახა, ანანომ, როგორც სჩვეოდა, ირონიულად შემომხედა და მკითხა, შენც სადმე მიდიხარო? მეც მოვდივარ თქვენთან ერთად-მეთქი. ამის გაგონებაზე საბას მიუბრუნდა, ჩემკენ ცერი თითი გამოიშვირა და უთხრა: ეს თუ წამოვა, უჩემოდ მოგიწევს წასვლაო. ჩემს ძმას, რომელსაც მთელი ცხოვრება საფიცარ ხატად ვყავდი, მიზეზიც კი არ უკითხავს, წარბიც არ შეუხრია, ისე მომიგდო: შენ სახლში დარჩი, სხვა დროს წამოდიო, – და ჩანთებიანად გავიდა. ანანომ გამარჯვებული მზერით გადმომხედა და, ჩუმად, ისე, რომ სხვას არ გაეგო, მითხრა: დამთავრდა შენი გულაობა, ეგ „სხვა დრო“ აღარასოდეს დადგება და ამას უნდა შეეგუოო.

მთელი დღე ტირილში გავატარე. დედა ვერც იმას მიხვდა, რატომ აღარ წავედი და ვერც იმას, რატომ ვტიროდი. საბა გვიან ღამით დაბრუნდა ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი. მე არც კი მომიკითხა, ისე დაწვა დასაძინებლად.

მეორე დილით, სანამ საუზმეს გაგვიწყობდა, გავიგონე, როგორ ეუბნებოდა დედა საბას ჩემზე: რა დაემართა ამ ბავშვს, არ ვიცი, თქვენთან ერთადაც აღარ წამოვიდა და მთელი დღე ტირილში გაატარა. მე არაფერს მეუბნება და იქნებ შენ დაელაპარაკოო. საბამ კი უპასუხა: მე რა ვუთხრა, დიდი გოგოა და როგორც თვითონ უნდა, ისე იქცევაო. აი, მაშინ ვიგრძენი, რომ ძმა, რომელსაც ვაღმერთებდი, რომელიც მთელ დედამიწაზე ყველას მერჩივნა, ვიღაც უცხო ადამიანმა წამართვა.

საქორწინო მოგზაურობიდან რომ დაბრუნდნენ, მე სახლში აღარ დავხვედრივარ – გაუთხოვარ მამიდასთან გადავედი საცხოვრებლად. მშობლებთან აღარ მივდიოდი, მხოლოდ მობილურით ვეკონტაქტებოდი, საბას კი ერთხელაც არ დაურეკავს და არ უკითხავს, რატომ წახვედიო.

რამდენიმე დღის წინ კი, ჩემი ძმა ჩვენთან მოვიდა, მე შორიდან, ხელის აწევით მომესალმა, მერე მამიდა ცალკე ოთახში გაიყვანა და უთხრა, წინააღმდეგი ხომ არ იქნები, დედაჩემი და მამაჩემიც შენთან რომ გადმოვიდნენ საცხოვრებლად, დიდი ბინა გაქვს და ყველანი დავეტევითო. მამიდა გაოცდა, მაგრამ, მაინც ჰკითხა, მე თანახმა ვარ, მაგრამ, თვითონ თუ უნდათ გადმოსვლაო. მაგაზე ამ საღამოს უნდა დაველაპარაკო და დავითანხმოო, – უთხრა საბამ.

ალბათ, ხვდებით, ვის ბრძანებასაც ასრულებდა. არ ვიცი, დაეთანხმებიან თუ არა მშობლები თავიანთ სანაქებო ვაჟკაცს, მაგრამ, იმ დღეს საბოლოოდ ვიგრძენი, რომ ძმა აღარ მყავს.

**ლიზი, 19 წლის.**





რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.

**ზოგადად, საქართველოს ტერიტორიაზე უამრავი ადგილი არსებობს, რომელიც ჯერ კიდევ კვლევის ობიექტია, ან საზოგადოებამ ამ ადგილების შესახებ არაფერი იცის. ის კი საუკუნეებს ითვლის, ინახავს უამრავ ისტორიულ ფაქტს და უცხოელი მკვლევრებისთვის ნამდვილად სენსაციაა ამ მიწაზე ფეხის დადგმა. ჯერ კიდევ, 2008 წელს, ქართულმა ექსპედიციამ ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკში აღმოაჩინა უძველესი ეკლესია-სამარხი. დაიწყო კვლევა და მის შესახებ, რამდენად გასაოცარიც არ უნდა იყოს, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული არხი, „დისქავერი" დაინტერესდა. რამდენიმე დღის წინ, უცხოელი მკვლევრის, ოპერატორისა და პროდიუსერის ჯგუფი საქართველოს ესტუმრა. მათ გადაიღეს ფილმი ამ ფაქტთან დაკავშირებით და მას სულ მალე ტელემაყურებელი ამერიკული „დისქავერის“ არხზე ნახავს. ამ აღმოჩენისა და ფილმის შესახებ ჟურნალისტი, ფილმის თანაავტორი, ლელა ნინუა გვიამბობს. მან თავად გაიარა უცხოელ ჯგუფის წევრებთან ერთად ის რთული გზა, რომელმაც შესაძლოა, საქართველოს ისტორია შეცვალოს.**

# რატომ დაინტერესდა მსოფლიოში პოპულარული „დისქავერის“ არხი ქართული ნაქალაქევითა და უძველესი, განმარხებული ძვლებით და რა სენსაციას მოახდენს ის მსოფლიო ისტორიაში

**ლელა ნინუა**: 2008 წელს, შემომთავაზეს, უცნაურ, ავანტიურისტულ და დიდ პროექტში მონაწილეობის მიღება. იმ პერიოდში ვმუშაობდი არქეოლოგიის კუთხით, არგონავტების ქალაქი, დიმონი მქონდა გადაღებული. მოგეხსენებათ, 2008 წელს, ხელახლა გამოემგზავრა, იგივე მარშრუტით „არგო", მაგრამ, სამწუხაროდ, გარკვეული მოვლენების გამო, ეს ყველაფერი ჩაიშალა. მოკლედ, დამიკავშირდა ქართული ექსპედიციის ხელმძღვანელი, ქალბატონი ლელა რაზიკაშვილი და შემომთავაზა ექსპედიციაში წასვლა. მოკლედ, ამ ექსპედიციაში იღებდა მონაწილეობას, მთავარი „დისქავერის" ჯგუფი: არხის გენერალური პროდიუსერი სტეფან მიზელესი, ეზოთერიკი, უცნაური მოვლენებისა და მისტიკური ფენომენების ექსპერტი ბრიუს ფენეტონი, სამხედრო ექიმი მაიკ ნედამი, რომელიც ბრიტანეთის სპეცნაზს წვრთნის და ხმის რეჟისორი, მარტინ ჩესქუ. ამ ჯგუფს უნდა გაევლო ის გზა ხელახლა, რომელიც 2008 წელს გავიარეთ და გადაეღო ერთსაათიანი ფილმი, რომელიც „დისქავერის" არხზე გავიდოდა. მათი მიზანი გახლდათ, საკუთარი თვალით ენახათ ყველაფერი და კამერითაც დაეფიქსირებინათ.

**– წარმომიდგენია, როგორი სირთულეების დაძლევა მოგიხდათ.**

– მართლაც, სერიოზული სირთულეების



დაძლევა მოგვიხდა – წვიმა, მდინარის ფეხით გადალახვა, სიცივე, შიმშილი, უძილობა, ტალახში ჩაფლობა, ყველაფერი გამოვცადეთ. თუმცა, ბედნიერი ვარ, რომ ვიყავი საოცარ პროფესიონალებთან ერთად და მათ გვერდით, ყველაფერი დავძლიე. გეტყვით, რომ პირველად, 6 წლის წინ, ნამდვილად არ ვიცოდით, სად მივდიოდით, იქ რა დაგვხვდებოდა ან რას აღმოვაჩენდით. ამიტომაც, ჩვენს ამ საქციელს, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად უყურებდნენ. სამი დღე ფეხით ალპურ ზონაში ავდიოდით. უამრავი სირთულე გადავლახეთ, მოკლედ: მთა, კლდე, მდინარე, ჩანჩქერი – ყველანაირი წინააღმდეგობის დაძლევა მოგვიხდა. დანიშნულების ადგილზე ორი დღე დავყავით, სადაც მართლაც დაგვხვდა ეკლესიის ნაკვალევი, ადამიანის განმარხებული ძვლები. მოკლედ, მათი იდენტიფიცირება ჯერ არ მომხდარა. ასევე, პირველად რომ ვეწვიეთ, ყურადღება არ მიგვიქცევია იმისთვის, რომ იქ კარგად დამუშავებული ქვის უზარმაზარი ლოდები იყო. სანამ იქ ავიდოდით, უხუცეს მოსახლეობას გავესაუბრეთ და მათი წინაპრების მოყოლილი ისტორიებიც მოვისმინეთ. მათი ნათქვამიდან და ჩვენი ნანახიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, სწორედ ამ ტერიტორიაზე ბინადრობდნენ ის დიდი ადამიანები, მსოფლიო მეცნიერები რომ ეძებენ. ეს ხომლის მთა ნიშნავს ცათა კრებულს, ანუ ხილულ კოსმოსს. საქართველოში კი ასეთი მინიშნება ბევრია. ამიტომ, არსებობს სრული საფუძველი იმისა, ვიფიქროთ, ნეფელინები, იგივე დიდი ადამიანები საქართველოშიც ცხოვრობდნენ.

**– ამაზე უცხოელი ექსპედიციის წევრებს რა ვარაუდი გააჩნიათ?**

– ბრიუსის ვარაუდით, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ იქ კარგად განვითარებული ქალაქი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ლოდებით მოპირკეთებული ასასვლელი ჰქონდა. ეს ყველაფერი კი, ზღვის დონიდან 2 300 მეტრზე ხდება. დღემდე უცნობია იქ არსებული ეკლესიის აგების თარიღიც. მაშინ არც თაღისებური სამარხი შეგვიმჩნევია, ამაზე ახლა ბრიუსმა მიგვაქცევინა ყურადღება. მოკლედ, მისი აზრით, ეს ადგილი, ყველა პარამეტრით, ნაქალაქარზე მიუთითებს. საქართველოს ლანდშაფტი კი მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ამბობდნენ, საქართველოში რომ უნიკალური ლანდშაფტია, ასეთი არსად გვინახავსო. ჩანჩქერები, ლოდები, ტბები, მდინარეები, მცენარეები, შერეული ტყეები – მათი ობიექტივის მთავარი მიზანი გახდა. ყველაზე მაღალი მწვერვალი 2 642 მეტრი სიმაღლისაა, სადაც ჩვენი ბანაკი იყო. იქიდან კი ულამაზესი ხედები იშლებოდა. ყველაზე დიდი შოკი მათთვის მაინც განმარხებული, ანუ ქანებში მოყოლილი ძვლები აღმოჩნდა. როგორც ბრუსმა თქვა, მსგავსი რამ არსად უნახავს. ერთ რამეში დავრწმუნდი, რომ „დისქავერის" წარმომადგენლებისთვის სირთულე არ არსებობს. მათ დასახული მიზანი ჰქონდათ და ისინი სულ მუშაობდნენ. მე ერთი ქალი ვიყავი რვა კაცის გარემოცვაში და ხომ წარმოგიდგენიათ, რა რთული იქნებოდა ტალახში, წვიმაში, მდინარესა და კლდეებზე სიარული – მათ გვერდით ასეთ პირობებში ამ სირთულეების დაძლევა. როგორც აღმოჩნდა, ბრიუსისთვის, მსგავსი ექსპედიციის გადაღება დღემდე ოცნება ყოფილა და ეს ოცნება საქართველოში აიხდინა. თურმე, გადაღებაზე ჯუნგლებში აპირებდა წასვლას, მაგრამ საქართველომ უფრო დააინტერესა და არც კი დაფიქრებულა, ისე გამოემგზავრა აქ. სერიოზულად დაინტერესდნენ ქანებში განმარხებული ძვლებით. მსგავსი რამ მსოფლიოს მასშტაბით, იშვიათი სანახავია, რაც სავარაუდოდ, კლიმატურმა ცვლილებებმა გამოიწვია.

**ყველაზე დიდი შოკი მათთვის მაინც განმარხებული, ანუ ქანებში მოყოლილი ძვლები აღმოჩნდა. როგორც ბრიუსმა თქვა, მსგავსი რამ, არსად უნახავს**

**– რამდენი დრო მოანდომეთ იქ ასვლას?**

– ორი დღის განმავლობაში ავდიოდით. ორი დღე იქ დავყავით და ჩამოსვლასაც ორი დღე მოვანდომეთ. ბორჯომ-ხარაგაულის ალპურ ზონაში, კომპასიც კი არ მუშაობს, ისეთი ადგილებია. ერთმანეთზე ვიყავით ორიენტირებულები. დამიჯერეთ, მსგავსი გუნდური მუშაობის პრინციპი ჯერ არ მინახავს. ბრიუსმა რომ ფილმის თანაავტორად გამოაცხადა, ამას კი ნამდვილად არ ველოდი ***(იცინის).*** ისეთ პროფესიონალ ებთან მუშაობა, როგორებიც ამ ექსპედიციაში იყვნენ, ნამდვილად საამაყოა. ბრიუსი, ზოგადად დაკარგულ ქალაქებს ეძებს და თქვა კიდეც: მე საქართველოში, ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკის, აკრძალულ ზონაში, 2 300 მეტრზე, დაკარგული ქალაქი უკვე აღმოვაჩინე და ვამტკიცებ, რომ ეს უბრალო



ქალაქი არ იყო ოდესღაც. ეს მსოფლიო მეცნიერებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩენააო. ის, აპირებს ახლო მომავალში უცხოელი მეცნიერების, პალეონტოლოგების ჩამოყვანას საქართველოში. სხვათა შორის, იქვე აღმოვაჩინეთ უძველესი ეკლესია, რომელიც არ არის დათარიღებული და მის გვერდით გაუხსნელი სამარხია. ვარაუდით, ამ სამარხში 12 დიდი ადამიანის ჩონჩხი უნდა იყოს. ასევე, არის მოსაზრება, რომ ისინი დამჯდარ მდგომარეობაში არიან დამარხული. ზედაპირული დათვალიერების შედეგადაც ნათელია, რომ იქ უძველესი ნაქალაქარია, რომელიც დიდ ისტორიას ინახავს. ექსპედიციის ხელმძღვანელი, სტეფან მიზელესი ამბობდა: ასეთი ექსპედიცია პირველად ჩავატარე და ამით ოცნება ავიხდინე, ბედნიერი ვარო. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ეს აღმოჩნენა უამრავ ტურისტს ჩამოიყვანს საქართველოში. ეს იქნება მზიას და ზეზვას შემდეგ, ერთ-ერთი, მორიგი სენსაცია, რომელზედაც მსოფლიო ალაპარაკდება. მილიონზე მეტი მაყურებელი ჰყავს ამერიკულ „დისქავერს“ და დარწმუნებული ვარ, მათი უმრა-

**(გაგრძელება 69-ე გვერდზე)**

# ხშირად დასმული კითხვები და მათზე პასუხები

## 1. როგორ იმოქმედებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერა საქართველოს ეკონომიკურმდგომარეობაზე?

საქართველოს ნახავს მნიშვნელოვან სარგებელს ახალი სავაჭრო შესაძლებლობებითა და მსოფლიოს უდიდეს ბაზართან მარტივი წვდომით. გაიზრდება უცხოური ინვესტიციები, ქართული პროდუქციის ხარისხი, კონკურენტუნარიანობა და ექსპორტი. შედეგად შეიქმნება ახალი საწარმოები და სამუშაო ადგილები, აიწევს ცხოვრების დონე.

## 2. შეძლებენ თუ არა ქართული კომპანიები ევროკავშირის სტანდარტებისა და რეგულაციების დაკმაყოფილებას?

ევროკავშირის სტანდარტებზე გადასვლა განხორციელდება ეტაპობრივად, რამდენიმე წლის განმავლობაში. მწარმოებლების ხარჯები რეალურად იქნება ინვესტიცია უკეთესი პროდუქციის გამოსაშვებად, რაც მომავალში დამატებითი შემოსავლის წყაროდ იქცევა. ევროკავშირი დაეხმარება საქართველოს შესაბამისი რეფორმების განხორციელებაში.

## 3. გამოიწვევს თუ არა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება საქართველოდან შრომითი რესურსების გადინებას?

ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლას მიგრაციასთან დაკავშირებულ სფეროებში რეფორმების განხორციელების შემდეგ. უვიზო მიმოსვლა არ აძლევს საქართველოს მოქალაქეს ევროკავშირის ქვეყნებში მუდმივი ბინადრობისა და დასაქმების უფლებას.

## 4. წარმოადგენს თუ არა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმება საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების გარანტიას?

შეთანხმება ღიად ტოვებს და ამავე დროს არ გამორიცხავს საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების საკითხს. შეთანხმებაში აღიარებულია ქვეყნის ევროპული მისწრაფებები და არჩევანი. ხაზგასმულია, რომ საქართველო არის ევროპული ქვეყანა. შეთანხმება შეუქცევად ხასიათს აძლევს ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს.

## 5. როგორ იმოქმედებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება საქართველოს კულტურულ იდენტობასა და ტრადიციებზე?

ევროკავშირის სიძლიერე და მიმზიდველობა სწორედ მის კულტურულ მრავალფეროვნებაშია. ევროკავშირი ეხმარება წევრ ქვეყნებს კულტურული თვითმყოფადობისა და ტრადიციების შენარჩუნებაში. შეთანხმება ხელს შეუწყობს ევროკავშირის ქვეყნებში ქართული კულტურული მიღწევებისა და უნიკალურობის პოპულარიზაციას.

## 6. უქმნის თუ არა საფრთხეს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება მართმადიდებლობას და დაკნინდება თუ არა ქართული ეკლესიის როლი?

შეთანხმება ეფუძნება საქართველოსა და ევროპის სხვა ქვეყნების ისეთ საერთო ისტორიულ და ქრისტიანულ ღირებულებებს, როგორიცაა შემწყნარებლობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა და თანასწორობა. ხსენებული საფრთხეები არ შექმნილა ევროკავშირის წევრ მართმადიდებლურ საბერძნეთში, კვიპროსში, რუმინეთსა და ბულგარეთში.

## 7. აიძულებს თუ არა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, დაუშვას ერთსქესიანთა ქორწინება?

ერთი სქესის ადამიანთა ქორწინება არ წარმოადგენს ასოცირების შეთანხმების ან ევროკავშირში გაწევრიანების მოთხოვნას. ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობა არ ცნობს მსგავს ქორწინებას და მეტიც, ზოგიერთ ქვეყანაში ის კონსტიტუციით არის აკრძალული.

## 8. შეუშლის თუ არა ხელს საქართველოს, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, ჰქონდეს თავისუფალი ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან?

საქართველოს რჩება შესაძლებლობა, თავად განსაზღვროს საკუთარი სავაჭრო პოლიტიკა. შეთანხმება აძლევს საქართველოს საშუალებას შეინარჩუნოს და განავრცოს თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან, მათ შორის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან.

## 9. ხომ არ გართულდება ევროკავშირის არა-წევრ ქვეყნებში ქართული პროდუქციის ექსპორტი?

ქართული კომპანიები, რომლებიც ევროკავშირის არა-წევრი ქვეყნების ბაზრისთვის აწარმოებენ პროდუქციას, ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგაც შეძლებენ ექსპორტის დაუბრკოლებლად განხორციელებას.

## 10. ნიშნავს თუ არა ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელება, ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებაზე უარის თქმას?

შეთანხმების მიხედვით ევროკავშირი პატივს სცემს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. შეთანხმება ითვალისწინებს ევროკავშირის აქტიურ ჩართვას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში. შეთანხმება ვრცელდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და მისი გამოყენება ოკუპირებულ რეგიონებში დაიწყება მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობა შეძლებს ამ ტერიტორიებზე მის განხორციელებას.



# ხვდებიან თუ არა მამაკაცები, რატომ მიჰყვებიან ქალები მათ ცოლად

**ქალი მამაკაცზე გაცილებით მგრძნობიარე და მიხვედრილია. შეიძლება, იმიტომ, რომ ქალს ეს უფრო სჭირდება... თუნდაც, თვითგადარჩენისთვის, კაცები ხომ ისე ხშირად სტკენენ მათ გულს. თუმცა, არსებობენ კაცები, რომელთაც იგივე პრობლემები უჩნდებათ, როგორიც ქალბატონებს. ანუ, მოტყუებულები რჩებიან და მათ უბრალოდ, იყენებენ. სიყვარული ადამიანებს სიფხიზლეს უჩლუნგებს. ეს ის შემთხვევაა, როცა გული უფრო ბევრს ლაპარაკობს, ვიდრე გონება. ამიტომ, გასაკვირი არ არის, როცა ზოგჯერ თავს შეგნებულად ვიტყუებთ და საკმაოდ შესაბრალის მდგომარეობაშიც ვვარდებით. უბრალოდ, არ გვინდა, სიმართლე ვიცოდეთ. მამაკაცების უმრავლესობა საერთოდ ვერ ხვდება, როდის აღარ უყვარს ცოლს... ვერ ამჩნევს მის ღალატსაც...**

**ლიზა** *(27 წლის):* ბევრი მსმენია მამაკაცების მიუხვედრელობაზე. ყველა ამაზე ლაპარაკობდა და მე არ მჯეროდა, რადგან მე და ჩემი ქმარი ყოველთვის კარგად ვუგებდით ერთმანეთს – შეყვარებულობის პერიოდშიც და მერეც, რამდენიმე წელი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ყოველთვის ასე გაგრძელდებოდა და მართლა ბედნიერად ვგრძნობდი თავს მის გვერდით...

**– დარწმუნებული იყავით, რომ სწორი არჩევანი გააკეთეთ და იმიტომ არ გაჰყევით ცოლად, რომ იმ მომენტში გათხოვება გინდოდათ?**

– მეც ხშირად დამისვამს ეს კითხვა საკუთარი თავისთვის და პასუხზე ბევრი მიფიქრია. მგონი, მაშინ მიყვარდა და კარგად ვიყავი მის გვერდით. მარტო იმიტომ არ გავთხოვილვარ, რომ გათხოვება მინდოდა. თუმცა, არც უმისობა იყო. ოცდასამი წლის ვიყავი. კარგი ბიჭი გამოჩნდა, რომელიც მზად იყო, ბედნიერი გავეხადე. რატომ უნდა მეთქვა უარი?

**– „მზად იყო, ბედნიერი გავეხადე“ – რას გულისხმობთ ამაში? მატერიალურ კეთილდღეობასაც?**

– დიახ. არ დავმალავ და არ უარვყოფ – დიდი როლი ითამაშა იმანაც, რომ ჩემს შეყვარებულს არ უჭირდა. საკმაოდ შეძლებული მამა ჰყავდა და თვითონაც კარგი სამსახური ჰქონდა. გარეგნობითაც მომეწონა და რატომ უნდა მეთქვა უარი?

**– ანუ, ეს მაინც გათვლა იყო და არა სიყვარული...**

– არა. სიყვარული იყო, თუმცა, მისი დეიდაშვილი – გოგო ყოველთვის უნდობლად მიყურებდა და აშკარად ჭორაობდა ჩემზე: ვატყობ, მაგას გრძნობა საერთოდ არა აქვს ჩემი დეიდაშვილის მიმართ და საკუთარი კეთილდღეობისთვის ჩამოეკიდა კისერზეო...

**– იყო ამაში სიმართლის მარცვალი?**

– არა. არ იყო. მაშინ გრძნობა ნამდვილად მქონდა. ხომ არ დაგიფიცებთ ახლა. ვხვდებოდი მანამდე სხვასაც, მაგრამ მის მიმართ ლტოლვა არ გამჩენია. გათხოვება ამაზე მომინდა, ესე იგი, ეს იყო სიყვარული. მე ისეთი გარეგნობა მაქვს, გათხოვება ნამდვილად არ გამიჭირდებოდა. ბევრად უფროსი კაცები ირეოდნენ ჩემზე და ყველა მათგანს საკმაოდ ბევრი ფული ჰქონდა. მარტო მატერიალური კეთილდღეობა და თითზე საქორწინო ბეჭედი რომ მდომოდა, რომელიმეს ამოვირჩევდი. ანუ, მაინც გრძნობა იყო გადამწყვეტი – ამისი თქმა მინდა.

**– საკუთარი თავის დარწმუნებას ცდილობთ?**

– არა. მე ვარ საკუთარ თავში დარწმუნებული და სამართლიანადაც. ზუსტად ვიცი, რა მინდა და რა მჭირდება. სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვი ჩემს ქმარზე. დღემდე ვერ ხვდება, რა ხდება მის თავს.

**– და, რა ხდება?**

– აღარ მიყვარს. საერთოდ აღარ მაქვს გრძნობა, სამწუხაროდ. მე მართლა ძალიან ვარ შეწუხებული. რადგან ბუნებით წესიერი ადამიანი ვარ და არ მინდა, ვატყუებდე. არც ის მინდა, გული ეტკინოს, ან ჩემ გამო დეპრესიაში ჩავარდეს. ბევრს ვფიქრობ ბავშვზეც. იმას ხომ საერთოდ არაფერი დაუშავებია, დედაც სჭირდება და მამაც. მაგრამ, საკუთარი თავიც ძალიან მეცოდება. როგორ გავაგრძელო ცხოვრება იმ ადამიანის გვერდით, რომელიც საერთოდ არ მიყვარს. თვალთმაქცობა და თამაში რომ შემეძლოს, კიდევ მესმის. თან, უკვე სხვა მიყვარს და კიდევ უფრო მიმძიმდება სიტუაცია.

> **ძალიან შეცვიცვალე. ჩვენი ურთიერთობა აღარ არის ისეთი, როგორიც იყო – სითბოთი, სინაზით და სიყვარულით სავსე**

**– როგორც თქვით, ქმარი ვერაფერს ხვდება...**

– საერთოდ ვერაფერს. არადა, ძალიან შევიცვალე. ჩვენი ურთიერთობა აღარ არის ისეთი, როგორიც იყო – სითბოთი, სინაზით და სიყვარულით სავსე. სულ მის გვერდით მინდოდა ყოფნა. ერთი წუთი ვერ ვძლებდი. როცა ჩემ გვერდით არ იყო, ვურეკავდი, ვეკითხებოდი, რას საქმიანობდა იმ მომენტში. ვინტერესდებოდი ყველაფრით, რაც მას ეხებოდა. ეს ყველაფერი ახლა უკვალოდ გაქრა. მე კი არ მინდა, ასე რომ იყოს. ყველაფერი ბუნებრივად მოხდა. ეგოისტად ნუ ჩამთვლით, მართლა ძალიან ვნერვიულობ და განვიცდი.

**– რატომ არ დაელაპარაკებით?**

– იმიტომ, რომ მეცოდება. შეიძლება, ძნელი ასახსნელია, მაგრამ ვეცდები, გასაგებად ვთქვა. ამდენი წელი გავატარე მის გვერდით. ეს ბევრს ნიშნავს, ძალიან ბევრს: ჯერ ერთი, რომ შევეჩვიე, მეორეც – დავალებული ვარ მისგან.

**– რას გულისხმობთ?**

– ძალიან მზრუნველი და ყურადღებიანი ქმარია. ბევრი კაცი არ გააკეთებს იმას, რასაც ის ჩემთვის აკეთებს. მესმის, რომ ვუყვარვარ და ჩემზე ზრუნვით სიამოვნებას იღებს, ანუ მისი მხრიდან ეს არ არის მოსაბეზრებელი ვალდებულება. საოცარი ქორწილი ხომ გადავიხადეთ... მანქანა მიყიდა, კარგი სამსახური მიშოვა – თუ რამეს წარმოვადგენ, მთლიანად მისი დამსახურებაა... ხომ ხედავთ, როგორი გულახდილი ვარ. ფაქტობრივად, ჩემ საწინააღმდეგოდ გამლევთ ჩვენებას. ყოველ წელს, ჩვენი შეხვედრის დღეს, წარმოუდგენელ სიურპრიზებს მიწყობს, უცხოეთში მივყავარ და იქ აღნიშნავს. თავზე მევლება. ჩემთვის აუხდენელი სურვილი ან ოცნება არ არსებობს. ამიტომაც, ვიკავებ თავს. ენა არ მიბრუნდება, რომ ვუთხრა, აღარ მიყვარხარმეთქი. ველოდები, თვითონ როდის მიხვდება ამას. მერე, ალბათ, უფრო გამიადვილდება მასთან საუბარი ამ თემაზე.

**– ანუ, თქვენ ქმართან გაშორება არ გინდათ.**

– როგორ გითხრათ, საერთოდ, მინდა. იმიტომ, რომ სხვა მიყვარს და საბოლოოდ ჩემი თავი მის გვერდით წარმომიდგენია. მაგრამ, არ ვიცი, როგორ გავაკეთო ეს ისე, რომ ქმარს გული არ ვატკინო და შვილზეც მძიმედ არ აისახოს. სულ ვფიქრობ, როგორ შეიძლება, ვერ ხვდებოდეს კაცი, რომ ცოლს აღარ უყვარს. ქალები ხომ ვგრძნობთ ამას.

**– ყოველთვის ვერც ქალები ვგრძნობთ.**

– არა. ვერ დაგეთანხმებით. ყოველთვის ვგრძნობთ. უბრალოდ, არ ვაღიარებთ

# ნინო ვარსიმაშვილი - ნათელმხილველი, რომელიც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

## როგორ დავამარცხოთ ბოროტი ძალა, გავიხსნათ ბედი და მოვიზიდოთ ბარაქა

***ნათელმხილველი ნინო ვარსიმაშვილი დღეს თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნათელმხილველია. მომავლის განჭვრეტის მისი ფენომენალური უნარის შესახებ ქართულ პრესაში არაერთხელ დაწერილა. მის შესახებ ქალაქში ამბობენ, სასწაულებს ახდენსო. ამ ცნობილ ნათელმხილველს ძალიან ხშირად აკითხავენ ცნობილი პიროვნებები, თუმცა, ქალბატონი ნინო მათზე საუბარს ყოველთვის თავს არიდებს. მადლიერი ბევრი ჰყავს, რადგან, მომავლის განჭვრეტასა და ბოროტი ძალების განეიტრალებაში მართლაც რომ არ ჰყავს ბადალი. ამაში თავადაც დარწმუნდებით, თუკი მას თქვენი პრობლემების მოგვარებას მიანდობთ.***

**– ქალბატონო ნინო, დღეს რას მოიცავს თქვენი ნათელხილვები?**

– 30 წელზე მეტია, ამ საქმეს ვემსახურები ყველა იმ პრობლემის მოგვარებას, რაც აწუხებთ ადამიანებს: ვმუშაობ ოჯახის აღდგენასა და დაკარგული პიროვნების დაბრუნებაზე, ჯადოს მოხსნაზე, ბედის გახსნაზე, ბარაქის მოზიდვასა და ეკონომიკურ პრობლემებზე; ვკურნავ სხვადასხვა სახის შიშებს. პროცედურები განსაკუთრებულად ეფექტურია იმ თილისმების მეშვეობით, რომლებსაც 16 კომპონენტის შემადგენლობით ვამზადებ. პროცედურის შემდეგ ადამიანის ბედი გახსნილია კეთილი მომავლისთვის. ვაკეთებ თილისმებს ბარაქასა და წარმატებებზე. ჩემი მუშაობის სტილი განსხვავებულია – მე მეხმარება სპეციალური ლიტერატურა, რომელიც სოფელ კაბალში მცხოვრებმა 81 წლის მაკაცამ გადმომცა თხოვნით, მისი გზა გამეგრძელებინა, რადგან, ეს ხილვაში ჰქონდა ნანახი. რამდენიმე წლის წინ მე მომიწია წასვლა საბერძნეთსა და მოსკოვში, სადაც ჩემი ძველი კლიენტების თხოვნითა და მიწვევით ჩავედი, რომლებსაც არაერთხელ გავუწიე დახმარება. დღეს მათთან მუშაობას ტელეფონით ვახერხებ.

**ლამზირა ლუაშვილი** *(63 წლის, თბილისი)* – ქალბატონ ნინოსთან შვილის მეგობრის წყალობით მოვხვდი. ღმერთმა დალოცოს ის გოგონა, რომ ეს ქალი გამაცნო. 44 წლის ვაჟი მყავს, ორი დიპლომი აქვს, მაგრამ, ვერ აიწყო ცხოვრება – უცოლოდ დამრჩა, სამსახურშიც არ გაუმართლა მაინცდამაინც. ქალბატონმა ნინომ ჩემი სატკივარი გულთან მიიტანა. ერთი თვე მოვდიოდი სეანსებზე და ჩვენს ცხოვრებაში სასწაული მოხდა. ჩემმა ბიჭმა ერთ-ერთ მეზობელთან მისი ნათესავი გაიცნო, მოეწონა და ორ თვეში დაქორწინდა. ისეთი რძალი შემომივიდა სახლში, მოყვარეს და მოკეთეს რომ ვუსურვებ. მადლობა, ქალბატონო ნინო!

**მალხაზ კეპულაძე** *(50 წლის, ბათუმი)* – ქალბატონ ნინოს პირველად საერთო ნაცნობების ოჯახში შევხვდი. ჩემი ბიზნესი გაკოტრების პირას იყო, რთულ მდგომარეობაში ვიყავი. მოგეხსენებათ, მამაკაცებს ასეთი რამეების არ გვჯერა, მაგრამ, ქალბატონ ნინოზე ისეთი საოცარი ისტორიები მითხრეს, ბოლო იმედს ჩავებღაუჭე. რამდენიმე სეანსის მერე ჯერ დეპრესია დავძლიე, მერე კი საქმეებიც ნელ-ნელა წავიდა წინ და ვალებიც მოვიშორე. მას შემდეგ აქ ხშირად მოვდივარ – ნინო ჩემი წარმატების თილისმაა!

**მარინა ხომერიკი** *(54 წლის, თბილისი)* – ჩვენი ოჯახი ბოლო წლებში ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდა – დიდ ვალებში ჩავცვივდით და ერთადერთი ბინა გავყიდეთ გასაყიდი. ქალბატონი ნინოს შესახებ ერთ-ერთი გადაცემიდან შევიტყვე და მასთან მოვედი. მისი თქმით, ყველაფრის მიზეზი საგვარეულო ჯადო იყო. თილისმები მომცა ოჯახის ყველა წევრისთვის. რამდენიმე თვეში ყველაფერი ისე აგვისრულდა, როგორც მითხრა: მეც მუშაობა დავიწყე, ჩემმა შვილმაც და ბინაც გადაგვირჩა გაყიდვას. ყველას ვურჩევ, დროულად მოაკითხონ ქალბატონ ნინოს, რადგან, მას თქვენი ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა ნამდვილად შეუძლია.

გსურთ, დაადგინოთ, რატომ არ გწყალობთ იღბალი? განიცდით თუ არა ბოროტი თვალის ან ჯადოს ზემოქმედებას? გაწუხებთ უბარაქობა? – დაუკავშირდით ნინო ვარსიმაშვილს, ის თქვენი პრობლემების დადგენასა და მათ გადაჭრაში დაგეხმარებათ.

***ქალბატონ ნინოსთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონებზე: 5 99 003-006; 597 82-68- 68 (ჩაწერა წინასწარ).***

**თამარ ჩხენკელი**

---

და სიმართლეს თვალს არ ვუსწორებთ. ყველა საშუალებით ვცდილობთ, შევინარჩუნოთ საყვარელი ადამიანი. ზოგჯერ საკმაოდ ცუდადაც ვიქცევით. არ ვუშვებთ კაცს ჩვენგან, როცა მას რეალურად, აღარ ვუნდივართ.

**– იქნებ, თქვენი მეუღლეც ასე ფიქრობს – „მიუხვედრელობით" ცდილობს თქვენს შენარჩუნებას.**

– ანუ, იმისი თქმა გინდათ, რომ ასე იქნება და ხმას საერთოდ არ ამოიღებს? საკმაოდ მძიმე პერსპექტივა დამისახეთ.

## აღარ მაქვს გრძნობა მის მიმართ და ძალიან შეწუხებული ვარ. არ მინდა, ვატყუებდე. ბუნებით წესიერი ადამიანი ვარ

გამოდის, მთელი ცხოვრება უნდა დავიტანჯო? მეცოდება საკუთარი თავი. საშინელებაა, როცა ერთი კაცის გვერდით წევხარ და მეორეზე ფიქრობ. ახლა მესმის იმ მამაკაცების, რომლებიც ორ ცეცხლს შუა იწვიან. უყვართ სხვა ქალი, უნდათ მასთან ყოფნა, მაგრამ ოჯახზეც მიჯაჭვულები არიან მთელი წუება ვალდებულებებით. მათაც, ალბათ, ისევე ეცოდებათ საკუთარი ცოლები, როგორც მე მეცოდება ჩემი ქმარი. სიბრალული კი, ვერასოდეს შეცვლის სიყვარულს.

**– გამოდის, შვებას იგრძნობთ, თუ თქვენი მეუღლე მიხვდება, რომ ღალატობთ?**

– არ ვღალატობ, ხომ გითხარით, ბუნებით წესიერი ადამიანი ვარ. ვერ დავუშვებ, რომ საყვარელი გავიჩინო. ძალიან ვებრძვი საკუთარ თავს.

**– ხვდებით მას?**

– დიახ. ეს გარდაუვალია გარემო პირობებიდან გამომდინარე. ორივე ძალიან ვიკავებთ თავს და არ ვიმჩნევთ სიყვარულს. საკმაოდ წესიერი, შეგნებული და ცივილიზებული ადამიანია. ესმის ჩემი და რაც მთავარია, მასაც ძალიან ვუყვარვარ.

**– იქნებ, მის მიმართაც თქვენი სიყვარული არ იყოს სტაბილური. ამაზე გიფიქრიათ? ხომ ამბობთ, რომ ქმარიც გიყვარდათ?**

– ეს აბსოლუტურად სხვა გრძნობაა. მე ვთქვი, რომ იმ გადაწყვეტილებაში, რომელიც ჩემს ქმარზე გათხოვებით მივიღე, სიყვარულიც იყო. თუმცა, არა დიდი დოზით. ახლა ეს გრძნობა უზარმაზარია.

**– ანუ, თქვენი ქმარი თავიდანვე ვერ მიხვდა, რატომ გაჰყევით ცოლად და შეცდა, როცა იფიქრა, რომ ძალიან გიყვარდათ?**

– შეიძლება. მას ვუყვარდი და მისთვის მხოლოდ ის იყო მნიშვნელოვანი, გვერდით ვყოლოდი... ფაქტია, რომ ახლა სხვა მიყვარს და არ ვიცი, ჩემი მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი როგორ მოვნახო.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ერთი... ორი... სამი... – მითხრა ჩემმა ქმარმა და მერე მომახალა; აღარ მიყვარხარ, მაგრამ, თუ გინდა, დარჩი და იცხოვრე. მაინც ჩემი შვილის დედა ხარ, სახლიდან არ გაგაგდებ, მაგრამ გაითვალისწინე, რომ სხვა ქალთან ვაპირებ რომანის გაბმას. ძალიან ადრე მოვიყვანე ცოლი და ბევრი სიამოვნება მოვიკელიო. მითხარით, რა უნდა გავაკეთო ახლა?**

**გამოხმაურება:** საკმაოდ რთული სიტუაცია გაქვთ. ჯერ ჰკითხეთ საკუთარ თავს – გიყვართ თქვენი ქმარი და გიღირთ, ბევრი უსიამოვნება აიტანოთ მის შესანარჩუნებლად? თუ ასეა, მაშინ მოთმინებით აღიჭურვეთ და გაუძელით. შეიძლება, ახლა ასეთი პერიოდი აქვს. მით უმეტეს, თუ ადრეულ ასაკში დაქორწინდით. ერთი სიტყვით, ჯერ არჩევანი გააკეთეთ – რჩებით მასთან თუ მიდიხართ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როგაქიძე**

**მომღერალი ეთერ ბერიაშვილი, თითქმის ოცი წელია, მოსკოვში ცხოვრობს, თუმცა, არც ქართული მენტალიტეტი შეუცვლია, არც მშობლიურ ენაზე მეტყველება უჭირს და, მიუხედავად დაძაბული პოლიტიკური ვითარებისა, არც ქართულად მღერას არიდებს თავს. ის ძალიან თბილი და კომუნიკაბელური ადამიანია და, როგორც თავად ამბობს, საქართველოში ჩამოსულს სულ სხვა, ამოუხსნელი გრძნობა ეუფლება, მსმენელიც სხვანაირად გემოვნებიანი ხვდება და სამშობლოში უფრო ღრმად და თავისუფლად სუნთქავს.**

# რატომ ეხსნება ეთერ ბერიაშვილს „მესამე ფილტვი" საქართველოში ჩამოსვლისას და როგორ დაიწყო ლაიმა ვაიკულეს, ლეონიდ აგუტინისა და მისი მეგობრობა მოსკოვში

**ეთერ ბერიაშვილი**: რომ გადავუფრენ კავკასიონის ქედს და ვხედავ მშობლიურ გარემოს, გული სხვანაირად მიცემს, ვხვდები, სახლში ვარ. თითქმის ოცი წელია, რუსეთში ვცხოვრობ, შევეჩვიე ამ ქვეყნის რიტმს, გარემოს, მაგრამ, როცა საქართველოში ჩამოვდივარ, თითქოს მესამე ფილტვი მეხსნება და სულ სხვანაირად, უფრო ღრმად და თავისუფლად ვსუნთქავ. სხვათა შორის, ახლახან ვიყავი თბილისში და დიდი შთაბეჭდილებებით დავბრუნდი მოსკოვში. კულტურისა და დიასპორის სამინისტროების მიწვევით გახლდით თბილისში ჩამოსული. 27 მაისი დიასპორის დღეა და ამის გამო დაიგეგმა დიასპორის წარმომადგენლების კონცერტი რუსთაველის თეატრის სცენაზე. ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ, ჩემი ოცნება თუ ამდენი წლის შემდეგ ახდებოდა და რუსთაველის სცენაზე დავდგებოდი, ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. უამრავ დიდ სცენაზე ვდგავარ და ვმღერი, მაგრამ, რუსთაველის თეატრის სცენას სხვა ხიბლი, მისტიკა და ენერგეტიკა აქვს. თან, გაიმართა ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, სამი ნახატი შევიძინე და მოსკოვში წამოვიღე. სხვათა შორის, აეროპორტში პრობლემა შეიქმნა – არ მატანდნენ. კიდევ კარგი, შემთხვევით, ჩემი მეგობარი, თეონა კონტრიძეც მოფრინავდა იმავე თვითმფრინავით, ბიზნესკლასის ბილეთი ჰქონდა და ის დამეხმარა.

**– უცხოეთში მოღვაწე ქართველი მომღერლები ამბობენ, რომ საქართველოში სულ სხვანაირად გემღერება, სულ სხვანაირად ცემს გული და მსმენელისგანაც სულ სხვანაირი ემოცია და აურა მოდისო.**

– ზუსტად ასეა! ქართველი მსმენელისგან მართლაც, სხვა ემოცია მოდის, გრძნობ, რომ გულით გისმენენ და გგულშემატკივრობენ. იცით, რა შევამჩნიე ამ ბოლო ჩამოსვლისას? ქართველი მაყურებელი გაიყო ორ ნაწილად: ერთი – ძალიან დახვეწილი, ინტელიგენტი, მომთხოვნი და გემოვნებიანია და, მეორე – დაბალი დონის, დამპი-დუმპის, რესტორნის რეპერტუარის მოყვარული.

**– რთულია, დააკმაყოფილო ყველას მუსიკალური გემოვნება. რუსეთის ბაზარი საკმაოდ დიდია, მას თავისი წესები აქვს და თავისი მსმენელი ჰყავს, რომელიც ან მიგიღებს, ან – არა. დღეს, ერთ-ერთ მოთხოვნად მომღერლად ითვლები და უამრავ კონცერტზე გიწვევენ. ეს ბედია, გამოცდილება თუ, უბრალოდ, რუსულ ბაზარზე მორგება?**

– მე რუსულ ბაზარს კი არა, რუსი ინტელიგენციის გემოვნებას მოვერგე და ეს, ალბათ, ბედისწერაცაა, გამოცდილებასთან და დიდ შრომასთან ერთად. თავიდან ვიყავი ლაიმა ვაიკულესა და ლეონიდ აგუტინის ბექ-ვოკალისტი და მათთან ერთად, ანუ, რუსული შოუ-ბიზნესის „მაზანზარებლებთან" ერთად ვიდექი სცენაზე. აგუტინი წერს მუსიკას, რომელიც მასებს ძალიან მოსწონთ, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ეს გემოვნებიანი მუსიკაა. მას თავისი, სწორი გათვლა აქვს როგორც მუსიკოსსა და შემსრულებელს. ის სიმღერა, რომელიც რუსულ „ვოისზე" უნდა მემღერა, პირველად ლეონიდ აგუტინს მოვასმენინე და მისი რჩევები და შენიშვნები გავითვალისწინე, რადგან, ვიცოდი მისი პროფესიონალური ხედვა, ვენდობოდი და ძალიან დადებითი შეფასებებიც მოჰყვა ჩემს გამოსვლას. სასწაული პროდიუსერი და წინდახედული მუსიკოსია – ზუსტად იცის, რომელ მომღერალს რომელი სიმღერა მოუხდება და როგორი არანჟირებით. ლაიმა ვაიკულესთანაც ძალიან კარგ დამოკიდებულებაში ვარ, დიდ პატივს მცემს. ბრწყინვალე ვოკალისტი ნამდვილად არ არის, მაგრამ, უცხო ტემბრის ხმა აქვს, სასწაული ქარიზმა გააჩნია და აფასებს ერთგულ ადამიანებს. ამის გამო მაფასებდა ზუსტად – ხედავდა, როგორი ერთგული ვიყავი.

**– ბექებში დგომაც არანაკლებ საპასუხისმგებლოა, არ მეთანხმები?**

– რასაკვირველია! როცა ბექებში ვიდექი, მომღერლის კეფას ვუყურებდი დაჟინებული მზერით და ამით ენერგიის ზღვას ვაწვდიდი სცენაზე. თან, ვმღეროდი და თან გულში ვიმეორებდი: აბა, შენ იცი, კარგად იმღერე, აბა, შენ გენაცვალე-მეთქი *(იცინის).* ასე რომ, კეფაზე დაჟინებული მზერით გადავცემდი ჩემს ენერგიას. ყველა მიყვარს, ვის ბექ-ვოკალშიც მიმღერია, მიხაილ შუფუტინსკიც კი. ბევრისგან მსმენია მათზე ცუდი და ვეუბნები: გაჩუმდით, როცა არ იცნობთ ადამიანს; არ იცით, როგორია და რა გემოვნება აქვს სცენის მიღმა, მას ნუ აკრიტიკებთ-მეთქი. ვხუმრობ ხოლმე – მე რუსი ვარსკვლავების უფასო ადვოკატი ვარ-მეთქი *(იცინის).*



ჯუზეპეს ასული ვარ და, მეხუმრებიან, ჯუზეპეს ქალიშვილს რომ არ ემღერა, სირცხვილიც იქნებოდაო

ლეონიდ აგუტინი რუსულ „ვოისზე" ჩემი მწვრთნელი იყო და მას ძალიან კარგად ვიცნობ, ერთად ბევრი გვიმუშავია და ვერავინ მასწავლის, როგორი ადამიანია.

**– ეთერ, შენი გვარი რუსეთში ცოტა რთულად გამოსათქმელი ხომ არ არის? არ გიფიქრია, ფსევდონიმის აღებაზე?**

– არასდროს მიფიქრია გვარისა და სახელის შეცვლაზე და ფსევდონიმის აღებაზე, რადგან, ჩემი სახელიც და გვარიც ძალიან მომწონს. მამის სახელი ხომ – საერთოდ.. ჯუზეპეს ასული ვარ *(იცინის).* მეხუმრებიან ხოლმე, ჯუზეპეს ქალიშვილს რომ არ ემღერა, სირცხვილიც იქნებოდაო *(იცინის).* სხვათა შორის, რუსული „ვოისის" მერე ერთი კურიოზი მოხდა. მოკლედ, ადრე ყველა მეკითხებოდა, ეთერი სადაური სახელიაო და მეც ვპასუხობდი, ქართული-მეთქი. ამ კონკურსის მერე კი ყველამ გამიცნო და დაიმახსოვრა ეს სახელი. ჩემი მეგობრის, ეთერ ბერიძის შვილი, დედის საკრედიტო ბარათით ასხამდა ყოველთვის საწვავს მანქანაში და არავინ დაინტერესებულა მისი სახელითა და გვარით. ერთ დღესაც, ბენზინგასამართ სადგურში მივიდა, დახედეს საკრედიტო ბარათს და უთხრეს: „მოლოდოი ჩელოვეკ, ეთერი – ეტო ჟენსკოე იმია, „გოლოს" ნადო სმოტრეტ" *(იცინის).* ქუჩაშიც ბევრი მცნობს და მეძახის – ეთეროო. იმხელა სითბოსა და სიყვარულს გამოხატავენ ჩემს მიმართ, ვერც კი გადმოვცემ. მე რუსეთის აუდიტორიამ ეთერ ბერიაშვილად გამოცნო, შემიყვარა და, რატომ უნდა შევიცვალო სახელი ან გვარი?! რუსეთში არც ყირაზე გადასვლაა საჭირო და არც ფსევდონიმების აღება – თუ მღერი და მოსწონთ, შენი მსმენელი ყოველთვის გეყოლება. ენერგია, რასაც სცენიდან გასცემ, გრძნობს აუდიტორია. მომღერალმა მარტო ყირაზე გადასვლა კი არა, ემოციების ხელით მართვა უნდა იცოდე და, თუ ეს არ იცი, მარტო მალაყები ვერაფერს გიშველის სცენაზე. საერთოდ დაბალი წნევა მაქვს და სცენაზე რომ ვდგები, წნევა მაღლა მიწევს *(იცინის)* და ეს რომ მაყურებელმა არ დაინახოს, შანსი არ არის. დიდხანს მივილტვოდი სცენისკენ, თავდაუზოგავად ვშრომობდი, რომ მომღერლად ჩამოვყალიბებულიყავი და მაინც ვერ ვიჯერებ, ასეთ კარგ სიტუაციაში რომ ვარ, ყოველდღე კონცერტი და უამრავი გასტროლი რომ მაქვს დაგეგმილი წინასწარ.

**– ვიცი, ბევრ ინსტრუმენტზე უკრავ. თუმცა, სცენაზე არასდროს დაგიკრავს. რატომ?**

– იმდენი პროფესიონალი ინსტრუმენტალისტი დგას სცენაზე, ცოტა მრცხვენია, მათ გვერდით მეც დავუკრა. თუმცა, კლავიშებზე დაკვრა მიწევს ხოლმე, ვიოლინოზე და გიტარაზე აკომპანემენტს კი სხვები მიწევენ და ამის საჭიროება არც არის. სხვათა შორის, სახლში რომ ვუკრავდი პიანინოზე, ერთი ჭიჭყინა მეზობელი მყავს და მითხრა: ძალიან ხმამაღალი ხარ, 10 საათზე ვიძინებ, დილით ადრე ვდგები და, იქნებ, თავი შეიკავო დაკვრისგანო. ეს მოვყევი მეგობრებთან და დაბადების დღეზე გიტარა მაჩუქეს. ასე რომ, გადაარჩინეს ჩემი ჭიჭყინა მეზობელი ჩემ გამო უძილობას *(იცინის).* ამას წინათ კი, ჩემს კონცერტზე სასწაულად უკრავდა ვიოლინოს, უნიჭიერესი, მსოფლიოში ცნობილი სომეხი მევიოლინე ელდორ აკოფიანი, რომელმაც უცბად ისე მომაჩეჩა ვიოლინო შუა სცენაზე, ვერ ვიუარე და გაუცნობიერებლად დავიწყე „თბილისოს" დაკვრა. რა ვიცი, ძალიან კი მოეწონა რუსულ მსმენელს *(იცინის).*

**– როგორც მივხვდი, დაძაბული პოლიტიკური ვითარება რუს მსმენელზე არ მოქმედებს და ისევ მოსწონთ კავკასიური სტილი და შესრულების მანერა.**

– გეთანხმებით, პოლიტიკური სიტუაცია არანაირად არ მოქმედებს მუსიკაზე. რუსებს ძალიან უყვართ კავკასიური შესრულება და სიმღერები, თუმცა, ამას თავისი მსმენელი ჰყავს და ვერ გეტყვით, ყველა უსმენს ქართულ სიმღერებს-მეთქი. ქართული სიმღერის შესრულება ბევრჯერ უთხოვიათ და არც არანაირი პრობლემა არ შემქმნია მოსკოვში იმის გამო, რომ ქართველი ვარ. პირიქით, ყველა პატივს მცემს და მეფერება, არა იმიტომ, რომ ქართველი ვარ, არამედ, იმისთვის, რომ გრძნობენ როგორი გულით ვმღერი და როგორ პატივს ვცემ დარბაზში მჯდომ საზოგადოებას. იცით, რაზე მწყდება გული? ჩემზე გაცილებით კარგი ქართველი მომღერლები მუშაობენ აქ რესტორნებში. ცრემლები მდის ხოლმე, ისეთი ლამაზი და ნიჭიერები არიან, მაგრამ მათ იცნობენ როგორც რესტორნის მომღერლებს. ვეუბნები: გადით, ხალხნო, კონკურსებზე, ფართო აუდიტორია გაგიცნობთ, თქვენნაირ შემსრულებლებს სანთლით ეძებენ და მეტად გაგეხსნებათ პოპულარობის გზა-მეთქი. მაგრამ, ეს მათი ნებაა და ამას ვერავის დააძალებ. დღეს ქუჩაში რომ ვხედავ ბანერებს, სადაც ჩემი სურათი და გვარი და სახელია, ლამის გული გამისკდეს. ეს ისეთი შერეული გრძნობაა, როცა ჩაისუნთქავ და ამოსუნთქვა აღარ გინდა. არც კი მჯერა ხოლმე, ამხელა რუსეთში ქართველი ეთერ ბერიაშვილი რომ ვარ „გამოკიდებული" ქუჩებში *(იცინის).*

**ნონა დათეშიძე**

**„TV 11-ზე" გადაცემა „სარჩევის" წამყვანი და ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?" ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი – 25 წლის სანდრო ლორთქიფანიძე მრავალმხრივ საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა. პრინციპში, სხვაგვარად არც ველოდი. თუ ვინ არის მისი შეყვარებული, რაში არ იზღუდავს თავს და როგორ დაიბადა გადაცემა, რომელიც მიჰყავს, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# რა აკავშირებს „X ფაქტორის" მონაწილე მებო ნუცუბიძეს და „TV 11-ის" წამყვან სანდრო ლორთქიფანიძეს ერთმანეთთან და რას აღიარებს ის

**სანდრო ლორთქიფანიძე**: ტელეკამერასთან მუშაობის გამოცდილება „TV 11-ში" მოსვლამდეც მქონდა. 2012 წელს ვმონაწილეობდი პროექტში „კვირის აზრები", ტელეკომპანია „მაესტროზე", სადაც ვიდეობლოკებს ვაკეთებდი. შემდეგ ერთი წლის განმავლობაში, ვიყავი „მეცხრე არხის" „დილის" წამყვანი. რაღაც პერიოდის წინ, „TV 11-ში" გაუჩნდათ იდეა, რომ შეექმნათ გადაცემა წიგნებზე, რომელიც იქნებოდა უბრალო ფორმატით – 10 წუთის განმავლობაში ადამიანი ისაუბრებდა წიგნებზე და ჩემდა საბედნიეროდ, მათ მე გავახსენდი. უნდა ვთქვა, რომ არ გამიჭირდა, რადგან ჩემთვის საყვარელი სფეროა წიგნები. შემიძლია, დაუსრულებლად ვილაპარაკო მათზე, პირიქით – 10 წუთში ჩატევა უფრო მიჭირს. ალბათ, აღიარებითი ჩვენება გამომივა, თუ ვიტყვი, რომ პილოტშიც და პირველ გადაცემებშიც, ბევრად უფრო შებოჭილი და დაკვირვებული ვიყავი რაღაც კონკრეტულ დეტალებზე, ვიდრე შემდეგ. მერე ეს ყველაფერი ორგანული გახდა.

– **თურმე, ერთზე მეტი დუბლი არ გჭირდებათ გადაცემის ჩასაწერად.**

– კი, ძირითადად, ასე ხდება ***(იცინის).*** საერთოდ ასეა, ალბათ, როცა საყვარელ საქმეს აკეთებ, თავისთავად გამოდის და ასეა, ჩემს შემთხვევაშიც.

– **მთლად ასე არაა, მაგრამ ამ სიტყვებით მივხვდი, რომ თავის ქება არ გიყვართ.**

– ჰო, რა ვიცი... ***(იცინის)*** ყოველ შემთხვევაში, დღეს ამ გადაცემის ჩაწერა ჩემთვის თავის ტკივილი არ არის პირიქით, სახალისო შემოქმედებითი პროცესია, რომელიც წყალივით მიდის.

– **თქვენი დამოკიდებულება წიგნებთან როდიდან იღებს სათავეს?**

– უცნაური თვისება მაქვს, რომ ბოლომდე მივიყვანო წიგნი, რომლის წაკითხვასაც ვიწყებ. თუ პირველივე გვერდზე არ მივატოვე, მაშინ ბოლომდე ვკითხულობ. თავიდანვე ასე ვიყავი. შეიძლება არ დამიჯერებთ, მაგრამ სწორედ ამ თვისების გამო, 8 წლისამ წავიკითხე მარქსის „კაპიტალი." დღემდე ვერ ვხსნი ამ მოვლენას ***(იცინის),*** უბრალოდ, რაღაც წიგნი ვიპოვე სახლის ბიბლიოთეკაში, წითელი იყო და ჩავთვალე, რომ საინტერესო იქნებოდა. მართალია, ნახევარი წიგნი ვერ გავიგე, თუმცა საინტერესოდ აქვს მარქსს აღწერილი რაღაც მაგალითებით და ამ მაგალითებს ამბებივით ვკითხულობდი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ფილოსოფიურად ვერაფერი გავიგე. ამ თვისების გამო, დღემდე ძალიან ბევრი ცუდი წიგნიც მაქვს წაკითხული, მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლომდე მივიყვანო.

– **მაგალითად?**

– დენ ბრაუნის „დავინჩის კოდი" არ მომწონს. თუნდაც, სტიგ ლარსონის „გოგონა, რომელიც ცეცხლს ეთამაშება".

– **საყვარელი ავტორი გყავთ?**

– ყველაზე დიდი შთაბეჭდილება კითხვისას, ჩემზე მოახდინა ჯორჯ ორველმა, წიგნით „1984". კიდევ აუცილებლად აღვნიშნავდი, ჯოან როულინგს და „ჰარი პოტერის" სერიას.

– **თქვენი ვერსიაც მოგვაწოდეთ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შევაყვაროთ ბავშვებს წიგნი.**

– მე ვფიქრობ, არ უნდა დავაძალოთ წაკითხვა. რაღაცნაირად უნდა დავანახვოთ ბავშვებს, რომ კითხვა სახალისო პროცესია. სულ ვაანალიზებ ჩემი ბავშვობის დამოკიდებულებებს. მახსოვს, როცა რამეს მაძალებდნენ, აპრიორი მძულდებოდა ის ყველაფერი, კარგიც რომ ყოფილიყო.

– **მაგალითად, რა შეგძულდათ?**

– ჩემდა სამწუხაროდ, ბალეტი.

– **პირად ცხოვრებაზე რას მიამბობთ?**

– დასაოჯახებელი ვარ. მყავს საყვარელი ადამიანიც, რომელსაც მიმაჩნია, რომ დავუკავშირებ ჩემს ცხოვრებას.

– **იგივე სფეროში მოღვაწეობს რომელშიც თქვენ?**

– არა, ის ფინანსისტია, მაგრამ წიგნები გვაერთიანებს – იმდენად უყვარს მას კითხვა, ისე ბევრი გვაქვს სალაპარაკო და ერთმანეთისთვის გასაცვლელი აზრები, რომ არასოდეს ვიწყენთ ერთმანეთთან. პროფესიულად სხვადასხვა მხარეს ვართ, მაგრამ ჩვენი ინტერესების კვეთა ძალიან ბევრ საკითხში ხდება.



**ანია ჩემი სიყვარულის ობიექტი. მე ვთამაშობ თამაშს: „რა? სად? როდის?", სადაც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი ვარ. ამ ნაკრებში ქალი მოთამაშე ანია**

– **მოდი, ცოტა ხნით წიგნებსა და მაღალ მატერიებზე საუბარს შევეშვათ და მელოდრამაზე გადავიდეთ. თქვენი სიყვარულის ობიექტზე ვილაპარაკოთ, რომლის სახელსაც არ ამხელთ.**

– ანია ჩემი სიყვარულის ობიექტი. მე ვთამაშობ თამაშს: „რა? სად? როდის?", სადაც ვარ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი. როგორც იცით, ამ თამაშში გუნდი 6 მონაწილისგან შედგება. ამ ნაკრებში გოგო მოთამაშე არის ანი. ჩვენ ერთმანეთი ამ თამაშის წყალობით გავიცანით. როცა ნაკრები შეიკრა, მაშინ 2013 წლის იანვარში, პირველი წინასათამაშო ვარჯიში გვქონდა და მე მივხვდი, რომ დაბნეული ვიყავი და აბსოლუტურად ვერ ვკაპიტნობდი. იმ მომენტში გავაცნობიერე, რომ რაღაც ხდებოდა ჩვენ შორის და ეს არ იყო უბრალოდ, მოთამაშეთა შორის არსებული ურთიერთგაგება. შემდეგ ეს ამბავი, ჩემდა საბედნიეროდ, ძალიან კარგად აეწყო, იმიტომ რომ, ანისგანაც წამოვიდა იგივე იმპულსი. კიდევ იმიტომ, რომ ამან არა თუ ხელი შეგვიშალა თამაშში, არამედ პირიქით – დაგვეხმარა. ბედნიერები ვართ ერთმანეთით.

– **ჩხუბობთ რამეზე? ძნელია შემორიგება?**

– არა, არ არის ძნელი შემორიგება. ძალიან უცნაურ რამეზე შეიძლება, დავიწყოთ კამათი. შეიძლება, ელემენტარულად, მისი საყვარელი ფილმი არ მომეწონოს. მე, ალბათ, ცოტა უხეში ვარ ასეთ დროს, რადგან კინოხელოვანი და მსახიობი ვარ. შეიძლება ვთქვა, რომ არ არის ეგ კინო! საშინელებაა! სისულელეა! მარაზმია!... ამაზე კი ის გაბრაზდეს. მე არ მგონია, რომ ვინმეს არ უწევდეს კამათი. ნებისიერი წყვილი კამათობს.

– **აბა, ისე, რა პეწი ექნებოდა შერიგებას...**

– პეწიანი შერიგება ხდება ისე, როგორც შეეფერებათ გადაცემის „რა? სად? როდის?" მოთამაშეებს ***(იცინის).*** მე მიმაჩნია, რომ ჩემი და ანის ურთიერთობა ძალიან ჰარმონიულია.

– **რომანტიკული ხართ?**

– ძალიან, ზედმეტად რომანტიკული ვარ და სენტიმენტალურიც, ხშირად ვტირი ხოლმე, მაგალითად ფილმების ყურებისას – ასევე, ანიც ***(იცინის).***

– **დგახართ და ორივე ცრემლებად იღვრებით?**

– ვქვითინებთ ***(იცინის).*** თუ სწორად მახსოვს, ბოლოს ერთად ვნახეთ კინოში და ძალიან მოგვეწონა ვეს ანდერსონის „სასტუმრო ბუდაპეშტი". შუქი რომ აინთო, კიდევ დიდხანს ვისხედით პარტერში თვალცრემლიანი.

– **რა რომანტიკული საქციელი ჩაგიდენიათ?**

– მე ლექსებსაც ვწერ და ამობობენ, რომ პოეტიც ვარ. აქედან გამომდინარე, ჩემი რომანტიზმი, ხშირ შემთხვევაში, შემოქმედებით გადაწყვეტილებას ჰპოვებს ხოლმე. ამ გაზაფხულზე ანის დაბადების დღეზე ვაჩუქე სიმღერა. უფრო ასეთი საჩუქრების გაკეთება მიყვარს. ზოგადად, მიყვარს, როცა ურთიერთობა არის ბუნებრივად შემოქმედებითი. ვცდილობ, არ ვაჩუქო საჩუქარი – საჩუქრისთვის. გარკვეული სიგიჟის ჩადენაც მიყვარს ურთიერთობაში და თავქარიანი ნაბიჯების გადადგმაც.

– **მუსიკალური ბავშვობაც გქონიათ?**

– მუსიკალური განათლებაც მაქვს და ძალიან მიყვარს მუსიკა. ვამბობ, ხოლმე: დასარტყამი ინსტრუმენტების გარდა ყველაფერზე ვუკრავ-მეთქი. მიყვარს სიმღერების წერა. მე და ჩემს მეგობარს, მებო ნუცუბიძეს გვაქვს საერთო მუსიკალური პროექტი – „12 ოქტომბერი" ჰქვია, რადგან ორივე ამ დღეს ვართ დაბადებულები. ამ პროექტის ფარგლებში ახლა რამდენიმე სიმღერას ვწერთ. დაინტერესებულებს შეუძლიათ, ჩვენი სიმღერები მოიძიონ ინტერნეტ სივრცეში.

– **როგორი ბავშვი იყავით?**

– არაპროგნოზირებადი ბავშვი ვიყავი. ხომ ხვდებით, რამდენ რამეს მივედ-მოვედები. პროფესიაზე ვთქვი, რომ მსახიობი და დრამატურგი ვარ, მერე თან დავაყოლე, რომ პოეტიც-მეთქი, ისიც აღვნიშნე, რომ მუსიკასაც ვწერ. მეგობრებმა ახალგაზრდობაში შემარქვეს ხვიარა. ხვიარა მცენარეების თვისებებიდან გამომდინარე. კედელზე რომ აუშვებ და მთელ კედელს იკავებს. ასეთი ვიყავი მართლა. დღესაც რომ მეკითხებიან: შენი ნება რომ იყოს, მსახიობობას გაჰყვებოდი თუ მწერლობასო, ვერ ვპასუხობ. იმიტომ რომ, არის დღეები, როცა ჩემს თავში მუსიკოსს ვპოულობ, არის დღეები, როცა – მსახიობს, არის დღეები, როცა – მწერალს და არც მიმაჩნია, რომ თავი უნდა შევიზღუდო. რატომაც არ უნდა ვაკეთო ის, რაც მომწონს?!

– **მით უმეტეს, თქვენს ასაკში.**

– მითუმეტეს ჩემს ასაკში, ნამდვილად ***(იცინის).***

**ეკა სალაღაია**

**„დიდი მამა იოანე კრონშტადტელი წერდა: „უდიდესია სიტყვა, ძეს ღვთისას სიტყვა ეწოდა“. ჩვენ მიერ წარმოთქმული არც ერთი სიტყვა არ იკარგება, არამედ, რჩება. ჯოჯოხეთი არსებობს არა მხოლოდ იმქვეყნად, სადაც ცოდვილები იტანჯებიან, არამედ, ამქვეყნადაც არსებობს ჯოჯხეთის ძალა, ხოლო ჯოჯოხეთი სოფელში არის ბოროტების საშინელი, უხილავი საუფლო. არც ერთი ტყუილი, პირმოთნე ნათქვამი, რომელსაც ადამიანის ენა წარმოთქვამს, უკვალოდ არ იკარგება და ბოროტების უხილავ საუფლოში ინახება. სწორედ ჩვენი ცოდვები, სიცრუე გროვდება და, საბოლოოდ, გადაიქცევა დამანგრეველ ძალად და ენერგიად, რომელიც შემდეგში თავს დაგვატყდება სხვადასხვა გამოცდის სახით...“ ამ ცოდვას კი ხშირად ჩვენ მიერ წარმოთქმული ცრუ სიტყვები, დაპირებები, პირფერობა იწვევს, რომელიც ხშირად მრისხანების ცოდვაშიც გადაიზრდება. როგორ ვებრძოლოთ ამ ვნებებს, როდის იჩენს ის თავს ყველაზე ხშირად – ამის შესახებ გვესაუბრება ნარიყალის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# რომელია დღეს გავრცელებული ყველაზე მძიმე ცოდვები, რომლებიც ადამიანის სულს დაღუპვას უქადის და რა სასჯელს იღებს ის სიცრუისთვის

– სიცრუის ცოდვის შესახებ წმიდა მამები შემდეგს გვასწავლიან: „გონიერთაგან არავინ ჩათვლის სიცრუეს მცირე ცოდვად, რადგან, არ არსებობს ცოდვა, რომლის წინააღმდეგაც ყოვლადწმიდა სული ისეთ სასტიკ სიტყვებს ამბობდეს, როგორსაც სიცრუის შესახებ გვეუბნება: „რომელი იტყუდეს სიცრუესა, არა წარემართოს წინაშე თვალთა ჩემთა“. ისრაელის დიდი მეფე, ფსალმუნთმგალობელი დავითი, შემდეგს ბრძანებს: „წარსწყმიდენენ შენ ყოველნი, რომელნი იტყუენ სიცრუესა“. უფრო მეტიც, პავლე მოციქული გარკვევით ამბობს: „ვინც ცრუობს, მამამისი არის ეშმაკი, რამეთუ პირველმა მან იცრუა“. თანამედროვე ადამიანის ერთ-ერთი დანაშაული ის არის, რომ მათ დაივიწყეს ადამიანის ღმერთთან მსგავსება, დაივიწყეს ადამიანის პატივისცემა. ისინი ხშირად სხვა ადამიანებს აღიქვამენ როგორც უბრალო ნივთს და ამიტომაც ასე გაუუცხოვდნენ თვით უახლოესი ნათესავები ერთმანეთს. გაუცხოება, სიცივე ადამიანებს შორის – ჩვენი დროის უბედურება და სენია. ადამიანი თითქოს ებრძვის ყველას, ყველა კი თითქოს მის წინააღმდეგაა მიმართული და, როგორც ომშია აუცილებელი ეშმაკობა და შენიღბვა, ასეა ჩვენს ცხოვრებაშიც – გაუთავებელი სიცრუე და გაუთავებელი პირფერობა. ტყუილი კი, როგორც მამები გვასწავლიან, აშრობს ადამიანის გულს და საბოლოოდ ქვად აქცევს მას.

**– ალბათ, დღეს იშვიათია ადამიანი, რომელიც მეორე ადამიანს არ ეპირფერება, არ ცდილობს, ტყუილი ემოციებით, პირმოთნე სიტყვებით არ მოიპოვოს მისი კეთილგანწყობა და ამით მიაღწიოს იმას, რაც თავად სურს. ესეც ცოდვად მიიჩნევა?**

– ორივე ცოდვაა და, შეიძლება ითქვას, რომ ეს ცოდვები ერთმანეთის უახლოესი ნათესავები არიან. თანამედროვე ადამიანი მიეჩვია, ატაროს ნიღაბი. მაგალითად, სამსახურში ვხვდებით უფროსს და მაშინვე აღტაცებული გამომეტყველება და პირმოთნე ღიმილი გვიჩნდება სახეზე, მაგრამ, როგორც კი ის თვალს მიეფარება, მაშინვე ვიწყებთ მასზე რაიმე ბინძური ჭორის შეთხზვას, ან ცუდი რაღაცის თქმას, ცხადია, ჩვენისთანა პირმოთნე ადამიანებთან ერთად. მაშინ კი, როცა ჩვენს ხელქვეითებს ვხვდებით, სახე უფრო მედიდური გვიხდება, თითქოს ყველა სიკეთეს ვფლობთ და ზეადამიანები ვიყოთ. ან, როდესაც ვინმე გვჭირდება, მას ალერსიანად შევციცინებთ თვალებში, პირმოთნედ ველაპარაკებით, მაგრამ, როცა უკვე მათ უჩნდებათ ჩვენ მიმართ სათხოვარი, თვალს ვარიდებთ და, თუ ამას ვერ ვახერხებთ, ისე შევცქერით, როგორც მოსისხლე მტერს. თუმცა საკმარისია, ვინმემ მხდალი, ფარისეველი, თვალთმაქცი გვიწოდოს, რომ მაშინვე შეურაცხყოფილად ვგრძნობთ თავს და ვერ გაგვიგია, რას ითხოვს ეს ადამიანი ჩვენგან. მინდა, გახსოვდეთ, რომ სიტყვა და საუბარი განასხვავებს ადამიანს სხვა არსებებისგან. წმიდა მამები ხშირად მოიხსენიებდნენ ადამიანს „სიტყვიერ არსებად.“ სიტყვით ის მიმართავს ღმერთს და ეს სიტყვა არის მისი ღირსება და უპირატესობა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ პირუტყვმა აჯობა ადამიანს, რადგან, ჩვენ ვცრუობთ და ვპირფერობთ, იაკობ მოციქულმა ისიც თქვა: „ვინც სიტყვით არ ცდება, სრულყოფილი ადამიანია“. იმისთვის, რომ ადამიანი ჭეშმარიტი ღვთისმოსავი, მორწმუნე გახდეს, საკუთარ თავზე სიმართლის თქმა და მოსმენა უნდა ისწავლოს. წმიდა მამები გვასწავლიან, რომ, როგორც დამბლადაცმული ავადმყოფი დიდი ძალისხმევით, ტკივილით აკეთებს თითოეულ მოძრაობას, დგამს თითოეულ ნაბიჯს, ასევე ჩვენც, სულიერად დადამბლავებულებმა, ძალდატანებით უნდა ვისწავლოთ საკუთარ თავზე სიმართლის ლაპარაკი. უფრო კონკრეტულად ამას მამათა სწავლების დახმარებით აგიხსნით: „როგორც ყველა ვნებაში, ასევე სიცრუეშიც, სხვადასხვა სიმძიმის ბოროტება არსებობს, რადგან, სხვადასხვაგვარად განისჯება ის, ვინც სასჯელის შიშით ცრუობს და, ის, რომელიც უმიზეზოდ ტყუის. ერთი მხიარულებისთვის ტყუის, რომ გარშემო მყოფნი გააცინოს; ზოგიერთი კი სულაც, იმისთვის, რომ მოყვარეს მახე დაუგოს და ბოროტს მიაგოს“. სულიერი მოძღვრის მიერ დადებული შესაბამისი სასჯელი, ანუ ეპიტიმია, განდევნის სიცრუეს, ხოლო სინანული, ცრემლის სიმრავლე, სრულად კლავს მას. ამიტომ, სასჯელის მიღებამდე, აჯობებს, განვერიდოთ ამ, ერთი შეხედვით, „უწყინარ ცოდვას“.



**საკმარისია, ვინმემ მხდალი, ფარისეველი, თვალთმაქცი გვიწოდოს, რომ მაშინვე თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობთ და ვერ გაგვიგია, რას ითხოვს ის ჩვენგან**

**– სიცრუის ცოდვას ხშირად მოჰყვება მრისხანების ცოდვა, რომელიც ადამიანს კიდევ უფრო მძიმე ცოდვებში აგდებს.**

– მრისხანება რამდენიმე სახედ იყოფა: პირველი – ეს არის მძვინვარება, დაუოკებელი მრისხანება, რომელიც ისე იპყრობს ადამიანს, რომ ის შეშლილივით იქცევა. მრისხანების მეორე სახეა ღვარძლი, როცა ადამიანი დიდხანს ვერ ივიწყებს წყენას. ეს მრისხანების ყველაზე საშინელი და საშიში ფორმაა. ამ ვნების ერთი ფორმაა სიძულვილი, ასევე წყენა, ეჭვიანობა. ასეთ ადამიანს ჰგონია, რომ მისი არაფერი მოსწონთ, ყველა სიტყვაში განკითხვასა და დაცინვას ხედავს. ყოველგვარი მრისხანების მთავარი მიზეზი, თუკი საფუძვლიანად გავაანალიზებთ, ის არის, რომ საკუთარ თავს არ ვადანაშაულებთ (ამბა დოროთე). რაც მთავარია, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მრისხანება, უპირველეს ყოვლისა, სიმშვიდეს გაგვაშორებს, არადა, ადამიანები ყველაზე მეტად ამქვეყანდ სიმშვიდეს ვეძებთ. „სიმშვიდე სიფრთხილესთან შერწყმით, ისეთი განწყობაა სულის, რომელსაც არაფერი და არავინ არ გაალიზიანებს“, – ბრძანებს ღირსი მამა ფილარეტ მოსკოველი. თანამედროვე ადამიანის სულში კი მუდმივი გალიზიანება ბუდობს, გვალიზიანებს ყველა და ყველაფერი, ჩვენი გული მოცულია შფოთვით, თანაც, ჩვენი მრისხანება სამართლიანი გვგონია. თუმცა, ხშირად არის შემთხვევა, როდესაც ადამიანი არ კამათობს, არ ყვირის, მაგრამ, შეიძლება, მას გულში ედოს მრისხანება. ყველა მდუმარე როდია მშვიდი. მაგრამ, უფალი ხედავს კაცის თვალთაგან დაფარულ, ჩვენს გულში ჩადებულ მრისხანებას.

**– ადამიანები ხშირად სხვის მხილებას, მათთვის მითითებების მიცემას სწორად მიიჩნევენ, არადა, ეს ხშირად, საბოლოოდ, ორივე მხარეს მრისხანების ვნებაში აგდებს.**

– ადამიანს არ აქვს უფლება, ყველა ამხილოს. მხილება მაშინ უნდა მოხდეს, როცა გვაქვს ჭეშმარიტი სიყვარული და სიბრალული ცოდვაში მყოფის მიმართ. დღეს კი ყველაფერი პირიქით ხდება – სხვისი დაცემა კი არ გვწყინას, არამედ, გვიხარია; ერთმანეთში გვაქვს არეული ცოდვა, სათნოება, განკითხვა და მხილება. იმისთვის, რომ სხვა ვამხილოთ, თავად უნდა ვიყოთ თავმდაბლები, სათნოებათა აღმსრულებელნი. რაც მთავარია, ადამიანის შეფასებისას არ უნდა ვიყოთ ძალიან მკაცრები, რადგან, უფალი გვეუბნება, რა საზომითაც განიკითხავთ, იმავე საზომით განიკითხებითო. არასდროს არ უნდა განვრისხდეთ, როცა პირიქით, ჩვენ გვამხილებენ. ბიბლია გვასწავლის: თუ ამხელ უგუნურს, შეიძენ მტერს, ამხილე ბრძენი და შეიძენ მეგობარსო. თუ გვინდა, რომ მრისხანების ცოდვას შევებრძოლოთ, უნდა ვიყოთ თავმდაბლები; ყოველგვარ წყენას, გულისწყრომას თავმდაბლობით უნდა შევხვდეთ, სიმშვიდითა და სიმდაბლით უნდა მივიღოთ. წმიდა იოანე კიბისაღმწერელი გვირჩევს: „უპირველეს ყოვლისა, როცა ჩვენს გულში დუღს ცოდვა, არ არის საჭირო მასზე ლაპარაკი, აუცილებელია მისი თავიდანვე მოშთობა“. თუკი სულიწმიდა არის სიმშვიდე გულისა, ხოლო მრისხანება – აღშფოთება გულისა, არაფერი ისე არ დააბრკოლებს ჩვენს არსებაში სულიწმიდის დამკვიდრებას, როგორც მრისხანება. მრისხანების დროს მამები გვირჩევენ, გავიხსენოთ მათი ღირსებები, ვისაც ვურისხდებით; გავიხსენოთ ჩვენ მიმართ მათი კეთილგანწყობა, მათ მიერ ჩადენილი კეთილი საქმეები, რაც მთავარია, უნდა გავიხსენოთ საკუთარი ცოდვები და მაშინ ჩვენი მრისხანებაც დაცხრება. წმიდა მამები გვირჩევენ, ვიდრე რამეს ვიტყოდეთ, გონებაში რამდენჯერმე წარმოვთქვათ ლოცვა და, თუ მაინც ვერ შევძლებთ გაჩუმებას, დაცხრომას მრისხანებისა, მაშინ იესოს ლოცვა რამდენჯერმე უნდა გავიმეოროთ გულში და მხოლოდ ამის შემდეგ ვუპასუხოთ სხვას. მრისხანებაზე გამარჯვება, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ენის დამორჩილებას ნიშნავს. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია ადამიანს, შეებრძოლოს საკუთარ თავში დაბუდებულ მრისხანე აზრებს.

**ნათია უტიაშვილი**

# სასწაული დოქიარის მონასტერში

ნიკიფორე მესამე ბოტანიატის მეფობის წლებში (1078-1081) წმიდა მთაზე, პატარა ადგილ დაფნიში მოღვაწეობდა ბერი ექვთიმე, რამდენიმე ძმასთან ერთად. სარკინოზების თავდასხმის შემდეგ, მათ დაფნის დატოვება მოუხდათ და იმ ადგილას დასახლდნენ, სადაც დღეს ამ ბერების მიერ დაარსებული დოქიარის მონასტერია.

ექვთიმეს შემდეგ იღუმენი გახდა მისი ძმისწული ნეოფიტე, რომელმაც მონასტერს უზარმაზარი ქონება გადასცა.

ფული ტაძრის, გარშემო ქვის გალავნისა და კოშკის ასაშენებლად გამოიყენეს, მაგრამ ტაძრის მოსახატად ფული აღარ ეყოთ. ამან ძლიერ დაამწუხრა ნეოფიტე და ღმერთს სთხოვა შემწეობა. ყოვლად მოწყალე უფალმა ასკეტს ასეთი სასწაულით უპასუხა.

წმიდა მთიდან 60 მილში, კუნძულ ლონგოსზე მონასტერს პატარა ეზო ჰქონდა. მის ახლოს მდებარეობდა ძველი კოლონა, რომელზეც ძლივს გაირჩეოდა წარწერა: „ვინც თავში ჩამარტყამს, უამრავ ოქროს მოიპოვებს“. ბევრი ცდილობდა, მისგან ოქროს მოპოვებას, მის წვერს ქვებს ესროდნენ, მაგრამ უშედეგოდ.

ერთ 12 წლის ბიჭს, რომელიც მონასტრის ეზოში მუშაობდა, აზრად მოუვიდა, ამოეთხარა იმ ადგილას, სადაც წვერის ჩრდილი ეცემოდა მზის ამოსვლის დროს. ხანმოკლე შრომის შემდეგ ახალგაზრდა მარმარილოს ფილას წააწყდა, რომლის ქვეშაც დიდი ჭურჭელი აღმოაჩინა პირამდე სავსე ოქროთი. მან ძლიერ გაიხარა თავისი აღმოჩენით და მონასტერში გაიქცა.

– ხუცესო, – დარწმუნებით უთხრა მან იღუმენ ნეოფიტეს, – მე ჩვენს ჭიშკართან სიმდიდრე ვიპოვე! აკურთხე ბერები, რათა ის ჩვენს მონასტერში გადმოიტანონ.

იღუმენმა მას სამი ბერი გააყოლა, რომლებმაც ბიჭის ხელმძღვანელობით, ამოიღეს სკივრი თავისი მარმარილოს ფილიანად. მათ ყველაფერი ნავში ჩატვირთეს და მონასტრისკენ გაემართნენ. მაგრამ, კაბოსნებმა ცდუნებას ვერ გაუძლეს, დიდხანს არ უფიქრიათ, გადაწყვიტეს, ბიჭი წყალში გადაეგდოთ და ოქრო მიეთვისებინათ. როდესაც შებინდდა, ბერებმა ბიჭს ყელზე მარმარილოს ფილა შეაბეს და ნავიდან გადააგდეს. ღვთისმოშიშმა ყმაწვილმა ძლივს მოასწრო დაეყვირა:

– წმიდა მთვარანგელოზებო, მიხსენით!

იმავე წამს ზღვაზე ოქროს ფრთებიანი მთავარანგელოზები – მიქაელი და გაბრიელი გამოჩნდნენ. მათ დასახრჩობად განწირული ზღვის ტალღებიდან აიტაცეს და თვალის დახამხამებაში დოქიარის მონასტერში გადაიყვანეს. ბოროტმოქმედებმა ოქრო გაინაწილეს და დამალეს, თვითონ კი ახლომდებარე გემთსაშენისკენ გაემართნენ. ეკლესიაში სასწაულებრივად მოხვედრილ შეშინებულსა და გაყინულ ბიჭს ჩაეძინა. როდესაც ძმები დილის ლოცვაზე მოიხმეს, ტაძარში მორჩილების მქონე ბერმა ტაძარი გახსნა და მძინარე ბიჭი მოჩვენება ეგონა. იგი ძლიერ შეშინდა და იღუმენთან გაიქცა.

– ხუცესო, ეკლესიაში მოჩვენება დავინახე და შესვლის მეშინია, – უთხრა უწყინარმა ბერმა.

– ნუ გეშინია, – უპასუხა იღუმენმა, – პირჯვარი გადაიწერე და თამამად შედი.

ბერმა მეორედ სცადა, მაგრამ ბიჭი ჯვრის გარდასახვის შემდეგ არ ქრებოდა. ბერს ისე ეშინოდა ტაძარში შესვლის, რომ იღუმენს დაუძახა. ძახილზე მოსულმა ნეოფიტემ თავისი მუშა იცნო, რომელსაც მარმარილოს ფილით ყელზე პირდაპირ იატაკზე ეძინა. ხუცესმა იატაკზე დააკაკუნა და ბიჭს გაეღვიძა.

– სად ვარ? – იკითხა საბრალომ, – ალბათ, ზღვის ფსკერზე, სადაც ბერებმა გადამაგდეს...

– არ იცი, სად ხარ? მონასტერში ხარ, ღვთის ტაძარში. მე იღუმენი ნეოფიტე ვარ. მითხარი, როგორ აღმოჩნდი აქ?

ბიჭი ცოტა ხანს გონზე მოსვლას მოუნდა, შემდეგ კი დაწვრილებით უამბო ყოველივე, რაც შეემთხვა. მალე იღუმენი შეხვდა ბოროტმოქმედებს და ჰკითხა:

– მამებო, სად არის სიმდიდრე?

– ოჰ, – ხელი ჩაიქნიეს მათ, – ეს ყველაფერი გამონაგონი იყო, ბიჭმა მოგვატყუა. ჩვენ ვეჩხუბეთ და ის გაიქცა.

– კარგი, ტაძარში წავიდეთ და ღმერთს მადლობა შევწიროთ.

ტაძარში შესულებმა უკიდურესი განცვიფრებით აღმოაჩინეს, რომ ბიჭი იქ იყო და მოულოდნელობისგან მეტყველების უნარი წაერთვათ. იღუმენი დაემუქრა მათ და დამალული სიმდიდრე მოატანინა. ასეთი ბროტმოქმედებისთვის ისინი მონასტრიდან გააძევეს, ბიჭი კი იღუმენმა ბერად აღკვეცა. ტაძარი მოიხატა და იკურთხა წმიდა მთავარანგელოზთა – მიქაელისა და გაბრიელის სახელზე.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: შეიძლება თუ არა მოუნათლავმა ადამიანმა გადაიწეროს პირჯვარი?**

**პასუხი:** პირჯვრის გადაწერის უფლება მოუნათლავ ადამიანს აქვს. ასევე, მას შეუძლია დაესწროს წირვა-ლოცვის იმ ნაწილს, რომელსაც „კათაკმეველთა ლიტურგია“ ეწოდება (კათაკმეველი ნიშნავს მოუნათლავს).

**კითხვა: შეიძლება თუ არა ორსული ქალის მონათვლა და მონათვლის შემთხვევაში ნათლობა გადადის თუ არა ნაყოფზეც?**

**პასუხი:** ორსული ქალის ნათლობა, რა თქმა უნდა, შეიძლება. რაც შეეხება იმას, გადადის თუ არა ნათლობა ნაყოფზე – ინათლება მხოლოდ დედა და არა მისი ნაყოფი.



**კითხვა: როგორ უყურებს ეკლესია მოსვირინგებას? ცოდვას ხომ არ ჩავიდენთ ტატუს გაკეთებით?**

**პასუხი:** ქრისტიანობა მოსვირინგებას უარყოფითად უყურებს. ადამიანის სხეული ღვთიური ქმნილება და სულის ტაძარია. ამიტომ მას გაფრთხილება სჭირდება. სვირინგი გავრცელებული იყო ველურ წარმართებში და მათ წეს-ჩვეულებებს უკავშირდებოდა.

**კითხვა: როგორ ვევედროთ უფალს ჩვენი სანუკვარი სურვილის ასრულება?**

**პასუხი:** თუ თქვენი თხოვნა უფლისთვის სათნოა და მთელი გულით სთხოვთ, აუცილებლად მიიღებთ ღვთის შეწევნას. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ ჩვენი სურვილები არ იყოს ცხონების საწინააღმდეგო. უფალს ისეთი რამ არ უნდა ვთხოვოთ, რაც ჩვენთვისვე საზიანოა და ჩვენს სულს სარგებლობას არ მიუტანს.

**კითხვა: როგორ მოვიქცე, რომ ბოროტის მოქმედებისგან დავიცვა თავი?**

**პასუხი:** წაიკითხეთ 90-ე ფსალმუნი და არ დაკარგოთ უფლის რწმენა.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## ოჯახური სათნოება ღვთისთვის მეტად საამოა

ერთხელ ღირსი მაკარი ეგვიპტელი მომეტებულად გულმოდგინედ ლოცულობდა. ამ დროს ზეციდან მოესმა ხმა: „შენ ჯერ კიდე ვერ მიემსგავსე ორ დედაკაცს, რომელნიც მახლობელ ქალაქში ცხოვრობენ. მაკარს გაუკვირდა ეს სიტყვები და მოინდომა მათი ცხოვრების გაგება. ბერი წავიდა ქალაქში და მოძებნა სახლი, რომელშიც ის ორი დედაკაცი ცხოვრობდა და კარებზე დააკაკუნა. კარი გაიღო, გამოეგება მას დედაკაცი და სიხარულით შეიყვანა ოთახში, სადაც მას მეორე დედაკაცი მიეგება. მაშინ მაკარმა უთხრა მათ: „მხოლოდ თქვენი გულისთვის მივიღე მე ჩემს თავზე დიდი შრომა. მე მოვედი შორეული უდაბნოდან, რომ შევიტყო თქვენი საქმენი, დაუფარავად აღიარეთ ყოველივე ჩემ წინაშე“. დედაკაცებმა ქალწულებრივი მორცხვობით მიუგეს: „კაცო ღვთისაო! განა შეიძლება, რაიმე ღვთის სათნო საქმე მოეთხოვოს იმას, ვინც მუდამდროს ოჯახის მზრუნველობაში არის გართული და უნდა აღასრულოს მეუღლის მოვალეობა?“ მაგრამ წმიდა მაკარი დაჟინებით სთხოვდა, რომ განუცხადონ მას, როგორ ატარებენ ისინი თავიანთ ცხოვრებას. მაშინ მადლიანმა დედაკაცებმა თავმდაბლად უთხრეს მას: „ჩვენ ორნი რძლები ვართ, მეუღლენი ღვიძლი ძმებისა; თხუთმეტი წელიწადია, ერთად ვცხოვრობთ და ამდენ ხანს ერთი საწყენი სიტყვა არ გაგვიგონია ერთიმეორისაგან; შვილები არ გვყავს და თუ უფალმა მოგვანიჭა ისინი, პირველი ჩვენი ზრუნვა იქნება ღვთის ვედრება, რომ ღმერთი შეგვეწიოს, აღვზარდოთ ისინი მორწმუნენი და კეთილმოქმედნი; მოსამსახურეებს ვეპყრობით თავაზიანად; ბევრჯერ მოვინდომეთ მონაზვნად შედგომა, მაგრამ მეუღლეებიდან ნებართვა ვერ გამოვითხოვეთ; ვგრძნობთ რა ჩვენდამი მათ სიყვარულს, გადავწყვიტეთ, მათთან დარჩენა მათდა სანუგეშოდ; ხოლო ჩვენი ცხოვრება ცოტათი მაინც რომ მიემსგავსოს წმიდა მეუდაბნოე დედათა ცხოვრებას, გულში გადავწყვიტეთ, ვერიდოთ ჭორებს და ყოველივე ცუდუბრალო საუბრებს, უფრო ხშირად ვიმყოფებოდეთ შინ და ვუვლიდეთ ოჯახს.“

მოისმინა რა ესე, მაკარიმ სთქვა: „ჭეშმარიტად ღმერთი მას კი არ უცქერს, ქალწულია ვინმე თუ შეუღვლილი, ბერია თუ ერი, არამედ ეძებს მხოლოდ გულით კეთილი საქმეების მიმდევარს. და კეთილი საქმეების ეგეთ მიმდევარს უფალი შეიწყნარებს, მოხედავს მას და მოუვლენს სულიწმიდას, რომელიც ამოქმედებს და მართავს ცხოვრებას თითოეულ კაცისას, რომელსაც კი უნდა ცხოვნება“. ეს მაგალითი, ძმანო ქრისტიანენო, ცხადად გვიჩვენებს, რომ ცხოვნება შეუძლია ყოველ ქრისტიანს, ბერია ის, თუ ერი, შეუღლებული არის თუ ქალწული. მხოლოდ კაცს უნდა ჰქონდეს გული კეთილი, ჭეშმარიტი სარწმუნოება და ასრულებდეს კეთილ საქმეებს.

„რომელმან ჰპოოს ცოლი კეთილი, უპოვნიეს მადლი, ხოლო მიუღებიეს სიწყნარე უფლისა მიერ (იგავ. 18,22)“ „დედა-კაცისა კეთილისა სანატრელ არს ქმარი, და რიცხვი დღეთა მისთა მრჩობელ კეც. დედა-კაცი კეთილი ახარებს ქმარსა თვისსა და წელთა მისთა აღავსებს მშვიდობითა. დედა-კაცი კეთილი ნაწილი კეთილისა, წილსა შინა მოშიშსა უფლისა მიეცეს (ზირაქ. 26, 1-3)“.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# ზლატან იბრაჰიმოვიჩი – მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის მთავარი დანაკლისი

*მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატი შვედეთის ნაკრების გარეშე მიმდინარეობს და ბრაზილიურ მოედნებზე ნამდვილად იგრძნობა თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელის, ზლატან იბრაჰიმოვიჩის არყოფნა, ფეხბურთელის, რომელმაც თავად განაცხადა, რომ მის გარეშე მუნდიალი აღარ არის საინტერესო.*



* იბრაჰიმოვიჩების მრავალშვილიანი ოჯახი მალმეს რუსენგორდის უბანში ცხოვრობდა, სადაც არაერთი ბალკანელი ემიგრანტი ოჯახი იყო დასახლებული. მათ საკუთარი საფეხბურთო კლუბი, სახელწოდებით „ბალკანიც" კი ჰქონდათ ჩამოყალიბებული და სწორედ იქ დაიწყო პატარა ზლატანის საფეხბურთო კარიერა. გარდა ამისა, ფეხბურთის პარალელურად, ზლატანი კორეული საბრძოლო ხელოვნებით, კერძოდ, ტაექვანდოთი იყო გატაცებული, რომელშიც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და ამ ხელოვნებამ მის საფეხბურთო ფილოსოფიაზეც იქონია დიდი გავლენა.

* 12 წლის ასაკში ზლატანით მალმეს მთავარი გუნდი, იმავე სახელწოდების საფეხბურთო კლუბი „მალმე" დაინტერესდა, 1999 წელს კი იბრაჰიმოვიჩის პროფესიული დებიუტი შედგა დიდ ფეხბურთში. საინტერესოა, რომ, პირველმა, ვინც თვალი დაადგა ნიჭიერ ზლატანს, ლონდონის „არსენალის" მწვრთნელი არსენ ვენგერი იყო, რომელიც პირადად არაერთხელ ესაუბრა 18 წლის ზლატანს, თუმცა მისგან თანხმობა არ მიუღია. „აიაქსში" გატარებულმა სამმა წელმა იბრაჰიმოვიჩს ჩემპიონის ორი ტიტული, ერთი თასი და მსოფლიო დონის გოლეადორის ტიტული მოუტანა; გარდა ამისა, ზლატანის ტალანტი სამშობლოშიც დააფასეს და ის ეროვნული ნაკრების უცვლელი წევრი გახდა.

* მომავალი მეუღლე, შვედი მოდელი ჰელენა სეგერი, ზლატანმა ამსტერდამში გაიცნო, რომელმაც ზლატანს ორი ვაჟი აჩუქა. სხვათა შორის, ჭკვიანმა ჰელენამ ფეხბურთელის ცეცხლოვანი ტემპერამენტის დაოკება მოახერხა და, ერთ დროს წვეულებებისა და ღრეობების მოყვარული ზლატანი სამაგალითო მეოჯახედ და მოსიყვარულე მეუღლედ აქცია.

* საფეხბურთო ოსტატობის გარდა, ზლატან იბრაჰიმოვიჩი სხეულზე არსებული 11 ტატუირებითაც არის ცნობილი, რომელთა უმეტესობა მის ოჯახთან არის დაკავშირებული: მშობლებისა და მეუღლის, დების, ძმებისა და შვილების სახელები და დაბადების თარიღები, რომლებსაც „იბრაჰიმოვიჩის კოდს" უწოდებენ; „წითელი დრაკონის" ტატუირება მარჯვენა მხარზე, გვარი „იბრაჰიმოვიჩი" არაბული ასოებით; „ორი თევზი" მარჯვენა მხარეს, დრაკონის ქვემოთ და წარწერა – „მხოლოდ ღმერთს შეუძლია ჩემი განსჯა" ლათინურ ენაზე. ზლატან იბრაჰიმოვიჩი ერთ-ერთი ყველაზე ტატუირებული ვარსკვლავია მოქმედ ფეხბურთელებს შორის.

## მარიხუანის დეკრიმინალიზაცია – რელიგიური, სამეცნიერო და სამედიცინო მიზნით

„იამაიკის ხელისუფლება ეთანხმება ამ ინიციატივას და, თუ კანონი ძალაში შევიდა, 57 გრამამდე მარიხუანის შენახვა არ კვალიფიცირდება როგორც სისხლის სამართლის დანაშაული და კანონდამრღვევებს პატიმრობის ნაცვლად უფრო ცივილიზებული სასჯელი – ჯარიმა დაეკისრებათ", – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა მარკ გოლდინგმა. მისი აზრით, იმ კანონის შენარჩუნება, რომელიც კრძალავს მარიხუანის სამედიცინო მიზნებისთვის გამოყენებას, არასწორი და უაზროა. აღსანიშნავია, რომ კუნძულზე ამ ბრალდებით კვირაში 300 ადამიანს აპატიმრებენ.

ამ სიახლით ყველაზე კმაყოფილები რელიგიური მოძრაობის – „რასტაფარის" მიმდევრები დარჩებიან, რომლებიც კანაფის მოწევას „სულიერი განწმენდისთვის" იყენებენ. ხელისუფლება კი იმედოვნებს, რომ ეს კუნძულს ეკონომიკურ შემოსავალს მოუტანს – დაეხმარება, დაფაროს სახელმწიფო ვალი, რომელიც 1,5-ჯერ აღემატება იამაიკის მთლიან შიდა პროდუქტს. „დადგა დრო, მარიხუანის მოყვანა მომგებიან ბიზნესად გადაიქცეს", – განაცხადა კინგსტონის მერმა, ბრაუნ ბერკმა.

ამრიგად, იამაიკამ ამერიკის შეერთებულ შტატებს მიჰბაძა, სადაც სამედიცინო მარიხუანის ბაზარი 40 მილიარდია. წინასწარი გათვლებით, მხოლოდ კოლორადოს შტატში, სადაც მარიხუანა პირველად გახდა ლეგალიზებული, მისი გაყიდვებიდან ბიუჯეტში მიღებული შემოსავალი 70 მილიონი დოლარი უნდა იყოს. მთელ ქვეყანაში კი – 2,3 მილიარდ დოლარს ელოდებიან.

## უნიკალური ცისფერი ალმასი

სამხრეთ აფრიკის სახელგანთქმული კულინანის ალმასის საბადოში კიდევ ერთი საოცრება – 122,2-კარატიანი ცისფერი ალმასი იპოვეს. ეს მართლაც იშვიათი აღმოჩენაა. შედარებისთვის: არც ისე დიდი ხნის წინ, კულინანის საბადოდან ამოღებული 26,6-კარატიანი ცისფერი ალმასი 25 მილიონ დოლარად გაიყიდა, მაშინ როცა, 2010 წელს უმაღლესი ხარისხის სუფთა თეთრი ალმასი 507 კარატი, ანუ, 100 გრამი, როგორც ამბობენ, „ჩაქუჩიდან 33 მილიონად გავიდა". ფიქრობენ, რომ ახლადაღმოჩენილი ალმასი, რეკორდს დაამყარებს, რადგან, ჯერ კიდევ დაუწახნაგებელ მდგომარეობაში, 20 ფუნტ სტერლინგად გაიყიდა.

კულინანის მაღაროში, მისი საუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში, 120 მილიონ კარატზე მეტი ალმასია მოპოვებული. მათ შორის, 1905 წელს ნაპოვნი 3106-კარატიანი ალმასი დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ყველაზე მსხვილ ალმასად, რომლიდანაც 100-ზე მეტი ბრილიანტი დაამზადეს. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ძვირი ბრილიანტი შარშან ჟენევაში 5 წუთში გაიყიდა... 74,1 მილიონ დოლარად.

## ყველაზე ლამაზი შუბის მტყორცნელი

პარაგვაელი ლამაზმანი ლერინ ფრანკო შუბის მტყორცნელია და სამჯერ აქვს მიღებული მონაწილეობა ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში. სამხრეთ ამერიკაში ის საუკეთესოდ ითვლება, თუმცა, მსოფლიოს მასშტაბით მისი მიღწევები ნაკლებად შესამჩნევია. სამაგიეროდ, ლერინ ფრანკო წარმატებას წარმატებაზე აღწევს სამოდელო სფეროში: „მის პარაგვაის" ლაურეატი და „მის ბიკინი სამყაროს" ლაურეატი; პიკანტური ფოტოსესიები „მაქსიმისთვის" და „სპორტს ილუსტრეიდისთვის"; გარდა ამისა, ფრანკო სამხრეთ ამერიკაში ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ ქომაგადაც ითვლება და თანამემამულე ლარისა რიკელმეს ღირსეულ კონკურენციას უწევს.



## ცეცხლოვანი ფრენბურთელი ბრაზილიიდან

ბრაზილიელი ჟაკლინ კარვალიო მსოფლიო ფრენბურთის აღიარებული ვარსკვლავია. 186 სანტიმეტრი სიმაღლის ლამაზმანი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი და ათობით სხვადასხვა ინდივიდუალური ჯილდოს მფლობელია. ჟაკლინი 11 წლის ასაკში დაინტერესდა ფრენბურთით და, ოჯახური ტრაგედიის მიუხედავად, მოახერხა მსოფლიო ფრენბურთის ოლიმპზე ასვლა. ის ბრაზილიური ჟურნალ-გაზეთებისთვის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მოდელია და ისიც სიამოვნებით თანხმდება გულახდილ ფოტოსესიებზე. გარდა ამისა, ჟაკლინი გულმხურვალედ ქომაგობს 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიის ნაკრებს.




## ყველაზე სექსუალური მეგოლფე ქალი

ანა როუსონი გოლფის ლეგენდაა ქალებს შორის. ავსტრალიაში დაბადებული როუსონი გოლფის ჯოხის ქნევაში არაფრით ჩამოუვარდება გოლფის მსოფლიო ლეგენდას ტაიგერ ვუდსს, რომელიც ყველა დროის საუკეთესო მეგოლფედ ითვლება. გოლფის გარდა, ანა წარმატებულ მოდელადაც მიიჩნევა და სიამოვნებით პოზირებს გულახდილ ფოტოსესიებში. წლებია, ანას მსოფლიოს ყველაზე სექსუალური მეგოლფე ქალის ტიტული ეკუთვნის და თავის თაყვანისმცემლებს, გოლფის მოედნებზე გამარჯვებებთან ერთად, ახალი ფოტოსესიებითაც უხარებს გულს.

გვერდი მოამზადა **უშანგი რუხაძემ**

# მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ქალი პოლიტიკოსები

*მსოფლიოში რამდენიმე ქვეყანაა, სადაც პირველი პირი ქალია. მათ შორის ანგელა მერკელი, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ქალბატონად სახელდება უკანასკნელი რამდენიმე წელია. არიან სხვა პოლიტიკოსი ქალებიც, რომლებსაც, შესაძლოა, ისეთი გავლენა არ აქვთ, როგორც მერკელს, მაგრამ, თავიანთ ქვეყნებში ისინი ნომერ პირველები არიან.*

### ლაურა ჩინჩილია – კოსტა-რიკის პრეზიდენტი

ლაურა ჩინჩილია ნარკომაფიასთან მებრძოლი ქალის სახელით არის ცნობილი. 1994 წელს ის კოსტა-რიკის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო და რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა ამ კუთხით. მან მთლიანად გარდაქმნა პოლიცია და მას ხალხის ნდობა დაუბრუნა. შემდგომში ლაურა იუსტიციის მინისტრი იყო, თანაც, არანაკლებად წარმატებული, ხოლო 2010 წლიდან ლაურა კოსტა-რიკის პრეზიდენტია და მის ერთ-ერთ მიღწევად სახელდება ქალებისთვის კვირაში ორის ნაცვლად სამი არასამუშაო დღის შემოღება.



### კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერი – არგენტინის პრეზიდენტი

კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერი არგენტინის პრეზიდენტი მას შემდეგ გახდა, რაც თანამდებობიდან მისი მეუღლე, ნესტორ კირშნერი გადადგა. კრისტინა არგენტინის ისტორიაში მეორე ქალი პრეზიდენტია და პირველია, რომელიც საყოველთაო არჩევნებში აირჩიეს. კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერი მსოფლიოს ყველაზე სექსუალური ქალი პოლიტიკოსების რეიტინგის მუდმივი წევრია.

### დილმა რუსეფი – ბრაზილიის პრეზიდენტი

დილმა რუსეფი პირველი ქალი პრეზიდენტია ბრაზილიის ისტორიაში. დილმას პოლიტიკური კარიერა 1960-იან წლებში დაიწყო, როდესაც ის სამხედრო ხუნტას ებრძოდა და რამდენიმე წელი ციხეშიც კი გაატარა, სადაც აწამებდნენ. რუსეფის კანდიდატურას ღიად უჭერდა მხარს მისი წინამორბედი, ლუის ინასიუ და სილვა.

### დალია გრიბაუსკაიტე – ლიტვის პრეზიდენტი

დალია გრიბაუსკაიტე 2009 წელს ლიტვაში „წლის ადამიანად" დაასახელეს. გარდა ამისა, ის ლიტვის პირველი ქალი პრეზიდენტია. რომელიც პირველივე ტურში აირჩიეს ამ თანამდებობაზე. დალია ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანი ქალი პრეზიდენტი გახლავთ, რომელიც არ გახლავთ გათხოვილი. პროფესიით ეკონომისტი დალია გრიბაუსკაიტე საბჭოთა კავშირის დროს ლენინგრადში სწავლობდა და „როტფრონტის" ქარხანაში მუშაობდა.

### ელენ ჯონსონ-სერლიფი – ლიბერიის პრეზიდენტი

ჯონსონ-სერლიფი პირველი ქალი პრეზიდენტია არა მარტო ლიბერიაში, არამედ, მთლიანად აფრიკის კონტინენტზე. თავისი დემოკრატიული ხედვის გამო, ჯონსონ-სერლიფი იდევნებოდა წინა მთავრობების მიერ: მას რამდენჯერმე აუკრძალეს სამშობლოში ჩასვლა და 10-წლიანი სასჯელიც კი აქვს მოხდილი, თუმცა, როგორც ჩანს, მისმა ბრძოლამ გაამართლა და დღეს ის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ქალი პოლიტიკოსია მსოფლიოში.

### პაკ კინ ჰიო – სამხრეთ კორეის პრეზიდენტი

პაკ კინ ჰიო პირველი ქალი პრეზიდენტია სამხრეთ კორეის ისტორიაში. პრეზიდენტის თანამდებობაზე ის 2012 წლის დეკემბერში აირჩიეს. პაკ კინ ჰიო ცნობილი სამხრეთკორეელი გენერლის – პაკ ჩონ ჰის შვილია, რომელსაც 1963-1979 წლებში სამხრეთ კორეის პრეზიდენტის თანამდებობა ეკავა. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში პაკ კინ ჰიომ ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენა არჩევნებზე.

# მხოლოდ ფაქტები

* ამელია ერჰარტი იყო პირველი ქალი, რომელმაც 1928 წელს ატლანტის ოკეანეს გადაუფრინა.

* ქორწინება, როდესაც კანადელი ანა სავონი გათხოვდა მარტინ ბეითსზე, 1871 წელს დარეგისტრირდა. არაფერი მნიშვნელოვანი, რომ არა მათი სიმაღლე, რამაც ეს წყვილი რეკორდსმენი გახადა: ცოლი 227 სანტიმეტრი იყო, ქმარი – 221 სანტიმეტრი.

* ძველ ჩინეთში ღარიბები, მდიდრებისგან განსხვავებით, ლითონის ჭურჭელს იყენებდნენ, მდიდრები კი მაშინ ძვირად ღირებული ფაიფურის ჭურჭლიდან მიირთმევდნენ საჭმელს.

* როგორც ცნობილია, ოპერაციის დროს საოპერაციო ადგილიდან სისხლდენის შესაწყვეტად ექიმები ბამბის ან დოლბადის ტამპონს იყენებენ. მაგრამ, ვეტერინარებისთვის ასეთი მასალა ხშირად არასაკმარისი ან საერთოდ მიუწვდომელია. მათ შესანიშნავი შემცვლელი იპოვეს – ტამპონები ჰიდროსკოპიული მასალით ჩაანაცვლეს, რომელსაც ის უპირატესობაც აქვს, რომ ოპერაციის შემდეგ საჭირო არ არის მისგან ჭრილობის გასუფთავება – ჭრილობაში შაქრის ფხვნილს აყრიან.

* მუშაობის მეთოდი, რომელსაც „ავრალს" უწოდებდნენ და სამუშაო საათების შემდეგ, დასვენების დროს სავალდებულო შრომას ნიშნავდა, ინგლისის ფლოტში იყო დამკვიდრებული, ხოლო საბჭოთა კავშირში ის თითქმის ყველა წარმოებაში, სოფლის მეურნეობასა და სხვა დარგებში გამოიყენებოდა.

* პირველი დისკი – 33 ბრუნვით წუთში, 1948 წელს ფირმა „კოლუმბიამ" გამოუშვა.

* 1990 წელს ჩრდილო-დასავლეთ ირანში მოხდა რიხტერის სკალით 7,3-ბალიანი მიწისძვრა. დაიღუპა 50 ათასი ადამიანი, დაშავდა 200 ათასი, ხოლო უსახლკაროდ დარჩა 500 ათასი ადამიანი.

* როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, შოკოლადი მცირე რაოდენობით შეიცავს შხამიან ნივთიერებას – თეობრომინს, რომელიც ადამიანის ორგანიზმში სწრაფად გადამუშავდება. მასზე, დაახლოებით ისე, როგორც ნიკოტინზე, ამბობენ: ერთი ნატეხი შოკოლადი ცხენს კლავსო.

* საერთაშორისო ენაზე – ესპერანტოზე – „მადლობა" გამოითქმის, როგორც „დანკო" – ესპერანტომ ეს სიტყვა გერმანულიდან აიღო.

* შუა საუკუნეების მონოლითურ ხელთათმანებს, რომლებიც თითებსა და იდაყვისკენ ფართო, ხოლო მაჯასთან ძალიან შევიწროებული იყო, „ქვიშის საათს" ეძახდნენ.

* როსტოველმა მკვლელმა ანდერძი დატოვა, რომ სიკვდილის შემდეგ მისი ნეშტი დაეწვათ და ფერფლისგან ქვიშის საათი გაეკეთებინათ.

* ამერიკელებისთვის მნიშვნელოვანია ფიბონაჩის რიცხვი, რაც მათ მეტრულ სისტემაში გამოსახული მონაცემების ინგლისურ საზომ ერთეულებში გადაყვანის საშუალებას აძლევს.

# ჯეიმს ფრანკო – სასურველი მამაკაცი ახალი თაობისთვის

***ჯეიმს ფრანკო ჰოლივუდის ახალი თაობის ვარსკვლავი და ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მამაკაცია მსოფლიოში. მას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში, მათ შორის – საქართველოშიც.***

* ჯეიმს ედვარდ ფრანკო დაიბადა 1978 წელს, პალო-ალტოში, კალიფორნიაში. მის მშობლებს საკმაოდ მრავალეროვანი წარმომავლობა აქვთ: დედა – პოეტი, მწერალი და რედაქტორი ბეტსი ვერნე – რუსი ებრაელების შთამომავალია (ფრანკოს შორეული ნათესავები რუსეთში, ტამბოვის ოლქში ცხოვრობენ), ხოლო მამას, დაგ ფრანკს, პორტუგალიური და შვედური სისხლი აქვს. ჯეიმსი უმცროს ძმებთან, ტომთან და დეივიდთან ერთად პალო-ალტოში იზრდებოდა. თანაკლასელების აზრით, მას „საუკეთესო ღიმილი" ჰქონდა მთელ სკოლაში.

* საინტერესო ეპიზოდი უკავშირდება ჯეიმსის მაღალ კლასებში სწავლის პერიოდს. ერთ-ერთ ინტერვიუში ფრანკომ აღიარა, რომ თანაკლასელებთან ერთად ის ხშირად ძარცვავდა სკოლასთან ახლოს მდებარე სუნამოების მაღაზიას, შემდეგ კი ოდეკოლონებს გაცილებით იაფად ყიდდა სკოლაში. ეს ყველაფერი 1996 წელს ხდებოდა, 2008 წელს კი „გუჩიმ" მსახიობი ჯეიმს ფრანკო საკუთარი წარმოების მამაკაცის ოდეკოლონის სარეკლამო სახედ გამოაცხადა.



* 2002 წელს კინოეკრანებზე კომიქსების მიხედვით გადაღებული „ადამიანი – ობობას" პირველი ნაწილი გამოვიდა, სადაც ჯეიმს ფრანკომ ჰარი ოზბორნის, პიტერ პარკერის მეგობრისა და მომავალი მეტოქის როლი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ფრანკო სუპერგმირის როლზე ისინჯებოდა, თუმცა, საბოლოოდ, როლი ტობი მაგუაიერს შეხვდა, ჯეიმსი კი მნიშვნელობით მეორე როლს დასჯერდა. წარმატებულ ბლოკბასტერს კიდევ ორი გაგრძელება მოჰყვა და ორივე ფილმში ჯეიმს ფრანკო მოწოდების სიმაღლეზე იყო.

ფრანკოს სხვა როლებიდან აღნიშვნის ღირსია: ისტორიული ჟანრის დრამა – „ტრისტანი და იზოლდა", სადაც მან ლეგენდარული ტრისტანი განასახიერა; „ლაფაიეტის ესკადრილია", რომლისთვისაც მან სპეციალურად გაიარა საავიაციო-გამანადგურებლის პილოტირების კურსები და მიიღო მფრინავის სერტიფიკატი; „ჰარვი მილკი" – სკანდალური ავტობიოგრაფიული ფილმი, სადაც ფრანკომ პირველი ამერიკელი გეი პოლიტიკოსის, შონ პენის გმირის საყვარლის – სკოტ სმიტის როლი განასახიერა, რომლისთვისაც მან მიიღო კინოჯილდო – „დამოუკიდებელი სული."

* აღსანიშნავია, რომ, წარმატებული სამსახიობო კარიერის პარალელურად, ჯეიმს ფრანკომ გადაწყვიტა განათლების გაღრმავება ფილოლოგიაში და 2008 წელს მან ბაკალავრის დიპლომით დაასრულა სწავლა კალიფორნიის უნივერსიტეტში, რომელიც წლების წინ მსახიობობის გამო მიატოვა. ბაკალავრის დიპლომის გარდა, ფრანკო კოლუმბიის უნივერსიტეტის მაგისტრის წოდებას ფლობს ლიტერატურაში და, ასევე, ნიუ-იორკის ტიშის ხელოვნების სკოლის დიპლომს – კინოწარმოებაში. ასევე, ფრანკოს გამოცემული აქვს მოთხრობების კრებული „პალო-ალტო", რომელიც შეერთებულ შტატებში ბესტსელერი გახდა. წიგნში შესულია 11 მოთხრობა და მათ უმეტესობაში მოქმედება ფრანკოს მშობლიურ პალო-ალტოში ვითარდება.

**გვერდი მოამზადა**
**უშანგი რუხაძემ**



### რომელი დაავადების დროს, რა საკვები უნდა ჭამოთ და რომელი ვარჯიშები ჩაიტაროთ

ათეროსკლეროზის დროს თქვენს სისხლძარღვებს ვარჯიში სჭირდება. ამისთვის ყოველდღიურად უნდა აკეთოთ ბუქნები და მიიღოთ გრილი შხაპი. ასევე, კარგია სწრაფი სიარული. სისხლის მიმოქცევას ასტიმულირებს ისეთი ბოსტნეული, როგორებიცაა: ნიორი, წიწაკა, ხახვი და ბოლოკი. ეს ბოსტნეული მნიშვნელოვნად აქვეითებს სისხლში ქოლესტერინის დონეს.

მეტეორიზმის დროს მოერიდეთ ისეთი პროდუქტის მიღებას, რომლებიც გაზების წარმოქმნას უწყობს ხელს. ასეთი საკვებია ის, რაც კუჭში დიდხანს ჩერდება. რძის შაქრის ანუ ლაქტოზას ინდივიდუალური აუტანლობა, ასევე, იწვევს მეტეორიზმს. ასეთ დროს ლაქტოზა არ იშლება ნაწლავებში მასში დამშლელი ფერმენტების არარსებობის გამო. მენიუში შეიტანეთ უხსნადი ბოჭკოების შემცველი პროდუქტები. დაიცავით კვების რეჟიმი. ნუ გადაიტვირთავთ კუჭს ზედმეტი საკვებით. წვნიანი, ხილ-ბოსტნეული, კენკროვნები, ატამი, ნესვი, ალუბალი, ქლიავი და პომიდორი ხელს უწყობს საკვები მასის სწრაფ გადაადგილებას ნაწლავებში, რაც თავისთავად ამსუბუქებს მეტეორიზმს. მცირე რაოდენობით მჟავე ხილის, კერძოდ, მჟავე ვაშლის, ლიმონის ან გრეიპფრუტის მიღება ჭამის წინ აძლიერებს კუჭის ლორწოვანი გარსის მიერ სიმჟავის გამოყოფას, ეს კი ხელს უწყობს საჭმლის მონელების შემსუბუქებას და აფერხებს მეტეორიზმის განვითარების რისკს.

დაბალი წნევის დროს დაგეხმარებათ ფიზიკური ვარჯიში, რომელიც ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას და ხელს უწყობს კუნთების ტონუსის შენარჩუნებას. ასევე, ეფექტური შედეგი აქვს მასაჟსა და კონტრასტულ შხაპს.

ჰიპოტონიკებისთვის სასარგებლოა მარილიანი საკვების მიღება. სისხლის წნევის ამწევი მსუბუქი საშუალებაა მაგარი, ახალმომზადებული ჩაი, რომელიც ბუნებრივი მატონიზებელია. ამ დროს კარგია სოია, ხილი, ბოსტნეული – ეს პროდუქტები ვიტამინებითაა მდიდარი; ასევე, კარგია, თუ მიირთმევთ თხილეულს, მზესუმზირასა და მარცვლეულს.

ვენების ვარიკოზულ გაგანიერებასთან საბრძოლველად აუცილებელია სისტემატური ფიზიკური ვარჯიში, სეირნობა სუფთა ჰაერზე, ცურვა. დაწექით ზურგზე, ასწიეთ ფეხები ზევით, დაახლოებით, 30-40 წუთის განმავლობაში. ეს ვარჯიში ყოველდღე რამდენჯერმე შეასრულეთ. ასევე, მოერიდეთ დიდხანს ფეხზე დგომას. ზედმეტმა წონამ, შესაძლებელია, ეს დაავადება კიდევ უფრო გაამწვავოს. ამიტომ, აკონტროლეთ სხეულის წონა. თუ ვენების გაგანიერება გაწუხებთ, აუცილებლად შეიტანეთ საკვებ რაციონში თუთიის შემცველი პროდუქტები: სიმინდი, კომბოსტო, სოია, ისპანახი, ახალი მჟავე ხილი და წიწიბურა.

### როგორ გავათავისუფლოთ ნაწლავები ტოქსინებისგან

იმ შემთხვევაში, თუ ნაწლავები არარეგულარულად და არასათანადოდ იცლება, ტოქსინები სისხლში გაედინება, რაც ცუდად აისახება კანის მდგომარეობასა და ადამიანის ხასიათზე.

თუ გსურთ, ახალგაზრდობა გაიხანგრძლივოთ, გქონდეთ ლამაზი კანი და თავიც კარგად იგრძნოთ, საჭიროა, ნაწლავები ტოქსინებისგან გაწმინდოთ. თუ ნაწლავები პრობლემებს არ გიქმნით, გაწმენდის პროცედურა სამ თვეში ერთხელ უნდა ჩაიტაროთ, სხვა შემთხვევაში კი – თვეში ერთხელ.

დასვენების დღეებში აადუღეთ 200 მილილიტრი წყალი და ჩაუმატეთ ნახევარი ჩაის კოვზი მარილი – ეს ფიზიოლოგიური ხსნარია, რომელსაც ორგანიზმი არ შეიწოვს. ის ნაწლავებს გარეცხავს და მავნე ნივთიერებებს გარეთ გამოიტანს. ამ ხსნარის დალევის შემდეგ, დაახლოებით ნახევარ საათში, უნდა ჭამოთ წინასწარ მომზადებული საუზმე, კერძოდ, ერთი მუჭა ბრინჯი მოხარშეთ უმარილო და უშაქრო წყალში, დაუმატეთ ცოტა კარაქი და საუზმეც მზად იქნება. შეგიძლიათ, ოდნავ დამტკბარი ჩაიც მიაყოლოთ. ბრინჯის ჭამიდან ორი საათის შემდეგ მიირთვით, რაც გსურთ.

ასეთი წესით ნაწლავების გაწმენდა ძალიან ეფექტურია და არ არღვევს ნაწლავების მიკროფლორას. იმ შემთხვევაში, თუ შეშუპებისკენ ხართ მიდრეკილნი, უმჯობესია, ფიზიოლოგიური ხსნარი აფთიაქში შეიძინოთ.

ხანდახან ადამიანი მსხვილი ნაწლავის პათოლოგიური სიგრძით იბადება, რაც ადვილი გამოსავლენია მსხვილი ნაწლავის რენტგენოლოგიური საშუალებით. ასეთ ადამიანებს ნაწლავების დაცლის პრობლემა ბავშვობიდანვე აწუხებთ.

ნაწლავების დაცლის რეგულირება ყველაფერი როდია. დაცლა შვებას უნდა ჰგვრიდეს ადამიანს და ეს იოლად უნდა ხდებოდეს. თუ ასე არ არის, ეს უკვე პათოლოგიაა.

დეფეკაციის დროს არსებული ტკივილები, ბუასილის გამწვავების შემთხვევაში რომ იჩენს თავს, ბლოკავს ნაწლავების დაცლის პროცესს და საშინელ დისკომფორტს იწვევს. თუ ეს პრობლემა გაწუხებთ, აუცილებლად გაითვალისწინეთ სპეციალური რჩევები. კერძოდ:

* გაღვიძებისთანავე დალიეთ ოთახის ტემპერატურის მქონე ერთი ჭიქა წყალი;
* სანამ ადგებით, საწოლში გაიკეთეთ მუცლის მასაჟი: თითებით შეასრულეთ წრიული მოძრაობები საათის ისრის მიმართულებით;
* დილით გააკეთეთ მუცლის პრესის ვარჯიშები;
* დილით, უზმოზე, მიირთვით ასეთი ნარევი: დააქუცმაცეთ გარგარის, შავი ქლიავისა და ლეღვის ჩირი. 200 გრამ ნარევს შეურიეთ 1 ჩაის კოვზი ნატურალური თაფლი და 1 ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთი. მიიღეთ 1 სუფრის კოვზი. შეგიძლიათ, მიაყოლოთ 1 ჩაის ჭიქა წყალიც;
* ხშირად მიირთვით ზღვის კომბოსტო, უმი ბოსტნეულის სალათები, მაგალითად, კომბოსტოს, სტაფილოს, ჭარხლისა და ვაშლის სალათა, შეზავებული მცენარეული ზეთით; ასევე, კიტრის, სალათის ფურცლების, პომიდვრის, ბოლოკისა და მწვანილების სალათები;
* მიირთვით ღერღილი. ეს უკანასკნელი B ვიტამინის საბადოა და ნაღვლის ბუშტში კენჭების წარმოქმნისგან იცავს ადამიანს.

### გარკვეული ალკოჰოლიანი სასმლის მცირე დოზით მიღება სასარგებლოა ორგანიზმისთვის

სამკურნალო თვისებები გააჩნია ღვინოს, ლუდს და არაყსაც კი.

მცირე დოზით მიღებული არაყი ააქტიურებს ორგანიზმს, აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, განაპირობებს ორგანიზმის ყველა ორგანოს სისხლით მომარაგებას, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, აჩქარებს ნივთიერებათა ცვლას, ხსნის ორგანიზმში ნერვულ დაძაბულობას, ამაღლებს გუნება-განწყობას.

მაღალი ხარისხის არაყი ამარაგებს ადამიანის ორგანიზმს არომატული, აქროლადი ნივთიერებებითა და ნაერთებით, რომლებიც ქოლესტერინის დონეს დაბლა სწევს.

არსებობს საკვები, რომელზეც არყის დაყოლება მავნეა ორგანიზმისთვის, ასეთებია: მწვანილი, ბოსტნეული, ხილი, სუპები, თევზი. ზემოთ ჩამოთვლილი საკვების ჭამის დროს თუ არაყს დალევთ, მიღებული საკვები ვერ შეითვისება ორგანიზმის მიერ. არაყთან რეაქციაში მწვანილსა და ბოსტნეულში არსებული ორგანული მჟავები წარმოქმნის მავნე ნივთიერებებს, რამაც შეიძლება, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოშლა გამოიწვიოს.

არყის მიყოლება სასარგებლოა ხორცთან და ცხიმიან საკვებთან.

### კიტრის წვენი წნევას არეგულირებს, ჭარხლის კი – სისხლს წმენდს

ჭარხლის წვენი ყველაზე კარგია სისხლის წითელი ბურთულებისა და მთლიანად, სისხლის შემადგენლობის გასაუმჯობესებლად. ასევე, სასარგებლოა ის, სტაფილოს წვენთან ერთად. დღეში ერთ ჭიქაზე მეტი ჭარხლის წვენი არაჩვეულებრივად წმენდს ორგანიზმს. თავდაპირველად, უმჯობესია, დალიოთ ჭარხლისა და სტაფილოს წვენის ნარევი, შემდეგ კი ნელ-ნელა გაზარდოთ ჭარხლის წვენის რაოდენობა. ასეთ შემთხვევაში, ორგანიზმი გაცილებით სწრაფად და კარგად იწმინდება. საკმარისია დღეში ორჯერ, ერთი ჭიქა წვენის მიღება. ეს განსაკუთრებით კარგია იმ ქალებისთვის, ვისაც კლიმაქსური პერიოდი უდგათ.

ჭარხლის წვენში ბევრია ნატრიუმი და კალციუმი. ეს ორივე ნივთიერება ძალზე სასარგებლოა ორგანიზმისთვის. ჭარხალში შემავ-

ალი ქლორი წმენდს თირკმელებსა და ნაღვლის ბუშტს.

ჭარხლისა და სტაფილოს წვენის ნარევი ორგანიზმს ამდიდრებს საჭირო რაოდენობის ფოსფორით, გოგირდით, კალციუმითა და სხვა ტუტე ლითონებით.

კიტრი და მისი წვენი კი კარგი შარდმდენი საშუალებაა, თუმცა მას კიდევ სხვა ბევრი სასარგებლო თვისებაც აქვს. მასში შემავალი დიდი რაოდენობით გოგირდი და სილიციუმი ხელს უწყობს თმის ზრდას.

კიტრი შეიცავს 40 პროცენტამდე კალციუმს, 10 პროცენტამდე ნატრიუმს, 20 პროცენტამდე ფოსფორს და 8 პროცენტამდე ქლორს.

კიტრის წვენით, სტაფილოს წვენთან ერთად, მკურნალობენ რევმატულ დაავადებებს. კიტრში კალციუმის შემცველობა არეგულირებს წნევას, ასევე, კარგია კბილებისა და ღრძილების დაავადებების დროს. ადამიანის ფრჩხილსა და თმას სწორედ იმდენი მიკროელემენტი ესაჭიროება, რა რაოდენობითაც მათ კიტრის წვენი შეიცავს.

კიტრის, სტაფილოსა და მწვანე სალათის ფურცლების წვენის ნარევი კანის ბევრი დაავადებისთვის უებარი წამალია.

## თავბრუხვევა საშიში სიმპტომია

ყველას გამოუცდია თავბრუხვევის შეგრძნება. ამ დროს, ირგვლივ ყველაფერი ბრუნავს, სუსტად ხარ, გული გერევა, თავს ძალიან ცუდად გრძნობ. ამ სიმპტომების გამოვლენისთანავე, აუცილებელია ექიმთან ვიზიტი და მკურნალობა, რათა შემდგომ, მთელ რიგ გართულებებს აარიდოთ თავი.

თავბრუხვევა შუა ყურის პათოლოგიის შედეგად განვითარებული ვესტიბულარული სისტემის, ანუ სხეულის წონასწორობის შენარჩუნების, მდებარეობისა და მოძრაობის აღქმის სისტემის დარღვევის პირველი ნიშანია. ასევე, ის შეიძლება ნევროლოგიური დაავადებების, ჰიპოგლიკემიის ანუ დაბალი შაქრიანობის პირველი ნიშანი იყოს, ან თან ახლდეს გულის რიტმის დარღვევას, ოსტეოქონდროზს და სხვა ბევრ დაავადებას.

თავბრუხვევის ორი კატეგორია არსებობს, კერძოდ, ცენტრალური და პერიფერიული. ცენტრალური თავბრუხვევა ხშირად თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევის, ქალატვინის ტრავმის, გაფანტული სკლეროზის, შაკიკის და ტვინის იმ სხვა დაავადებების შედეგად ვითარდება, რომლებიც ვესტიბულარულ აპარატს პათოლოგიურ პროცესში ჩაითრევს ხოლმე.

პერიფერიული თავბრუხვევა შეიძლება, გამოიწვიოს შიდა ყურის ფუნქციის დარღვევამ, რაც შესაძლოა იყოს შუა ყურის ბაქტერიული ან ვირუსული ანთების, ქალატვინის ტრავმის, სმენის ნერვის სიმსივნის, აუტოიმუნური დაავადების შედეგი.

ასევე, თავბრუხვევას იწვევს ზოგიერთი პრეპარატის მიღებაც: ასეთებია ოტოტოქსიკური ანტიბიოტიკები, ზოგი ანტიარითმიული საშუალება, ტრანკვილიზატორები, ეპილეფსიის საწინააღმდეგო პრეპარატები და სხვა.

შუა ყურის პათოლოგიით გამოწვეული თავბრუხვევის კლასიკური მაგალითია მანიერის დაავადება, ანუ, როგორც მას უწოდებენ „ლაბირინთის წყალმანკი." მისი განვითარების მიზეზი შეიძლება, გახდეს ემოციური ან ფიზიკური სტრესი. ამ დაავადების დროს, თავბრუხვევა საათების ან დღეების განმავლობაში გრძელდება და იმდენად ძლიერია, რომ შესაძლოა, ადამიანი დიდხანს ფეხზე ვერ დადგეს. აღინიშნება ამ დროს გულისრევის შეგრძნება და პირღებინება, ასევე, სისუსტე. დაავადების სხვა ნიშნები კი ასეთია: სმენის დაქვეითება, ხმაური ყურებში, ყურებში დაგუბების შეგრძნება. თუ დროულად არ მიაქციეთ ყურადღება, შეიძლება სრულ სიყრუემდე მიხვიდეთ.

თავბრუხვევა ზოგჯერ გრიპის ან მწვავე რესპირატორული დაავადების გართულების შედეგადაც ვითარდება. ასეთ დროს, ადამიანი გრძნობს წონასწორობის დარღვევას, უეცარ თავბრუხვევას.

ფსიქოგენურ თავბრუხვევას კი საფუძვლად შიშები ან დეპრესიული დარღვევები უდევს.



აუცილებლად მიმართეთ ექიმს შემდეგი ჩივილების დროს:

*თუ გაქვთ მძიმე თავბრუხვევა, რომელიც იწვევს შრომისუუნარობას;

*თუ თავბრუხვევა მეორდება ან გრძელდება რამდენიმე დღის განმავლობაში;

*თუ თავბრუხვევას თან ახლავს სმენის დაქვეითება, თვალის უჩვეულო მოძრაობები, ცენტრალური ნერვული სისტემის თანამდევი დარღვევები.

# ექიმის რჩევები

**კითხვა**: **2 წლის ბავშვისთვის უზმოზე სისხლში შაქრის დონე 98 როგორი მაჩვენებელია? ჯდება თუ არა ნორმის ფარგლებში?**

**პასუხი**: მაჩვენებელი ნორმის ზედა ზღვართან არის, გადაამოწმეთ გარკვეული დროის შემდეგ.

**კითხვა**: **მაინტერესებს, შეუძლია თუ არა კომპიუტერული ტომოგრაფიის გამოსხივებას 2 წლის ბავშვის სისხლში სერიოზული ცვლილებების (ლეიკოციტოზი-ლეიკემია) გამოწვევა ან პროვოცირება? ბავშვს თავბრუხვევები აწუხებს.**

**პასუხი**: კომპიუტერული ტომოგრაფია ასეთ ცვლილებებს არ იწვევს. ეძიეთ სხვა მიზეზები.

**კითხვა**: **რამდენიმე კვირაა ადგომისას კუდუსუნის არეში მაქვს ტკივილი, სიმძიმე, ძლივს ვდგები ხოლმე, მაგრამ ჯდომისას არაფერს ვგრძნობ. მეორე ბავშვზე მშობიარობის შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მქონდა ტკივილი დიდი ნაყოფის გამო. სამსახურშიც ძირითადად ჯდომა მიწევს.**

**პასუხი**: კოქციკოდინიას ხშირად „ტელემაყურებლების დაავადებასაც" უწოდებენ. ის არცთუ იშვიათია და სწორ ნაწლავსა და კუდუსუნის ბოლო ნაწილში ძლიერი ტკივილები ახასიათებს. ტკივილი სიარულის, დეფეკაციის, ჯდომის, მუცლის კუნთების დაჭიმვის დროს ძლიერდება და ხშირად გადაეცემა შორისის მიდამოში, ბარძაყსა და მუცლის ქვედა ნაწილში. ამ დაავადების მიზეზი შეიძლება იყოს კუდუსუნის მიდამოს ტრავმირება, კუდუსუნის ანომალიური განლაგება, მოტეხილობა, ანალური მიდამოს ანთება ან გაღიზიანება. სხვათა შორის, ტკივილის სინდრომი, დეფორმაციაზე მეტად, ხერხემლის ბოლო სეგმენტის პათოლოგიური მოძრაობით არის გამოწვეული. დაავადების მიზეზი შეიძლება იყოს, აგრეთვე, მარილების ჩალაგება ხერხემლის ბოლო ნაწილში და სხვა.

**კითხვა**: **მაინტერესებს, არსებობს თუ არა ონიქომიკოზის დროს ფრჩხილის მოშორების უსისხლო და უმტკივნეულო მეთოდი? მქონდა შემთხვევა და ფრჩხილი ქირურგმა მომაშორა, რაც საკმაოდ მტკივნეული და სისხლიანი იყო.**

**პასუხი**: ფრჩხილის მოშორება შეიძლება არა ქირურგიულად, არამედ, მალამოს დაკვრით.

**კითხვა**: **რას უხდება აევიტი? კარგია თუ არა სუსტი ფრჩხილებისთვის და რამდენი ცალი უნდა მივიღო დღეში და რამდენი ხნის განმავლობაში?**

**პასუხი**: დიახ, შეგიძლიათ, მიიღოთ აევიტის თითო კაფსულა, დღეში ერთხელ, ერთი თვის განმავლობაში, ან, კერკავიტი – თითო აბი, 2-ჯერ დღეში.

**კითხვა**: **რა იწვევს ძირმაგარის ამოსვლას? თუ რამდენიმე ძირმაგარა მიყოლებით ამოვიდა, როგორია მკურნალობა?**

**პასუხი**: ძირმაგარა ანუ ფურუნკული არის კანის ჩირქოვანი ინფექციის ერთ-ერთი სახე. მისი აღმოცენების მიზეზია მიკრობების გააქტივება და კანის დამცველობითი ფუნქციის დაქვეითება. რამდენიმე ძირმაგარა ერთდროულად სამედიცინო ტერმინით არის ფურუნკულოზი, მისი მკურნალობა უნდა ჩატარდეს ქირურგის მიერ. აუცილებელია სისხლში შაქრის შემცველობის გამოკვლევაც, რადგან, კანის ჩირქოვანი ინფექციებისადმი მიდრეკილება ხშირია დიაბეტის დროს.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# ვისთან შევიდა კოლონიაში ელენე ყიფშიძე ხრუშჩოვის ბანკეტზე მოსაწვევი ბარათით და რატომ აღმოჩნდა ხანმოკლე მისი და ეროსი მანჯგალაძის ბედნიერება

*„ლენა ყიფშიძის საკურთხეველი თეატრი იყო, თეატრი და ზურა – მხოლოდ ეს ორი რამ აღელვებდა მას ცხოვრებაში. ჩვენ სკოლის მერხიდან ვმეგობრობდით, პირველ საცდელ სკოლაში ვსწავლობდით. ღონისძიება ისე არ ჩაივლიდა, რომ ლექსი ან პროზა არ წაეკითხა. საინტერესო გოგო იყო. შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტში შევიდა. თეატრალურში იმდენად დაკავებული იყო, რომ იშვიათად ვხედავდი, თუმცა, ყოველ მის სპექტაკლზე დავდიოდით თანაკლასელები. პირველი როლი „ხარატაანთ კერაში“ ნუცკიას როლი იყო და, მას შემდეგ წავიდა და წავიდა როლები. 29 წლისამ ვასო გოძიაშვილის მოხუცი დედის როლი ითამაშა და მარჯანიშვილის პრემია დაიმსახურა. განუმეორებელი იყო „მაია წყნეთელშიც“. ბავშვობაში ლენა წლების განმავლობაში ცეკვავდა ქორეოგრაფიულ სტუდიაში. მისი პარტნიორი კოტე მახარაძე იყო და სპექტაკლებში იღებდნენ მონაწილეობას. ვასო გოძიაშვილმა ეს „ძველ ვოდევილებში“ გამოიყენა,“ – ასე იხსენებს მას*


„ძველი ვოდევილები“

*ბავშვობის მეგობარი, გალაკტიონ ტაბიძის ქალიშვილი, ქალბატონი ნუნუ ებანოიძე. ალბათ, დამეთანხმებით, თუ ვიტყვი, რომ ლენა ყიფშიძე იმ თაობის მსახიობი იყო, რომლსაც ყოველთვის აურაცხელი მაყურებელი ჰყავდა. ის ბრწყინავდა თავისი ნიჭიერებით როგორც სცენაზე, ისე ეკრანზე. მე დღეს სწორედ ამ არაჩვეულებრივი მსახიობის დღიურებს წარმოგიდგენთ, რომლის წაკითხვაც, დარწმუნებული ვარ, ბევრჯერ მოგინდებათ.*

### მაია წყნეთელი

„მაია წყნეთელი“ ანშლაგებით მიდიოდა. ერევანში რომ მიიწვიეს, ლენამ იქ სომხურ ენაზე ითამაშა „მაია წყნეთელი“, მაგრამ, კინოში არ გაუმართლა. იმ პერიოდში რეზო ჩხეიძე ფილმს იღებდა. ლენასთვის ნათქვამი ჰქონდა, რომ მაია მას უნდა ეთამაშა. ეტყობა, ლენამ რაღაცას მოჰკრა ყური, რეზოსთან მივიდა და უთხრა: თუ მე არ მათამაშებ, ნუ დამიმალავ, პირდაპირ მითხარიო. რეზომ დარწმუნებით უთხრა, ფილმში შენ გიღებო. ცოტა ხნის შემდეგ ლენა ისევ მივიდა რეზოსთან და იგივე ჰკითხა. ბოლოს ლენამ უთხრა: აბა, შენი ბიძინა (შვილი) დაიფიცეო და რეზომაც დაიფიცა. ადგა ლენა და ხელი გაარტყა სახეში. ფეთქებადი ხასიათის იყო, თუმცა, მოთმინების დიდი უნარიც ჰქონდა. ამოუვიდა ყელში და ველარ შეიკავა თავი...


შვილიშვილთან, გიორგისთან ერთად

### იყო და არა იყო რა...

ლენა თეატრალურ ინსტიტუტში ახალი ჩარიცხული იყო. ერთ დღეს, მირეკავს და მეუბნება: შეყვარებული ვარ და მინდა გაგაცნო, ეს ბიჭი ეროსი მანჯგალაძეა და დღეს მოდიო. რომ მივ-


ავთო ვერულეიშვილთან ერთად

ედი და ლენას გვერდით ეროსი დავინახე, სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა. ლენა ულამაზესი გოგო იყო, ეროსი კი აბსოლუტურად არ გამოირჩეოდა გარეგნობით. მოლაპარაკებულები იყვნენ, ინსტიტუტს რომ დაამთავრებდნენ, უნდა დაქორწინებულიყვნენ, მაგრამ... ლენა და ეროსი ერთ სპექტაკლში მონაწილეობდნენ და არაჩვეულებრივი ტანდემი ჰქონდათ. მოულოდნელად ეროსი მოსკოვში წავიდა ***(მაშინ მან პირველად წაიყვანა ფეხბურთის რეპორტაჟი – ავტორი),*** ჩაიშალა სპექტაკლი, რომელზეც ლენა დიდ იმედებს ამყარებდა და ეს არ აპატია ეროსის. გავიდა წლები, ლენა და ეროსი შერიგდნენ, დაქორწინდნენ, ხელი მოაწერეს და დიდი ქორწილი გადაიხადეს. ეროსი შინდისის ქუჩაზე ცხოვრობდა. მას ჰყავდა ლოგინად ჩავარდნილი დედა და და – ბელა. ლენას ძალიან უყვარდა ეროსის ოჯახი და ისინიც ასევე პასუხობდნენ. ამის მიუხედავად, რამდენიმე თვეში დაშორდნენ ერთმანეთს, თუმცა, რძალთან ბოლომდე მეგობრობდნენ. ბოლოს ისე იყო საქმე, თითქოს უნდა შერიგებულიყვნენ, მაგრამ, მოულოდნელად, ეროსი გარდაიცვალა. შემდეგ ლენა ბონდო მაჭავარიანს გაჰყვა ცოლად.


„ეზოში ავი ქალღია“

### ბედნიერება, სახელად – ზურა

მახსოვს, ლენამ რომ იმშობიარა, პირველ დღეს მე და ჩემი მეუღლე მივედით მოსანახულებლად. შავი, გამხდარი, უშნო ბავშვი იყო ზურა. მიგვიყვანა ლენამ ბავშვის საწოლთან და გვეუბნება: ნახეთ, რა ლამაზი ბავშვია, გინახავთ ასეთი სილამაზე? ზურიკოს გვარი და მამის სახელი ბაბუამ მისცა. ლაპარაკობდნენ, ვითომ, ზურა ეროსის შვილიაო; თვითონ ზურაც გაურკვევლობაში, დაბნეული იყო. მამა გვიან გაიცნო და ბოლომდე მეგობრობდნენ. ლენას ზურა მსახიობ ავთო ვერულეიშვილისგან შეეძინა, რომელთან ერთადაც იდგა სცენაზე წლების განმავლობაში. იმ დროისთვის ეს თამამი ნაბიჯი იყო, მაგრამ, ლენას ოჯახიდან ამას არანაირი წინააღმდეგობა არ მოჰყოლია, პირიქით, ბავშვის დაბადებას ყველა დიდი სიხარულით შეხვდა. ზურიკო დეიდების გარემოცვაში იზრდებოდა, ვინაიდან ლენა ძალიან დაკავებული იყო თეატრში.

ლენა ისეთი დედა იყო, რომ მათ დედაშვილობაზე ანეკდოტები დადიოდა. ერთხელ, გენერალური რეპეტიციაა. უცებ დგება ლენა და ამბობს, უნდა წავიდეო. ყველას გაუკვირდა – როგორ, გენერალური რეპეტიციაა და სად მიდიხარო. არა, უნდა წავიდე, ზურა ჩამოდისო... ზურასაც არანორმალურად უყვარდა დედა. მე არ მინახავს, დედა-შვილი სულიერად ისე ახლოს ყოფილიყო ერთმანეთთან, როგორც ესენი იყვნენ. შენიშვნას რომ მისცემდა, ზურა აღტაცებული უსმენდა. მერე მომიტრიალდებოდა ლენა და მეტყოდა: ხედავ, რა ჭკვიანია? ჩემზე ჭკვიანია. იმის ნაცვლად, რომ სწყენოდა, გაუხარდაო.

### არ გადმოვარდეთ, ქალბატონო! ესეც მე ვარ, ისიც მე ვარ...

ის გამოირჩეოდა ზებუნებრივი შრომისმოყვარეობით, ოცდაოთხი საათი მუშაობდა თავის თავზე. დაიდგა სპექტაკლი „ძუნწი“, რომელშიც ლენა კაცის – სომეხი კარაპეტას როლს თამაშობდა. თეატრში ლაპარაკობდნენ, რა გაჭირვებაა, ლენამ რომ არ ითამაშოს კაცის როლიო, მაგრამ, საოცრება გამოვიდა. ლენა მიყვებოდა: „ვნერვიულობდი, თვითონაც არ ვიცოდი, რა გამოვიდოდა. სახლში ჩავიკეტე და სარკესთან დავიწყე რეპეტიციები ბოხ ხმაზე, სომხური აქცენტით. თურმე, ჩემი მეზობელი ჩასაფრებულია, ერთი სული აქვს, ნახოს, ვინ დაიარება ჩემთან ყოველდღე. ველარ მოვითმინე, კარი გავაღე და აივნიდან გავძახე: – არ გადმოვარდეთ, ქალბატონო, ესეც მე ვარ და ისიც მე ვარ-მეთქი.” ჯერ კიდევ შეეძლო თამაში, მაგრამ, რატომღაც, აღარ მისცეს როლები.


„ძუნწი“

### მძიმე წუთები

ლენა ენის სიმსივნით გარდაიცვალა, რაც პროთეზის არასწორად გაკეთებამ გამოიწვია. სულ დაკავებული იყო, კბილის ექიმთანაც ვერ მიდიოდა. ერთი-ორჯერ ენაზე ცუდად იკბინა. ერთხელაც, ერთ-ერთ სპექტაკლში ასეთი სცენა ჰქონდა – იატაკიდან ამოდიოდა. უცებ მძიმე სარქველი თავში მოხვდა და მაშინაც ენაზე იკბინა საშინლად. არ მიაქცია ყურადღება და სიმსივნე განვითარდა. დაახლოებით რვა წელი ებრძოდა მძიმე სენს. მის გვერდით მხოლოდ მე და ზურა ვიყავით, სხვას

# 45 წლის ჩეჩენი კაცი ჩეჩნების ტყეში ათეული წლების წინ დაკარგული ორი ქართველი ძმის ისტორიასა და თავადი გუგუშვილის გვართან დაკავშირებულ ამბავს იძიებს

*45 წლის ალიკ მუსას ძე ტოვსულტანოვი ეძებს წინაპრებს – გუგუშვილებს.*

**ჟურნალისტის შენიშვნა**: *როგორ დაუჯერებლადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ამბავი, რომელსაც ჩემი რესპონდენტი ყვება, სინამდვილეა და ჩეჩნეთში ის ბევრმა იცის. დიდი იმედი მაქვს, რომ, მიუხედავად ამ ისტორიის სიძველისა, მას მაინც ექნება თავისი ლოგიკური დასასრული – გამოხმაურება ქართველების მხრიდან. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოშიც აღმოჩნდება ადამიანი, ვისაც იგივე ამბავი მოსმენილი ან გაგონილი ექნება თავისი წინაპრისგან).*

**ალიკ ტოვსულტანოვი:** მე მინდა ჩემი წინაპრების, უფრო სწორად კი, ჩემი ფესვების პოვნა. საქმე ისაა, რომ, მას შემდეგ, რაც თქვენ ჯარის მეგობრის პოვნაში დამეხმარეთ, მოსვენება დავკარგე და სულ იმ ისტორიაზე ვფიქრობ, რომელიც ბაბუაჩემმა მიამბო თავის დროზე. დარწმუნებული ვარ, რომ ცხოვრებაში შემთხვევით არაფერი ხდება. ამიტომაც, მინდა, კიდევ ერთხელ ვისარგებლო თქვენი რუბრიკით და გიამბოთ ძალიან უცნაური, მაგრამ, ნამდვილი ისტორია. ჩეჩნეთში ბევრია, საქართველოს ტერიტორიიდან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ქართველები არიან, თუმცა, ჩვენთან ქართველებიც ცხოვრობენ. საქართველოში ცხოვრობს ხალხი, რომელსაც გენეტიკოსები და ისტორიკოსები ეგრეთ წოდებულ „ვაინახის“ ხალხს მიაკუთვნებენ, ანუ, ჩეჩნებად და ინგუშებად მიიჩნევენ. ესენი არიან წოვა-თუშები და მათ ბაცბებსაც უწოდებენ. ჩვენი ენები მიმსგავსებულია და გენეტიკური კოდიც ერთი და იგივეა. პირადად ჩემი წინაპრებიც სწორედ ამ ადამიანებიდან იღებენ სათავეს. ბაბუასგან ვიცი დაუჯერებელი ისტორია, რომლის მოყოლასაც თქვენთან ვაპირებ. ბაბუაჩემმა 106 წელი იცოცხლა, სწორედ მან მიამბო მე ეს ამბავი: თურმე, ჩემი წინაპარი ჩეჩნეთში, სრულიად შემთხვევით, საქართველოდან მოხვედრილა. ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ, ან კახეთიდან, ან დუშეთიდან. ეს ასე მომხდარა: რაღაც მიზეზის გამო, არავინ იცის რა მიზეზით, ორი ძმა, 5 და 6 წლის ბავშვები აღმოჩნდნენ ჩეჩნეთის ტყეში და იქ ჩეჩნებს გადაეყარნენ. იმ ძმებს, თურმე, მათი ენა ესმოდათ და ჩეჩნებს თავისი გასაჭირი უამბეს – თუ როგორ დაიკარგნენ და როგორ აღმოჩნდნენ ამ ტყეში. ისინი იშვილა ერთმა მდიდარმა ჩეჩენმა, რომელსაც საკუთარი შვილები არ ჰყავდა. ათი წლის შემდეგ კი ბიჭებს მოაგნო მამამ, რომელიც იქ ამალით მივიდა. ორი ძმის მამა ქართველი თავადი და საკმაოდ შეძლებული ადამიანი აღმოჩნდა. მას წამოღებული ჰქონდა ერთი ტომარა ოქრო და ერთი ტომარა ვერცხლი და ეს განძი ჩეჩენს მისცა მადლობის ნიშნად, რომ მისი შვილები შეიკედლა და გაზარდა. ჩეჩენმა კი ამ ტომრებზე უარი თქვა და უპასუხა: წაიყვანე შენი შვილები და შენი სიმდიდრეც თან გაიყოლეო. მაგრამ ბიჭებმა იმ ადამიანის მიტოვება, ვინც ასეთი სითბოთი უვლიდა და ზრდიდა, არ მოინდომეს. როდესაც თავადმა ნახა, თუ როგორ პატივს სცემენ ჩეჩენს მისი შვილები და მის მიტოვებას არ აპირებენ, ბიჭები მამობილთან დატოვა და ოქრო-ვერცხლიც არ წაუღია. ჩეჩენს კი უთხრა, დღევანდელი დღიდან ჩვენ ერთი ოჯახი ვართო. როდესაც თავადი თვალსაწიერიდან გაქრა, ამბობენ, ბიჭები მას აცრემლებულები გაეკიდნენ, მაგრამ, სოფლის განაპირას შეჩერდნენ. მაშინ ჩეჩენმა მამამ მათ ჰკითხა: თუ მამათქვენს გაჰყვებით, დავეწევი და მოვაბრუნებო, მაგრამ მათ კვლავ უარი თქვეს მამობილის მიტოვებაზე. მათგან წარმოიშვა ჩემი გვარი. როგორც ვიცი, იმ თავადის გვარი გუგუშვილი იყო. ჩეჩენმა მამამ იმ ბიჭებს თავისი გვარი დაუტოვა იმ დრომდე, სანამ სტალინის ბრძანებით ჩეჩნები ყაზახეთში გადაასახლეს. ზოგიერთი ჩემი წინაპარი ამ გვარს ატარებდა, მაგრამ დღეს არც ერთი აღარ არის ამ გვარზე. ბაბუა და მოხუცი ნათესავები ცდილობდნენ, საქართველოსთან კავშირი ჰქონოდათ, მაგრამ დღესდღეობით ის კავშირებიც აღარ არსებობს. მე კი მოსვენება მაქვს დაკარგული, ისე მინდა ჩემი წინაპრების პოვნა, რადგანაც ვიცი, რომ ეს ამბავი არის ისტორიული რეალობა და, დარწმუნებული ვარ, სისხლით ვგრძნობ, რომ საქართველოშია ჩემი ფესვები. მინდა იმ ადამიანების მოძებნა, რომლებისთვისაც ეს ამბავი (ბაბუას მიერ მონაყოლი) ისტორია უცხო არ იქნება, რომლებსაც იგივე სმენიათ თავისი წინაპრებისგან და, იქნებ, ამდენი წლის შემდეგ მე მაინც შევძლო და ვიპოვო ჩემი წინაპრები და აღვადგინო ჩვენ შორის დაკარგული კავშირი, მით უმეტეს, რომ ამ ზაფხულს, კერძოდ კი ივნისში, საქართველოში ვიქნები. ისტორიიდან, ასევე, ვიცი, რომ ბევრი ჩეჩენი იმყოფებოდა ქართველ მეფეებთან კარზე მსახურებად და შემდგომ ისინი გაქართველდნენ. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან ბევრ ჩეჩენს ქართველები ყველაზე ახლობელ ხალხად მიაჩნია, ანუ, ბევრი საერთო გვაქვს ჩვენ და ქართველებს. ვერაფრით ვერ დავიჯერებ, რომ საქართველოში ვინმემ მაინც არ იცოდეს ეს ისტორია, რომელიც ქართველ თავადს, გვარად გუგუშვილს შეემთხვა; ან, ორი ბიჭის ისტორია, რომლებიც ტყეში დაიკარგნენ და მერე ჩეჩენმა გაზარდა. ჩვენთან, ჩეჩნეთში, ეს ისტორია ბევრმა იცის და ჩვენ დღემდე გვეძახიან „გურჯი-ნახჩოს“, რაც ნიშნავს „ქართველ ჩეჩნებს.“ სასწაულის მჯერა და ვიმედოვნებ, რომ ამ ძველ ისტორიას, როგორც იქნება, აეხდება ფარდა და მე ვიპოვი ჩემს წინაპრებს.



**თუ გაქვთ რამე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

არავის უშვებდა თავისთან. ყოველდღე დავდიოდი, ვუვლიდი. რამდენჯერაც შევიდოდი, იმდენჯერ გააღებდა პირს და ენას მაჩვენებდა – აბა, ერთი ნახე, დღეს როგორ მაქვსო. მეც რაღაცეებს ვიგონებდი: უი, ლენაჩკა, დღეს სულ სხვა ფერია-მეთქი. ზურა გადაყოლილი იყო დედაზე. გაიგებდა, სადღაც ვიღაც კარგ წამალს ამზადებსო და მაშინვე გარბოდა მოსატანად. არაფერი დააკლო დედას. არ ვიცი, უნდა ვთქვა თუ არა, მაგრამ, ბიძინა ივანიშვილი ძალიან ეხმარებოდა. რომ გამატანდნენ ფულს და რაღაცეები მიმქონდა, სიხარულით წამოიძახებდა: „გაუმარჯოს ბიძინას!” გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე მითხრა: „ვკვდები, გოგო, ხო იცი!..“ მე ვუთხარი: ვინ გაგიშვებს. იცოდე, აქედან ყველანი კოლექტიურად მივდივართ-მეთქი და ამაზე ხარხარებდა. ამბობდა – ნახე, როგორ მაცინებს, სიცილის უნარი თუ კიდევ შემრჩებოდა, არ მეგონაო. ერთ დღეს მეუბნება: ნუნუ, იცი, ბავშვები მოვიდნენ და ბურთით გამიფუჭეს ტელევიზორი. ვუყვირე, გადით აქედან-მეთქი, მაგრამ, არ დამიჯერესო. მივხვდი, რომ აურია – რაღაცეები ეჩვენებოდა. გავედი და ნაცნობ ტელევიზორის ხელოსანს დავურეკე. ვუთხარი, რაშიც იყო საქმე და გავაფრთხილე: რომ მოხვალ, არ თქვა, რომ არაფერი სჭირს ტელევიზორს, ვითომ მართლა დაზიანებულია, ეჭვი რომ არ შეეპაროს-მეთქი. ამ დროს ზურაც მოვიდა და ეს ამბავი ვუამბე. ცოტა ხანში ლენას მწარედ დაასხა ოფლმა. ზურას ვუთხარი, პირსახოცის საბანი მაქვს და, წამოდი, გამოგატან, გამოუცვალე-მეთქი. არაფრით არ წამომყვა – წავალ და ვიშოვიო. რას იშოვი ამ შუაღამისას, დაკეტილი იქნება ყველაფერი-მეთქი. ნახევარ საათში მირეკავს და მეუბნება: აი, შენს ჯინაზე გადასარევი ლურჯი საბანი ვიშოვეო. მეორე დღეს ისევ მირეკავს – ლენა აღარ არისო. მთელი ღამე საწოლში დედამისთან ჩახუტებული იწვა და ტიროდა.



ლენა და ზურა

### ხრუშჩოვის გადახეული პორტრეტი და სახიფათო მოსაწვევი ბარათი

ლენას ძმა, გიგა ყიფშიძე, 24 წლის ასაკში სევასტოპოლის მთავარი არქიტექტორი იყო. რესტორანში ნასვამმა დანით დაჭრა ხრუშჩოვის სურათი, ისევ ქართველმა „ჩაუშვა” და ციმბირში უკრეს თავი. ეს სწორედ ის პერიოდი იყო, როცა ჭაბუა ამირეჯიბი იყოფებოდა იქ. მოსკოვში ოლიმპიადაზე იყო ლენა ჩასული, იქ თამაშობდა და ხრუშჩოვის ბანკეტზე დაპატიჟეს, მაგრამ, ხრუშჩოვის ხელმოწერილი მოსაწვევით ბანკეტზე კი არა, ძმასთან წავიდა. კოლონიის უფროსი გადაირია – ხრუშჩოვის სურათის დახევის გამო ზის გრიშკა, მის დას კი ხრუშჩოვი საქეიფოდ ეპატიჟებაო.



სცენაზე

### რთული გადაწყვეტილება

წოპე ლენას ძმის ახლო მეგობარი იყო და მან ურჩია: ხომ ხედავ, ცხვირი ხელს გიშლის. მოდი, მოვჭრათ და კინოშიც გადაგიღებენ, თანაც, კიდევ უფრო გაგალამაზებსო. ლენა მიყვებოდა: ვასო გოძიაშვილი გადაირია, რომ დამინახა, კინოსტუდიაში რომ მივედი გუგული მგელაძესთან. ჯერ ვერ მიცნო და მერე იმხელა მიყვირა – სად არის შენი ქართული ცხვირი, რომ, კინაღამ გული გამისკდაო.

**ეკა პატარაია**



**თუ სახლში შესვლისთანავე ცუდ განწყობაზე დგებით, უფულობა და უიღბლობა გახსენდებათ და ყოველ წვრილმანზე ნერვები გეშლებათ, ნუ შეაწუხებთ წუწუნითა და ბუზღუნით სხვებს, ამას ჯობია, დაფიქრდეთ და გამოსავალი თავადვე მოძებნოთ.**

**როგორც პარაფსიქოლოგი, ქალბატონი ნინო ამბობს, უიღბლობასა და ცუდ განწყობას ადვილად დააღწევთ თავს. ასევე, საკუთარი ძალებითვე შეძლებთ მატერიალური კეთილდღეობის მოპოვებას, თუ საცხოვრებელს სწორად მოაწყობთ.**

# რატომ არ ვარგა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დიდხანს დგომა და რაზე მეტყველებს ონკანიდან წყლის წვეთ-წვეთად ჟონვა

**ნინო**: სახლი ის ადგილია, სადაც სულიერ განტვირთვას, ძალების მობილიზებას, დასვენებასა და სიმშვიდეს ვპოულობთ. თუმცა, ბევრს, ზღურბლს გადააბიჯებს თუ არა, მაშინვე ახსენდება უიღბლობა და პრობლემები. არადა, სახლი თანამედროვე ადამიანისთვის არა მარტო საცხოვრებელი ადგილი, არამედ, წინასწარმეტყველური მინიშნების საშუალებაცაა. ყველამ ისე უნდა მოაწყოს საცხოვრებელი, რომ თავი კომფორტულად და ენერგეტიკულად დაცულად იგრძნოს. ისიც მართალია, გემოვნებაზე არ დავობენო, მაგრამ, მერწმუნეთ, ყველაზე მეტად სწორედ ეს არის სადავო საკითხი. თუ ადამიანის ემოციები და გუნება-განწყობა უარყოფითი ენერგიით არის დამუხტული, ამას სახლიც გრძნობს და, შესაბამისადაც რეაგირებს. ამიტომ ვურჩევ ყველას, ცუდი განწყობა და უგუნებობა სახლის კარს იქით დატოვონ და შინ ხალისითა და ღიმილით შეაბიჯონ. ასევე, გირჩევთ, გაითვალისწინოთ ის მინიშნებები, რომლებიც უბარაქობას იწვევს.

**– კონკრეტულად, რისი გათვალისწინებაა საჭირო ამისთვის, იქნებ დაგვიკონკრეტოთ და გვასწავლოთ?**

– მაგალითად, თუ გსურთ, ფული არ გამოგელიოთ ჯიბიდან, ნუ ჩაიყოფთ შარვლის უკანა ჯიბეებში ხელებს და ასე ნურც ივლით და ნურც დადგებით დიდხანს. თუ ონკანიდან წყალი წვეთ-წვეთად ჟონავს, ამას თქვენი ოჯახის ბარაქაც ასევე ნელნელა გაჰყვება თან, ამიტომ, სასწრაფოდ მოაწესრიგეთ ეს პრობლემა. ასევე, არ დადოთ ჩანთა, გასაღები და ცარიელი ბოთლი მაგიდაზე მზის ჩასვლის შემდეგ, არც ნაგავი გადაყაროთ და არც სახლი გამოგავოთ.

**– გეთანხმებით, ეს რჩევები არც ისე რთული შესასრულებელია, მით უმეტეს, თუ იცი, რომ ამით უბარაქობას აირიდებ თავიდან, მაგრამ, დავიჯერო, ეს ყოველთვის შედეგიანია?**

– დამიჯერეთ, სამყაროში თითოეულ ქცევას თავისი შედეგი მოაქვს. მინდა, აქვე გითხრათ ისიც, რომ კარმული ჩავარდნის პერიოდში ადამიანი უბარაქობის მსხვერპლი ხდება, შემდეგ კი აუცილებლად დგება კარმული აღმასვლის პერიოდი და სიტუაციაც გამოსწორდება. კარმული დაღმასვლის პერიოდში მეტად აკონტროლეთ სიტყვები, აზრები, ფინანსები და სურვილებიც კი. როცა მოზღვავებულ ენერგიას გრძნობთ, ეს აღმასვლის კარმული პერიოდია და ის მაქსიმალურად უნდა გამოიყენოთ წარმატების მისაღწევად. კოსმოსში ადამიანი საკუთარი თავისა და ბედის პროგრამას კარმული დაღმასვლის დღეებში გზავნის. სწორედ ამიტომ გითხარით, რომ ამ დროს მეტად ყურადღებით უნდა იყოთ და მეტი სიფრთხილით უნდა გაიაროთ ეს პერიოდი.

**არ დადოთ ჩანთა, გასაღები და ცარიელი ბოთლი მაგიდაზე მზის ჩასვლის შემდეგ; არც ნაგავი გადაყაროთ ამ დროს და არც სახლი გამოგავოთ**

**– ქალბატონო ნინო, თუ არსებობს რჩევები ეზოთერიკაში, რომელიც ადამიანს წარმატების მიღწევაში ეხმარება და ამ მხრივ საქმეს უიოლებს?**

– რასაკვირველია, არსებობს, მაგრამ, გაითვალისწინებთ თუ არა ამ რჩევებს, ეს თქვენი საქმეა. თითოეული ჩვენგანის სახლში, კერძოდ, ოთახში, არსებობს ადგილი, რომლებიც ფინანსებზეა პასუხისმგებელი. მაგალითად, ასეთი ადგილია შემოსასვლელი კარიდან მარცხენა კუთხე, ამიტომ, მას მეტი ყურადღება უნდა დაუთმოთ, სულ მოწესრიგებული უნდა გქონდეთ და არ უნდა დადოთ იქ ჭუჭყიანი ნივთები. კარგია ამ კუთხეში ცოცხალი ხის დადგმა. დღეს თითქმის ყველგან იყიდება ქოთანში ჩარგული დეკორატიული ხეები, შეიძინეთ ისინი და დადგით შესასვლელში – ლამაზიც არის და ბარაქაზეც დადებითად მოქმედებს. მინიატურული, ცოცხალი მწვანე მცენარეები ადამიანს სასიცოცხლო ენერგიით ავსებს, წარმატებისკენ მიმავალ გზას უხსნის და, აქტიური მოქმედების შედეგად, კარგ შემოსავალსაც უქადის. ასევე, ასეთი მინიატურული ხეების დადგმა კარგია მისაღებ და საძინებელ ოთახებში – ამით ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრასა და ნეგატიური ენერგიის განეიტრალებას შეძლებთ. გეტყვით იმასაც, რომ მინიატურულ მცენარეებთან სიახლოვის შემდეგ ადამიანებს წინასწარმეტყველური უნარი და ინტუიცია უვითარდებათ.

**– ეზოთერიკოსებს თუ დავუჯერებთ, თუ ონკანიდან წყალი წვეთავს, ეს უფულობაზე მიგვანიშნებს. გამოდის, რომ სანტექნიკა თუ მწყობრიდან გამოდის, უიღბლობისთვის უნდა მოვემზადოთ?**

– ჩემი მოთხოვნა და არა თხოვნაა, სახლში მთავარი ყურადღება სწორედ წყალგაყვანილობას მიაქციოთ. შეიძლება, ბევრს გაელიმოს და თქვას, ეს ჩემს უფულობასთან რა კავშირშიაო, მაგრამ, მერწმუნეთ, ასეა. სხვათა შორის, ეს არა მარტო მატერიალურზე, არამედ, ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. თუ შენიშნავთ, რომ თქვენს ბინაში წყალსადენი მილები, ონკანი ან კანალიზაცია ხშირად გამოდის მწყობრიდან, ესე იგი, თქვენ სურვილის დონეზე არასწორად მართავთ გრძნობებს, ანუ თქვენი ემოციები შეზღუდულია და გამოვლინების საშუალებებს ეძებს. როცა ადამიანის ემოციები და გუნება-განწყობა უარყოფითი ენერგიით არის დამუხტული, ამას საცხოვრებელი სახლიც შეიგრძნობს. თუ სრული ჰარმონიისა და ბარაქაიდილიის შექმნა გსურთ, სახლს მეტი ყურადღება მიაქციეთ და გაითვალისწინეთ ზემოთ მოყვანილი რჩევები.

**ნონა დათეშიძე**

**ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

## კონსტრუქციულად, ნაბიჯ-ნაბიჯ...

ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ურთიერთობაში ლიდერი ხდება ის, ვინც უფრო დიპლომატია. ქალები უკეთ უნდა ვფლობდეთ ამ ხელოვნებას, მაგრამ, უფრო ხშირად გამოუსწორებელ შეცდომებს ვუშვებთ. ერთ-ერთი მთავარი შეცდომა პარტნიორის გადაკეთების სურვილია. ყველაზე დიდი და სერიოზული კონფლიქტები სწორედ აქედან იწყება. თუმცა ცხოვრების თანამგზავრის „გადაკეთება“ რეალურად შესაძლებელია, მაგრამ, ძალიან რთულია და, ისევ და ისევ დიპლომატია თუ გიშველით.

დაიწყეთ იმით, რომ წამოიწყეთ საუბარი იმაზე, რაც რეალურად გაწუხებთ, მაგრამ, ყოველგვარი საყვედურის, ირონიული შენიშვნის, ბრალდების გარეშე. პრეტენზიული ტონიც არ უნდა გქონდეთ. არც იფიქროთ მისი გაყრით ან სახლიდან წასვლით შეშინება. მამაკაცი თითქმის ყოველთვის დარწმუნებულია საკუთარ სიმართლეში. ის ფიქრობს, რომ მარტო არ დარჩება და ყოველთვის იპოვის თქვენს შემცვლელს. მიაღწიეთ საწადელს ტკბილი სიტყვითა და მოფერებით. ხშირი შექება საუკეთესო იარაღია. ნუ დაგეზარებათ, წაახალისოთ. რაც არ უნდა გააკეთოს, თუნდაც უმნიშვნელო რამ, აუცილებლად აღნიშნეთ და შეაქეთ. სასურველია, თუ ამ შექების დროს მოწმეებიც იქნებიან, მაგალითად, მისი მეგობრები, თქვენი ახლობლები... მთავარია, მამაკაცი დაარწმუნოთ, რომ გულწრფელად ხართ მისით აღფრთოვანებული – მერე უკვე ბევრ რამეზე დაგეთანხმებათ.

## გადამდები პოზიტივი

ადამიანური სიკეთე – ერთი შეხედვით ამაში არაფერია განსაკუთრებული, თუმცა დღეს ეს მაინც გვიკვირს. საქმე ისაა, რომ სიკეთე მარტო არ „დადის“ – სიკეთეს ყოველთვის თან სდევს ხასიათის სირბილე და სინაზე. ეს ერთი მთლიანობაა. მამაკაცები ქალში ჯერ სიკეთეს და სინაზეს ანიჭებენ პრიორიტეტს, მერე უკვე სილამაზეს. თუმცა, შესამჩნევი უპირველესად სილამაზეა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ გადამდები პოზიტივი სიკეთეა და არა სილამაზე. მამაკაცებისთვის „კარგი“ და „კეთილი“ საერთოდ სინონიმებია. არსებობს კიდევ ერთი მთავარი ნიუანსი: თუ სხვების მიმართ კეთილი არ ხარ, ვერც საკუთარი თავის მიმართ იქნები ნაზი, მიმტევებელი და კეთილი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვინმე, ან საკუთარი თავი უნდა გეცოდებოდეს. პირიქით, სწორედ ამის გაკეთება არ არის საჭირო. ქალები ბუნებით მებრძოლი და უფრო ქმედებისკენ მიდრეკილი არსებები არიან, ვიდრე მამაკაცები. დიახ, სწორედ მამაკაცებს ახასიათებთ იმედგაცრუება, გულგატეხილობა, ხელის ჩაქნევა და უბედობაზე წუწუნი. ქალის ფსიქოლოგიის მკვლევრები ერთხმად ამტკიცებენ, რომ თუ ქალი საკუთარ თავს შეიცოდებს და წაიტირებს, მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე წუთს ახალი ენერგიით აივსოს პრობლემის ეფექტური გადაჭრისთვის... კიდევ, გადაწყვეტილება, რომელსაც ქალი საკუთარი თავის შეცოდების შემდეგ მიიღებს, ორმაგად უფრო შემოქმედებითი და სიტუაციის ადეკვატური იქნება. ყოველ შემთხვევაში, ქალს თითქმის ყოველთვის ყოფნის ძალა, მტკივნეული მარცხის შემდეგაც გააგრძელოს ცხოვრება...

## სადავო სილამაზე...

დაკვირვებიხართ, როგორი გარეგნობა ჰქონდათ გასული საუკუნის ლამაზმანებს?! – დღეს ზოგიერთი მათგანის მშვენიერება, შეიძლება, სადავოც კი იყოს. დიახ, სილამაზეც განიცდის ტრანსფორმაციას. ის იცვლება... დღეს ვის მოეწონება პუტკუნა და ქათქათა გოგო, წითელი ლოყებითა და გრძელი ნაწნავით?! სექსუალურ ქალად გარუჯული სხეული, წვრილი წელი და სიგამხდრე აღიქმება. ცოტათი ავადმყოფური, „გაცრეცილი“ გარეგნობაც ძალიან მოდურია და რაც მთავარია – ინდივიდუალიზმი. რაღაცით მაინც არ უნდა ჰგავდე სხვას. სხვათა შორის, ძველი კრიტერიუმი სილამაზის შეფასებისა, ბევრად მარტივი იყო. ძველი დროის ლამაზმანები ძირითადად ერთმანეთს ჰგვანან. ახლაც ასეა? – სულაც არა. შეიძლება, ქალის გარეგნობა არ აკმაყოფილებდეს არანაირ პარამეტრს, მისი ფიზიკური მონაცემები არ ჯდებოდეს სტანდარტებში, მაგრამ მაინც ძალიან, ძალიან ლამაზი იყოს.. ანუ, ამით იმის თქმა გვინდა, რომ ყველას შეუძლია იყოს ლამაზი, მათ შორის, თქვენც. მთავარია, დაინახოთ საკუთარი ღირსებები და ისწავლოთ მათი წარმოჩენა. ჩვენ ხომ სხვა გზა არც გვრჩება – უნდა ვიყოთ ლამაზები. ვინმესთვის კი არა, ისევ და ისევ საკუთარი თავისთვის... როცა ფიქრობ, რომ ლამაზი ხარ, ხდები თავდაჯერებული და ახერხებ იმას, რომ ექცევი მამაკაცებისა და არა მხოლოდ მათი ყურადღების ცენტრში... ეს კი ის არის, რაც ქალებს ყველაზე ძალიან მოგვწონს...

## ტრადიციულობა და ხასიათი

თანაგრძნობის უნარი, განცდა იმისა, რასაც სხვა განიცდის, მაქსიმალური ყურადღება სხვა ადამიანის მიმართ, ზოგჯერ სრულიად დაუმსახურებლად, მხარში დგომა მაშინ, როცა ყველაზე ძალიან გჭირდება – ეს ქალის დამახასიათებელი თვისებებია. მამაკაცები აუცილებლად გააპროტესტებენ ამას და შემოგვედავებიან: როგორ, ჩვენ თანაგრძნობა არ შეგვიძლიაო?!

დამშვიდდით. თანაგრძნობა ძლიერ სქესსაც შეუძლია, მაგრამ ისე უანგაროდ, თავდადებით, გულწრფელად და ზოგჯერ სრულიად გაუაზრებლად, როგორც ამას ქალი აკეთებს, მამაკაცი ვერასოდეს შეძლებს. თუმცა, ქალს ასევე, შეუძლია – ზუსტად ისე, როგორც მამაკაცს, ბოლომდე გაუკეთოს იგნორირება ადამიანს, რომელიც მას თავს მოაბეზრებს. თუ მოთმინების ძაფი გაუწყდება, ადგება და იტყვის: „ეს ჩემი პრობლემა არ არის“ და ზურგს შეაქცევს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ხასიათისთვის ასეთი ქცევა უცხოა. სხვათა შორის, ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ქალისთვის გულგრილობა დღეს ძალიან აუცილებელია. მას უკვე იმდენი საქმე და იმხელა პასუხისმგებლობა აქვს, ყველას ვერ ეყოფა. ზედმეტი გულკეთილობა კი თანამედროვე ქალისთვის ფუჭი ბარგია.  ის არ „ჯდება“ ჰიპერაქტიური, საქმიანი, მოუცლელი ქალის იმიჯში... უკეთესია, ქალებმა გავააქტიუროთ ისეთი თვისებები, როგორიც არის წარმატებისკენ ლტოლვა, ოპტიმიზმი, მიზანდასახულობა. აჯობებს, ვიაროთ მაღლა აწეული თავით და თავდაჯერებული ღიმილით... იმათ, ასეთები ვუნდივართ და ვჭირდებით...

## არც მთლად მართალი...

მამაკაცებისგან ხშირად გაიგებთ საყვედურს – ქალებმა ქალურობა დაკარგესო. ეს არ არის მართალი. ქალები, როგორც არასდროს, ისე ზრუნავენ საკუთარ ქალურობაზე. მართალია, ზოგიერთი არასწორად, მაგრამ ეს არ არის მთავარი – მთავარია, რომ სურვილი, იყოს ქალური, პრაქტიკულად, ყველა ქალს აქვს. ახლა რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენი ქალურობა არ მიიჩქმალოს და ძლიერი სქესისთვის თვალსაჩინო გახდეს... იცვლება ურთიერთობები ადამიანებს, შესაბამისად, ქალებსა და მამაკაცებს შორისაც. ამ ყველაფერს გარემო პირობები განაპირობებს. ბუნებრივია, რომ ჩვენ ვერ დავრჩებით ისეთებად, როგორებიც ვიყავით ადრე. თუმცა, სრულიად ვინარჩუნებთ ძირითად ქალურ ღირსებებს, რაც აუცილებელია ჩვენი სქესის იდენტიფიკაციისთვის. ანუ, რამდენიც უნდა გვისაყვედურონ, რომ ქალურები ნაკლებად ვართ – მაინც ყოველთვის დავრჩებით ნაზ, მომხიბვლელ არსებებად რთულ, მაგრამ მშვენიერებით სავსე სამყაროში... სილამაზე ისედაც პირობითი ცნებაა და ვერავის შეედავები, რატომ არ მიაჩნია ლამაზი ლამაზად... მაგრამ, არსებობს საერთო კრიტერიუმები და სანამ ქუჩაში ისევ გვაყოლებენ თვალს მამაკაცები, მტკიცდება ის, რომ მამაკაცების წუწუნი ჩვენს ქალურობასთან დაკავშირებით, არ შეესაბამება სიმართლეს...



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# დაბალანსებული დიეტა

*ეს დიეტა 4-კვირიანია. წინა ნომერში თქვენ გაეცანით მის პირველ კვირას. ახლა კი გთავაზობთ გაგრძელებას.*

**მეორე კვირა**

**საუზმე** – მთელი კვირის განმავლობაში, ყოველ დილით, 1 ცალი კვერცხი და ნახევარი ფორთოხალი ან გრეიპფრუტი.

**ორშაბათი**

**სადილი** – 1 ცალი მოხარშული კვერცხი, უმი ბოსტნეულის სალათა.

**ვახშამი** – მოხარშული ხორცი, 1 ცალი ფორთოხალი ან გრეიპფრუტი.



**სამშაბათი**

**სადილი** – უცხიმოდ შემწვარი მჭლე ხორცი (ცხვრისა და ბატის გარდა), უმი ბოსტნეულის სალათა.

**ვახშამი** – 1 ცალი მოხარშული კვერცხი, 1 ცალი ფორთოხალი ან გრეიპფრუტი.

**ოთხშაბათი**

**სადილი** – უცხიმოდ შემწვარი მჭლე ხორცი, კიტრი.

**ვახშამი** – 1 ცალი მოხარშული კვერცხი, 1 ცალი ფორთოხალი ან გრეიპფრუტი.

**ხუთშაბათი**

**სადილი** – 1 ცალი მოხარშული კვერცხი, უცხიმო ყველი, მოხარშული ბოსტნეული.

**ვახშამი** – მოხარშული ხორცი, უმი ბოსტნეულის სალათა.

**პარასკევი**

**სადილი** – უცხიმოდ შემწვარი თევზი ან კრევეტები და პომიდორი, 1 ცალი ფორთოხალი ან გრეიპფრუტი.

**ვახშამი** – ხილის ასორტი.

**შაბათი**

**სადილი** – მოხარშული ხორცი და პომიდორი; ფორთოხალი ან გრეიპფრუტი.

**ვახშამი** – ხილის ასორტი.

**კვირა**

**სადილი** – კანგაცლილი ქათმის ხორცი (მოხარშული ან უცხიმოდ შემწვარი), პომიდორი, მოხარშული ბოსტნეული; 1 ცალი ფორთოხალი ან გრეიპფრუტი.

**ვახშამი** – იგივე, რაც სადილი.

*(შესწორება: წინა ნომერში, დიეტის პირველ კვირაში გაიპარა უზუსტობა: ნაცვლად სიტყვისა – „ტოსტი", დაბეჭდილია – „ტორტი").*

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: მაქვს ძალიან ცხიმიანი თმა. როგორი შემადგენლობის შამპუნი უნდა გამოვიყენო?**

**პასუხი**: თავისთავად, თმა არ შეიძლება, ცხიმიანი იყოს. ცხიმიანი ან მშრალი, როგორიც წესი, არის თავის კანი. ცხიმიანი თავის კანის შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ შამპუნები, რომელთა შემადგენლობაში შედის ლიმონის, ევკალიპტის, ჭინჭრის ექსტრაქტები, თუთია, ზღვის წყალმცენარეები. ეს საშუალებები ამცირებს სებუმის (სეკრეტის) გამომუშავებას და არეგულირებს წყალ-ლიპიდურ ბალანსს. მათი ყოველდღე გამოყენება საჭირო არ არის. შედეგს 3-4-ჯერ დაბანის შემდეგ იგრძნობთ.

**კითხვა: მაქვს თხელი თმა. ვიზუალურად მოცულობის გასაზრდელად ვიკეთებ ლოკონებს, მაგრამ, ერთ-ორ საათში დამეშლება ხოლმე. რას მირჩევთ?**

**პასუხი**: ლოკონების გაკეთების შემდეგ, ძირებიდან 2-3 სანტიმეტრის დაშორებით, თმის მთელ სიგრძეზე წაისვით შამპუნი პანთენოლის შემადგენლობით. ის გაამკვირვებს ლოკონებს და გაზრდის მათ მოცულობას.

**კითხვა: მაინტერესებს, რა ფერის თვალის „ჩრდილებია" ამ სეზონზე აქტუალური?**

**პასუხი**: ამ სეზონზე აქტუალურია „ჩრდილის" ნებისმიერი ფერი, რომელიც უხდება თქვენი თვალების, თმის ან სამოსის ფერს, ოღონდ, უნდა დაიცვათ ერთი წესი: გამოიყენოთ მხოლოდ ერთი ფერის „ჩრდილი".



**კითხვა: სახის მასაჟის რამდენი სახეობა არსებობს?**

**პასუხი**: მასაჟის უამრავი სახეობა არსებობს, რომელთა შორის ყველაზე ცნობილი და მიღებულია: პლასტიკური, კოსმეტიკური, ჟაკე-მასაჟი და ასე შემდეგ. სულ ცოტა ხნის წინ კი შემოვიდა მასაჟის ახალი მეთოდი – ოსტეოპათიური, რომელიც მხოლოდ სპეციალისტთან უნდა გაიკეთოთ. ამ უნიკალურ მასაჟს საოცარი შედეგი აქვს: ხსნის შეშუპებას, ათანაბრებს კანის ფერს; ახალგაზრდავებს კანს, ამცირებს ძველი ნაოჭების სიღრმეს, აქრობს წვრილ ნაოჭებს, კანის ქსოვილიდან გამოდევნის წიდებსა და ტოქსინებს, ხსნის კუნთების დაძაბულობასა და სტრესს.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# რა უნდა ვიცოდეთ ბიორევიტალიზაციის შესახებ

კანის ღრმა დატენიანების მიზნით ჩატარებული ბიორევიტალიზაციის პროცედურები საგრძნობლად აფერხებს ნაოჭების წარმოქმნას, მაგრამ, არის თუ არა ის ჯანმრთელობისთვის საშიში?

ორგანიზმში ყველა პროცესი ერთმანეთზეა დამოკიდებული. ჰიალურონის მჟავა იშლება განსაკუთრებული ფერმენტით – ჰიალურონიზადით; ამასთან, ჰიალურონის მჟავისა და კოლაგენის (ელასტინთან ერთად) გამომუშავების პროცესი ურთიერთგადაჯაჭვულია. რაც უფრო მეტი ჰიალურონი სინთეზირდება, მით უფრო აქტიურად გამოიმუშავებენ ფიბრობლასტები კოლაგენსა და ელასტინს. როდესაც ხდება გელის შეყვანა ჰიალურონის მჟავის ფუძეში, იზრდება ჰიალურონიზადის სინთეზი, რაც თავისთავად, აძლიერებს კოლაგენაზისა და ელასტაზის სინთეზს. ეს კი შლის კოლაგენსა და ელასტინს, რომელთა დამატებით შეყვანაც არ მომხდარა.



**ეფექტი**: თავიდან სწორდება წვრილი ნაოჭები. ზოგჯერ სახე იღებს დამახასიათებელ ბზინვარებას. შემდეგ კანი ხდება თხელი, ჭიმავს სახის სტრუქტურას და ეს მდგომარეობა უნდა შენარჩუნდეს.

ჰიალურონის მჟავის ფუძეზე დამზადებული ფილერების გამოყენება დასაშვებია 40 წლის ზემოთ. კურსებს შორის აუცილებელია სარეაბილიტაციო პერიოდი – 12 თვე და ასევე, შედეგის შესანარჩუნებელი სპეციალური პროცედურები.

**რჩევა**: მიმართეთ მხოლოდ ძალიან გამოცდილ სპეციალისტს.

# რატომ არღვევდა პროტოკოლს სტალინის ესკორტი მოსკოვის ქუჩებში მოძრაობისას



**(1950 წლის აპრილი)**

სტალინზე განაწყენებული ხალხისგან ხშირად მსმენია, რომ დიდი ბელადი ყველა წვრილმანში ერეოდა, ისეთ სფეროებშიც კი იჭრებოდა, რაც სახელმწიფოს მეთაურის კომპეტენციაში არ უნდა შედიოდესო. სტალინს კი მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს მართვაში წვრილმანები არ არსებობს, მით უმეტეს, თუ ეს წვრილმანი სახელმწიფოს პრესტიჟს ვნებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით სტალინს არაერთხელ უთქვამს: „ნაპოლეონი უდიდესი პიროვნება იყო. მას თავისი ქვეყნისთვის არაერთი სიკეთე გაუკეთებია და განა მოახერხებდა ბონაპარტი ასეთ რამეს, წვრილმანებში რომ არ ყოფილიყო ჩახედული? წარმოიდგინეთ, ნაპოლეონი მოსკოვში იმყოფებოდა, მძვინვარებდა სასტიკი ომი და ის, იმავდროულად, პარიზის თეატრების რეპერტუარს აკონტროლებდა. ეს ყველაფერი ხდებოდა ისეთ პერიოდში, როცა ძალიან მწირი იყო საკომუნიკაციო საშუალებები და ინფორმაციის დროული მიღება და გადაცემა წარმოუდგენელი გახლდათ“.

დიდი ბელადი ყოველდღიურად, უამრავ ინფორმაციაზე რეაგირებდა და ასეთსავე ოპერატიულობას მოითხოვდა ხელქვეითებისგან. სტალინი ყველა წვრილმანს ყურადღებას აქცევდა და უმნიშვნელო დარღვევებზეც კი მკაცრ პასუხს სთხოვდა პასუხისმგებელ პირებს. 1950 წლის 31 მარტს, სტალინის კორტეჟმა (სტალინისვე მოთხოვნით) კურსი შეიცვალა და წითელ მოედანზე, ნელი სვლით გაიარა. თავდაპირველად, ჩვენ ვერ მივხვდით, რით იყო გამოწვეული ეს მოთხოვნა. როგორც შემდეგ გაირკვა, სტალინს საკუთარი თვალით მოუნდა სახელმწიფოს მთავარი მოედნის სანიტარული მდგომარეობის დათვალიერება. დიდი ბელადი ნელი სვლით მიმავალი მანქანიდან ყურადღებით ათვალიერებდა ყველაფერს და, როგორც მისი სახის გამომეტყველებიდან მივხვდი, საკმაოდ უკმაყოფილო დარჩა. მოედანი დანაგვიანებული იყო, ურნები არსად ჩანდა. გარდა ამისა, სტალინმა იკითხა: „რამდენი საათი უნდა იდგე ლენინის მავზოლეუმთან რიგში, ილიჩი რომ ნახო?“, რაზეც თვითონვე გასცა პასუხი: „ალბათ, ხუთი-ექვსი საათი“. შემდეგ სტალინი იმითაც დაინტერესდა, არსებობს თუ არა წითელ მოედანზე საზოგადოებრივი ტუალეტი. როცა ამაზეც უარყოფითი პასუხი მიიღო, მეტი აღარაფერი უთქვამს. ჩვენმა კორტეჟმა სწრაფად დატოვა წითელი მოედანი. მეორე დღეს კრემლში პოლიტბიუროს სხდომა გაიმართა, რომელიც სპეციალურად მოსკოვის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის საკითხებს მიეძღვნა. სტალინმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და ბოლოს წითელ მოედანზე შექმნილ სანიტარულ მდგომარეობასაც შეეხო. მოულოდნელად ხრუშჩოვს, რომელიც, როგორც ქალაქის თავი მოსკოვზე იყო პასუხისმგებელი, ასეთი რამ ჰკითხა: „სახლს თუ ასუფთავებენ შენთან და ტუალეტში თუ დადიხართ ოჯახის წევრები“. ხრუშჩოვი ჯერ წამოწითლდა, დაიბნა, მაგრამ უცებვე გამოერკვა და საკმაოდ მარდად მიუგო: „დიახ, იოსებ ბესარიონოვიჩ, სახლსაც ვალაგებთ და ტუალეტშიც დავდივართ“. სტალინმა მეორე კითხვა დაუსვა: „რამდენი ხანია, რაც წითელ მოედანზე არ გაგივლია ფეხით და საერთოდ, ილიჩის სანახავად თუ მდგარხარ მავზოლეუმის რიგში“. ხრუშჩოვმა უკვე ენის ბორძიკით მიუგო: „ფეხით დიდი ხანია, წითელ მოედანზე არ გამივლია, ხოლო მავზოლეუმის რიგში არასოდეს ვმდგარვარ“.

სტალინმა ჩიბუხი გააბოლა და მკაცრად ჩაილაპარაკა: წადი, ახლავე გაიარე იქ. მოედანს რომ მოივლი, შემდეგ რიგში ჩადექი და სანამ ილიჩს არ ნახავ, ფეხი არსად მოიცვალო. ჩემს დავალებას რომ შეასრულებ, არსად გადაუხვიო, პირდაპირ ჩემთან მოდიო. ხრუშჩოვი სხდომიდანვე გაეშურა სტალინის დავალების შესასრულებლად. სტალინმა კი დანარჩენებს უთხრა: „დაახლოებით რვა-ცხრა საათში დაბრუნდება უკან (იმ მომენტში დღის 12 საათი იყო) და არაა გამორიცხული, საცვლებში ჩაისველოს“. პოლიტბიუროს წევრები ვერ მიხვდნენ, რას გულისხმობდა სტალინი. ცოტა ხანში სხდომა დაიშალა. ზუსტად 20 საათსა და 30 წუთზე ხრუშჩოვი სტალინის კაბინეტში დაბრუნდა, სადაც დილანდელი სხდომის მონაწილეები კვლავ შეკრებილიყვნენ. „რას იტყვი, ნიკიტა, შეასრულე ჩემი ბრძანება?“, რაზეც წამოჭარხლებულმა ხრუშჩოვმა დადებითად უპასუხა. სტალინმა კვლავ გააბოლა და დაიწყო: „მოსკოვი ჩვენი სიამაყეა, ქვეყნის სახეა, ხოლო წითელი მოედანი – დედაქალაქის ყველაზე საპატიო ადგილი. გუშინ კი იქაური სანაგვე საკუთარი თვალით ვნახე. გარდა ამისა, მოედანზე შეკრებილი ხალხისთვის განსატვირთი ადგილი არსადაა ახლომახლო და მავზოლეუმის რიგში მდგომი ხალხი იძულებულია, ან მოითმინოს, ანდა რამდენიმე კილომეტრის მოშორებით იაროს ტუალეტში. შენ, როგორც ქალაქის პასუხისმგებელი მუშაკი, რატომ არ ზრუნავ ამ საკითხზე?“ ხრუშჩოვი კვლავ წამოწითლდა და ენის ბორძიკით თქვა: „ამხანაგო სტალინ, ურნებს აუცილებლად დავდგამთ და უზარმაზარ ტუალეტსაც უახლოეს დღეებში ავაგებთ“. სტალინი გაბრაზდა და მკაცრად მიუგო: „ურნები აქამდე უნდა დაგედგათ, ხოლო ტუალეტის აგება წითელ მოედანზე მიზანშეუწონელია, ტვინი გაანძრიე და მოიფიქრე, რა გამოსავალი უნდა ნახო“.

ხრუშჩოვი კვლავ დაბნეული იდგა ფეხზე და დუმდა, სტალინმა კი საუბარი ასე დაასრულა: „მოძრავი ტუალეტები დაამონტაჟეთ მანქანებზე. საღამოს შესაბამის ადგილებში რომ დაიცალოს, გასუფთავდეს და დილით კვლავ უკან დაბრუნდებიან. შენ კი, სამი დღის განმავლობაში, სხვა მეეზოვეებთან ერთად, დაგვი მოედანს და საქმეს რომ მორჩები, ერთ-ერთ მოძრავ ტუალეტთან იმორიგევებ“. ხრუშჩოვი გაფითრდა და ხმა არ ამოუღია. სტალინმა დამსწრეები დაითხოვა კაბინეტიდან.

დიდი ბელადი თითქმის ყოველთვის აბსოლუტურად მშვიდი იყო და ნებისმიერ სიტუაციაში ინარჩუნებდა როგორც გარეგნულ, ისე შინაგან წონასწორობას. ყველაზე ექსტრემალურ სიტუაციაშიც კი, სტალინს მშვიდი გამომეტყველება ჰქონდა და გეგონებოდა, მაჯისცემა, ნათელი გონება, აზროვნება და კოორდინირებული მოძრაობები არასოდეს დარღვევიაო. მის გაწონასწორებულობაზე მკაფიო, მშვიდი მეტყველება და ხშირ შემთხვევაში, აუღელვებელი, დინჯი სიარული და მოძრაობები მიუთითებდა. ზოგჯერ, გათვითცნობიერებულ ადამიანს სტალინი ინერტულ, უძრავ ადამიანადაც კი მოსჩვენებია, მაგრამ... სწორედ ამ მოჩვენებით უძრაობაში იმალებოდა ბელადის ძალა, რომელიც ყველა წინაღობას არღვევდა და ვერაფერი აჩერებდა, როცა ზვავივით დაიძვრებოდა ხოლმე. ეს ყოველივე „ფორსმაჟორს“ ჰგავდა, იმ დაუძლეველ, გადაულახავ სტიქიას, რომელიც არ უნდა გამოიწვიო, რადგან ის მაინც მოვა და თუ თავს დაგატყდა, ვერც ვერსად გაექცევი და ვერც ვერსად დაემალები. სწორედ, ასე, ზვავივით, ატყდებოდა ხოლმე თავს სტალინის ძალა ყველა შინაურ თუ გარეშე მტერს. სტალინი, ამაღლებული, დახვეწილი სულიერებითა და რწმენით იყო შემკული და რაღაც აისბერგული სისპეტაკე და ბრწყინვალება ახასიათებდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მის სითეთრეს ვერ წაბილწავდი. მებრძოლი სტალინი, იავარმქმნელის შთაბეჭდილებას ტოვებდა და ამ დროს, ნებისმიერ წინაღობას ულმობლად, უსასტიკესად უსწორდებოდა, ძლევდა ხოლმე. ამ დროს, სტალინის მრავალი მტერი დათრგუნულა, გაჩერებულა და მცირედი წინააღმდეგობის სურვილიც კი მოსპობია. როგორც მმართველი, დიდი ბელადი, ასე ვთქვათ, „ერთმორწმუნე“, სალი და მიუდგომელი იყო. ის, საკუთარ იდეურ და მორალურ კოდექსებს პრინციპულად იცავდა და მასთან, ამ კუთხით, კადნიერი შეხების მცდელობაც კი, დიდი მარცხით მთავრდებოდა. სხვათა შორის, სანამ სტალინის ოპოზიცია სახელმწიფოს ღალატისთვის სიკვდილით დაისჯებოდა, დიდმა ბელადმა ისინი ჯერ თეორიულად, ფსიქოლოგიური პაექრობით გაანადგურა.

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწარების მიხედვით მოამზადა ნიკა ლაშაურმა**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

# რომელი თილისმა მოგიტანთ იღბალსა და წარმატებას ცხოვრებაში და რა განაპირობებს თქვენს წარუმატებლობას

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

ხშირ შემთხვევაში, წარმატების ან წარუმატებლობის მიზეზი არა ადამიანის საქმიანობა, არამედ, იდუმალი ძალებისა და ვარსკვლავების განწყობის წყალობა და დამსახურებაა. თითოეული ჩვენგანი სამყაროს ნაწილია და ყოველთვის განვიცდით მისი სასიცოცხლო ენერგიის ზეგავლენას.

საცხოვრებელი ბინა ადამიანის სხეულს ჰგავს – მასში ყოველ წუთს მიმდინარეობს ენერგიათა ცვლა. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ბინის ფორმას. უნდა იცოდეთ, როგორი ზომის და ფორმის საცხოვრებელი მოგიტანთ სამომავლოდ წარმატებას. თუ ბინა ან ოთახი ტრაპეციის ფორმისაა, ასეთ სახლში ცხოვრება ძალიან რთულია, რადგან, მეტია უიღბლობა, ფულიც თავისთავად გაედინება და ბარაქას ვერ ნახავთ. თუ სამკუთხედია, სიმდიდრეს ვერასდროს დააგროვებთ. არც გრძელი ფორმის ოთახები და ბინაა სასურველი. კვადრატული ან ოვალური საცხოვრებელი კი მეტად კარგი და სასიკეთოა.

ასევე, როცა სახლში რამე ნივთს უცვლით ადგილს, ამით აუცილებლად იცვლით ცხოვრებაში რაღაცას. თუ ინტუიცია კარგად გაქვთ განვითარებული, ზუსტად მიხვდებით, რა ნივთი სად დადოთ, რა შეცვალოთ თქვენს გარშემო და როგორ გაიუმჯობესოთ ამით ყოველდღიურობა.

ვერცხლის ნივთები ადვილად იღებს სახლში არსებულ უარყოფით ენერგეტიკულ დარტყმებს და, ასევე, იწოვს უარყოფით ენერგიებს. მთელ სიბინძურეს, რომელსაც ადამიანი თავისდაუნებურად იღებს გარემოსთან ურთიერთობისას, ვერცხლი ანეიტრალებს.

თუ ისეთი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ ხართ დაბადებული, რომ ვერცხლი თქვენთვის მისაღები ლითონია, აუცილებლად ატარეთ მისი სამკაულები. ასევე, ნებისმიერი ადამიანისთვის კარგია სახლში ჰქონდეს ვერცხლის პატარა ფიგურები. ამით დაეხმარებით საცხოვრებელ ბინაში დადებითი ენერგიის შედინებას. სავსე მთვარის დროს, ღამით, შეგიძლიათ, ეს ვერცხლის ფიგურები ღია ცის ქვეშ დააწყოთ, თუნდაც აივანზე, რათა ისინი მაქსიმალურად დაიტუმბოს და „აივსოს” მთვარის ძალითა და ენერგიით.

საცხოვრებელში ნებისმიერ საგანს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ოჯახში დადებითი ენერგიის მოსაზიდად აუცილებელია ძველმანი, გამოუსადეგარი ნივთების მოშორება. თავისუფალ სივრცეში ხდება მეტი დადებითი ენერგიის ცირკულაცია; სისუფთავე და წესრიგი კი სახლში დადებითი ენერგიის შემოდინებას უწყობს ხელს.

გირჩევთ, მეტი ყურადღება დაუთმოთ სახლისა და ოთახების მოწყობა-გალამაზებას და ყველა ნივთს თავისი ადგილი მიუჩინოთ, რათა მეტი სიმშვიდის, სიყვარულისა და ურთიერთგაგების ენერგია და ატმოსფერო შექმნათ თქვენ გარშემო.

ჩვენს წინაპრებს მიაჩნდათ, რომ ავგაროზები საშიში ცხოველების გამოსახულებიანი ნივთები უნდა ყოფილიყო. ფიქრობდნენ, რომ ამით ისინი დაცული იქნებოდნენ.

საერთოდ, ავგაროზისა და თილისმის მაგიური ძალა ნებისმიერ ადამიანზე ერთნაირად მოქმედებს. თილისმას ზოგი სახლის კარზე კიდებს, ზოგი სამკაულად ატარებს, ზოგს კი მანქანის სარკეზე აქვს დაკიდებული. ძველად მიღებული იყო თილისმის მშენებარე სახლის საძირკველში ან კედელში ჩაყოლება. ნალი ყველაზე გავრცელებული თილისმაა და არა მარტო საქართველოში. მას კარზე ზემოთ აღმართული ღია ბოლოთი კიდებენ და სჯერათ, რომ ბედნიერებისა და სიხარულის მომტანია, რადგან, ცუდი ენერგეტიკისგან იცავს სახლს. თილისმის ძალამ მის მფლობელს წარმატება უნდა მოუტანოს, დაიცვას მავნე ზემოქმედებისგან.

ავგაროზისგან განსხვავებით, თილისმას სხვა თვისებები აქვს, კერძოდ, თილისმად შეიძლება იქცეს ნებისმიერი ნივთი, თუ გრძნობთ, რომ მას თქვენთვის ბედნიერება და წარმატება მოაქვს. ასეთი შეიძლება იყოს: საფულე, ბეჭედი, გულსაბნევი, ცხვირსახოცი, მონეტა და ასე შემდეგ.

თილისმა იდუმალი ნივთია. ეცადეთ, არასაიმედო ადამიანის ხელში არ მოხვდეს და ამით სამომავლოდ უსიამოვნებები არ მოგიტანოთ.

ავგაროზისა და თილისმის საიდუმლო ძალა მათი ძლიერების რწმენას უკავშირდება. მათში ჩადებულია უდიდესი ფასეულობა, კერძოდ, ავგაროზში – ადამიანის ძალა და ნებისყოფა, თილისმაში კი – კონკრეტული აზრები, ემოციები და ადამიანის გრძნობები. ეს ნივთები გვახსენებს, რომ მათთან ახლოს ყოფნის დროს ჩვენ უფრო ენერგიულები და იმპულსურები ვართ. ასევე, საყვარელი ნივთების ტარება და მათთან სიახლოვე ადამიანს თავდაჯერებულობას და უსაფრთხოებას ანიჭებს.

წარმატებისა და იღბლის მოსაპოვებლად ყოველ წელს, ნებისმიერი ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანისთვის არსებობს კონკრეტული თილისმა, მაგალითად, წელს ვერძებისთვის კარგია თილისმად საფულეში ვერცხლისფერი ხურდა ფულის ტარება; კუროსთვის – გიშრის ქვა, რომელიც ჩასმული იქნება ოქროში და მას სამკაულის სახით ატარებთ; ტყუპებისთვის კარგია სპილენძისგან დამზადებული ნებისმიერი სამკაული; კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულმა ადამიანმა კი უნდა ატაროს რკინისგან დამზადებული თილისმა, რომელზეც გამოსახული იქნება რომელიმე მტაცებელი ფრინველი; ლომისთვის კარგია ოქროს თილისმა, რომელზეც ამოტვიფრული იქნება რაიმე ჭურჭლის გამოსახულება; ქალწულებისთვის – სპილენძის სამკაული, რომელზეც გველი იქნება გამოსახული; სასწორის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულისთვის წარმატების მომტანია ამეთვისტოს ან ქალცედონის ქვა; მორიელებისთვის – ამეთვისტოს ქვა, ჩასმული ოქროში, ასევე, წიგნის ფორმის სპილენძის გულსაკიდის ტარება; მშვილდოსნისთვის კარგი და წარმატების მომტანია ქრიზოპრაზის, იასპის ან ქალცედონის ქვისგან დამზადებული სამკაულის ტარება, ასევე, სპილენძის სამკაულები; თხის რქისთვის – ქრიზოლითის ან საფირონის ქვა, ასევე, ვერცხლის მონეტა, რომელსაც საფულეში ჩაიდებთ და სულ თან ატარებთ; მერწყულებისთვის კარგია ალუმინისგან დამზადებული თილისმა, რომელზეც გამოსახული იქნება გემი ან ნავი; თევზებისთვის კი ყველაზე კარგი თილისმაა სპილენძის რაიმე ნივთი.

# შეკითხვა ასტროლოგს

კითხვა: **ჩემი შვილი დაიბადა 1994 წლის 8 მაისს, დღის საათებში მაინტერესებს, თუ ელის წარმატებები ფეხბურთში და რომელი პროფესიაა მისთვის მეტად მისაღები?**

**პასუხი**: გეტყვით, რომ მისთვის სპორტი დიდი წარმატების მომტანი არ იქნება, თუმცა, არც ცუდია. შრომისმოყვარეობისა და შეუპოვრობის წყალობით, შესაძლოა, სპორტში კარგ შედეგებს მიაღწიოს. პროფესიებიდან კი მისთვის წარმატების მომტანია: რეანიმატოლოგია, სტომატოლოგია, ქირურგია, გინეკოლოგია, ფიტოთერაპია, სუჯუკთერაპია, ჰომეოპათია, სამართალდამცავი ორგანოები, საგამომძიებლო საქმიანობა, სამხედრო სტრუქტურები, საგადასახადო ინსპექცია, საბაჟო დეპარტამენტები, სადაზღვევო კომპანიები; ასევე, მუშაობა კონტროლის პალატაში; საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, კომერციული საქმიანობა, საფინანსო სფერო.

კითხვა: **დავიბადე 1988 წლის 17 მაისს. უცხოეთის რომელი ქვეყანაა ჩემთვის მეტად მისაღები?**

**პასუხი**: უცხოეთი თქვენთვის არც კარგია და არც ცუდი, ანუ, საშუალოა. ქვეყნებიდან კი მისაღებია: ბრაზილია, პორტუგალია, ჩინეთის ცენტრალური ნაწილი, ვიეტნამი, ფილიპინები, ტაილანდი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ისრაელი, სამხრეთ კორეა, ფინეთი, პაკისტანი, კუნძული მალტა, ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი მხარე, ბელგია, ჩრდილოეთ და დასავლეთ აფრიკის ქვეყნები, ინგლისის დასავლეთი ნაწილი, კანადა, საბერძნეთი, კუნძული სარდინია, ნორვეგია.

კითხვა: **ჩემი და დაიბადა 1987 წლის 13 თებერვალს. მინდა, ასტროლოგიური ქვისგან დამზადებული სამკაული ვაჩუქო. გთხოვთ, მირჩიოთ, რომელი ქვა იქნება მისთვის წარმატების მომტანი?**

**პასუხი**: მისთვის წარმატების მომტანია: საფირონის, ცირკონის, ძოწის, ქალცედონის, ნეფრიტის, ჟადეიტის, ლაზურიტის, ლალის ქვები. ამიტომ, სწორედ ამ ასტროლოგიურ ქვებს მიანიჭეთ უპირატესობა.

# თეატრები

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

26-27-28 ივნისი, **ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი** 18.00 - **„ნავიგატორი"** - პრემიერა - კ. გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: ლილი ხურითი, ბადრი ბეგალიშვილი, გიორგი გასვიანი, ნანა ხურითი, ედემ ხვიჩია, ნიკოლოზ წერედიანი, დავით ბერაძე, ბესარიონ ქარჩავა, იზოლდა ბოკუჩავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

27 ივნისი, **პარასკევი** 19.00 - **„ნადირობის სეზონი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ია სუხიტაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ლევან ბერიკაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ზაზა ბარათაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;***

28 ივნისი, **შაბათი** 19.00 - **„სტუმარმასპინძელი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი ვალერიან გორგოშაძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, ია სუხიტაშვილი, მანანა აბრამიშვილი, ლევან ხურცია, გელა ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

29 ივნისი, **კვირა** 19.00 - **„მოხუცი ჯამბაზები"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი გოჩა კაპანაძე. მონაწილეობენ: კახი კავსაძე, ზაზა ლებანიძე, ჯემალ ღაღანიძე, მანანა გამცემლიძე, მარინა ჯანაშია, მარინა კახიანი, დარეჯან ხარშილაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი.***

**ახმეტელის თეატრი**
**ვეკუას ქუჩა №8.**
**ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

28 ივნისი, **შაბათი** 19.00 - **„პოლიცია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დარიუშ ეზერსკი. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, აკაკი ხიდაშელი, კახა ჯოხაძე, გიორგი ჭუმბურიძე, თათია თათარაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

29 ივნისი, **კვირა** 19.00 - **„სასტუმრო, ორი სამყაროს გასაყარზე"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: აკაკი ხიდაშელი, ნუგზარ ყურაშვილი, ანა მატუაშვილი, გვანცა კანდელაკი, ნინო ანდრიაძე, ბექნუ ქაფიანიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

**თავისუფალი თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №2,**
**ტელ.: 298-58-21**

27 ივნისი, **პარასკევი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

29 ივნისი, **კვირა** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

**გაბრიაძის თეატრი**
**შავთელის ქუჩა №13,**
**ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90**

27 ივნისი, **პარასკევი** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

28 ივნისი, **შაბათი** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

29 ივნისი, **კვირა** 20.00 - **„რამონა"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

**საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №37.**
**ტელ.: 99-63-14.**

24 ივნისი, **სამშაბათი** 19.00 - **„ქრისტე"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ამირან შალიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 50 წუთი;***

27 ივნისი, **პარასკევი** 19.00 - **„კიდევაც დაიზრდებიან"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ამირან შალიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.***

**თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი**
**დავით აღმაშენებლის გამზირი №99/1.**
**ტელ.: 295-78-74, 295-39-27.**

27 ივნისი, **პარასკევი** 19.00 - **„ამიკო"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: ნინო ლეჟავა, კოტე თოლორდავა, ლაშა გრძელიძე, ზურაბ ავსაჯანიშვილი, ლიკა შუკაკიძე, ნუგზარ ყურაშვილი, ვახტანგ ახალაძე, ირაკლი გოგოლაძე, ნათია კუპატაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

28 ივნისი, **შაბათი** 12.00 - **„სამეფო ძროხა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა),რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. მონაწილეობენ: ნინო კიკაჩეიშვილი, ედმონ გაბედავა, ნიკოლოზ დონი, ალექსი ლობოვი, ნინო მუმლაძე, სერგო შვედკოვი, თამარ ცქვიტინიძე, დენ ხლიბოვი, ანა ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

28 ივნისი, **შაბათი** 13.00 - **„ემილის თავგადასავალი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: ლევან ქობლიანიძე. მონაწილეობენ: ხატია მელქაძე, ნინო შუშიაშვილი, თამარ ჭანუყვაძე, შალვა ანთელავა, მაკა ბარდაველიძე, ცოტნე საგინაძე, თორნიკე ქინქლაძე, ვასილ ამურველაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

28 ივნისი, **შაბათი** 16.00 - **„ნაცარქექია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ხატია მელქაძე, ბადრი გვაზავა, ლევან კაციაშვილი, გიორგი კაჭახიძე, პაატა მხეიძე, ვახტანგ ნოზაძე, ნინო ლორთქიფანიძე, პაატა კიკვაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

28 ივნისი, **შაბათი** 19.00 - **„კუკარაჩა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: შალვა განერელია. მონაწილეობენ: თამარ მამულაშვილი, ნინო ლეჟავა, კოტე თოლორდავა, ნინო არჩაია, ბერტა ხაფავა, ბადრი გვაზავა, ნინო ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ კვანტალიანი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

29 ივნისი, **კვირა** 12.00, 16.00 - **„სამეფო ძროხა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა),რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. მონაწილეობენ: ნინო კიკაჩეიშვილი, ედმონ გაბედავა, ნიკოლოზ დონი, ალექსი ლობოვი, ნინო მუმლაძე, სერგო შვედკოვი, თამარ ცქვიტინიძე, დენ ხლიბოვი, ანა ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

29 ივნისი, **კვირა** 13.00 - **„ფიფქია და შვიდი ჯუჯა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ლეჟავა, თამარ ლორთქიფანიძე, ნინო შუშიაშვილი, თამარ ჭანუყვაძე, კახა გაბელაია, მარიამ ჩუხრუკიძე, ნიკოლოზ კვანტალიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

29 ივნისი, **კვირა** 19.00 - **„მე ვხედავ მზეს"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ვამეხ ჯანგიძე, თამარ ლორთქიფანიძე, ნინო არჩაია, ხატია მელქაძე, ბერტა ხაფავა, ბადრი გვაზავა, ლევან კაციაშვილი, გიორგი კაჭახიძე, ბესო მეგრელიშვილი, პაატა მხეიძე, ვახტანგ ნოზაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

## ორშაბათი 23 ივნისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00 ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **აშშ – პორტუგალია** (გ/ჩვ) **17.00** "ქართული ჯარი" **17.30** "სოციალური თოქ-შოუ" **19.50 ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **ჰოლანდია – ჩილე** (პ/რეპ) **22.00** "ბრაზილია – **2014**" (პ/რეპ) **23.50 ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **კამერუნი – ბრაზილია** (პ/რეპ) **02.00** "ბრაზილია – **2014**" (პ/რეპ).

**07.00** მხიარული კამერა **07.30" 08.05" 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა. **10.05** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20, 12.05** სერ. "**შურის-მაძიებელი**" **12.30** დღის შოუ (პ/ე) **13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგრძელება) **14.50, 15.05, 16.03** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.50, 19.05** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** მხ/ფ "**სიჩქარე**" (კ.რივზი) **00.00** მხ/ფ "**რიდიკის თავგადასავალი**" (ვ.დიზელი) **02.20** მხ/ფ "**დღის ცივი შუქი**" (ს.უივერი).

**06.30** სერ. "**ვარდისფერი ბრილიანტი**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**საჰრა**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **20.00** სერ. "**ქალბატონი დილა**" **22.00** X - ფაქტორი **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ. **04.00** სერ. "**არ დამივიწყო**".

**06.10** ქვიშით ნაამბობი **06.20** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.45** ათონელი მამები - ედიშერ ჭელიძე **07.10** მოკ./ფ. "**მათთვის,ვინც მამამ მიატოვა**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**მე ვხედავ მზეს**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დიდ ხარ შენ,უფალო **15.20** სპექტაკლი - "**დარისპანის გასაჭირი**" **17.00** დ/ფ "კაკ ენისელი" **18.05** განთიადის სტუმარი **18.35** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ხევსურული ბალადა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** სახლი ღვთისა **21.40** დ/ფ "ღირსი მამა ანტონ მარტყოფელი" **22.25** დ/ფ "უაილდ ვესტის მხედრები" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "მიხეილ თუმანიშვილი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **7.50** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **8.25** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) **8.45, 17.45, 22.00, 1.55** "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30, 12.30, 1.15** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 16.00, 17.00, 19.00,** ამბები მოკლედ **10.02 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული" 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **13.00** იმედის ფსონი **14.00** ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე **16.02 სერიალი "ასი" 17.02 სერიალი "დაკარგული ქალაქი" 18.25, 2.15,** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **19.02 სერიალი "თანაგრძნობა" 20.00, 2.50** "ინ-ფაქტი" **20.05 სერიალი "დაკარგული დრო" 21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.30 სერიალი "სკანდალი"**.

## სამშაბათი 24 ივნისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 12.00, 16.00, 19.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00 ფეხბურთი** მსოფლიო ჩემპიონატი: **ხორვატია – მექსიკა** (გ/ჩვ) **17.00** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **17.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **19.50 ფეხბურთი** მსოფლიო ჩემპიონატი: **იტალია – ურუგვაი** (პ/რეპ) **22.00** "ბრაზილია – **2014**" (პ/რეპ) **23.50 ფეხბურთი** მსოფლიო ჩემპიონატი: **იაპონია – კოლუმბია** (პ/რეპ) **02.00** "ბრაზილია – **2014**" (პ/რეპ).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა. **10.05** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20, 12.05** სერ. "**შურისმაძიებელი**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.50, 15.05, 16.03** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.50, 19.05** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **21.00** სერ. "**შავი ვარდი 22.00** თეა სიჭინავას პოლიტიკის დრო **00.00** მხ/ფ "**მოჩვენებების ქალაქი**" (ჟ.დეპარდიე) **02.20** მხ/ფ "**რიდიკის თავგადასავალი**" (ვ.დიზელი).

**06.30** სერ. "**ვარდისფერი ბრილიანტი**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**საჰრა**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქალბატონი დილა**" **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **00.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **00.30** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ. **04.00** სერ. "**არ დამივიწყო**".

**06.10** საგალობელი **06.20** სპექტაკლი - "დარისპანის გასაჭირი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** დ/ფ "ღირსი მამა ანტონ მარტყოფელი" **11.00** დ/ფ "უაილდ ვესტის მხედრები" **11.30** პატერიკი **11.35** სახლი ღვთისა **12.10** მხ/ფ "**ხევსურული ბალადა**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დიდ ხარ შენ,უფალო **15.20** დ/ფ "ჰაჯი მურატი - ფილმი ,რომელიც არ დაიდგა" II ნაწ. **16.15** კონცერტი - ანს. "**შავნაბადა**" **17.35** ქვიშით ნაამბობი **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.25** მოკ./ფ. "**თედო**" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.15** "ჩვენი ამბავი" დავით გურამიშვილი **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **23.35** დ/ფ "ივანე ჯავახიშვილი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **7.45** "უცნობი ისტორიები" (გამ.) **8.10** "ურბანსპორტი"(გამ.) **8.25** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში" (გამ.) **8.45, 22.00, 1.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30, 12.30, 1.10** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 16.00, 17.00, 19.00,** ამბები მოკლედ **10.02, 11.03 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული" 13.00** იმედის ფსონი **14.00** ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე **16.02, 17.02 სერიალი "ასი" 17.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები" (გამ.) **18.25, 2.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **19.02 სერიალი "თანაგრძნობა" 20.00, 2.50,** "ინ-ფაქტი" **20.05 სერიალი "დაკარგული დრო" 21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15** თოქ-შოუ "დებატები მაესტროზე" **23.30**, TV **11** მაესტროზე **23.55 სერიალი "სკანდალი" 0.45**, დოკ ფ. "გზა ბრაზილიისკენ".

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

### კინოთეატრი „რუსთაველი"
რუსთაველის გამზირი №5.
ტელ.: 293-22-53, 255-50-00.

**23 – 29 ივნისი**

*დარბაზი 1*

12.30, 15.00, 17.30 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

20.00, 22.30 - **„არეულები"**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

*დარბაზი 2*

12.00, 22.30 - **„ტაქსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

14.00, 16.00, 18.00, 20.15 - **„ხუთი ნახვით შეყვარება"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.30, 19.45 - **„მალეფისენტი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

17.00 - **„X ადამიანები: მომავლის განვლილი დღეები"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

22.30 - **„მეზობლები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.30, 15.00, 22.30 - **„მომავლის ზღვარი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

17.50, 20.00 - **„ტაქსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.45, 17.30 - **„არეულები"**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

20.00 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

22.30 - **„მალეფისენტი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

### კინოთეატრი „ამირანი"
კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.

*დარბაზი 1*

12.15, 14.45, 17.15 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

19.45, 22.30 - **„მეზობლები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი.*

*დარბაზი 2*

12.00 - **„მომავლის ზღვარი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

15.00, 17.00 - **„მეზობლები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

20.00 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

22.30 - **„ჩემი საბნის ნაკეცი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი.*

*დარბაზი 3*

12.30, 17.15 - **„ტაქსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

15.00, 19.30, 22.30 - **„მეზობლები"** (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი ბზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ხორცის ბურთულა სატენით





**საჭირო ინგრედიენტები:** 800 გრამი ღორის ხორცის ფილე, 150 გრამი ხის სოკო, 3 ცალი მჟავე კიტრი, 1 ცალი საშუალო ზომის ხახვი, 3-4 სადილის კოვზი არაჟანი (მაიონეზიც შეიძლება), 2 სადილის კოვზი მდოგვი, 2 კბილი ნიორი, 2 სადილის კოვზი ძმარი, 1 ჭიქა წყალი, 2 სადილის კოვზი ზეთი, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხახვი დაჭერით რგოლებად, დაასხით ძმარი და წყალი. ღორის ხორცის ფილე გაჭერით ბრტყლად, კარგად დაბეგვეთ ორივე მხრიდან და წაუსვით მარილი და პილპილი. ნიორი დანაყეთ, შეურიეთ მდოგვში და წაუსვით ხორცს ერთი მხრიდან. სოკო მოათავსეთ ცხელ, ზეთიან ტაფაზე. დაუმატეთ დაჭრილი მჟავე კიტრი და შუშეთ რამდენიმე წუთის განმავლობაში. შემდეგ უყავით არაჟანი, ამოურიეთ და გადმოდგით ცეცხლიდან. ეს გახლავთ სატენი ხორცის ბურთულისთვის. მოათავსეთ ეს ფარში დაბეგვილი ხორცის ნაჭრის ნახევარზე და გადმოაფარეთ მეორე ნახევარი. ფოლგის ნაჭერზე მოათავსეთ მარინადიდან ამოღებული ხახვი, დაადეთ სატენიანი ხორცი და ზემოდანაც ხახვი მოაყარეთ. დანამეთ ზეთით და შეფუთეთ ფოლგაში. გადაიტანეთ გამოსაცხობ ტაფაზე, დაასხით ცოტა წყალი, მოათავსეთ გაცხელებულ აირღუმელში და აცხვეთ 40 წუთის განმავლობაში. მიირთვით ნებისმიერ გარნირთან ერთად.

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები

# კატლეტი მაკარონისა და ძეხვის ფარშისგან





**საჭირო ინგრედიენტები:** 250 გრამი ნებისმიერი მაკარონი, 250 გრამი გახეხილი მაგარი ყველი, 250 გრამი ძეხვი, 3 ცალი კვერცხი, ზეთი.

**მომზადების წესი:** მაკარონი მოხარშეთ. შეგიძლიათ გამოიყენოთ სადილიდან ან ვახშმიდან მორჩენილი მაკარონიც. გამოგადგებათ ნებისმიერი ძეხვი. ერთმანეთს შეურიეთ მაკარონი, გახეხილი ყველი, კვერცხი და კარგად ამოურიეთ. ზეთი გააცხელეთ ტაფაზე. კოვზით ამოიღეთ ფარში, მოათავსეთ ტაფაზე და შებრაწეთ ორივე მხრიდან – ოქროსფერი უნდა გახდეს.

მიირთვით, ძალიან გემრიელია.

# ქათამი მარინადში ამერიკულად





**საჭირო ინგრედიენტები:** 3 სადილის კოვზი ძმარი, ცოტა დარიჩინი (დაფქული), 3-4 ჩაის კოვზი მდოგვი, 1 ჭიქა ნებისმიერი ზეთი, ორკილოგრამიანი ქათამი, 2-3 კბილი ნიორი, მარილი, შავი პილპილი, დაფნის ფოთოლი.

**მომზადების წესი:** ზეთში შეურიეთ მდოგვი, დაუმატეთ ძმარი, დანაყილი ან გახეხილი ნიორი, დარიჩინი, მარილი, შავი პილპილი და ყველაფერი კარგად ათქვიფეთ.

ქათამი დაჭერით ულუფებად, ჩააწყვეთ მარინადში, დაუმატეთ დაფნის ფოთოლი და 24 საათის განმავლობაში მოათავსეთ მაცივარში. შემდეგ ნაჭრები სათითაოდ ამოიღეთ მარინადიდან, დააწყვეთ გამოსაცხობ ტაფაზე და დაბრაწეთ ცხელ აირღუმელში 45-50 წუთის განმავლობაში.

# ლევან ყოჩიაშვილის კულინარიული რეცეპტი





*მიყვარს მწვადისა და ხორციანი კერძების მომზადება. ამჯერად თქვენს მკითხველს გულ-ღვიძლის ჩემებურ რეცეპტს ვთავაზობ.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 600-800 გრამი ხბოს ან ღორის გულ-ღვიძლი, 330 გრამი ხახვი, 5 კბილი ნიორი, 30 გრამი ცოცხალი ქინძი, 20 გრამი რეჰანი, 2 ჩაის კოვზი ხმელი ქონდარი, 80 გრამი კარაქი, 1 დიდი ან 2 პატარა დაფნის ფოთოლი, 1 ცალი მწვანე წიწაკა, 100 მილილიტრი თეთრი ღვინო, შავი პილპილი და მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** გულ-ღვიძლი გარეცხეთ და დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად, ხახვი – წვრილად. მწვანილი, მწვანე წიწაკა და ნიორი დანაყეთ ან ასევე, წვრილად დაჭერით. უპირველესად, მოშუშეთ ხახვი კარაქში და დაასხით ღვინო, 5 წუთის შემდეგ დაუმატეთ დაჭრილი გულ-ღვიძლი და კიდევ 5 წუთი დატოვეთ ცეცხლზე. შემდეგ დაუმატეთ დაახლოებით 1 ჩაის ჭიქა გადადუღებული წყალი ან ბულიონი. ყაურმა არ უნდა იყოს ძალიან წვნიანი. ბოლოს მოაყარეთ მწვანილი, ხმელი ქონდარი, მწვანე წიწაკა, ნიორი, ხელით დაფშვნილი დაფნა, მარილი და შავი პილპილი. სეზონზე შეიძლება გამოიყენოთ ცოცხალი 20 გრამი ქონდარი. შეგიძლიათ ასევე, ბრონეული ან ცოცხალი ოხრახუშიც მოაყაროთ. იმედია, მოგეწონებათ ჩემი საყვარელი კერძი. მისი მომზადება კეცზეც შეიძლება და ჩვეულებრივ, ცეცხლგამძლე ჭურჭელშიც.

# სალათა ქათმის გულებით – „ფრენჩი“









**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი ქათმის მოხარშული გულები, 100 გრამი დაკონსერვებული ანანასი, 1 ცალი ცოცხალი კიტრი, ნახევარი კონა ოხრახუში, 100 გრამი წვრილად გახეხილი სტაფილო, ცოტა მაიონეზი, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ქათმის მოხარშული გულები დაჭერით მომცრო ნაჭრებად, კიტრი და ანანასი – კუბიკებად, ოხრახუში კი – ძალიან წვრილად. ყველაფერი ერთმანეთში შეურიეთ, შეაზავეთ მარილითა და ცოტა მაიონეზით. სალათა გადმოიღეთ გაშლილ თეფშზე და გარშემო შემოუწყვეთ გახეხილი სტაფილო. მოგეწონებათ.




# ღორის ხორცი „ბალზამიკოთი"

**საჭირო ინგრედიენტები:** ღორის ხორცის ფილეს 1 საშუალო ზომის ნაჭერი, 0,5 ჭიქა მუქი „ბალზამიკო", 2 მწიკვი მარილი, 1 სადილის კოვზი მდოგვი, ცოტა შაქარი, 100 მილილიტრი წყალი, 300 მილილიტრი ქათმის ბულიონი, 50-100 მილილიტრი ნაღები, 1 ცალი როზმარინი, მარილი და წიწაკა – გემოვნებით, ზეთი – მოსაშუშად.

**მომზადების წესი:** ხორცი ზემოდან დასერეთ და გაცხელებულ ზეთში ბრაწეთ დაახლოებით ხუთი წუთის განმავლობაში და შემდეგ შეინახეთ თბილად. მდოგვში აურიეთ შაქარი და შუშეთ 1 წუთი, დაასხით „ბალზამიკოში" არეული წყალი და დაუწიეთ ცეცხლს. დაასხით ქათმის ბულიონი, ჩაუმატეთ როზმარინის ტოტი და ნახევრამდე დაადუღეთ. დაუმატეთ ნაღები, მარილი და წიწაკა და წამოადუღეთ. ამ სოუსში ჩააწყვეთ ხორცის ნაჭრები და მიიყვანეთ ადუღებამდე. გარნირად შეგიძლიათ მოამზადოთ მოხარშული კარტოფილი ან გოგრა.



# ხორცი კიტრითა და ძმრით

**საჭირო ინგრედიენტები:** 800 გრამი კიტრი, 1/3 ჩაის კოვზი მარილი, 500 გრამი ღორის ან ხბოს ხორცი, 2 თავი ხახვი, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 3 კბილი ნიორი, 1 სადილის კოვზი ჩილის სოუსი, 1/2 სადილის კოვზი დაფქული ქინძის თესლი, 1/2 ჩაის კოვზი შაქარი, 3 სადილის კოვზი სოიის სოუსი, 2 სადილის კოვზი ღვინის ძმარი, ზეთი – შესაწვავად.

**მომზადების წესი:** გათლილი კიტრი დაჭერით მოგრძო ნაჭრებად, მოაყარეთ მარილი და 30 წუთით მოათავსეთ თასში, შემდეგ გაწურეთ და მოასხით ერთი კბილი დანაყილი ნივრის, ქინძის, შაქრისა და ჩილის სოუსის ნარევი. ხახვი და წიწაკა დაჭერით მრგვალ, თხელ ალყებად, ხორცი კი – მოგრძო ნაჭრებად. ღრმა ტაფაში ზეთში შებრაწეთ ხორცი, დაუმატეთ ხახვი და შუშეთ ხახვის დარბილებამდე. დაუმატეთ სოიის სოუსი, დანაყილი 2 კბილი ნიორი, ბულგარული წიწაკა და მოასხით კიტრის ნაჭრებს. დაუმატეთ ძმარი, ცოტა ხანს თავდახურული გააჩერეთ და შეგრილებული მიიტანეთ სუფრასთან.



# ქათამი ღვინოში

**საჭირო ინგრედიენტები:** 250 გრამი ქამა სოკო, 1 ცალი ქათამი, 250 გრამი წითელი ხახვი, 1 ჩაის კოვზი ბეგქონდარა, 75 გრამი გამოყვანილი ღორის ქონი (სალა), 250 მილილიტრი წითელი ღვინო, 1 კბილი ნიორი, 300 გრამი ერბო, 1 დაფნის ფოთოლი, 130 მილილიტრი ქათმის ბულიონი, 3 სადილის კოვზი კონიაკი, 1 კონა ოხრახუში, ცოტა სახამებელი, მარილი და წიწაკა გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ქათამი დაჭერით 8 ნაწილად, ხახვი და სოკო – მსხვილად, სალა კი – წვრილ ნაჭრებად. ქათმის ნაჭრებს შეაზილეთ მარილი, წიწაკა და ერბო, ჩადეთ ტაფაში, დაასხით ღვინო და ბულიონი, დაუმატეთ ნიორი, ბეგქონდარა, დაფნის ფოთოლი, დაახურეთ სახურავი და შუშეთ დაბალ ცეცხლზე. 30 წუთის შემდეგ ხორცს დაუმატეთ ხახვი და სოკო და შუშეთ 20 წუთის განმავლობაში, სანამ წვენი ნახევრად დაშრება. ბოლოს დაასხით კონიაკი, მოაყარეთ მარილი, წიწაკა და, სურვილისამებრ, ცოტა სახამებლით შეასქელეთ. ადუღებისთანავე გადმოდგით ცეცხლიდან და ცხელს მოაყარეთ დაჭრილი ოხრახუში.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 25 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 **ფეხბურთი** მსოფლიო ჩემპიონატი: **საბერძნეთი – კოტდივუარი** (გ/ჩვ) 17.00 "ჩვენი ეზო" 17.30 პოლიტიკური თოქ-შოუ: I სტუდია 19.50 **ფეხბურთი** მსოფლიო ჩემპიონატი: **ნიგერია – არგენტინა** (პ/რეპ) 22.00 "ბრაზილია – 2014" 27-ე გადაცემა (პ/რეპ) 23.50 **ფეხბურთი** მსოფლიო ჩემპიონატი: **ეკვადორი – საფრანგეთი** (პ/რეპ) 02.00 "ბრაზილია – 2014" (პ/რეპ).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30 ქრონიკა. 10.05 სერ.**"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.50, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 17.50, 19.05 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 21.00 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 EMERGENCY — სასწრაფო დახმარება 00.40 მხ/ფ **"მიყვარხარ ფილიპ მორის"** (რ.სანტორო).

06.30 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"მათრობელა სიყვარული"**12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"საპრა"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 "ნანუკას შოუ" 00.00 კიმონო 01.00 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ. (ტიტ.) 04.00 სერ. **"არ დამივიწყო"**.

06.10 საგალობელი 06.20 დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" 06.45 დ/ფ "ივანე ჯავახიშვილი" 07.05 დ/ფ "ჰაჯი მურატი - ფილმი ,რომელიც არ დაიდგა" II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 თეთრიდან თეთრამდე 10.45 ქრისტიანული ხელოვნება 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 13.00 მოკ./ფ. **"თედო"** 13.25 ქვიშით ნაამბობი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 "ჩვენი ამბავი" დავით გურამიშვილი 15.05 დიდ ხარ შენ,უფალო 15.20 დ/ფ "ჰაჯი მურატი - ფილმი, რომელიც არ დაიდგა" III ნაწ. 16.10 კონცერტი - რიჩარდ გალიანო 16.50 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.20 ქრისტიანული სწავლება 19.35 "ჩემი ბებია" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 "ივერიის ეკლესია" 21.35 ეპოქის სახელები 22.25 დროის ჩანაწერები "პოეტი და აუდიტორია" - რეზო ამაშუკელი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ისიდორე სამთავნელი" 23.35 ქვიშით ნაამბობი 23.45 დ/ფ "ანთიმოზ ივერიელი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.25 მულტფილმი 7.50 გადაცემა "ID"(გამ.) 8.15 TV 11 მაესტროზე (გამ) 8.45, 22.00, 1.55 "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 12.30, 1.15 ბიზნეს კონტაქტი პ/ე 11.03 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული" 13.00 იმედის ფსონი 14.00 ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე 16.02, 17.02 **სერიალი "ასი"** 17.45 "ყოველდღიური ა(მ)ბები" (გამ.) 18.25, 2.15, თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 19.02 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00, 2.50, "ინ-ფაქტი" 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30 **სერიალი "სკანდალი"** 0.45, დოკ ფ. "გზა ბრაზილიისკენ".

## ხუთშაბათი 26 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 **ფეხბურთი** მსოფლიო ჩემპიონატი: **ჰონდურასი – შვეიცარია** (გ/ჩვ) 17.00 "შემოძახილი" 17.30 "არენა" 18.20 დ/ფ "გზა ბრაზილიისკენ" 2 ეპიზოდი: ალჟირი/გერმანია 19.50 **ფეხბურთი** მსოფლიო ჩემპიონატი: **აშშ – გერმანია** (პ/რეპ) 22.00 "ბრაზილია – 2014" (პ/რეპ) 23.50 **ფეხბურთი** მსოფლიო ჩემპიონატი: **სამხრეთ კორეა – ბელგია** (პ/რეპ) 02.00 "ბრაზილია – 2014" (პ/რეპ).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა. 10.05 სერ.**"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ. **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.50, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 17.50, 19.05 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 21.00 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 ცეკვავენ ვარსკვლავები 00.00 მხ/ფ **"უბრალო ფორმალობა"** (რ.პოლანსკი) 02.10 მხ/ფ **"მიყვარხარ ფილიპ მორის"** (რ.სანტორო).

06.30 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"მათრობელა სიყვარული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"საპრა"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 პროფილი 00.00 თბილისი ლაივ 00.30 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ. (ტიტ.) 04.00 სერ. **"არ დამივიწყო"**.

06.10 საგალობელი 06.20 დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" 06.45 ჩვენი ფონდი 07.00 დ/ფ "ჰაჯი მურატი - ფილმი ,რომელიც არ დაიდგა" **შშშ** ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დ/ფ "ისიდორე სამთავნელი" 10.55 ქართული ალბომი 11.20 დ/ფ "ანთიმოზ ივერიელი" 11.30 ეპოქის სახელები 12.10 "ჩემი ბებია" 13.15 ივერიის ეკლესია 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.55 შვიდგზის ლოცვა 15.05 დიდ ხარ შენ,უფალო 15.20 დ/ფ "საგუშაგო კოშკი" 16.15 კონცერტი -ბიძინა კვერნაძე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.20 "პორტრეტები" 20.15 მოკ./ფ. **"პიესა ოთხი ხელისთვის"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მთავარსარდალი - დავით აღმაშენებელი I ნაწ. 22.00 სიახლენი 22.25 მთავარსარდალი - დავით აღმაშენებელი II ნაწ. 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ანთიმოზ ივერიელი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.25 მულტფილმი 7.50 სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) 8.25 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) 8.45, 22.00, 1.55 "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 12.30, 1.20 ბიზნეს კონტაქტი პ/ე 13.00 იმედის ფსონი 14.00 ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე 15.45 პრესის მიმოხილვა 16.02, 17.02 **სერიალი "ასი"** 17.45 "ყოველდღიური ა(მ)ბები" (გამ.) 18.25, 2.15, თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 19.02 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00, 2.50, "ინ-ფაქტი" 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30, 5.20 **სერიალი "სკანდალი"** 0.45, დოკ/ფ. "გზა ბრაზილიისკენ".

## პარასკევი 27 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 **ფეხბურთი** მსოფლიო ჩემპიონატი: **ალჟირი – რუსეთი** (გ/ჩვ) 17.00 დ/ფ "ზღვის სიღრმეში" 18.00 მხ/ფ **"დაუმორჩილებელი"** (მ.ფრიმანი) 21.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" – "დამოუკიდებლობის 1005 დღე" 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.30 მხ/ფ **"უხილავი მხარე"** 02.00 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.20 ქრონიკა. 10.05 სერ.**"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ. **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.50, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 17.50, 19.05 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 21.00 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 თოქ შოუ — რეაქცია 00.00 მხ/ფ **"კარიბის ზღვის მეკობრეები: უცხო წყლებში"** (ჯ.დეპი) 02.30 მხ/ფ **"უბრალო ფორმალობა"** (რ.პოლანსკი).

06.30 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"მათრობელა სიყვარული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"საპრა"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქალბატონი დილა"** 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 მთავარი თემა 22.30 ქერის უბანი 23.00 ვანოს შოუ 00.00 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.04.00 სერ. **"არ დამივიწყო"**.

**06.10** მთავარსარდალი - დავით აღმაშენებელი I - II ნაწ. **07.00** დ/ფ "საგუშაგო კოშკი" **07.50** "ჩვენი ამბავი" დავით გურამიშვილი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** მოკ./ფ. "**ცოტნე დადიანი**" **10.55** ქვიშით ნაამბობი **10.05** სახლი ღვთისა **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.10** პორტრეტები **13.00** მოკ./ფ. "**პიესა ოთხი ხელისთვის**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დიდ ხარ შენ, უფალო **15.20** დ/ფ "ათონის მთა" **16.35** მოკ./ფ. "**ცაბუნია**" **16.55** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** "თეთრი ქარავანი" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მთავარსარდალი - დავით აღმაშენებელი III ნაწ. **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **7.50** "ინ-ფაქტი" (კვირის კოლაჟი) (გამ.) **8.10** გადაცემა "ფული და სურვილები"(გამ.) **8.45, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 16.00, 17.00, 19.00,** ამბები მოკლედ **10.02, 11.03 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული" 12.30, 1.20** ბიზნეს კონტაქტი პ/ე **13.00** იმედის ფსონი **14.00** ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე **16.02, 17.02 სერიალი ,,ასი" 17.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები" (გამ.) **18.25** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" პ/ე **19.02 სერიალი "თანაგრძნობა" 20.00** "ინ-ფაქტი" **20.05 სერიალი "დაკარგული დრო" 21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.30, 5.20 სერიალი "სკანდალი" 0.45**, დოკ ფ. "გზა ბრაზილიისკენ".

## შაბათი 28 ივნისი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** საბ. ან "ლაურას ვარსკვლავი და დრაკონი ნიანი" **10.00** საბ. ან "სუპერმენი და ბეტმენი-აპოკალიფსი" **11.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 19.00** "მოამბე" **12.30** "მხიარული სტარტები" **13.30** დ/ფ "ფოტო" **14.00** ქართ. მხ/ფ "**წარსულის აჩრდილები**" **16.30** "გურმანია" **17.00** "ეტალონი" **18.00** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **19.50 ფეხბურთი** მსოფლიო ჩემპიონატი: მერვედფინალი (პ/რეპ) **22.00** "ბრაზილია – **2014**" (პ/რეპ) **23.50 ფეხბურთი** მსოფლიო ჩემპიონატი: მერვედფინალი (პ/რეპ) **02.00** "ბრაზილია – **2014**" (პ/რეპ).

**07.30** ან/ფ "სპანჯბობი" **08.00** მხ/ფ "**წითელქუდა**" **10.25** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ვაკანსია **12.00** სერ."**მერლინი**" **13.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **14.50** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.50, 19.05** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** შალვა რამიშვილის შოუ **23.00** ადრენალინი **23.40** იდენტიფიკაცია **00.00** მხ/ფ "**ადრენალინი**" (ჯ.სტეტჰემი) **01.40** მხ/ფ "**ამერიკელი ცოლი**" (კ.ფერტი) (ტიტ.).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.25** ანიმაცია **08.30** მხ/ფ. **10.00** კომედი შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** იღბლიანი ბორბალი (კვირის გ/ჩ) **15.30** X - ფაქტორი (გ/ჩ) **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქალბატონი დილა**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** გააცინე და მოიგე (**2** კვირის წინანდელი გ/ჩ) **00.00** მსოფლიო კინოპრემიერები კადრს მიღმა (გ/ჩ) **00.30, 03.00** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "ყველაზე,ყველაზე" **07.00** მთავარსარდალი - დავით აღმაშენებელი ნაწ. **07.30** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართ. მულტფილმი **10.50** კვირიაკე **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.10** "თეთრი ქარავანი" **13.35** სალვთისმეტყველო საუბრები **14.05** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** დიდ ხარ შენ, უფალო **15.20** ოპერა - "**სიყვარულის ელექსირი**" **17.00** დ/ფ "ერთი ოჯახის ქრონიკები" (კარბელაშვილები) **17.40** ქვიშით ნაამბობი **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** თბილისის ტაძრები **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ქრისტიანული ხელოვნება **22.20** "ჩვენი ამბავი" დავით გურამიშვილი **22.30** მთავარსარდალი - დავით აღმაშენებელი IV ნაწ. **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სიმღერის კვალდაკვალ **00.35** დროის ჩანაწერები **01.20** "ნიურნბერგის პროცესი" III ნაწ.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **8.10** იუმორისტული შოუ -"**4X4**" (გამ.) **9.10, 11.00, 13.50, 16.00, 19.00 სერიალი "თანაგრძნობა" 10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 2.50** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.00, 15.00, 18.00, 21.00** მაესტრო **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50, 1.15** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში" **13.00** იმედის ფსონი **15.30** NX სპიკერი **18.30, 0.15** "უცნობი ისტორიები" **20.00 სერიალი "დაკარგული დრო" 21.30, 2.20** გადაცემა "ფული და სურვილები" **22.00 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00, 1.35** "თქვენი გადახდილია" **23.30,** TV **11** მაესტროზე **0.00** "ინ-ფაქტი" (კვირის კოლაჟი) **0.45**, დოკ ფ. "გზა ბრაზილიისკენ".

## კვირა 29 ივნისი

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00** საბავშვო მხ/ფ "**ჰარი პოტერი და სიკვდილის ძღვენი**" **11.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 19.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სამოთხის ვაშლები" **14.00 ფეხბურთი** მსოფლიო ჩემპიონატი: მერვედფინალი (გ/ჩვ.) **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** მხ/ფ "**ისევ 17** **19.50 ფეხბურთი** მსოფლიო ჩემპიონატი: მერვედფინალი (პ/რეპ) **22.00** "ბრაზილია – **2014**" (პ/რეპ) **23.50 ფეხბურთი** . მსოფლიო ჩემპიონატი: მერვედფინალი (პ/რეპ) **02.00** "ბრაზილია – **2014**" (პ/რეპ).

**07.30** ან/ფ "სპანჯბობი" **08.00** მხ/ფ "**რეალური სამყარო**" **10.10** ადრენალინი (გ/ჩ) **11.00, 14.00, 17.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** სერ. "**მერლინი**" **13.00** კულინარიული დუელი **14.30** იმედის გმირები **15.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ (გ/ჩ) **17.30** ცეკვავენ ვარსკვლავები (გ/ჩ) **20.00** პანორამა (**60** წთ) **21.00** ღამის შოუ **22.00** მხ/ფ "**იუმას მატარებელი**" (კ.ბეილი) **00.15** მხ/ფ "**ადრენალინი**" (ჯ.სტეტჰემი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.25** ანიმაცია **08.30** მხ/ფ. **10.30** ეკი ვოკი **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) **14.00** ქერის უბანი (პარასკევის გ/ჩ) **14.15** სიცილის ზონა **15.30** პროფილი გ/ჩ **18.50** იღბლიანი ბორბალი **20.00** გააცინე და მოიგე **21.00** P.S. **22.00** სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" **23.00** კომედი შოუ **01.00, 03.30** მხ/ფ.

**06.10** მთავარსარდალი - დავით აღმაშენებელი IV ნაწ. **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** თბილისის ტაძრები **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** ივერიის ეკლესია **10.50** სიმღერის კვალდაკვალ **11.30** ქართული ალბომი **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.10** მხ/ფ "**მეტიჩარა**" **13.30** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** სალვთისმეტყველო საუბრები **18.30** "ჩვენი ამბავი" დავით გურამიშვილი **18.40** დროის ჩანაწერები **19.20** "პასტორალი" **21.30** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ახალმოწამენი" **00.30** პორტრეტები **01.30** "ნიურნბერგის პროცესი" IV ნაწ.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.00** "უცნობი ისტორიები"(გამ.) **8.20** "თქვენი გადახდილია" (გამ.) **8.50** TV **11** მაესტროზე (გამ.) **9.20, 11.00, 14.25, 16.00, 20.00 სერიალი "დაკარგული დრო" 10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55,** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **13.00** იმედის ფსონი **13.50** გადაცემა "ურბანსპორტი" **14.00, 0.00** გადაცემა "ID" **14.55, 17.55** კვირის აზრები **15.30** NX სპიკერი **18.30, 0.20** ჟურნალისტური გამოძიება ("მონიტორი") **19.00 სერიალი "თანაგრძნობა" 21.00, 1.15** ვახო სანაიას რეპორტაჟი **22.00 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00, 2.15** იუმორისტული შოუ -"4X4“ **23.45** "აბების" კვირის ანეკდოტები **0.45**, დოკ ფ. "გზა ბრაზილიისკენ".

### ვერძი
გარშემო მყოფებისთვის მიმზიდველი და კეთილგანწყობილი იქნებით, რაც თქვენს ავტორიტეტს გაზრდის. მოერიდეთ აგრესიასა და მიზნის ძალისმიერად მიღწევას. კარგია მოგზაურობა და საქმიანი მივლინება. სასიყვარულო ურთიერთობა მეტად რომანტიკული გახდება.

### კურო
საქმეში იმოქმედეთ დამოუკიდებლად. ახალ ხალხთან ნაცნობობა და ურთიერთობა გაგახალისებთ, მეგობრები კი ფინანსური საკითხების მოგვარებაში დაგეხმარებიან. ყურადღებით უსმინეთ სხვების რჩევებსა და რეკომენდაციებს. მოგზაურობისას, არ არის გამორიცხული, მომავალი საბედო გაიცნოთ.

### ტყუპები
მომხიბვლელობა დაგეხმარებათ უცხო ადამიანებთან ურთიერთობასა და საჭირბოროტო საკითხების თქვენს სასარგებლოდ გადაწყვეტაში. ყურადღებით იყავით, რათა არ დაუშვათ შეცდომები. მოერიდეთ შემოსავლების აფიშირებას. არ არის გამორიცხული ახალი სასიყვარულო კავშირი, სკანდალით დასრულდეს.

### კირჩხიბი
ეცადეთ, თანამოაზრეებთან ერთად იმოქმედოთ. იდეების განხორციელების შედეგად, გაიზრდება ფინანსური შემოსავლები. ისე გადაანაწილეთ დრო, რომ, არც სამსახურს მოაკლოთ ყურადღება და არც საყვარელ ადამიანს. მოერიდეთ აზარტულ თამაშებს, უხეშობასა და კანონის დარღვევას. ახალი სასიყვარულო ურთიერთობა დიდხანს გასტანს.

### ლომი
ეს დრო დაგამახსოვრდებათ სასიამოვნო შეხვედრებითა და გადაადგილებებით. ნუ მოახდენთ ადამიანებზე ზეგავლენას ფარული ქცევებითა და მიდგომებით. არ არის გამორიცხული ახლო მეგობრული ურთიერთობა დიდ სიყვარულში გადაიზარდოს, თუმცა, საეჭვოა მისი დიდხანს გაგრძელება. მოგზაურობა კი დასვენების საშუალებას მოგცემთ.

### ქალწული
გაიზრდება თქვენი პოპულარობა. შესაძლოა, შეიცვალოთ სოციალური სტატუსი. ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებები და ხელშეკრულების დადება მომავალში კარგ პერსპექტივებს გპირდებათ. ნუ მოაკლებთ ყურადღებას საყვარელ ადამიანს და ნურც დასვენებაზე იტყვით უარს.

### სასწორი
კარგია კვალიფიკაციის ამაღლება. უცხოელებთან ურთიერთობა არასტაბილური იქნება და, არ არის გამორიცხული, პრობლემებიც შეგექმნათ. რეალურად შეაფასეთ ცხოვრება და ნუ აჰყვებით ილუზიებსა და ცდუნებებს. ხშირად განმარტოვდით და დაისვენეთ.

### მორიელი
ნუ მიმართავთ მაქინაციებსა და ავანტიურებს შემოსავლების გაზრდის მიზნით. მეტად აქტიურ ფაზაში შევა თქვენი პირადი ცხოვრება და სასიყვარულო ურთიერთობა, რაც დადებითად აისახება თქვენს შინაგან მდგომარეობაზე. კარგია მოგზაურობა.

### მშვილდოსანი
კარგი დრო აქტიური მუშაობისთვის. გაგიჩნდებათ დანაზოგის ხარჯვის სურვილი. არ არის გამორიცხული, თავგადასავლები მოგინდეთ და ერთდროულად რამდენიმე სასიყვარულო თამაში წამოიწყოთ, თუმცა, ეს მხოლოდ თქვენ დაგაზარალებთ. ამიტომ, იყავით დაკვირვებული და ფრთხილი.

### თხის რქა
დროა, წარსული გააანალიზოთ და არ დაუშვათ ადრინდელი შეცდომები. ოჯახის პრობლემების მოგვარება დიდ დროს წაგართმევთ. კარგია მოგზაურობა, ახალი ხალხის გაცნობა და მიღებული ინფორმაციის გაანალიზება. ამ პერიოდში გაგიადვილდებათ მიზნის მიღწევა.

### მერწყული
ემოციურად არასტაბილური დროა. შესაძლოა, ახლობლებისგან ან საყვარელი ადამიანის მხრიდან ღალატისა და ტყუილის მომსწრე გახდეთ. ნუ იქნებით ეჭვიანი და დროულად მოახდინეთ რეაგირება მიმდინარე მოვლენებზე. გაგიჭირდებათ კრიტიკის ატანა. არსებობს გაუთვალისწინებელი უსიამოვნებების ალბათობა.

### თევზები
ნათესავებთან ურთიერთობა მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს თქვენს მომავალ ცხოვრებაზე. ყველაზე მშვიდად თავს საკუთარ სახლში იგრძნობთ. ეცადეთ, გააზრებულად იმოქმედოთ. მოერიდეთ საყვარელ ადამიანთან კამათს. მეტი დრო დაუთმეთ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას, გარეგნობის მოწესრიგებასა და დასვენებას. კარგია დიეტის დაწყება.

**ახალმთვარეობა – 27 ივნისი, 08 სთ: 00 წთ.**

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი
მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს და უეცარ გადაწყვეტილებებს. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ცისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, ონიქსი ან მარგალიტი. ყურადღება მაიქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია, მათი ახდენის ალბათობა. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, ახალი ნაცნობობა, გართობა, მოგზაურობა, ვაჭრობა, შემოქმედებითი მუშაობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სამშენებლო მასალების შეძენა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

*პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.*

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე
კარგია ფინანსური საკითხების გადაწყვეტა, სასიყვარულო შეხვედრები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ფინანსური გარიგებები, მოგზაურობა, ვაჭრობა, მცენარეების დარგვა-გადარგვა. მოერიდეთ რისკს. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ნაცრისფერი, იასამნისფერი, მწვანე ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, ზურმუხტი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი ან ქარვა. ყურადღება მაიქციეთ სიზმრებს. კარგია მეგობრული კონტაქტები და გართობა. სუსტდება ბრონქები, ფილტვები, ყელი, ენდოკრინული სისტემა.

*პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.*

### ოთხშაბათი
კარგია კონტაქტები და მოლაპარაკებები, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა. ატარეთ ყვითელი, ნაცრისფერი, ვერცხლისფერი, ცისფერი ან იასამნისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, სარდიონი, ნეფრიტი, საფირონი ან ციტრონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია სწავლა, სამეცნიერო კვლევა, საბანკო ოპერაციები, მშენებლობა. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის.*

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღე
საიდუმლო ადვილად გამოაშკარავდება. მოიმატებს ცდუნებების და მოტყუების ალბათობა. ნუ აჰყვებით ცდუნებებს. მოერიდეთ კამათს და ნუ დაიწყებთ ახალ საქმეებს. კარგია სამეცნიერო კვლევა, სწავლა. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები. ატარეთ ოქროსფერი, ნარინჯისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ქარვა, ფირუზი, ჰელიოტროპი ან გიშერი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. სუსტდება მუხლები, ხელები, ბრონქები, ფილტვები.

*პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.*

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე
ამ დღეს ახალმთვარეობაა, დაძაბული კოსმიური ენერგიების დღე. მოიმატებს ტრავმების, ავარიების, კონფლიქტების, შეცდომების, ცდუნებების და ჯანმრთელობის გაუარესების ალბათობა. ამიტომ, ეს დღე გაატარეთ მშვიდად და ფრთხილად. არ ვარგა სახლის მშენებლობა, სასიყვარულო შეხვედრები, ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება. ატარეთ თეთრი, მწვანე, იისფერი, ვერცხლისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, გიშერი, ოპალი, ყვითელი იასპი ან მარჯანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ოჯახურ-ნათესაური კონტაქტები, შემოქმედებითი მუშაობა, ხელოვნებასთან კონტაქტი. სუსტდება კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

*პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის.*

### შაბათი
### გეომაგნიტურია დღის პირველი ნახევარი
მოიმატებს კონფლიქტები, გაღიზიანება, კამათის სურვილი. ნუ გასცემთ დაპირებებს, რადგან მათი შესრულება გაგიჭირდებათ. მაღალია შეცდომების დაშვების ალბათობა. ატარეთ თეთრი, იისფერი, მწვანე, ვერცხლისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, ონიქსი, გიშერი ან ოპალი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. არ ვარგა სახლის მშენებლობა, სასიყვარულო შეხვედრები, ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება. კარგია ტრადიციების დაცვა, საყოფაცხოვრებო საგნების შეძენა, შემოქმედებითი მუშაობა, ხელოვნებასთან კონტაქტი. სუსტდება კუჭი, მკერდი, კუჭქვეშა ჯირკვალი.

*პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.*

### კვირა
### გეომაგნიტური დღე
მოიმატებს ინტუიცია, მგრძნობელობა და რომანტიზმი. ნუ დაუშვებთ შეცდომებს და ერიდეთ ილუზიებს. არ ვარგა ადგილსამყოფლის შეცვლა, მცენარეების დარგვა-გადარგვა, სასიყვარულო შეხვედრები. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ლურჯი, ყვითელი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა ან სარდიონი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია მეგობრული კონტაქტები, გართობა, ვარჯიში, თმის შეჭრა, მშენებლობის დაწყება. სუსტდება ხერხემალი, გულ-სისხლძარღვოვანი სისტემა.

*პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.*

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ცეცხლაშვილი

ბათუმში, აჭარის სხვა ქალაქებსა და რაიონებში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს გვარიშვილობის ფენომენი. გაბაიძეების საგვარეულო შეკრებაზე, რომელიც დიდი ზარზეიმით ჩატარდა, პოეტმა თენგიზ **ცეცხლაშვილმა** დაარიგა ბოლო ხანს გამოცემული წიგნი – „მამულო, ჩემო საუნჯევ“. მისი მეორე წიგნი – „ხმა“ – ასე იწყება: „ურყევი ბურჯი საქართველოსი, მუდამჟამს იყო ჩემი აჭარა, დღესაც მზად არის, თავი გასწიროს, მამულს დაუდგეს მტკიცე აბჯარად“. ამ შეკრებაზე გადაწყდა, რომ ცნობილ საგვარეულოსთან **ცეცხლაძეებთან** უნისონში მოეწყოს **ცეცხლაშვილების** გვარის შეკრება და აირჩიონ გვარის უფროსი, რადგან, მიგვაჩნია, რომ ეს არის ორი მონათესავე გვარი.

გვარში **ცეცხლაშვილი-ცეცხლაძე** ფუძედაა გამოყენებული სიტყვა **ცეცხლი**, საიდანაც მიღებულია საკუთარი სახელი – **ცეცხლა.**

**ცეცხლაშვილი ცეცხლაძეებიდან** ატყორცნილ გვარად ჩანს. **ცეცხლაძეები** ცხოვრობენ აჭარაში, ჩოხატაურში, ლანჩხუთში, თბილისში, ქობულეთში და სხვაგანაც. საქართველოში ყველაზე გავრცელებულ 1 000 გვარს შორის **ცეცხლაძეები** 42-ე ადგილზე არიან.

იოანე ბაგრატიონი წიგნში „შემოკლებული აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა ოჯახებისა, რომლებიც შეტანილნი არიან ტრაქტატსა შინა“ **ცეცხლაძეებს** აზნაურებად მოიხსენიებს.

**ცეცხლაძეები** არიან იმერეთშიც. საგვარეულოს ისტორიული სოფელია ხინო, რომელიც აჭარასა და გურიის საზღვარზე მდებარეობს. სამეგრელოში კი გვარი გვხვდება სოფლებში: პატარა ფოთი და ეწერი.

**ცეცხლაძეები**, ასევე, გვხვდებიან 1781 წლის ქსნის ხეობის აღწერაში.

კახეთის მოსახლეობის აღწერის მეთვრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედის დავთარში კი დაფიქსირებულები არიან **ცეცხლაშვილები**: „შილდის ნეკრასლის ყმა გოშფარ **ცეცხლაშვილი**, გიორგი **ცეცხლაშვილი** და ივანე **ცეცხლაშვილი.**”

საქართველოში 91 **ცეცხლაშვილი** ცხოვრობს: თელავში – 18, თბილისში – 9, ბათუმში – 7. არიან სხვაგანაც.




### რამინაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **რამინი,** რომელიც ინდურ-ირანული წარმოშობისაა და მორჩილს, დამჯერს ნიშნავს.

1941 წელს სანდრო **რამინაშვილი** ამბროლაურის რაიონის სოფელ კაჩაეთიდან ასურეთში გადასახლებულა.

გაბრიელ **რამინაშვილი** მოიხსენიება არზაში გაბრიელ **რამინაშვილის** ვალის თაობაზე შედგენილი გიორგი მეთორმეტის ოქმში, 1860 წელს.

საქართველოში 264 **რამინაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 54, ქუთაისში – 44, ხობში – 26. არიან სხვაგანაც.

### სოლომონაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **სოლომონი**, რომელიც ებრაული წარმოშობისაა და ქართულად წყნარს, მშვიდობიანს ნიშნავს.

1690 წელს ფარსადან ციციშვილის მიერ რევაზ მაღალაძისადმი მიცემულ ყმის ნასყიდობის წიგნში მოხსენიებულია **სოლომონ სოლომონაშვილი.**

ამავე ძირისაა გვარები: **სოლომნიშვილი, სოლომონია, სოლომონიშვილი, სოლომონიძე.**

საქართველოში 30 **სოლომონაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 11, კასპში – 14, გორში – 5.

### ბუზალაძე

გვარის ფუძეა **ბუზა**, რომელსაც ნაწილაკი **ლა** და სუფიქსი **ძე** ემატება.

ისტორიულ დოკუმენტებში გვარი **ბუზალაძე** 1688-1703 წლებში გვხვდება.

დაკარგული ყმა-მამულის ნუსხაში აღნიშნულია, რომ **ბუზალაძის** საკომლო მიწები გუნდიაშვილს მიჰყიდეს.

ბერუკა ბუზალაძე პაპუნა ხვედიანელის მიერ ბაადურ მაჩაბლისთვის მიცემული ნასყიდობის წიგნში მოწმედ მოიხსენიება.

საქართველოში 1 249 **ბუზალაძე** ცხოვრობს: თბილისში – 218, ჭიათურაში – 186, ლაგოდეხში – 176. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# რა შეტყობინება გაუგზავნა ალეკო ელისაშვილს პრეზიდენტმა და როგორ მოხვდა ის კოშმარში

(მე-11 გვერდიდან)

ვდი ჩემს ფუნქციას. თავიდან ცოტა მეც მეშინოდა, ვიფიქრე, „დამერხა-მეთქი”, მერე და მერე მივეჩვიე. ახლა საშიში არაფერია – ყველა ყველაფერს ლაპარაკობს. ამდენად, მე აღარ ვარ საჭირო პოლიტიკური ჟურნალისტიკისთვის, თუმცა არ გამოვრიცხავ, პუბლიცისტურ ჟურნალისტიკაში დავრჩე – ვწერო თბილისზე, ისევე როგორც არ შევწყვეტ ექსკურსიებს ჩემს ქალაქში, რაზედაც ჭკუა მეკეტება. იმ ხალხის გასაგონად ვიტყვი, ვინც საარჩევნო კამპანიის დროს ხშირად ამბობდა, ნეტავ, მეც საბბურთალოზე ვცხოვრობდეო. მე არ ვიქნები მხოლოდ საბურთალოს დეპუტატი. საბურთალო ცალკე კუნძული ხომ არაა, ყველა უბნის პრობლემები ხომ ერთმანეთზეა გადაბმული. მე ვითანამშრომლებ ყველასთან, ვისაც ამ ქალაქისთვის კარგი საქმეების გაკეთება უნდა. ყველას დავუჭერ მხარს, ვისაც ქალაქისთვის სასარგებლო ინიციატივები ექნება. მე გიგი უგულავაც კი შემიქია, ჩემი მისდამი დამოკიდებულების მიუხედავად, ლელვთახევის რეაბილიტაციის შემდეგ. მართალია, ამ პროექტის გაკეთება უკეთესადაც შეიძლებოდა, მაგრამ იქაურობა ადრე ნაგვის ბუდედ იყო ქცეული. ლელვთახევის გაკეთება ჩემი ოცნება იყო.

**– გიგი უგულავამ აგისრულა ოცნება?**

– ეს ერთი ოცნება ამისრულა. გიგი უგულავა კიდევ ამისრულებს ოცნებას, როცა ციხეში ჩაჯდება. ეს ოცნებაც მაქვს, რომ მან პასუხი აგოს და დააბრუნოს ის თანხა, რაც ჩვენი ჯიბეებიდან აქვს მოპარული.

**– როცა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მუშაობდი, ძველებურად დადიოდი ფეხით და უარი თქვი სახელმწიფო ავტომობილზე. ზოგი ამას კეკლუცობად გითვლიდა, ზოგი მანევრად. შენს ასეთ „ორიგინალურობებს” უნდა ველოდოთ საკრებულოშიც, განსხვავებული ჩინოვნიკი იქნები?**

– ჩინოვნიკი საერთოდ არ ვიქნები, არ მაქვს ის უნარ-ჩვევები, რაც კლასიკური გაგებით, ჩვენთან პოლიტიკოსებს აქვთ და ღმერთმა ქნას, არც გამომიმუშავდეს არასდროს. ჩვენთან რაც უფრო გაიძვერა ხარ, მით უფრო კარგი პოლიტიკოსი ჰგონიხარ ვიღაცას – ჩემთვის ეს ასე არაა. ვიღაცას შეიძლება, ჰგონია, რომ ეს პოპულიზმია, მაგრამ მე ასე მგონია – ასე ვცხოვრობ. წუხელ ველაპარაკებოდი ჩემს მეგობრებს ამაზე. დღეს სახელმწიფო სამსახურში ყოფნა „გულაობასთან” არის დაკავშირებული. „ჯიპი”, დაცვა – ვიღაცეებისთვის კარგი ამბავია. მე ვამბობ, რომ სახელმწიფო სამსახური უნდა იყოს დიდი ტვირთი. ჩინოვნიკობა ცხოვრების აწყობის საშუალება კი არა, პასუხისმგებლობა და ტვირთი უნდა იყოს. ვიცი, რომ მათ შორის, ვინც ახლა დეპუტატის მანდატი მოიპოვა, ბევრი ფიქრობს ასე. თუმცა, ისეთებიც არიან, ერთი სული რომ აქვთ, მანქანებს მოახტნენ. ნურას უკაცრავად! საკრებულოში არავის არ უნდა ჰყავდეს პერსონალური მანქანა. საკრებულოშიც ისე უნდა იყოს, როგორც ტელევიზიებში, ჰყავდეს თავისი ავტოპარკი. ყველა მიდის სამსახურში, ვისაც სჭირდება ის სარგებლობს სამსახურის მანქანებით და საღამოს საკუთარი ფეხით მიდიან სახლში.

**– ყველას კი არ უყვარს შენსავით ფეხით სიარული.**

– საქმეს რომ დასჭირდება, მაშინ ისარგებლონ სამსახურის მანქანებით. მე მინახავს, ლერმონტოვის ათი ნომრიდან, სადაც საკრებულოა. თავისუფლების მოედნამდე მანქანით ჩამოდიოდნენ დეპუტატები. 20 მეტრია, ჰო, მეტი არა. აწიე რა, ერთი ადგილი და ჩადი ფეხით. ამისთვის ბენზინი რატომ უნდა დახარჯო? მარტო ბენზინისთვის 452 ათასი ლარი იხარჯებოდა, დავიყვანოთ ეს თანხა 50 ათას ლარამდე, დანარჩენი ფული გაცილებით ხეირიან საქმეს მოვახმაროთ. ხელფასსა და პრემიებში 138 მილიონი ლარი რომ არ გადავიხადოთ, იმ ადამიანების 90 პროცენტი, ვინც პრემია აიღო, უსაქმურია, ასე არ შეიძლება. სახელმწიფო უნდა იმართებოდეს როგორც კერძო კომპანია, რომელიც მოგებაზეა ორიენტირებული. სახელმწიფომ ოპტიმიზებული ხარჯებით უნდა მოახერხოს თავისი თანამშრომლების დატვირთვა. ხელფასებსა და პრემიებზე ზედმეტი თანხები არ უნდა დაიხარჯოს და გაიფლანგოს. სახელმწიფომ ჩინოვნიკები, მე ვიქნები თუ სხვა, მაქსიმალურად უნდა გამოწუროს, რომ რაც შეიძლება, მეტი სარგებელი მიიღოს. მათზე ზედმეტი ხარჯის გაწევა, რაც ხშირად „გულაობასთანაა” ასოცირებული, არ არის საჭირო. მე მაინტერესებს თბილისი. ჩვენი პოლიტიკოსები სადღაც რომ „გაფრინდებიან”, ძირს უნდა დავაფრინო და იმ ორმოებთან ჩამოვიყვანო, რაც ამ ქალაქში გაჩნდა.

**– როგორ შეცვლის ახალი ამპლუა შენს ცხოვრებას?**

– ძალიან დავიტვირთები, ველარ ვივლი სამხედრო „ბათინკებით” ***(იცინის).*** ვფიქრობდი, არჩევნების მერე რამდენიმე დღე დავიძინებ, მერე ტყეში წავალ-მეთქი, მაგრამ არ გამომივიდა. იქით კვირაში აუცილებლად წავალ რამდენიმე დღე მეგობრებთან ერთად, კარვით. ივლისში საკრებულო შეიკრიბება და მერე ველარსად წავალ. ცოტა ხანს სულ სხვა სამყაროში რომ არ მოვხვდე, წარმოუდგენელია. იმის წუწუნიც კი არ მაცალეს, რომ დაღლილი ვარ, პირდაპირ გადავეშვი საქმეში. სიმართლე გითხრათ, თვითონაც ერთი სული მაქვს, რაც შეიძლება, მალე დავიწყო ის ყველაფერი, რასაც ხალხს დავპირდი.

**თამუნა სამადაშვილი**

**სცენარისტი, იუმორისტი... და, უბრალოდ, საინტერესო პიროვნება, ირაკლი ვახტანგიშვილი, ტელევიზიაში მოსვლამდე ფიზიკოსის კარიერაზე იყო ორიენტირებული. თუმცა, როგორც ამბობს, პირველივე კურსის პირველივე სემესტრში მიხვდა, რომ სხვა სამყაროში მოხვდა და დაიწყო ახლის ძიება. ალბათ, ყველას აინტერესებს, როგორ განვითარდა ამის შემდეგ მისი კარიერა და ცხოვრება და, სად უფრო კომფორტულად გრძნობს ის თავს – კამერის წინ თუ კადრს მიღმა.**

# რას მიხვდა ირაკლი ვახტანგიშვილი პირველი კურსის პირველივე სემესტრში და როგორ შეიცვალა ამის შემდეგ მისი ცხოვრება

**– ირაკლი, ალბათ, ძნელია მაყურებლის სიყვარულის მოპოვება. სულ ბეწვის ხიდზე უნდა იარო, რომ ზედმეტი არ მოგივიდეს, მით უმეტეს, როცა იუმორს ეხება საქმე.**

– დიახ, რა თქმა უნდა, ასეა. ვცდილობთ და, თუ გამოგვდის, რომ ბეწვის ხიდზე ვიაროთ და მაყურებელი არ გავაღიზიანოთ, ამაზე კარგი არაფერია.

**– პროფესიით ვინ ხართ?**

– პროფესიით ვარ ფიზიკოსი.

**– ანუ, კარგი მოსწავლე უნდა ყოფილიყავით.**

– დიახ, ზომიერად ცელქი, მაგრამ, მთლიანობაში კარგი მოსწავლე ვიყავი.

**– როგორი ბავშვი იყავით, რა საჩუქარი გახარებდათ?**

– საერთოდ, საჩუქარი ზოგადად მიყვარს. ნებისმიერი საჩუქარი მახარებს ახლაც და მახარებდა ნებისმიერ ასაკში: ბავშვობაში – კანფეტები; ცოტა მერე – სათამაშოები; მერე – უფრო პრაქტიკული ნივთები, ახლა კი ყველაფერი – კანფეტებიც, სათამაშოებიც და პრაქტიკული ნივთებიც ***(იცინის).***

**– ოჯახზე მიამბობთ?**

– მყავს მეუღლე და ორი შვილი.

**– როგორი მამა ხართ?**

– მკაცრი, მაგრამ, ძალიან კარგი მამა ვარ. ვცდილობ, რომ უფრო კარგი ვიყო.

**– რა ასაკის არიან ბავშვები?**

– უფროსი, ნიცა, 3 წლისაა, ნიკო – 2 თვის.

**– ესე იგი, გოგოზე მოდის მთელი სიმკაცრე.**

– ასე გამოდის. მაბრაზებს, ცელქია. ისეთი მკაცრი კი არ ვარ... ჩვეულებრივად, რაც არ შეიძლება, ვუხსნი, რომ არ შეიძლება.

**– მეუღლე რა პროფესიისაა და თუ აქვს მას ტელევიზიასთან კავშირი?**

– მეუღლე, დადუნა, მხატვარია და ამჟამად ჩვენს სტუდიაში მუშაობს. გავიცანი „ღამის შოუს" სტუდიაში.

**– როგორი შეყვარებული იყო ირაკლი ვახტანგიშვილი?**

– რა ვიცი, კარგი... დაფრინავდა... პრინციპში, ახლაც დაფრინავს.

**– ზოგი აღნიშნავს, რომ შეყვარებულობის წლები განსაკუთრებულია, მაგრამ, მეტი ხიბლი ემატება წყვილის ურთიერთობას თანაცხოვრების პერიოდშიო.**

– რა თქმა უნდა, აუცილებლად. ერთიორად გაიზარდა ყველაფერი: გრძნობაც, ოჯახური თანაცხოვრებიდან მიღებული სიამოვნებაც. მე ძალიან კმაყოფილი ვარ და მომწონს.

**– ტრადიციულად დაქორწინდით?**

– არა, ვიქორწინეთ ძალიან მარტივად. ჩემი მანქანით მივედი, ჩამიჯდა გვერდით, წავედით და მოვაწერეთ ხელი.

**– მაგას გაპარვა არ ჰქვია?**

– არა. მშობლებმა იცოდნენ, უბრალოდ, ისინი სახლში დარჩნენ და ქეიფობდნენ.

**– რაზე შეიძლება გაბრაზდეს ირაკლი?**

– გაბრაზებით შეიძლება ყველაფერზე გავბრაზდე, კონკრეტულ მომენტს გააჩნია, მაგრამ, გაბრაზებული ვარ ყოველთვის ცოტა ხნით. ვერ ვიკავებ გაბრაზებას დიდხანს, არ შემიძლია, იმიტომ რომ, რაც უნდა მართალი ვიყო, რომ გავბრაზდი, ამ ჩემი გაბრაზებით ვიღაცას ხომ ვაწყენინე?! არ შემიძლია, რომ ვიღაცას ვაწყენინო. როცა ვბრაზდები, ხმას ვუწევ და მკაცრი ვარ, თუმცა, გაბრაზება ეგრევე გადამდის. არ მიყვარს გაბრაზება და არ მიყვარს დაძაბული ფონი არანაირ შემთხვევაში და არსად.

**– ვისგანაც კი ინტერვიუ ავიღე, თქვენი ტელევიზიის სახეებისგან, ყველას საქმიანობის მიღმა თქვენი ოთხეულის შრომა იკვეთება და, მათ შორის, ყველაზე აქტიურად – თქვენი: ირაკლი დამეხმარა, ირაკლიმ მირჩია...**

– ყველას ფუნქცია ეგ არის ამ ტელევიზიაში, ჩვენ ძალიან პატარა ტელევიზია ვართ და, ჯერჯერობით, „ყველა ყველაფერს ვაკეთებთ" ჰქვია ამას, როგორც სცენარში, ისე სხვა მხრივ დახმარება, პროდიუსერობა თუ რაც საჭიროა.

**– თქვენ ყველაზე კარგად რა გამოგდით?**

– ეს სხვამ უნდა თქვას ***(იცინის).*** ეკრანზე გამოჩენა არ არის ჩემი კოზირი, ჩემი კოზირია კამერის მეორე მხარეს ყოფნა. იქნება ეს სცენარი თუ, უბრალოდ, გადაღების პროცესში მონაწილეობის მიღება – ამას მნიშვნელობა არ აქვს. კადრს მიღმა უფრო კომფორტულად ვარ და, ვფიქრობ, უფრო პროდუქტიულიც. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ კამერის წინ არ გამომდის მუშაობა.



**ეკრანზე გამოჩენა არ არის ჩემი კოზირი, ჩემი კოზირია კამერის მეორე მხარეს ყოფნა**

**– საინტერესოა, როგორ მოხვდით ტელესივრცეში ფიზიკოსი კაცი?**

– უნივერსიტეტში რომ ჩავაბარე, სხვათა შორის, ჩავაბარე უგამოცდოდ. იყო რაღაც მოსამზადებელი კურსი – ფიზიკის ფაკულტეტს ჰქონდა, სადაც მივედი მეთერთმეტე კლასის პარალელურად, რის შემდეგაც იყო გამოცდები ფიზიკასა და მათემატიკაში. ვინც კარგ ქულებს მოაგროვებდა, უგამოცდოდ სვამდნენ ფიზიკის ფაკულტეტზე. მე კარგად ჩავაბარე. სკოლა რომ დავამთავრე, ფაქტობრივად, ერთ კვირაში უკვე სტუდენტი ვიყავი, ანუ, მისაღები გამოცდები არ გამივლია. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკა ძალიან მიყვარდა და, პრინციპში, ახლაც მიყვარს, პირველივე კურსის პირველივე სემესტრში მივხვდი – რომ მთლად ჩემს სამყაროში ვერ მოვხვდი, ეტყობა სხვა რაღაცას ველოდი და სხვა დამხვდა. არ ვიცი, ეს ჩემი ბრალია თუ რეალობის. ამიტომ, სხვა გზების ძებნა დავიწყე, რომ რაღაცა მეკეთებინა. ამ ძიებაში აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტში არსებობს ძალიან კარგი „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი," „კავეენს" რომ ეძახიან და იქ დავიწყე ჩემი ძალების მოსინჯვა. ნელნელა მივხვდი, რომ ჩემს ადგილზე ვიყავი. მერე უნივერსიტეტის ნაკრებმაც რაღაც გარკვეულ წარმატებებსაც მივაღწიეთ დსთ-ს მასშტაბით. ამასობაში, ჩემი მეგობრები გახდნენ ირაკლი კაკაბაძე და ვანო ჭელიძე. „რუსთავი 2-ში" მაშინ კეთდებოდა „ჩვენი ეზო" და მიხვდნენ, რომ რაღაცა მეც შემიძლია. მერე დათო გოგიჩაიშვილი ჩამოვიდა ამერიკიდან და ჩამოიტანა პროექტი – „ღამის შოუ". როცა იკითხეს ვის შეუძლია წერა და ვინ მომეხმარებაო, ერთ-ერთი მეც აღმოვჩნდი მათ შორის. ეს იყო 2003 წელს. მაშინ დავიწყეთ და მოვდივართ აქამდე. ვფიქრობ, აბსოლუტურად ჩემს ადგილზე ვარ და ჩემს სამყაროში.

**– სულ ძიების პროცესში ხართ.**

– გვიწევს, სამსახური და ჩვენი პროფესია ასეთია, რომ სულ რაღაც უნდა ვეძებოთ, რაღაცა ახლისკენ და წინ-წინ უნდა ვიაროთ. ეს ძალიან საინტერესოა ჩემთვის.

**– არა დამღლელი?**

– დაღლა არ არის ცუდი. სასიამოვნოდ დაღლა ძალიან კარგია.

**– „ოთხი ოთხზე" მინდა გკითხოთ: როგორ მოვიდა იდეა, რომ თქვენ ოთხნი დაესვით ეთერში?**

– რაღაც ახლის გაკეთება გვინდოდა. ვიფიქრეთ, რა გავაკეთოთ ისეთი, სადაც, შეიძლება, რომ ნაკლები რესურსი დაიხარჯოს და გადაცემა გამოვიდესო. მივედით იქამდე, რომ რაღაც ცოცხალი და ექსპრომტი იუმორი ყოფილიყო. ბევრი ადამიანი გამოვცადეთ და ბოლოს ეს ოთხეული შემოვრჩით.

**– რაზე ეცინება ყველას?**

– ყველას ეცინება უბოროტო და ჯანსაღ იუმორზე, როცა ვიღაცას არ ვნებ, შეურაცხყოფას არ აყენებ. ბევრი თემაა ასეთი, საყოფაცხოვრებო – გადასახადები, მეზობლობა, მეგობრობა, სუფრა.

**– მინდა, „TV 11-ის" ფორმატს გადავავლო თვალი, სადაც ბევრი ყოფითი პრობლემა კარგადაა დაჭერილი, მაგალითად, რძალ-დედამთილის, ცოლ-ქმრის, „ქართველი ვაჟკაცის"... ვინ მუშაობს ამ თემებზე?**

– ჩვენ, სცენარისტების ჯგუფი. ეს ის თემებია, რომლებსაც არ სჭირდება ჩაჭერა, ან ძებნა, ეს თემები დევს. გადავწყვიტეთ: რადგან ეს თემები დევს, ამიტომ, ჩვენ ავიღოთ და ამაზე ვიხუმროთ. აღმოჩნდა, რომ ბევრს ძალიან მოსწონს, თუმცა, ზოგი ღიზიანდება. ნებისმიერ თემაზე შეიძლება არსებობდეს ორი აზრი: ვიღაცას მოსწონს, ვიღაცას – არა. მაგრამ, მთავარია, უმრავლესობას მოსწონდეს, თორემ უარყოფითი და მოწინააღმდეგე ყოველთვის ყველაფერს ეყოლება.

**– დასვენებას, როგორ აპირებთ?**

– არ ვიცი, თუმცა, ძალიან მინდა, რადგან, ბავშვების გამო ორი წელი ვერ დავისვენე. უფროსი პატარა იყო, ახლა მეორეა პატარა...

ვფიქრობთ, რომ წელს მაინც დავისვენებთ და აღვიდგენთ ძალასა და ენერგიას.

**– სად წახვალთ?**

– რა თქმა უნდა, ყოველთვის ფიქრობ, რომ წახვალ ქვეყნის გარეთ და ზღაპრულად დაისვენებ, მაგრამ, ბოლოს ისევ ქობულეთი ან ბათუმი შეგრჩება ხელში, თუმცა... ვნახოთ, იმედია, გამომივა კარგი დასვენება.

**ეკა სალაღაია**

# ქართული ეროვნული საგანძურით სავსე ერთი ყუთი 33 წლის განმავლობაში ავლაბრის სასაფლაოზე იყო დამარხული



**დაკრძალვა**

1931 წლის 2 მაისს საქართველოს „ჩეკას" თანამშრომლის, კაპიტან აშოტ მიგრანიანის დედის, ანუშის დაკრძალვის ცერემონიალი იმართებოდა. ის-ის იყო 82 წლის ანუში უნდა გაესვენებინათ, რომ სამგლოვიარო პროცესიაზე შეკრებილი ხალხი აჩურჩულდა: აშოტის თანამშრომლები მოვიდნენო. მართლაც, სოლოლაკის ერთ-ერთი ფეშენებელური სახლის მდიდრულ სადარბაზოში თხუთმეტი ჩეკისტი შევიდა. მათ შესაბამისი უნიფორმა ეცვათ და რომც არ ცმოდათ, პირქუშ სახეებზე ეტყობოდათ, რომ ჩეკისტები იყვნენ. დაკრძალვაზე შეკრებილი პუბლიკა შეცდა. ჩეკისტები სამძიმარზე კი არა, არამედ კაპიტან მიგრანიანის დასაპატიმრებლად იყვნენ მოსული. ჩეკისტთა ჯგუფს მაიორი კოტე კოლხიდელი მეთაურობდა, რომელიც პირადად ლავრენტი ბერიას დავალებით მოქმედებდა. აშოტმა კოლეგები რომ დაინახა, სახე დაეჯღანა და სამძიმრის მისაღებად მოემზადა. მაგრამ, მაიორმა კოლხიდელმა ის გვერდზე გაიხმო და უთხრა:

– უხმოდ გამოგვყევი, დაპატიმრებული ხარ!

მიგრანიანს მიტკლის ფერი დაედო, მაგრამ მაინც ამოღერღა:.

– რატომ, კოტეჯან, რა დავაშავე?

– ამას იქ გეტყვიან, ახლა კი წავედით.

– კარგი, მოვდივარ, მაგრამ ჩემს ბიჭს, არტურს ორ სიტყვას ვეტყვი.

– ჩემთან ერთად უთხარი, – ნება დართო კოლხიდელმა.

აშოტმა თავისი ერთადერთი ვაჟი იხმო და კოლხიდელის წინაშე ქართულად უთხრა:

– არტურ, მე ჩეკაში გამომიძახეს სასწრაფოდ და როდის დავბრუნდები, არ ვიცი. აბა, შენ იცი, ბებიას როგორ დაასაფლავებო.

23 წლის არტურმა მამას თავი დაუქნია და წავიდა. აშოტი კი კოლხიდელმა წაიყვანა „ჩეკაში" ორი ოპერის თანხლებით. დანარჩენი თორმეტი ჩეკისტი კი მიგრანიანის ბინაში დარჩა, რათა გასვენების შემდეგ, სახლი საგულდაგულოდ გაეჩხრიკათ.

მართალია, აშოტი სათადარიგო გასასვლელიდან გაიყვანეს, მაგრამ ხალხს არ გამოჰპარვია მისი დაპატიმრების ფაქტი. „ხალხის მტერი ყოფილა"... – ჩურჩულებდნენ სამგლოვიარო პროცესიაზე შეკრებილები და ისე შეშინდნენ, რომ ორ წუთში ჭიანჭველებივით დაიფანტნენ. მიცვალებული რომ გამოასვენეს, ქუჩაში ადამიანის ჭაჭანებაც არ იყო. ანუში ავლაბრის სასაფლაოზე ათმა ადამიანმა მიაცილა...

**დაპირისპირება**

აკანკალებული აშოტ მიგრანიანი პირდაპირ შეფის, ლავრენტი ბერიას კაბინეტში მიიყვანეს და მან დაპატიმრებულს უთხრა:

– თუ არ გინდა, რომ პირადად გაგაძრო ტყავი, თქვი, სად გადამალე ანტონ თავართქილაძისგან გატაცებული საგანძური.

– რას ბრძანებთ, ლავრენტი პავლოვიჩ, რა საგანძური, პირველად მესმის.

– პირველად გესმის?

– დიახ, პირველად. არანაირ საგანძურზე წარმოდგენაც არ მაქვს.

ანტონ თავართქილაძე საქართველოს ეროვნული მუზეუმის ყოფილი თანამშრომელი იყო და როდესაც ექვთიმე თაყაიშვილმა ქართული საგანძური უცხოეთში გაიტანა, მასთან მუშაობდა. ანტონმა ძვირფასეულობით დატვირთული ერთი ყუთის ბათუმში დროულად ჩატანა ვერ მოასწრო და კომუნისტებს ხელში რომ არ ჩავარდნოდათ, საკუთარ ბინაში გადამალა და ათი წლის განმავლობაში საიდუმლოდ ინახავდა. მიგრანიანმა, როგორღაც შეიტყო ამის შესახებ და 1931 წლის 20 თებერვალს, თავართქილაძეს მარტო ესტუმრა სახლში. მტკვრის პირას გაიტყუა, ორი ტყვია დაახალა, წყალში ჩააგდო და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ძვირფასეულობით სავსე ყუთი მანქანით წაიღო, რომელსაც პირადად მართავდა. ბერიამ მიგრანიანს ყველაფერი დაწვრილებით უამბო და ჰკითხა:

– რას იტყვი, ეს ყოველივე ტყუილია?

– ბოდიშს გიხდით ლავრენტი პავლოვიჩ, მაგრამ ეს ყველაფერი ტყუილია და ვიღაცამ ცრუ ინფორმაცია მოგაწოდათ, – მიუგო აშოტმა.

ბერიას ჩაეცინა და კოლხიდელს უთხრა:

– თავართქილაძე შემოიყვანე!

ნახევარი წუთის შემდეგ, კოტე კოლხიდელმა ანტონ თავართქილაძე შემოიყვანა, რომლის დანახვაზეც მიგრანიანს გული გაუსკდა და ბერიას კაბინეტში გარდაიცვალა.

– ეს ლეში აქედან მოაშორეთ და სასწრაფოდ მისი ნაშიერი, არტური მოათრიეთ აქ. იმას ეცოდინება გატაცებული განძის ადგილსამყოფელი და უნდა ვათქმევინოთ, – ბრძანა ბერიამ. შემდეგ ანტონ თავართქილაძეს მიუბრუნდა და რბილად უთხრა:

## კაპიტანი აშოტ მიგრანიანი დედის გასვენებამდე ხუთი წუთით ადრე აიყვანა „ჩეკამ"

– ნუ ღელავთ, ბატონო ანტონ. საგანძურს აუცილებლად ვიპოვით და საიმედოდ დავაბინავებთ. რა თქმა უნდა, თქვენი თანდასწრებით. ახლა კი ჩემი მძღოლი სახლში წაგიყვანთ და იქ კი ჩვენი საუკეთესო ექიმები მოგივლიან...

თავართქილაძე ერთმა თბილისელმა მეთევზემ გადაარჩინა. წყლიდან ამოიყვანა და თავის ექიმ ქალიშვილს ამკურნალებინა. საბედნიეროდ, ორივე გამჭოლმა ჭრილობამ რბილ ქსოვილებში გაიარა და ერთ თვეში ის ფეხზე დადგა. შემდეგ კი ანტონი მილიციაში მივიდა და ყველაფერი განაცხადა. მილიციამ ეს საქმე „ჩეკას" გადასცა და მიგრანიანი მეორე დღესვე აიყვანეს. „ჩეკამ" ვერც მიგრანიანის ბინაში აღმოაჩინა საგანძური და არტურიც მიიმალა, რომელიც, როგორც შემდგომ გაირკვა, თურქეთში გადავიდა არალეგალურად...

**ნაკვეთი №25116**

1964 წლის 24 მარტს საქართველოს უშიშროების კომიტეტში ლუბიანკიდან („კაგებეს" შტაბბინა) პირადად თავმჯდომარემ, სემიჩასტნიმ დარეკა და ინაურს უთხრა:

– ამხანაგო გენერალო, ხვალ თბილისში ვინმე ოსმან გუზალი ჩამოდის. ის თურქეთის მოქალაქეა. ძალიან საეჭვოდ იქცევა და შენმა ბიჭებმა თვალყური ადევნონ.

25 მარტს 56 წლის ოსმან გუზალს საქართველოს კონტრდაზვერვა კუდზე დააჯდა... და ყველგან „აძოვებდა" (უთვალთვალებდა). ერთი შეხედვით, უწყინარი თურქი ტურისტის საქციელში საეჭვო არაფერი იყო. მას თბილისში ოთხდღიანი ყოფნის უფლება ჰქონდა და ქალაქის ღირსშესანიშნაობებს ათვალიერებდა, სურათებს იღებდა. ქართველი კონტრმზვერავები კი მას ფირზე იღებდნენ, რომელსაც შემდეგ განყოფილების უფროსს უჩვენებდნენ. იმ პერიოდში განყოფილებას კოტე კოლხიდელი ხელმძღვანელობდა, მაგრამ შევეულებაში იყო და მხოლოდ თურქის სტუმრობის მესამე დღეს გამოვიდა სამსახურში. საღამოს ხელქვეითებმა უკვე მას უჩვენეს იმ დღეს გადაღებული ფირი და მან თქვა:

– რა ნაცნობი სახეა, ნეტავ, სად მინახავს?

უცებ პოლკოვნიკმა თავი გააქნია და მაიორ ჯინჭარაძეს, რომელიც მოთვალთვალეთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა, უთხრა:

– გივი, სასწრაფოდ დამიდგინე, თუ სადაა დასაფლავებული 1931 წლის 2 მაისს ანუშ მიგრანიანი. მიდი, იმოქმედე.

ჯინჭარაძე დავალების შესასრულებლად წავიდა, კოლხიდელმა კი 74 წლის ანტონ თავართქილაძეს დაურეკა, მოიკითხა და „კაგებეში" მისვლა სთხოვა.

– ბატონო ანტონ, ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის, მაგრამ ერთი სასწრაფო საქმეა და ჩემი მძღოლი მოგაკითხავთ.

– კეთილი. მე ხუთ წუთში მზად ვიქნები, – მიუგო კოლხიდელს თავართქილაძემ და ყურმილი დადო.

თავართქილაძე ნახევარი საათის შემდეგ უკვე კოლხიდელთან იჯდა. კიდევ ნახევარი საათის შემდეგ კი, ჯინჭარაძე მოვიდა და პოლკოვნიკს უთხრა:

– ანუშ მიგრანიანი 1931 წლის 2 მაისს ავლაბრის სასაფლაოზე № 25116 ნაკვეთზეა დაკრძალული.

– ძალიან კარგი. სასაფლაოზე ოპერატიული ჯგუფი გაგზავნეთ და ის ადგილი მოძებნონ, თან ჩასაფრება ისე მოაწყვეთ, რომ არავინ შეგვნიშნოთ. მალე ჩვენც მოვალთ.

1964 წლის 27 მარტს ავლაბრის სასაფლაოზე თურქი ტურისტი გამოჩნდა, რომელსაც ჩანთაში მესანგრის ნიჩაბი ჰქონდა. ღამის 3 საათი იყო. მან მძლავრი ფანარი აანთო და საფლავის თხრას შეუდგა. ერთი საათი რომ გავიდა, იქაურობა პროჟექტორებმა გაანათა. ტურისტი შეკრთა და გაქცევა სცადა, მარამ ქართველმა კონტრმზვერავებმა ის ადგილზევე დააკავეს. კოლხიდელმა კი უთხრა:

– განძს ეძებთ, ხომ, არტურ მიგრანიანო?

თავის დაძვრენის მცდელობას აზრი არ ჰქონდა და „თურქმა ტურისტმა" გამართული ქართულით მიუგო:

– თქვენი კანონებით, დაპატიმრება არ მეკუთვნის და კონსული გამოიძახეთ. მე თურქეთის მოქალაქე ვარ.

– კონსული გზაშია და ბათუმიდან თბილისში მოემართება. თქვენ დაპატიმრებას კი არც ვაპირებთ. უბრალოდ, დაგაკავებთ, შემდეგ კი ქვეყნიდან გაგაძევებთ, – მიუგო კოლხიდელმა მიგრანიანს...

ქართული ეროვნული საგანძურით სავსე ერთი ყუთი 33 წლის შემდეგ ავლაბრის სასაფლაოს საფლავიდან ამოიღეს და შესაბამისი პროცედურების შემდეგ, თავის ადგილზე დააბრუნეს.

**ნიკა ლაშაური**

# როგორ შეარჩია გამოცდილმა კრიმინალმა სამიზნედ მარტოხელა ბიზნესმენი და როგორ კლავდა ის შემთხვევის ადგილზე ორ ადამიანს

39 წლის გიზო მ-ია ყაჩაღობის, მკვლელობის მცდელობისა და იარაღის ტარების ბრალდებით მას შემდეგ დააკავეს, რაც ის დანაშაულის ჩადენიდან ორი კვირის შემდეგ, ყალბი საბუთებით ცდილობდა ქვეყნიდან გასვლას. ოპერატიული ინფორმაცია ძებნილი გიზო მ-იას მიერ საზღვრის გადაკვეთის მცდილობის შესახებ სამართალდამცველებისთვის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებითა და კონფიდენციალური წყაროს მეშვეობით იყო ცნობილი. გიზო მ-იამ დაკავების დროს წინააღმდეგობის გაწევა სცადა, რამაც მისი ისედაც მძიმე დანაშაული კიდევ ერთი პუნქტით დაამძიმა.

საქმის მასალების მიხედვით, გიზო მ-ია წარსულში ერთხელ ყაჩაღობისთვის, ორჯერ კი ქურდობისთვის იყო ნასამართლევი. ბოლო სასჯელისგან ის პირობით გაათავისუფლეს, რის შემდეგაც გიზო მ-იამ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა – დედის კუთვნილი საცხოვრებლის გაყიდვის შემდეგ მან იგირავა ბინა ეგრეთ წოდებულ „იტალიურ ეზოში", სადაც მისი წარსულის შესახებ არავინ არაფერი იცოდა და, შესაბამისად, გიზო მ-იამ მეზობლებთან კარგი ურთიერთობის დამყარებაც შეძლო და რამდენიმე თვეში მათი ნდობის მოპოვებაც. მან სამიზნე სწორედ სამეზობლოში შეარჩია – 57 წლის ბიზნესმენი, დავით ბ-შვილი, რომელსაც ცოლ-შვილი უცხოეთში ჰყავდა, თავად კი მარტო ცხოვრობდა.

საქმის მასალების მიხედვით, გიზო მ-იამ კარგად შეისწავლა დავით ბ-შვილის ცხოვრება და წინასწარ დაგეგმა მისი ბინის გაქურდვა. გამოცდილი კრიმინალისთვის ცნობილი გახდა, რომ ბიზნესმენი სახლში გვიან ღამით ბრუნდებოდა, თვეში ერთხელ კი მოხუც დედასთან მიდიოდა რაიონში ორი-სამი დღით. გიზო მ-იამ ისიც დაადგინა, რომ დავით ბ-შვილთან ბინაში დადიოდა ქალბატონი, რომელიც მას საოჯახო საქმეში ეხმარებოდა. ბიზნესმენის ყოველდღიური გრაფიკის დადგენის შემდეგ, გიზო მ-იამ მისი ბინის დეტალური შესწავლა დაიწყო და ბინაში მოსახვედრი ერთადერთი გზაც იპოვა – მიშენება, სადაც ბიზნესმენს გისოსები არ ჰქონდა ჩასმული.

> **მშიერი ქურდი ბიზნესმენის ვახშამს ჭამით ისე გაერთო, რომ მთავარი მიზანი დროებით გადაავიწყდა**

როგორც სამართალდამცველებისთვის გახდა ცნობილი, გიზო მ-ია წინასწარ შერჩეულ დროს, სახლის ღიად დატოვებული ნაწილიდან მოხვდა ბინაში. ის დარწმუნებული იყო, რომ საღამოს სახლიდან გასული მასპინძელი უკან არ დაბრუნდებოდა, ამიტომ, სასურველი ნივთების შერჩევა და ჩანთებში მოთავსება განსაკუთრებულად არ უჩქარია, უფრო მეტიც, მან ბიზნესმენის ბინაში ჯერ ივახშმა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო სასტუმრო ოთახის „გასუფთავება." გიზო მ-იამ საძინებელში მიაგნო კედლის სეიფს, რომლის გახსნასაც საკმაოდ დიდი დრო მოანდომა. მისი ვარაუდით, ფული და ძვირფასეულობა, რასაც სახლში ვერ მიაგნო, „მასპინძელს" სწორედ ამ სეიფში უნდა ჰქონოდა გადამალული. საქმის მასალების მიხედვით, სეიფის გახსნით გართულ ქურდს, ბინაში სახლის პატრონის შესვლა შეუმჩნეველი დარჩა. დაზარალებულ დავით ბ-შვილის განცხადებით, რომელიც, ორი მძიმე ჭრილობის მიუხედავად, სიკვდილს გადაურჩა, გიზო მ-იას დანაშაულის ჩადენის მომენტში დაადგა თავზე.

ამონაწერი დაზარალებულის ჩვენებიდან: „სახლიდან გვიან გავედი დიდი ჩანთით ხელში, რის გამოც, როგორც ჩანს, ჩასაფრებულმა ქურდმა ჩათვალა, რომ სახლში მალე არ დავბრუნდებოდი. ჩემს ნათესავს რაღაც წავუღე და მალე უკან დავბრუნდი. გზაში ჩემს დამხმარე ქალბატონს ვთხოვე, რომ, იმის მიუხედავად, გვიანი იყო, ჩემთან მოსულიყო და სადილი მოემზადებინა ორ-სამ კაცზე, რადგან, მეორე დილით რაიონიდან სახლში სტუმარს ველოდი. ჩვენ შევთანხმდით, რომ მარინა ჩემთან ნახევარ საათში მოვიდოდა, რის შემდეგაც მე პირდაპირ სახლისკენ წავედი. ბინაში ისე შევედი, თავიდან ვერაფერს მივხვდი – სასტუმრო ოთახისკენ არც გამიხედავს. მერე შევნიშნე, რომ სამზარეულოს გასასვლელთან სკამი იყო წაქცეული, სამზარეულოში, მაგიდაზე კი საჭმლის ნარჩენები ეყარა. ამაზე დავეჭვდი. უჩემოდ სახლში ვერავინ მოხვდებოდა, არც საჭმელს დავტოვებდი მაგიდაზე და არც წაქცეულ სკამს. სასტუმრო ოთახში ორი ჩანთა შევნიშნე და დაუფიქრებლად შევაღე საძინებლის კარი, სადაც უცნობი მამაკაცი კედელთან იყო ჩაცუცქული. ერთადერთი, რაც მოვასწარი, ვკითხე, ვინ ხარ და აქ რა გინდა-მეთქი. პასუხად მან მოულოდნელად ამოიღო ქურთუკიდან პისტოლეტი და მესროლა. მაშინვე გონება დავკარგე, გონზე საავადმყოფოში, ოპერაციის შემდეგ მოვედი".

როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, მას შემდეგ, რაც გიზო მ-იამ დავით ბ-შვილის მიმართულებით გაისროლა, საძინებელი მიატოვა და ბინიდან თავის დაღწევა ოფიციალური გასასვლელით სცადა. კართან მას ოჯახის დამხმარე ქალბატონი, მარინა მ-ძე შეეჩეხა, რომელსაც გიზო მ-იამ ჯერ ხელი ჰკრა და კიბეზე დააგორა, შემდეგ კი, ძირს დავარდნილს, ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა. ქალმა თავის არეში მიიღო მძიმე დაზიანება, რის გამოც მას ქირურგიული ოპერაცია დასჭირდა. სროლის ხმაზე, რომელიც დავით ბ-შვილის ბინიდან გვიან საღამოს გაისმა, მისი მეზობლები სადარბაზოში გამოცვივდნენ, ერთ-ერთმა მათგანმა შემთხვევის ადგილიდან გაქცეულ მამაკაცში გიზო მ-ია ამოიცნო და სწორედ მისი მეშვეობით გავიდა გამოძიება დამნაშავის კვალზე. მოწმის განცხადების მიხედვით, ქალბატონი, რომელმაც შემთხვევის ადგილზე გიზო მ-ია ამოიცნო, სახლის წინ მდებარე მინიმარკეტში გამყიდველად მუშაობდა, გიზო მ-ია მისი ხშირი კლიენტი იყო და ქალბატონი მას სწორედ აქედან იცნობდა.

სამართალდამცველებმა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. დაიწყო გამოძიება და დანაშაულში სავარაუდო ეჭვმიტანილის კვალის ძებნა. მისი დაკავება დანაშაულის ჩადენიდან ორი კვირის შემდეგ მოხდა. ამ პერიოდში ის სამართალდამცველებს კონსპირაციულ ბინაში, მეგობარ ქალთან ემალებოდა. დაკავებული გიზო მ-ია თავიდან უარყოფდა ჩადენილ დანაშაულს, მაგრამ, მის მიმართ მოპოვებული მტკიცებულებების, მათ შორის, შემთხვევის ადგილზე დატოვებული ანაბეჭდისა და სხვა გარემოებების, ასევე, მოწმისა და დაზარალებულების ჩვენებათა საფუძველზე, მან ჩადენილი დანაშაული აღიარა. გიზო მ-იამ ვერ შეძლო დანაშაულის იარაღის წარდგენა, რადგან, როგორც მან გამოძიებასთან განაცხადა, იარაღი დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში მოიშორა თავიდან – მდინარეში გადააგდო. განსასჯელის განცხადებით, მას დავით ბ-შვილის მოკვლა განზრახული არ ჰქონდა და მხოლოდ დაბნეულობის გამო ესროლა. „მის დაბრუნებას არ ველოდი, რადგან, გვიან გავიდა, და, მეგონა, რომ რაიონში მიდიოდა. ისე მშვიდად ვიყავი, ბინაში შესულმა ჯერ საჭმელი ვჭამე და ნივთების შეგროვება მერე დავიწყე," – განაცხადა გიზო მ-იამ, რომელიც გისოსებს მიღმა მეოთხედ მოხვდა და გამოძიებასთან აღიარა, რომ დავით ბ-შვილსა და მის მოსამსახურეს ორი-სამი კვირა სამხედრო დურბინდით უთვალთვალებდა, რომელიც ძველი ნივთებით მოვაჭრისგან სპეციალურად შეიძინა. მან ისიც აღიარა, რომ მშიერი იყო და ისე გაერთო ვახშმობით, რომ მთავარი მიზანი – სახლის გაქურდვა – დროებით დაავიწყდა. სასამართლოზე დაზარალებულის სტატუსით დაიკითხა ყაჩაღობისა და მკვლელობის მცდელობის უნებლიე თვითმხილველი, რომელიც თავადაც მძიმე დანაშაულის მსხვერპლი გახდა – ქალბატონი მძიმე მოტეხილობის გამო დაინვალიდდა. მან დეტალურად გაიხსენა ის ღამე, როცა ამ დანაშაულს შეესწრო. საქმის არსებითი განხილვის შემდეგ, პროკურატურამ წაყენებული ბრალდება დადასტურებულად ცნო და განსასჯელისთვის 12 წლით პატიმრობის შეფარდება მოითხოვა, თუმცა, სასამართლომ არ გაიზიარა პროკურატურის მოთხოვნა და, მამაკაცს, რომელმაც ორ ადამიანს მძიმე დაზიანებები მიაყენა, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

# რა მოხდა ამ დღეს

### 23 ივნისი

1497 – ჯონ კაბინეტმა აღმოაჩინა კანადა – „ნიუფაუნდლენდი".

1894 – პარიზში მიიღეს გადაწყვეტილება ოლიმპიური კომიტეტის შექმნისა და თამაშების 4 წელიწადში ერთხელ ჩატარების შესახებ.

1930 – პირველად გამოიყენეს რადარები თვითმფრინავების აღმოსაჩენად.

1961 – ძალაში შევიდა მოლაპარაკება ანტარქტიდის შესახებ. დაკანონდა თავისუფალი სამეცნიერო კვლევების ჩატარება და სამხრეთ პოლარული ზონა გამოცხადდა დემილიტარიზებულად.

1963 – ლონდონში საჩვენებლად გამოიტანეს პირველი ვიდეომაგნიტოფონი.

### 24 ივნისი

1801 – აღმოაჩინეს პირველი ყველაზე დიდი ასტეროიდი – ცერერა.

1812 – ნაპოლეონის არმიამ ომის გამოუცხადებლად გადალახა მდინარე ნემანი – რუსეთის იმპერიის საზღვარი.

1821 – მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა ვენესუელის დამოუკიდებლობისთვის.

### 25 ივნისი

1991 – სლოვენიამ და ხორვატიამ ოფიციალურად გამოაცხადეს თავიანთი დამოუკიდებლობა.

1998 – ოფიციალურად გამოვიდა „windows 98-ის" ოპერატიული სისტემა.

### 26 ივნისი

1483 – რიჩარდ გლოსტერმა ინგლისში მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება და თვითონ გამეფდა „რიჩარდ მესამის" სახელით.

1498 – ჩინეთში გამოიგონეს კბილის ჯაგრისი.

1945 – სტალინს მიენიჭა გენერალისიმუსის წოდება.

1953 – კრემლში დააპატიმრეს ლავრენტი ბერია.

### 27 ივნისი

1615 – პირველი ჭიქა ჩაი დაილია ევროპის კონტინენტზე.

1929 – ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველად წარადგინეს მომუშავე ფერადი ტელევიზორი.

1954 – ქალაქ ობნინსკში (მოსკოვის ახლოს) ამუშავდა მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგური.

### 28 ივნისი

1644 – მოხეტიალე თეატრის მსახიობი ჟან ბატისტ პოკლენი პირველად გამოვიდა სცენაზე ფსევდონიმით – მოლიერი.

1820 – ამ დღეს პარიზის მეცნიერებათა აკადემიამ საბოლოოდ გამოიტანა დასკვნა იმის შესახებ, რომ პომიდორი არ არის მომწამლავი და მისი საკვებად გამოყენება შეიძლება.

1914 – მოკლეს ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე – ფრანც-ფერდინანდი, რაც გახდა საბაბი პირველი მსოფლიო ომის დაწყებისა.

1997 – მაიკ ტაისონმა ერთ-ერთი მატჩის დროს ყური მოაჭამა ევანდერ ჰოლიფილდს.

### 29 ივნისი

1916 – ჰაერში აიჭრა „ბოინგის" ფირმის პირველი თვითმფრინავი.

1949 – სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აკრძალეს შერეული ქორწინება (თეთრკანიანსა და ზანგს შორის).

1964 – გამოიგონეს ტელევიზორის დისტანციური მართვის პულტი.

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

**კითხვა: სად შეიძლება მოვათავსო ქლოროფიტუმი?**

**პასუხი:** ეს ოთახის მცენარე ძალიან პოპულარულია, მაგრამ, დაჩაგრულია, რადგან, გამოიყენება ჩაბნელებული ოთახის გასაფორმებლად. თუ სათანადო პირობებს შეუქმნით, ქლოროფიტუმი ორჯერ უფრო ლამაზი იქნება. შეგიძლიათ, ის დადგათ მაღალ ტუმბოზე, უმზეო ოთახში.

**კითხვა: ბარაქის ხე მილპება. რისი ბრალია?**

**პასუხი:** საერთოდ, ეს არის ოთახის ერთ-ერთი ყველაზე გამძლე მცენარე. მისი მთავარი მტერი ზედმეტი წყალია. ალბათ, მორწყვა ბევრი მოგივიდათ, ამიტომ, წყალი შეუმცირეთ – იქნებ, გადაარჩინოთ. თუ გსურთ, რომ უხვად დაიტოტოს, ტოტებს წვეროები წააჭერით და მისი ფოთლებიდან მტვერი მოაშორეთ – ასე უფრო ლამაზი სანახავი იქნება.

**კითხვა: როგორ გავახარო სპარსული ია?**

**პასუხი:** სპარსული ია, ანუ, ეკზაკუმი, შეგიძლიათ, თესლით გაახაროთ: უნდა დათესოთ ადრიან გაზაფხულზე და შემდეგ გადარგათ. მართალია, ახალგაზრდა ეკზაკუმი კოხტა და კომპაქტურია, მაგრამ, თანდათანობით იშლება და ფორმას კარგავს. ამიტომ, გირჩევთ, ზრდასრული მცენარე შეიძინოთ.

**კითხვა: რთული მოსავლელია თუ არა ჰოვეა?**

**პასუხი:** ჰოვეა პალმის ერთ-ერთი სახეობაა, თუმცა, მასთან შედარებით ერთი დიდი უპირატესობა აქვს: ის ძალიან გამძლე მცენარეა და მოუვლელობასაც იტანს. იზრდება დაბალი ტენიანობის პირობებში. თუ მას სინათლეზე დადგამთ და ცოტათი დაატენიანებთ, უკეთეს ჰოვეას მიიღებთ.

**კითხვა: ოთახის პირობებში ვზრდი ზეთისხილის ხეს, რომელმაც იყვავილა და შემდეგ ნაყოფი მოისხა. მაინტერესებს, შეიძლება თუ არა ამ ნაყოფის ჭამა?**

**პასუხი:** ოთახის პირობებში გაზრდილმა ზეთისხილის ხემ დაყვავილების შემდეგ, შესაძლოა, მართლაც მოისხას მცირე ზომის ნაყოფი, მაგრამ, სპეციალური დამუშავების გარეშე მისი ჭამა არ შეიძლება.

**კითხვა: როგორ უნდა მოვიქცე, რომ დეკემბერამ უხვად იყვავილოს?**

**პასუხი:** ეს ჩვენთვის ნაცნობი კაქტუსი შლუმბერგერას ორი სახეობის ჰიბრიდია. მისი ღეროები ლამაზად დაკიდებული დიდი ზომის ყვავილებით ბოლოვდება. ბოტანიკოსებმა მრავალწლიანი შრომის შედეგად მიიღეს ახალი ფორმები წითელი, თეთრი, ვარდისფერი, ყვითელი და ნარინჯისფერი ყვავილებით. თუ ამ მცენარის უხვი ყვავილობა გსურთ, დასვენების პერიოდში აუცილებლად სიმშრალესა და სიგრილეში ამყოფეთ და დეკემბერა ლამაზი ყვავილებით გადაიშლება.

**კითხვა: გამძლე მცენარეა თუ არა სოლია და როგორ პირობებში ხარობს ის უკეთ?**

**პასუხი:** სოლია გამძლე მცენარეა და 2-3 გრადუს ტემპერატურასაც იტანს, თუმცა, მოსწონს მზის გულზე ყოფნა. ზაფხულში საკმარისია ოთახის ნორმალური ტემპერატურა, მიწა კი ტენიანი უნდა ჰქონდეს, ხოლო ზამთარში, როცა ტემპერატურა დაბალია, მორწყვაც უნდა შეამციროთ. ორ კვირაში ერთხელ ბალანსირებული თხევადი სასუქით მორწყეთ. დიდი მცენარე კარგად უნდა გასხლათ და გაზაფხულზე გადარგოთ, რათა კომპაქტურობა და სიჯანსაღე შეინარჩუნოს. მისთვის უკეთესია, თუ საკიდ კალათაში მოათავსებთ და ზამთრის ბაღში ჩამოკიდებთ.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
**ირაკლი გაბრიჭიძე**

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, შეიძლება თუ არა ჩაეთვალოს ბრალდებულს ავადმყოფობის გამო სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა საპატიოდ და რა კონკრეტულ შემთხვევებში შეიძლება, ჩაითვალოს სასამართლო პროცესზე ბრალდებულის გამოუცხადებლობა საპატიოდ?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ ზოგადად, საპატიო მიზეზად ითვლება სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის გამოუცხადებლობა, როცა ეს გამოწვეულია მისი ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით, სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებებით, რაც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით, შეუძლებელს ხდის პროცესზე გამოცხადებას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ გაცემული, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. წინასწარ ცნობილი საპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე შეტყობინება უნდა წარედგინოს სასამართლოს პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ პროცესის დაწყებამდე, არა უგვიანეს 48 საათისა. საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს გამოუცხადებლობიდან 5 დღეში.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, არსებობს თუ არა რამე პრინციპი, რომლის მიხედვითაც სასამართლო განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის თანმიმდევრობას?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ სამართლიანი პროცესისა და სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, პრიორიტეტულად განიხილოს ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების სახით, გამოყენებულია პატიმრობა.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რას გულისხმობს უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმპციის პრინციპი?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ უდანაშაულობისა და თავისუფლების პრინციპში იგულისხმება შემდეგი პრინციპული დებულებები: 1. პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. 2. არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. ბრალმდებელს უფლება აქვს, უარი თქვას ბრალდებაზე. 3. მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ. 4. პირი უნდა იყოს თავისუფალი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დადასტურდა მისი დაპატიმრების აუცილებლობა.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგენს თუ არა უტყუარ მტკიცებულებას?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, არცერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. შესაბამისად, არც ექსპერტიზის დასკვნა შეიძლება ჩაითვალოს ერთადერთ და უტყუარ მტკიცებულებად და ის უნდა შეფასდეს, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება.

# რამდენიმე რჩევა ქალი მძღოლებისთვის

***მითი იმის შესახებ, რომ ქალბატონებმა ავტომობილის მართვა არ იციან და სწორედ მათ გამო ხდება ავტოავარიათა შემთხვევების უმეტესი ნაწილი, ქვიშით ნაგებს ჰგავს. იმაზე, რომ ქალბატონები საჭესთან არანაკლებ კომფორტულად ვგრძნობთ თავს, ვიდრე მამაკაცები, ყველა მძღოლი ქალბატონი დამეთანხმება და არც მამაკაცებთან გვჭირდება ამის მტკიცება. მაგრამ, როდესაც ჩვენი უფლებების დასაცავად პროფესიონალი***

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

***გამოდის, მისი მოსმენა ნამდვილად ღირს. ავტომრბოლელი მევლუდ მელაძე თავად გვესაუბრება იმის შესახებ, თუ როგორ მოსწონს მას ქალი საჭესთან.***

**მევლუდ მელაძე**: მიზეზი, თუ რატომ მიაჩნიათ ქალბატონები ცუდ მძღოლებად, ძალიან მარტივია: მამაკაცებს, მეტ-ნაკლებად, ბავშვობიდანვე აქვთ შეხება ავტომობილთან – ხან მამიკო, ხან ბიძა, ხან მეგობარი სვამს საჭესთან და ის უკვე შეჩვეულია ავტომობილს. ასევე, მამაკაცების უმრავლესობამ სრულწლოვნებამდე, ასე თუ ისე, იცის ავტომობილის მართვა. ქალები კი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, პირიქით არიან – მამიკოები მათ ამის საშუალებას არ აძლევენ და, შესაბამისად, ისინი მართვის სწავლას იწყებენ მაშინ, როდესაც მართვის მოწმობას აიღებენ ან ავტომობილს შეიძენენ. ამიტომ, ქალი გარკვეულ მომენტებზე ვერ ახდენს რეფლექსურ რეაგირებას და უწევს ფიქრი. სწორედ ამ ფიქრის გამო ამბობენ მამაკაცები, რომ ქალი საჭესთან საშიშია.

**– ანუ, ეს ჩვენი ტვინის მოწყობაზე არ არის დამოკიდებული? მამაკაცები ხშირად ამბობენ, რომ სწრაფი რეაგირების უნარი არ გვაქვს.**

– არავითარ შემთხვევაში! უბრალოდ, ისე მოხდა, რომ სწორედ ბოლო წლებში იმატა ქალი მძღოლების რიცხვმა და, შესაბამისად, მათ უმეტესობას პრაქტიკა არ აქვს, ხოლო, ის მძღოლი ქალბატონები, რომლებსაც რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვთ, პატარა შეცდომასაც კი არ უშვებენ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სპორტულ შეჯიბრებებში ავტომანქანებს ქალბატონები ბევრად უკეთესად მართავენ, ვიდრე მამაკაცები. ქალებს, მამაკაცებისგან განსხვავებით, ბევრად უფრო მობილიზებული გონება აქვთ და უფრო მეტ რამეზე შეუძლიათ ერთდროულად ფიქრი.

**– ეს თქვენი დაკვირვებით შეამჩნიეთ თუ რამე სტატისტიკაც არსებობს?**

– მსოფლიოში ხშირად ტარდება მსგავსი ტიპის ტესტირებები. ამ ტესტირებით გამოვლენილია, რომ საჭესთან მყოფ ქალს შეუძლია, თავისუფლად ისაუბროს მობილურ ტელეფონზე, წაისვას პომადა, ჩაიხედოს სარკეში, გაგზავნის მესიჯი და თან მართოს ავტომობილი. ასე რომ, აზრი, თითქოს ქალი საჭესთან სერიოზული საფრთხეა, მცდარია.

**– პროცენტულად ვინ უფრო მეტ ავარიას ახდენს – ქალი თუ კაცი?**

– წვრილმანი ავარიები, როგორიცაა პარკირება, მანქანის ოდნავ „გასმა“, მეორე მანქანის გაჩხაპნა ან ფარის დაზიანება – ქალების „კისერზეა“; საშუალო და მძიმე ავარიების რაოდენობით კი ქალები ახლოსაც ვერ მოვლენ მამაკაცებთან.

**– ბევრი მძღოლი ამბობს, როგორ იდეალურადაც არ უნდა მართავდეს ქალი მანქანას, შეიძლება, ისეთი სულელური ქმედება ჩაიდინოს, რომ გაგაოცოსო.**

– მამაკაცები ბევრად უფრო პრაქტიკულები და რეალისტები ვართ, ვიდრე ქალები. თქვენ უფრო რომანტიკულები და მრავალფეროვანები ხართ და, შესაბამისად, შეიძლება, ისეთი რამ გააკეთოთ, რაც მამაკაცს არასდროს მოუვა აზრად. ისევე, როგორც სიყვარულში, ქალი ფანტაზიების კარნახით მოქმედებს და იგივე ხდება საჭესთან.

**– თქვენი დაკვირვებით, როგორი უნდა იყოს ქალების ურთიერთობა პატრულთან?**



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

– მიუხედავად იმისა, თუ ქალბატონია მძღოლი, თუკი მოძრაობის წესები დაარღვია, უნდა დაჯარიმდეს, მაგრამ, საქართველოში ყოველთვის იქნება მძღოლი ქალბატონების დანდობა. თუმცა, ქალსაც გააჩნია – თუ უცებ გადმოხტება ვიღაც „სტერვა“ გოგო მანქანიდან და წიკვინს დაიწყებს, ქალი ვარ და რატომ მაჯარიმებთო, ასეთ შემთხვევაში მას აუცილებლად დააჯარიმებენ. მაგრამ, თუ ავტომობილიდან ლამაზი, გაღიმებული გოგო გადმოვა, აღიარებს შეცდომას და გთხოვს, მაპატიეო, აპატიებ, აბა, რას იზამ? ჩემი რჩევა იქნება ქალბატონებისთვის – ყოველთვის გაიღიმეთ და ყველაფერი გამოგივათ!

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა**: **განსაკუთრებით რომელი ჯიშის ძაღლებს უჭირთ ცხელი ზაფხულის გადატანა?**

**პასუხი**: ცხელი სეზონის გადატანა განსაკუთრებით უჭირთ გრძელბეწვიანი და მოკლეცხვირიანი ჯიშის ძაღლებს; გრძელბეწვიან ძაღლებში კი განსაკუთრებით მათ, რომლებსაც მუქი ფერი აქვთ. ძაღლი უნდა ამყოფოთ გრილ ადგილას, პერიოდულად უნდა აბანაოთ და უნდა ჰქონდეს მუდმივად წყალი. ის ჯიშები, რომლებსაც კრეჭენ ბეწვს, ზაფხულშიც უნდა გაკრიჭოთ, ხოლო ისეთებს, რომლებსაც უტარდებათ ტრემინგი, აუცილებლად უნდა ჩაუტარდეთ – ყოველივე ეს დაიცავს ძაღლს სითბური დაკვრისგან. ამ პერიოდში ხშირია გულის უკმარისობები და ეგზემები. ეს უკანასკნელი კი გამოწვეულია ბეწვის ჩახურებით.

**კითხვა**: **თუ შეიძლება, მითხარით, ზაფხულის კვების შესახებ – რას უნდა მივაქციოთ ყურადღება?**

**პასუხი**: კვებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ზაფხულში. უმნიშვნელოვანესია პროდუქტების სიახლე, რადგან, საკვები სიცხეში ადვილად ფუჭდება. ამ პერიოდისთვის სასურველია, ძაღლს მისცეთ ნაკლებად ცხიმიანი საკვები. სიცხეში ზოგიერთი ძაღლი ნაკლებს ჭამს, რაც ნორმალურია.

**კითხვა**: **დღის რომელ მონაკვეთშია ყველაზე სარისკო ძაღლის გარეთ გაყვანა?**

**პასუხი**: არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ძაღლის გაჩერება მზის პირდაპირი სხივების ქვეშ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ყველაზე ცხელი მზეა, მაგალითად, 12 საათიდან 16 საათამდე. ცხოველის გასეირნება სასურველია უფრო მოგვიანებით და ისეთ ადგილას, სადაც ჩრდილია. თუ არის ცხოველის ტრანსპორტირების აუცილებლობა, მაშინ, სასურველია, ეს მოხდეს საღამოს საათებში. ასევე, კარგია, თუ გამოიყენებთ ისეთ პრეპარატებს, რომლებიც დაიცავს ცხოველს ტრანსპორტის დაავადებისგან. გადაადგილების დროს აუცილებელია, თან იქონიოთ წყალი და პირსახოცი, რომ, საჭიროების შემთხვევაში, დაასველოთ და ძაღლს შემოახვიოთ. რაც უნდა მცირე ხნით მოგიხდეთ მანქანიდან გადასვლა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ცხოველის დატოვება დაკეტილ ავტომობილში.

არ უნდა დაგვავიწდეს, რომ ჩვენს ოთხფეხა მეგობრებს სხეულის ტემპერატურა გაცილებით მაღალი აქვთ, ვიდრე ადამიანს. ამას ემატება ბეწვის საფარველი, რის გამოც სწრაფად ხდება მათი ორგანიზმის გადახურება. ხოლო გაგრილების, ანუ სითბოს გაცემის ზედაპირი კი – გაცილებით პატარა. ამიტომ მათ აქვთ სითბური და მზის დარტყმისკენ მიდრეკილება. სიცხეს განსაკუთრებით უნდა მოარიდოთ დაავადებული ცხოველები, ლაპარაკია ისეთ დაავადებებზე, როგორიცაა გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი და ნერვული სისტემების დაავადებები, განსაკუთრებით საფრთხილოა ეპილეფსია. საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ადამიანები, რომლებსაც აქვთ გულის მანკი, ძნელად იტანენ სიცხეს. იგივე მოსდით ცხოველებსაც, რომლებსაც აქვთ გულის პათოლოგიები, უწევთ არტერიული წნევა, მატულობს გულისცემა და სუნთქვითი მოძრაობები; ვითარება ქოშინი, ხდება ვენური შეგუბება, რაც იწვევს ციანოზს (ლორწოვანი გარსები ლურჯი ფერისაა); შეშუპებები ვითარდება კიდურებისა და გულ-მკერდის ქვეშ; ასევე, შეიძლება, განვითარდეს ფილტვებისა და თავის ტვინის შეშუპებაც, რაც ძალიან საშიშია ცხოველისთვის. ასეთი ძაღლები ადვილად ექვემდებარებიან სტრესს და კარგავენ გონებას. დაავადების ამგვარი სიმპტომატიკის ჩამოყალიბება ხდება ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა: კატებში – ჰიპერტროფიული კარდიომიოპათიები, ძაღლებში კი – დილატაციური კარდიომიოპათია, ენდკარდიოზი და სარქველების უკმარისობა.



**რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი**

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**



- საქსოვი დაზგა
- მისოს ცოლი / არაყი
- დასავლ-ურ ქართული ღვინო
- შესავსები ფურცელი
- მოსკოვის ციტადელი
- ლისი, რიწა
- რუსი დრამატურგი, ვიქტორ...
- ავსულის სახეობა
- ნაგებობა
- აშშ-ს შტატი
- პატარა საწარმო
- ქალის შესაქმნელი მასალა
- იტალიელი კომპოზიტორი
- მადონას ცნობილი კინოროლი
- ბოროტი
- (.......) ფრინდლისი
- ჩრდილო კავკასიის მინერალური წყალი
- აზიზი სათუთი
- ველური ვარდი
- ქალბატონი მონიკა
- ძველი მსახიობი (.....) დურბინი
- რა არის ზერო?
- უკრაინის ზღვა
- პერუს დედაქალაქი
- იმგვარად
- ონის რაიონის სოფელი
- გისმენთ! / .....იოსელიანი
- უფროსი სამანიშვილი
- პატარა მწვანე ბაყაყი
- ტატნობი
- (.......) ვირსალაძე
- ასოთა თანამიმდევრობა
- ევროპის ქვეყანა
- გერმანიის რეგიონი
- თვითმფრინავის ცხვირით დაშვება
- შუა ზაფხულის ხილი
- ამგვარი
- ჰოლივუდელი ჩარლი...
- ფართო გზა
- ლენინის და ბრეჟნევის
- სკანდინავიური ლეგენდა
- სქელი ქსოვილი
- (........) ჩაპლინი / სახიფათო
- ჰეროიკული ლექსი
- სხეული / დიდი ფეხბურთელის ავთანდილ ღოღობერიძის მეტსახელი
- მაუგლის გამზრდელი
- XIX ს ფრანგი ფერმწერი
- ოქროდ აქცევდა ყველაფერს
- წერწეტა დახვეწილი ტანი
- ჯაშუში
- მამაპაპათა წესი
- საარჩევნო სიტყვა
- ჩვილის სიტყვა
- ფინელი ხალხის ეპოსი
- ირიბი ხაზი
- მუსლიმანთა სალოცავი
- ცხელი სასმელი
- XX ს ფრანგი დრამატურგი
- ძიუდოს თანრიგი
- ფრანგი მწერალი ლუი...
- ხელში მოუხერხებლად აყვანა
- ერთ-ერთი მშობელი
- ჩეხეთის დედაქალაქი
- ნიადაგის რღვევა
- კინოს მეორე სახელი
- (........) ჯავახიშვილი
- „ბაშიაჩუკის" რეჟისორი
- რუსული „ჯიპი"
- რაიკომის მდივნის ველები
- გაჩუმდი!
- ორნულიანი
- შეჯიბრების ნაწილი
- შუახეველი ან ხულოელი
- ძველი ასურეთის დედაქალაქი
- ხალხი
- ციური მოვლენა
- ალმასხანის ვაჟი კინოში
- ძველ რომაელთა სამოსი
- წვერის საღებავი
- ოტელო არის
- არჩილის და
- ზნე, ხასიათი / ცეცხლის ენა
- დელფინის სახეობა / ძვ.თოფის ნაწილი
- ოტელოს მტერი

Column clues (top to bottom):

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 | 35 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 4 | | 2 | 4 | 3 | | 2 | | | | 2 | 2 | | | |
| | 1 | 2 | 3 | 8 | 7 | 3 | 3 | 2 | 1 | | | | | | 2 | 3 | 3 | 3 | 4 | 5 | | 4 | 3 | 3 | 2 | 4 | 2 | 2 | 2 | 8 | 8 | 7 | | |
| 7 | 9 | 11 | 11 | 7 | 7 | 7 | 8 | 9 | 11 | 12 | 12 | 13 | 13 | 14 | 14 | 14 | 14 | 14 | 14 | 14 | 29 | 14 | 14 | 14 | 14 | 9 | 13 | 13 | 13 | 2 | 2 | 1 | 6 | 4 |

Row clues (left to right):

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | 2 | 1 | 1 |
| 2 | 2 | 1 | 2 |
| 2 | 2 | 2 | 2 |
| 1 | 2 | 1 | 2 |
| 2 | 1 | 1 | 2 |
| | 1 | 3 | 2 |
| | 2 | 2 | 2 |
| | 1 | 1 | 2 |
| | 1 | 1 | 1 |
| | | 3 | 2 |
| | | 2 | 1 |
| | 3 | 4 | 4 |
| | | 7 | 3 |
| | | 5 | 3 |
| | | 2 | 2 |
| | | 2 | 1 |
| | | 2 | 13 |
| | | 4 | 18 |
| | | 5 | 22 |
| | | 5 | 24 |
| | 4 | 17 | 7 |
| | | 5 | 26 |
| | | | 35 |
| | | | 35 |
| | | | 35 |
| | | | 35 |
| | | | 29 |
| | | | 31 |
| | | | 27 |
| | | | 23 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | 9 | 6 | | 8 | | | 7 |
| 8 | 5 | | 1 | | 7 | | 9 | |
| | 6 | | 5 | 9 | | | 1 | 8 |
| 6 | 3 | 5 | | | 1 | 4 | | |
| | | 4 | | 6 | | 1 | 8 | 5 |
| 1 | 8 | | 9 | 4 | | 7 | | |
| | 2 | | 7 | | 3 | 9 | 4 | 6 |
| 7 | 9 | 8 | | 1 | 6 | | | 2 |
| | 4 | 6 | | 5 | 9 | | 7 | 1 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | | 1 | | 3 | 2 | |
| | | 9 | | 7 | | 4 | | 6 |
| 1 | | 4 | | | 3 | 7 | | |
| | | | 1 | 4 | | | 7 | 3 |
| 9 | 7 | | 2 | | 8 | | | |
| | | 1 | | | 6 | | 9 | 5 |
| 6 | | 8 | | 2 | | | | |
| | | | 3 | | | 1 | 8 | |
| 4 | | | 9 | | | 5 | | |

# ხართ ზარმაცი?!

*მაგალითად, იტალიელებს ძალიან უყვართ მიიღონ სიამოვნება არაფრის კეთებისგან, ანუ, იტალიაში სიზარმაცე მოდაშია. თუმცა, არა მარტო იტალიაში... პრინციპში, ზოგჯერ თუ წაიზარმაცებთ, ამით არაფერი დაშავდება. მთავარია, სიზარმაცე ცხოვრების წესად არ გადაგექცეთ.*



**1. სახლში მყოფი არასდროს ვპასუხობ ქალაქის ტელეფონს. მეზარება ბევრი ლაპარაკი უაზრობაზე.**

ა) დიახ;
ბ) არა.

**2. სპორტი საჩემო არ არის. ფიზიკური დატვირთვა მღლის:**

ა) დიახ;
ბ) არა.

**3. ტელევიზორის ყურება და ხელსაქმე დივანზე წამოწოლილს მიყვარს:**

ა) დიახ;
ბ) არა.

**4. დღეში ორი საათი მაინც არაფერს ვაკეთებ, ვფიქრობ ან მძინავს:**

ა) დიახ;
ბ) არა.

**5. სამსახურის შემდეგ არსად მივდივარ. ჩემი საყვარელი დივანი მელოდება სახლში:**

ა) დიახ;
ბ) არა.

**6. ნაგავს უფრო ქუჩაში ვყრი, ურნის მოძებნა მეზარება:**

ა) დიახ;
ბ) არა.

**7. ყველაზე ძალიან მეზარება ჩემი ნივთების დალაგება:**

ა) დიახ;
ბ) არა.

**8. როცა ვინმესთან ერთად ვმუშაობ, ვცდილობ, საქმის დიდი ნაწილი მას „ავკიდო“:**

ა) დიახ;
ბ) არა.

**ნახეთ შედეგები, ნუ დაგეზარებათ:**

*თუ პასუხების უმრავლესობა არის „ა“: ძალიან ზარმაცი ხართ. ეს სიზარმაცე მარტო კარიერაში კი არ შეგიშლით ხელს, ურთიერთობებსაც გაგიფუჭებთ. წარმოიდგინეთ, როდემდე მოითმენენ, აკეთონ თქვენი გასაკეთებელი საქმე?*

*პასუხების უმრავლესობაა „ბ“: აქტიურობის ნიმუში და ნამდვილი „ენერჯეიზერი“ ხართ. ძალიან ბევრს მუშაობთ. ზოგჯერ მაინც მიეცით თავს უფლება, დაისვენოთ და დაკავდეთ სასიამოვნო საქმიანობით.*

*„ა“ და „ბ“ პასუხების რიცხვი თანაბარია: ზოგჯერ გინდებათ წაიზარმაცოთ და თავს ამის უფლებას აძლევთ. ოღონდ, თუ სერიოზული საქმეა მოსაგვარებელი, თავის ხელში აყვანა კარგად შეგიძლიათ.*

## ბუნების საოცრება



მარგალიტი ბუნების მიერ შექმნილ საოცრებათგან ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და მომხიბვლელია. მარგალიტისგან შექმნილი სამკაული კლასიკურია და გასაოცრად დახვეწილი. მას კონკრეტული ფორმა აქვს – მრგვალია ან წვეთისებრი. მდიდრული, მბრწყინავი, ფერთა ორიგინალური გრადაციით. მარგალიტისგან სიურპრიზებს, მოულოდნელობებს არ ელოდებიან. სტაბილურად ძვირფასია და პრესტიჟული... თუმცა, გამონაკლისი მარგალიტებშიც არსებობს. ეს არის მარგალიტი „კეში“. მას ფერთა წარმოუდგენლად დიდი პალიტრა აქვს. ვარდისფერი, იისფერი, შოკოლადისფერი, ზღვის ტალღისფერი... ბრწყინავს ჩვეულებრივ მარგალიტზე ორჯერ უფრო მეტად და რაც გაცილებით მნიშვნელოვანია – არასტანდარტული ფორმა აქვს. არ არსებობს ორი ერთნაირი „კეში“. იაპონურიდან თარგმანში „კეში“ ყაყაჩოს მარცვალს ნიშნავს. სინამდვილეში, „კეშის“ ყაყაჩოსთან ან მარცვალთან საერთო არაფერი აქვს, კულტივირებული მარგალიტისგან განსხვავებით. საქმე ისაა, რომ დღეს თითქმის ყველა მარგალიტი ხელოვნურად არის გამოყვანილი, ფერმაში. „ველური“ მარგალიტი – რომელიც ბუნებრივად იზრდება ნიჟარებში, ძალიან იშვიათია და კოლოსალური თანხა ღირს. ფერმაში, ნიჟარაში ხელოვნურად შეჰყავთ პაწაწინა, დაპრესილი სადაფის მარცვალი. ამ იმპლანტის გარშემო იზრდება მარგალიტი – გლუვი და თანაბარი ფორმების. მაგრამ, ზოგჯერ ისე ხდება, რომ ნიჟარის კედელზე გამოიზრდება მეორე მარგალიტიც – სტიქიურად და თავისი წესებით, არაბუნებრივი ფერით და ფორმით. სწორედ ეს არის „კეში“. მისი სიდიდე მთლიანადაა დამოკიდებული ნიჟარის ზომაზე. ყველაზე იშვიათია შოკოლადისფერი „კეში“ – „მოკოს“ შეფერილობით. დღემდე ვერავინ ახსნა, რა აძლევს მარგალიტს ამ შეფერილობას.

## ცენზურა და კანონი

პირველი ცენზორები რომაელები იყვნენ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 443 წელს რომის მაგისტრატმა ცენზურა შემოიღო. მისი დამცველები მოსახლეობას აკონტროლებდნენ, თუ როგორ ასრულებდნენ ისინი ქალაქის ხელმძღვანელობის შეკვეთებს.

ცენზურის უკიდურესი ფორმაც არსებობდა – სიკვდილით დასჯა. მაგალითად, ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე აიძულეს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 399 წელს დაელია საწამლავი მხოლოდ იმიტომ, რომ გააკრიტიკა ათენის დემოკრატია.

პირველი მასშტაბური ცენზურა – განკარგულება გამოიცა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 213 წელს. ჩინეთის დიდი კედლის აშენებელმა ცინ ში ხუან დიმ ბრძანა, დაეწვათ ყველა წიგნი მეცნიერებაზე, მედიცინასა და სოფლის მეურნეობაზე. ასევე, აიკრძალა მკითხაობა და მკითხაობასთან დაკავშირებული ლიტერატურა. ბრძანების შედეგად სიკვდილით დასაჯეს 500 მეცნიერი. რეპრესირებულ იქნა კიდევ რამდენიმე ასეული ადამიანი.

იულიუს კეისარმა ბრძანება გასცა, ეგვიპტეში დაეწვათ ალექსანდრე დიდის ანტიკური ბიბლიოთეკა. 700 000 წიგნი და მასთან ერთად უნიკალური ისტორიაც ცეცხლმა შთანთქა. 400 წლის შემდეგ დამწვარი ბიბლიოთეკა წვალებით აღადგინეს, მაგრამ ახლა ის მეორე რომაელმა იმპერატორმა – ფეოდორსიმ დაწვა, მოტივით, წარმართულია და სახიფათოო. გავიდა 300 წელი და ზუსტად იმავე მოტივით ბიბლიოთეკა ხალიფა ომარმა გადაწვა – ეს წიგნები ყურანთან წინააღმდეგობაში მოდის და ამიტომ სრულიად უსარგებლოაო.

რომის პაპმა პავლე მეოთხემ მიქელანჯელო აიძულა, შეემოსა „საშინელი სამსჯავროს“ ფრესკაზე გამოსახული ადამიანები „სიქსტის კაპელაში“.

ასე რომ, ცენზურა თითქმის კაცობრიობის ცივილიზაციის ასაკისაა.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# იდეალური კრიმინალი

## დენი მერლოუ

როცა პატიმარ ტოლანდს ციხის უფროსის კაბინეტში დაუძახეს, უსიამოვნო შეგრძნებამ მთელ სხეულში ჭიანჭველებივით დაურბინა. ასეთი გამოძიებები ძალიან ცუდად ჰქონდა დაცდილი. ბოლო დროს, რამდენიმე მწარე გაკვეთილის შემდეგ, ისე იქცეოდა, ციხის ადმინისტრაციისთვის არანაირი მიზეზი არ მიუცია, რომ დაესაჯათ. ამიტომ, ვერ მიხვდა, რა შეიძლებოდა ნდომოდა მისგან ციხის უფროსს – ვიბერლის. კეპი ბოლომდე ჩამოიფხატა შუბლზე და კაბინეტში თავდახრილმა შეაბიჯა. ვიბერლი მარტო არ იყო, მასთან ერთად ზორბა მამაკაცი დახვდა, რომელშიც ტოლანდმა მაშინვე ამოიცნო ტომ გლიკი – პოლიციის კაპიტანი. სწორედ მან გაუშვა ციხეში.

– დაჯექი, ტოლანდ, – თქვა ვიბერლიმ, – თუ გინდა, შეგიძლია, მოწიო კიდეც.

ეს უკვე კარგის ნიშანი იყო და ტოლანდი ცოტათი მოეშვა. მადლობა გადაუხადა და სიგარეტს მოუკიდა.

– ჩვენ შევისწავლეთ შენი საქმე. თავიდან სერიოზულ პრობლემებს გვიჩენდი, მაგრამ, ბოლო ორი წელია, მგონი, გამოსწორდი. ცუდი მეგობრები გყავს და ამაზე იფიქრე. თუმცა, არაფერი არ არის გვიან, თუ მართლა მოინდომებ.

ტოლანდს ხმა არ ამოუღია. სიგარეტის მოწევას განაგრძობდა და ელოდა, კიდევ რას ეტყოდნენ. ციხის უფროსმა ჩაახველა, გლიკს შეხედა და უთხრა:

– შენთვის ახალი ამბავი გვაქვს, ტოლანდ: ორი დღის წინ, ბანკის ძარცვისას, სასიკვდილოდ დავჭერით რეციდივისტი ქურდი, დენი ლულანდი. სიკვდილის წინ მან გვიამბო თავისი ყველა დანაშაულის, მათ შორის, კომპანია „გურნიკ ბეიკინგის“ შესახებაც. მისი რევოლვერიდან ამოღებული ტყვიაც იდენტური აღმოჩნდა იმ ტყვიისა, რომელიც კომპანიის დარაჯის ფეხიდან ამოვიღეთ. ეჭვი აღარაა, რომ „გურნიკის“ სეიფის გატანა სწორედ მას უნდოდა.

ტოლანდი სკამზე აწრიალდა. სიგარეტი ხელში მოსრისა და მექანიკურად ჩაიტენა ჯიბეში.

– მერე, მე რა, ამ ამბიდან?

– ის, რომ თავისუფალი ხარ. გუბერნატორმა უკვე მოაწერა ხელი შენი გათავისუფლების ბრძანებას და ხვალ სახლში წახვალ.

– ანუ, იმისი თქმა გინდა, რომ სამ-ნახევარი წელი ტყუილად, სხვისი დანაშაულის გამო ვიჯექი ციხეში? – ირონიულად და მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა ტოლანდმა.

ტომ გლიკი მოიღუშა:

– ტონალდ, არ გირჩევ, პოლიციას უჩივლო და მორალური ზიანისთვის კომპენსაცია მოითხოვო.

– რატომაც არა? მშვენიერი იდეაა... მით უმეტეს, რომ ფული ძალიან დამჭირდება. ჩემი დოსიეთი დიდხანს ვერ ვიშოვი წესიერ სამსახურს. თან, ცოლი და პატარა შვილი მყავს, ფული იმათაც გამოადგებათ.

– გეუბნები, ეს არ გააკეთო. არც ისეთი კანონმორჩილი მოქალაქე ხარ, როგორადაც თავი მოგაქვს.

– ჰმ, სულ რაღაც ორი ჩხუბია ჩემს ანგარიშზე. სეიფის ძარცვის მცდელობისთვის ხომ ტყუილად დამაპატიმრეთ. წარმომიდგენია, როგორი ზეწოლის ქვეშ მიაცემინეთ დარაჯს ჩემზე ჩვენება, რომ ამომიცნო.

– მან ეს უკვე აღიარა, – იძულებული გახდა, დათანხმებოდა კაპიტანი, – მაგრამ, მე მაინც არ გირჩევ, სასამართლოს მიმართო. კარგი ავტომექანიკოსი ხარ და სამუშაოც არ მოგაკლდება. თუ გინდა, ამაზე მე ვიზრუნებ.

– ნუ შეწუხდებით, როგორმე მივხედავ საკუთარ თავს. შემიძლია, წავიდე?

ტოლანდი ისე გავიდა კაბინეტიდან, არც ერთს არ დამშვიდობებია. მას უკეთესი გეგმა ჰქონდა, ვიდრე სასამართლოში უსამართლო განაჩენის გამო ჩივილი...

ტოლანდი მეორე დღეს, პირველ საათზე გაათავისუფლეს. დაუბრუნეს ტანსაცმელი და ის 93 დოლარი, რომელიც ციხეში ყოფნისას გამოიმუშავა; ასევე, მისცეს ქალაქში ჩასასვლელი ავტობუსის ბილეთი. ტოლანდმა ღამით ყველაფერი მოიფიქრა და უმნიშვნელო დეტალებამდე გათვალა. პრინციპში, ბევრი არც არაფერი იყო გასაკეთებელი. ერთ-ერთ გაჩერებაზე იყიდა პატარა, იაფფასიანი ჩემოდანი, საპარსი, კბილის ჯაგრისი, პერანგი და ახალი საცვლები. ჩააღწია პატარა სასტუმრო „კარლილამდე“ და ნომერი თავის სახელზე შეუკვეთა... როცა პოლიცია ძებნას დაუწყებდა, უნდოდა, მალე და უპრობლემოდ ეპოვათ. შხაპი მიიღო და, იქვე, პატარა კაფეში, გემრიელად ისადილა. ორი ჭიქა ნამდვილი შავი ყავაც დალია, მერე ისევ ნომერში ავიდა და დაიძინა. მეორე დილით, ადრიანად, ქალაქის ღარიბ უბანში წავიდა და პატარა საპარიკმახეროში შევიდა.

– მე კურკის მეგობარი ვარ. მინდა, მათხოვოთ მისი 45-კალიბრიანი რევოლვერი, თავის ჩასადებიანად. გვიან საღამოს დაგიბრუნებთ – ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, საფოსტო ყუთში ჩავაგდებ.

პარიკმახერმა უსიტყვოდ გამოუტანა იარაღი... ტოლანდმა პატარა მაღაზიაში ორი შეკვრა საიზოლაციო ლენტი, ათი ცალი საფოსტო მარკა, ამანათისთვის ყუთი და ასევე, შესახვევი ქაღალდი იყიდა და შებინდებას დაელოდა. ტაქსი კომპანია „გურნიკიდან“ ორი კვარტლის მოშორებით გააჩერებინა – ასე გაცილებით უსაფრთხო იყო. დარჩენილი გზა ფეხით გაიარა. კომპანიის ტერიტორია საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ, ტოლანდმა ზუსტად იცოდა, სად რა მდებარეობდა... დარაჯმა ჯერ მკერდზე მიბჯენილი რევოლვერის ლულა დაინახა, მერე ტოლანდიც იცნო, რომელსაც არც უცდია სახის დაფარვა და შიშისგან ერთიანად აკანკალდა.

– ნუ იზამ ამას, ტოლანდ. მე გლიკმა მაიძულა, შენ წინააღმდეგ მიმეცა ჩვენება.

არც აპირებდა მის მოკვლას, მაგრამ, ჰანსმა ხომ ეს არ იცოდა?! ტოლანდმა დარაჯი სკოჩით მაგრად გაკოჭა და პირიც აუკრა. მერე სეიფი ოსტატურად გააღო სპეციალური ბრტყელტუჩათი – სამი წელი სეიფის გატეხის სპეციალისტთან ერთად იჯდა კამერაში და დრო ტყუილუბრალოდ არ დაუკარგავს... ფულის დასტები აკურატულად ჩაიწყო ჩემოდანში და კომპანიის ტერიტორია უხმაუროდ დატოვა, თან, საგულდაგულოდ გაწმინდა ყველაფერი, რასაც კი შეეხო. სასტუმროში ფეხით დაბრუნდა. გზად საპარიკმახეროსკენ გაიარა და, დაპირებისამებრ, რევოლვერი საფოსტო ყუთში ჩააგდო...

ნომერში მისულმა ფული დიდ კონვერტში ჩააწყო, შეფუთა, საიზოლაციო ლენტით შეკრა, დააკრა ათივე მარკა და არარსებული მისამართი დააწერა. სამაგიეროდ, ზედმიწევნით ზუსტად მიუთითა გამგზავნის – თავისი ცოლის, დიეზის მისამართი. ამანათი დანიშნულების ადგილას ვერ მიაღწევდა და მის დეიზის დაუბრუნებდნენ. ამ პროცედურას ერთი თვე მაინც დასჭირდებოდა, მაგრამ, ტოლანდს არსად ეჩქარებოდა. ამანათი უახლოეს საფოსტო ყუთში ჩააგდო და ისევ სასტუმროში დაბრუნდა. ჯერ კარგად იბანავა, მერე ფეხსაცმლის ძირები გარეცხა და გაამშრალა, შარვალი საგულდაგულოდ გაწმინდა და ჯაგრისით ფრჩხილების ქვეშიდანაც კი გამოირეცხა არარსებული მტვერი. ბოლოს საწოლზე წამოწვა და მშვიდად დაელოდა...

დილის 8 საათზე მოადგნენ კაპიტანი გლიკი და ორი სერჟანტი.

– ოჰო, რა ხდება, კაპიტანო? – თავაზიანი ღიმილით შეეგება მათ ტოლანდი.

– ღამით „გურნიკის“ სეიფი გაძარცვეს და დარაჯმა შენ დაგადო ხელი.

ტოლანდს ისტერიული სიცილი აუტყდა:

– რომელმა დარაჯმა, გლიკ, დამცინით თუ ხუმრობის გუნებაზე ხართ? იმან, რომელმაც ერთხელ უკვე მისცა ცრუ ჩვენება სასამართლოზე ჩემ წინააღმდეგ? ამჯერად ეს ამბავი აღარ გაგივათ, ყველაზე უნიჭო ადვოკატიც კი გაანადგურებს თქვენს ბრალდებას. რომელი მოსამართლე დაუჯერებს დარაჯს, რომელმაც, შეშინებულმა იმით, რომ ციხეში ტყუილუბრალოდ გაშვებული ადამიანი მასზე შურს იძიებდა, ხელმეორედ დაადანაშაულა ძარცვაში?! თავს სასაცილო მდგომარეობაში იგდებთ, გლიკ... გაქვთ კიდევ რამე ჩემ წინააღმდეგ, გარდა თქვენი გონებაჩლუნგი დარაჯის ჩვენებისა?.. მაშინ გეტყვით, რომ წარმოდგენა არ მაქვს, ვინ გატეხა სეიფი „გურნიკში“ და დარაჯის ნაბოდვარიც ფეხებზე მკიდია... ახლა კი, ბოდიში, დრო აღარ მაქვს, ჩემს ცოლთან და შვილთან უნდა დავბრუნდე – იმდენი ხანია, არ მინახავს...

კაპიტანმა ამოიოხრა და ხელი ჩაიქნია...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# ქალური შურისძიება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №1-24(703)

მზიას გული აუჩუყა გიორგის მზრუნველმა ტონმა და აცრემლებულმა ჰკითხა:

– მე ვერაფერში დაგეხმარებით?

– უშენოდ ამ საქმეს ვერ მოვაგვარებ. სანამ მე ჩავიცვამ, შენ ჩამოწერე ყველა წვრილმანი და მსხვილმანი, რაც ციხიდან გამოსულ მარტოხელა კაცს სჭირდება. მე ამ ყველაფერს ვიყიდი და მოვიტან, მერე კი გუგასთან შენ წაიღებ.



– მე?! – გაუკვირდა გოგოს.

– ჰო. ნუ გეშინია, კარამდე მისატანად ვინმეს გამოგაყოლებ. სხვას გავატანდი, მაგრამ, რადგან გუგასთან მაინც გვაქვს შენი ვიზიტი დაგეგმილი, ჯობია, მანამდე ნახო და გაიცნო, რომ მერე უფრო გაგიადვილდეს მასთან საუბარი.

– ეგ მართალია, – მაშინვე დაეთანხმა მზია და მერე ღიმილით დაამატა: – თუმცა, არც ისე გამიჭირდებოდა...

გიორგის გაეცინა, ექთანს თბილად შეხედა და უთხრა:

– მიდი, ჩამოწერე, არაფერი გამოგრჩეს. მე რომ წავალ, დიმიტრის უთხარი, სამსახურში გამოიძახეს-თქო.

გიორგი დაახლოებით ორ საათში დაბრუნდა, მზია გაიხმო და უთხრა:

– ყველაფერი ჩემს მანქანაში აწყვია, კონვერტით ფული ახალი მობილურის კოლოფში დევს. დანარჩენი თვითონ იცი. ჩვენი მეზობელი ბიჭი წაგიყვანს მანქანით, დაგელოდება და უკანვე წამოგიყვანს, – და გიორგიმ გუგას მისამართი შეახსენა.

***

საღამოს მზია ემოციებით დაღლილი, მაგრამ, კმაყოფილი დაბრუნდა სახლში.

– სად იყავი ამდენ ხანს? – უკმაყოფილოდ ჰკითხა დიმიტრიმ.

– ჩემს მეგობრებს შევხვდი; რა, არ მაქვს უფლება, თვეში ერთხელ სახლიდან ჩემი პირადი საქმეებისთვის გავიდე? – შეუწყრა მზია.

– არც კი ვიცოდი, მეგობრები თუ გყავდა, – ეჭვით გახედა დიმიტრიმ ექთანს.

– შენ წარმოიდგინე, ბატონო დიმიტრი, რომ ჩემისთანა უბრალო ადამიანებსაც ჰყავთ მეგობრები, – მართლა ეწყინა გოგოს, – ასეთი ტონით იმიტომ მომმართავთ, რომ თქვენ გამო ლამის ყველაფერ პირადულზე ვთქვი უარი და, მაპატიეთ, მაგრამ, ცოტა თავში აგივარდათ.

– ამას უყურე, რა ბრჭყალები გამოაჩინა! – გაუკვირდა დიმიტრის, – რა გითხარი, გოგო, ამისთანა, ლამის თვალები რომ ამომკაწრე?

მზიას ისე ეწყინა, თვალები ცრემლებით აევსო და ოთახიდან გავიდა. დიმიტრის უტაქტო შენიშვნამ უცბად ჩაუნავლა თან მოყოლილი დადებითი ემოციები.

– შენ მაინც ვერ გადაეჩვიე შენს უხეშობას, – უსაყვედურა ძმას გიორგიმ.

– ასეთი რა ვუთხარი? – გაიოცა დიმიტრიმ.

– შენ ეს გოგო შენი საკუთრება ხომ არ გგონია? შენ რომ მოგხედავს, უფლება აქვს, სადაც უნდა, იქ წავიდეს და, საერთოდაც, ცოტა ფრთხილად იყავი, სულ არ გააქციო აქედან, თორემ, შენ ვინ გაგიძლებს.

– კარგი, ბატონო, ბოდიშს ვიხდი, – უკან დაიხია დიმიტრიმ.

– მე კი არა, მზიას მოუხადე ბოდიში, – თქვა გაბრაზებულმა გიორგიმ და თავის ოთახში გავიდა.

– მზიკო! – გასძახა დიმიტრიმ მზიას მოსაწყლებული ხმით, – მაპატიე, რა! მეტს აღარ ვიზამ, დედას გეფიცები, ოღონდ შემირიგდი, კარგი?

მზია ღიმილით დაბრუნდა:

– ბატონი გიორგი მეცოდება შენს ხელში, თორემ, მართლა არა ხარ ღირსი, მოგიარო.

დიმიტრი მიხვდა, რომ გოგომ აპატია და მადლიერებით გაუღიმა, მერე კი სთხოვა, ჩემს ძმასთან მიშუამდგომლე, რომ შემირიგდეს, თორემ, ისიც გამებუტაო.

– მზია, თუ არ შეწუხდები, ყავა მომიდუღე, რა! – ოთახიდან გამოსძახა გიორგიმ.

ექთანი მიხვდა, რომ მას გუგას ამბების გაგება უნდოდა და ამიტომ სთხოვა ყავის ოთახში შეტანა.

– რა ქენი? – ჰკითხა ჩუმად, როცა მზიამ ფინჯნით ყავა შეუტანა.

გოგომ ყველაფერი დაწვრილებით უამბო და ისიც უთხრა, რომ ხვალ დილით ბაზრობაზე უნდა გაჰყოლოდა.

– მოკლედ, ისე გამოვიდა, რომ ორივე ხვალ უნდა ნახო – გუგაც და ნანიტაც. თუმცა, შეიძლება, ეს უკეთესიც კი იყოს საქმისთვის.

– მეც ასე ვფიქრობ, – დაეთანხმა მზია.

– ახლა კი გადი დიმიტრისთან, რამე არ იეჭვოს.

მზია გავიდა. გიორგიმ კი მოულოდნელად აწკრიალებული ტელეფონი აიღო სავარძლიდან, ნომერს დახედა და ღიმილით თქვა:

– ჰო, გუგა, გისმენ...

***

მეორე დილით, ჩვეულებისამებრ, მზიამ ყველა პროცედურა ჩაუტარა დიმიტრის, მერე სპორტულად ჩაიცვა და ძმებს გამოუცხადა:

– მე ჩემს პირად საქმეზე მივდივარ. დაახლოებით ორ-სამ საათში დავბრუნდები. ბატონო გიორგი, თქვენ სამსახურში მიდიხართ თუ დამელოდებით?

– დღეს შაბათია, არსად წასვლას არ ვაპირებ, მშვიდად მოითავე შენი საქმე, – უპასუხა გიორგიმ და შეთქმულივით გაუღიმა.

– რა საქმე გაქვს ასეთი, რომ სამი საათით გადიხარ? – დაინტერესდა დიმიტრი და მზიას ეჭვით გახედა.

– მეგობრებთან მაქვს შეხვედრა, – „წაუიაზვა“ მზიამ.

– კარგი, თუ არ გინდა, ნუ იტყვი, ოღონდ, არ დაიგვიანო, – დიმიტრის აშკარად ეწყინა მზიას პასუხი, მაგრამ, შეეცადა, არ შეემჩნია.

მზიამ ყურადღება არ მიაქცია დიმიტრის ნაწყენ კილოს, ჩანთა აიღო და კარისკენ გაემართა.

– აბა, ჭკვიანად იყავით! – ღიმილით დაუქნია ხელი და წავიდა.

გუგას სახლამდე ტაქსით მივიდა. დაკაკუნებაც ვერ მოასწრო, რომ კარი გაიღო და გაღიმებული მასპინძელი დაინახა.

– მზად ხართ? მაშინ, წავიდეთ, დროს ნუ-



ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო........................

მარიკა 599 24 28 31

ღარ დავკარგავთ.

შოპინგი სასიამოვნო პროცესი აღმოჩნდა გუგასთვის. მართალია, საკმაოდ დაიღალა, მაგრამ, უხაროდა, რომ ჩვეულებრივი, ნორმალური ადამიანივით დადიოდა დახლებს შორის და ტანსაცმელს ირჩევდა.

– უთო გაქვთ სახლში? – ჰკითხა მზიამ, როცა ყველაფერი იყიდეს.

– არა, – გაეცინა გუგას, – ცივილიზაციის მიმანიშნებელი ელემენტარული ნივთები კარგა ხანია, აღარ დამჭირვებია.

მზიამ ელექტროტექნიკის პატარა მაღაზია დაინახა, გუგას სთხოვა, შემომყევითო და უთოც აყიდვინა.

შინ კმაყოფილები დაბრუნდნენ. გოგომ ნავაჭრი ამოალაგა, ტანსაცმელი დააუთოვა და ყველაფერი კარადაში მოათავსა.

– ჩემი წასვლის დროა, – უთხრა ბოლოს, – თუ რამეში დაგჭირდეთ, არ მოგერიდოთ, მაშინვე დამირეკეთ.

გუგას ძალიან უნდოდა, მზია ცოტა ხანს კიდევ დარჩენილიყო, მაგრამ, ვერ გაუბედა თქმა და მორიდებით ჰკითხა:

– ჩემთან კიდევ როდის გამოივლით?

– უახლოეს დღეებში. სხვათა შორის, ძალიან სერიოზული საქმე მაქვს თქვენთან.

– რა საქმე? – დაინტერესდა გუგა და თან გაუკვირდა.

– ამაზე მერე ვილაპარაკოთ, როცა კიდევ მოვალ, – გაუღიმა მზიამ და დაემშვიდობა.

შინ დათქმულ დროზე ადრე დაბრუნდა. შეაღო თუ არა კარი, გაიგონა, რომ ვიღაც პოლიტიკოსი გამწარებული ხმით ამტკიცებდა რაღაცას. მიხვდა, რომ ძმები პოლიტიკურ დებატებს უყურებდნენ ტელევიზორში და თან კომენტარებს აკეთებდნენ. გადაწყვიტა, ხელი არ შეეშალა მათთვის და ჩუმად შეიპარა სამზარეულოში.

– რაც ეს ღლაპი მინისტრად დანიშნეს, ნახე, რა უცებ დაბრძენდა?! – გაიგონა დიმიტრის ხმა.

– თანაც, რაღაც სწრაფი მეთოდით ჩასუქდა, ისევე, როგორც მისი კოლეგების უმრავლესობა, – გაეცინა გიორგის.

– ჰო, თანამდებობაზე დანიშვნიდან ერთ თვეში გასუქება რაღაცნაირი ეპიდემიაა ჩვენში, რომლის საწინააღმდეგო ვაქცინა ჯერ არ გამოუგონიათ, – დაეთანხმა დიმიტრი, – ერთი შეხედე, ალაღლაჟებული ლოყები გასკდომაზე აქვს და თვალები აღარ უჩანს, უზარმაზარ ღიპზე რომ აღარაფერი ვთქვა, არადა, შარშან ამ დროს რა გამხდარი ბიჭი იყო.

– დოჩანაშვილი გამახსენდა, – ისევ გაეცინა გიორგის, – ზუსტად აღარ მახსოვს, მაგრამ, დაახლოებით ასეთი ფრაზა იყო: „და ის მოდიოდა ისეთი, როგორიც არის სიტყვა „გავძეხი“...

– დოჩანაშვილი გენიოსია, – თქვა დიმიტრიმ და საწოლში წამოჯდა, – პირადად მე კი, ეს უწიგნური, უვიცი და, ამ ყველაფრის პროპორციულად, უზრდელი...

– და, სწრაფი მეთოდით გასუქებული, – ჩაურთო გიორგიმ.

– ჰო, – დაეთანხმა დიმიტრი და განაგრძო: – უზრდელი და ამბიციური ლაწირაკები, რომლებიც დაუმსახურებლად აღმოჩნდნენ მაღალ თანამდებობებზე, სასუქით გაზრდილ და პენიცილინით დამწიფებულ პომიდვრებს მაგონებენ, გარედან გემრიელად რომ გამოიყურება, მაგრამ, რომ მოკბეჩ, სიკვდილს ან საავადმყოფოს თუ გადაურჩი, გულს მაინც აგირევს ან კუჭს აგიშლის...



– ჰო, მაგრამ, ყველაზე ამის თქმა არ შეიძლება, განათლებული, ჭკვიანი და ზრდილობიანიც ბევრია, – ბოლომდე არ დაეთანხმა გიორგი.

– არც ისე ბევრი, სამწუხაროდ, – თქვა დიმიტრიმ, – უმრავლესობა ისეთია, როგორც მე ვთქვი.

– ისევ შენს ამპლუაში ხარ, – ირონიით შენიშნა გიორგიმ.

– რას გულისხმობ?

– ისევ ისეთი პესიმისტი ხარ, როგორიც ყოველთვის იყავი.

– პასიმისტი კი არა, რეალისტი ვარ.

– ეგ რეალისტობა არ არის. ყველაში ნაკლს რატომ ეძებ? არ ჯობია, ადამიანებზე კარგი წარმოდგენა გქონდეს?

– მერე, იმსახურებენ ამ კარგ წარმოდგენას? – წარბი ასწია დიმიტრიმ.

– თუნდაც, ერთი შეხედვით არ იმსახურებდნენ; ბოლოს და ბოლოს, ყველაზე დაცემულ კაცშიც არის რაღაც კარგი. რა, არ მეთანხმები?

– ალბათ, მართალი ხარ, მაგრამ, აქ ერთი მომენტია მნიშვნელოვანი, – თქვა დიმიტრიმ და საწოლიდან სავარძელში გადაჯდა, – თუ ვინმეზე, თუნდაც დამსახურებულად, ძალიან კარგი აზრი შეგექმნება, ბოლოს მაინც აუცილებლად იმედგაცრუებული დარჩები.

– ეს როგორ? – ჰკითხა გიორგიმ.

– როგორ და, რაც უფრო მაღალი წარმოდგენა გაქვს ადამიანზე, შესაბამისად, მით უფრო მეტს მოითხოვ მისგან ყველა თვალსაზრისით – მორალით, საქციელით, სიტყვაპასუხით... ამას კი ბოლომდე ვერავინ ქაჩავს.

– რას ნიშნავს – „ვერ ქაჩავს“? არ არსებობს უნაკლო და შეუმცდარი ადამიანი, მაგრამ თუ მისი სიკეთე აჭარბებს შეცდომებს, ესე იგი, ეს შეცდომები ბათილდება.

– ამ შემთხვევაში, სიკეთისა და შეცდომების ხარისხია მთავარი, მაგრამ, მე სხვა რამეს ვგულისხმობ, – კამათის ეშხში შევიდა დიმიტრი, – მაგალითად, ერთნაირად ვერ მოსთხოვ წესიერებასა და შეუმცდარობასო, შენი აზრით ძალიან კარგ და ძალიან ცუდ ადამიანს, ანუ, რასაც იმ ცუდს არაფრად ჩაუთვლი, ზუსტად იმავეს კარგს არასდროს აპატიებ, რადგან, შენს თვალში ის კარგია, ყველასგან განსხვავებული და, სწორედ ამიტომ მოითხოვ მისგან გაცილებით მეტს. მაგრამ, ადრე თუ გვიან, ისიც „წამოჰკრავს ფეხს“ რაღაცას, ანუ, რაღაც შეეშლება, ვერ გაამართლებს შენს ნდობას თუ იმედებს და, მორჩა – დაინგრა ქვიშით აშენებული შენი კოშკები...

– ნაწილობრივ მართალი ხარ, მაგრამ, ბოლომდე მაინც არ გეთანხმები, – შეეწინააღმდეგა გიორგი, – შენი აქტიური ხასიათის მიუხედავად, ყოველთვის პესიმისტი იყავი და...

– ... და არ მქონდა ადამიანებზე ამაღლებული წარმოდგენა, – სიტყვა ჩამოართვა დიმიტრიმ.

– დიახ, სამწუხაროდ, უნდა დაგეთანხმო. მაგრამ, ისიც უნდა შეგახსენო, რომ ხალხი ძალიან კეთილია.

– პირიქით, ზოგადად, ხალხი ძალიან დაუნდობელია, კეთილები მხოლოდ ერთეულები არიან. ახლა უცბად გამახსენდა ერთი ქართული ფილმი, თუ არ ვცდები, „ლოლიტა“ ჰქვია.

– ბუნდოვნად მახსოვს ეგ ფილმი, მგონი, რამაზ გიორგობიანი თამაშობს.

– ჰო, მაგაზე ვამბობ. მოკლედ შეგახსენებ შინაარსს: რამაზის გმირი თავის ახალგაზრდა ცოლთან ერთად ცხოვრობს ბებიის დატოვებულ პაწაწინა ბინაში, ძველთბილისურ ეზოში. მათ მეზობელს კი, ლოლიტას – საეჭვო რეპუტაციის ქალს, რომელიც მილიციასთან არის შეკრული, ამ ბინის წართმევა უნდა და ყველანაირ სიბინძურეს კადრულობს მიზნის მისაღწევად.

– მერე, რა შუაშია ეგ ფილმი ჩვენი საუბრის თემასთან? – გაუკვირდა გიორგის.

– ფილმის ბოლოს ერთი სცენაა: ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, ამ საშინელებების გადატანის შემდეგ ავტობუსით მიდის სადღაც და ცოლი ეუბნება, ხალხი კეთილი და სამართლიანიაო, ქმარი კი გაბრაზებული პასუხობს: „ლოლიტაა ხალხი“, ანუ, ლოლიტასნაირია ხალხიო.

– არ გეთანხმები და ახლავე დაგიმტკიცებ. იმ ლოლიტასთან ბრძოლაში ვინ იმარჯვებს, ცოლ-ქმარი?


## მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჟანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**



– ჰო, მაგრამ, მხოლოდ საშინელი ნერვიულობის, ცილისწამებისა და შეურაცხყოფების გადატანის შემდეგ, თანაც, ვილაცეების ჩარევის შედეგად.

– მაგრამ, ისინი მაინც იმარჯვებენ.

– ეგ არაფერს ნიშნავს, – გააპროტესტა დიმიტრიმ.

– ნიშნავს. ის ვილაცეები, თუნდაც ამ ცოლ-ქმრის ახლობლები, ხომ დადგნენ სიმართლის მხარეზე? ისინიც ხალხის წარმომადგენლები არ არიან?

– ჰო, მაგრამ, ცხოვრებაში ასე არ ხდება. თანაც, როგორც შენ ამბობ, ის „ხალხის წარმომადგენლები“ იმ ცოლ-ქმრის ახლობლები რომ არ ყოფილიყვნენ, დაიცავდნენ უსამართლოდ დაჩაგრულებს?

– ეგ უკვე სხვა თემაა, – ოთახში შემოვიდა მზია, – ზოგადად კი ხალხი გულჩვილი და გულმოწყალეა და ამის უამრავი მაგალითი არსებობს.

– შენ როდის მოხვედი? – გაუკვირდათ ძმებს.

– კარგა ხანია. არ მინდოდა, თქვენი საუბრისთვის ხელი შემეშალა და სამზარეულოში ვიჯექი, მაგრამ, ყველაფერი მესმოდა და, ვერ მოვითმინე, არ ჩავრეულიყავი.

– ესე იგი, მე მეთანხმები? – გაუხარდა გიორგის.

– დიახ. ცუდი ადამიანის საქციელის მიხედვით, თუნდაც ისინი ბევრნი იყვნენ, არ შეიძლება, მთელ საზოგადოებაზე ცუდად იფიქრო.

– რა უამრავ მაგალითს გულისხმობდით, პატივცემულო მედმუშაკო? – ირონიულად ჰკითხა დიმიტრიმ, – ვინ-ვინ და, შენ მაინც არ უნდა გქონდეს ხალხზე ასეთი რომანტიკული წარმოდგენა, იმდენი ტკივილი მოგაყენეს ყველაზე უახლოესმა ადამიანებმაც კი.

– ჰო, მაგრამ, იმათ შემდეგ ბევრი კარგი ადამიანიც შემხვდა ცხოვრებაში, რომლებმაც ეს ტკივილი გადამატანინეს და დამავიწყებინეს, – მშვიდი ღიმილით უპასუხა მზიამ.

– მაგალითად? – ჩაეკითხა დიმიტრი.

– მაგალითად, ირაკლი ქებაძე, ბატონი გიორგი... კიდევ ბევრნი არიან, მაგრამ შენ მათ არ იცნობ.

დიმიტრის გულში ეწყინა, რომ მზიამ ისიც არ დაასახელა, თუმცა, არ შეიმჩნია და უთხრა:

– ეგენი ერთეული პიროვნებები არიან, მაგრამ, ხალხი, მასა, მაინც დაუნდობელი და არასანდოა. ახლა, არ მითხრა, ამის მაგალითსაც გეტყვიო.

– რა თქმა უნდა, გეტყვი, – არ შეეპუა მზია, – თუნდაც ის ავიღოთ მაგალითად, რომ „ნიჭიერში“ და სხვა მსგავს პროექტებში ხალხმა ხშირად გაამარჯვებინა იმას, ვინც ამას ყველაზე მეტად საჭიროებდა.

– საჭიროებდა და არა იმსახურებდა! – წამოიძახა დიმიტრიმ და თავის პატარა აუდიტორიას გადახედა, – არ მეთანხმებით?

– დააზუსტე, რას გულისხმობ, – დაინტერესდა გიორგი.

– ახლავე მოგახსენებთ. შეიძლება, ვცდები; შეიძლება, ბევრმა ჩამქოლოს კიდეც, რასაც ახლა ვიტყვი; ეს ჩემი სუბიექტური აზრია და, თუ გნებავთ, ნუ დამეთანხმებით, მაგრამ, „ნიჭიერი“ და ყველა მსგავსი პროექტი, თუნდაც სახელწოდებიდან გამომდინარე, გათვლილია იმაზე, რომ საზოგადოებამ აღმოაჩინოს განსაკუთრებული ნიჭის მქონე ადამიანი და მერე კონკრეტულმა პიროვნებებმა ხელი შეუწყონ მას წინსვლაში.

– ვითომ, შენი ჭკუით, რა თქვი ახლა ახალი? – მსუბუქად დასცინა ძმამ.

– ახალს ახლა ვიტყვი, ოღონდ, ძალიან გთხოვთ, სისასტიკეს ნუ დამაბრალებთ და დაუნდობელ მხეცად ნუ მომნათლავთ. მე ახლა დაგისვამთ რიტორიკულ კითხვას და თვითონვე გავცემ პასუხს: ყოველთვის განსაკუთრებულად ნიჭიერ ადამიანს ამარჯვებინებს ხალხი?! რა თქმა უნდა, არა. თუ რომელიმე მონაწილემ რაიმე ნიშნით გამოიწვია საზოგადოების თანაგრძნობა, გულის აჩუყება ან სიბრალული, არავის აღარ აინტერესებს, ნიჭიერია თუ არა ეს ადამიანი, ხმას მას აძლევს და, ხშირად ამარჯვებინებს კიდეც, მართლაც ღირსეული კი ბორტს მიღმა რჩება. გასაგებია, რომ ეს საქციელი ორი მოტივით აიხსნება: პირველია – სიხარული მიანიჭონ ცხოვრებაში დაჩაგრულ ადამიანს და, მეორეა – მატერიალური საფუძველი, ანუ, სოლიდური პრიზები, რაც გამარჯვებას მოჰყვება და რაც აუმჯობესებს გამარჯვებულის ყოფას.

– მერე, რა არის ამაში ცუდი? – გაბრაზებით იკითხა მზიამ, – ამით ხომ ხალხი სიკეთეს აკეთებს?

– ცუდი ისაა, რომ, ხალხი სიკეთეს აკეთებს სხვის ხარჯზე და არა თავისი ჯიბიდან. თითოეულ მათგანს ეს სიკეთე, შეიძლება, ერთი ზარის გაშვება, ანუ, 1 ლარი დაუჯდეს და თითოეულმა იცის, რომ ის 1 ლარი გინდ ჰქონია, გინდ – არა, ანუ, ამით ის არ ზარალდება.

– აბა, ვინ ზარალდება? – ჰკითხა გიორგიმ.

– ზარალდება ის მართლაც ნიჭიერი ადამიანი, ვინც იმსახურებდა გამარჯვებას, მაგრამ, საზოგადოების „გულჩვილობის” გამო ვერ გაიმარჯვა.

– არ გეთანხმები, მთლად ასე მარტივად არ არის საქმე. ეს არის სახალხო პროექტები და ხალხმა უნდა გააკეთოს არჩევანი, – შეეწინააღმდეგა გიორგი.

– მართალი ხარ, სახალხო პროექტია, ოღონდ, სხვა პროფილის და არა საქველმოქმედო. ეს რომ იყოს ჩვეულებრივი, თუნდაც, რაიმე განსაკუთრებული, მაგრამ, საქველმოქმედო პროექტი, მაშინ ასეთი შედეგი გამართლებული იქნებოდა. თუ ასეთი გულჩვილები არიან, აბა, ჩამოიარე დარბაზი და თითოეულს უთხ-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ე | ძ | ი | ნ | ო | ე | ლ | | | | ჯ | | მ | | მ |
| ძ |  | | | | | ა | | ფ | ლ | ა | კ | ო | ნ | ი |
| ი | | | | | ჯ | უ | ჯ | ა | | რ | | დ | | წ |
| ნ | | | | | | დ | | შ | უ | ა | თ | ა | ნ | ა |
| ა | | | | | ა | რ | დ | ი | | | ა | | ო | |
| მ | | | | | | უ | ი | ს | | გ | ვ | ე | მ | ა |
| ა | | | | | შ | პ | ა | ტ | ი | | დ | ნ | ი | გ |
| ი | კ | რ | ო | გ | | ი | დ | ი | ლ | ი | ა | | ნ | ა |
| | | | შ | რ | ე | | ე | | ა | | დ | ი | ა | |
| მ | ი | ს | ი | ა | | უ | მ | ი | | ც | ე | ნ | ტ | ი |
| ა | | უ | | ფ | ო | რ | ა | ნ | ი | | ბ | | ი | ვ |
| ნ | ი | ს | ლ | ი | | | | ა | | ჭ | უ | რ | ვ | ი |
| ი | | ტ | | კ | ლ | ა | | დ | უ | | ლ | | ი | ქ |
| ა | ტ | ი | ლ | ა | | ბ | ე | ი | | ფ | ი | ა | | რ |
| | რ | | ი | | ზ | ა | რ | ზ | მ | ა | | რ | ქ | ა |
| ბ | ა | ბ | ა | ჯ | ა | ნ | ა | | | ნ | ა | ი | | |
| | ს | | ნ | | რ | ო | მ | ა | ნ | ტ | ი | ზ | მ | ი |
| მ | ა | კ | ა | კ | ა | | | ლ | ე | ო | | ო | | ტ |
| ე | | რ | | | ნ | ა | რ | კ | ო | მ | ა | ნ | ი | ა |
| დ | რ | ე | კ | ა | დ | ი | | ო | ნ | ი | კ | ა | | ლ |
| ე | | დ | | | ი | ბ | ე | რ | ი | | უ | | | ი |
| ა | კ | ო | | შ | ა | ო | რ | ი | | ა | ფ | ი | შ | ა |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 2 | 1 | 8 | 9 | 7 | 4 | 5 | 3 |
| 5 | 3 | 8 | 4 | 6 | 2 | 1 | 9 | 7 |
| 7 | 4 | 9 | 5 | 1 | 3 | 6 | 8 | 2 |
| 1 | 6 | 5 | 3 | 4 | 8 | 7 | 2 | 9 |
| 3 | 9 | 2 | 7 | 5 | 6 | 8 | 4 | 1 |
| 8 | 7 | 4 | 9 | 2 | 1 | 5 | 3 | 6 |
| 2 | 5 | 3 | 1 | 7 | 4 | 9 | 6 | 8 |
| 4 | 1 | 6 | 2 | 8 | 9 | 3 | 7 | 5 |
| 9 | 8 | 7 | 6 | 3 | 5 | 2 | 1 | 4 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 6 | 2 | 8 | 7 | 5 | 9 | 4 | 3 |
| 4 | 3 | 7 | 2 | 9 | 6 | 1 | 5 | 8 |
| 5 | 8 | 9 | 1 | 4 | 3 | 7 | 2 | 6 |
| 2 | 4 | 1 | 6 | 3 | 7 | 5 | 8 | 9 |
| 8 | 5 | 6 | 4 | 1 | 9 | 3 | 7 | 2 |
| 9 | 7 | 3 | 5 | 8 | 2 | 4 | 6 | 1 |
| 6 | 1 | 8 | 9 | 5 | 4 | 2 | 3 | 7 |
| 7 | 2 | 5 | 3 | 6 | 1 | 8 | 9 | 4 |
| 3 | 9 | 4 | 7 | 2 | 8 | 6 | 1 | 5 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. ფინიკის პალმა. 2. ინსტრუმენტის ხმა ობობის ქსელის რხევას იწვევს, ობობას კი ჰგონია, რომ მსხვერპლი გაება. 3. ვარსკვლავებს. 4. რეპერი „50 ცენტი“. 5. ადრე სტუდენტების ენა ლათინური იყო. 6. მტრედს – პიკასომ. 7. მონაკო. 8. არქიმედემ – ქვიშაზე ჯოხით დახაზა. 9. „ყველგან”, „ყველაში”. 10. მფრინავ ფარნებში.**

არი, ხუთ ლარს თუ გაიღებ, მომაკვდავ ბავშვს გადაარჩენო და, ნახავ, რამდენი გაიმეტებს იმ საცოდავ ხუთ ლარს.

– ამით რისი თქმა გინდა, ბატონო დიმიტრი? – გაბრაზდა მზია.

– იმის თქმა მინდა, რომ კონკურსებში ნიჭიერმა უნდა გაიმარჯვოს და არა უნიჭომ, მაგრამ, საწყალმა და დაჩაგრულმა. იმ დაჩაგრულს ისე დავეხმაროთ – ეს უფრო სამართლიანიც გამოვა და მისთვისაც უკეთესი იქნება.

– უკეთესი რითი იქნება?

– იმით, რომ მომავალში თავისი მძიმე მდგომარეობის სპეკულირება არ დაიწყოს – ასეთი საქციელი ნელ-ნელა ხრწნის სულს.

გიორგიმ ხელი ჩაიქნია – აღარ მინდა შენთან ამ თემაზე ლაპარაკიო, მზია კი გაბრაზებული მიუბრუნდა დიმიტრის და ჰკითხა:

– შენ თვითონ რამდენი ზარი გაქვს გაშვებული იმ ვიღაცა ნიჭიერის მხარდასაჭერად, ან, სულაც, რამდენი ლარი გაქვს გადარიცხული, ტელევიზიით საქველმოქმედო კონცერტები რომ გადაიცემა გაჭირვებულთა დასახმარებლად?

– ეგ რა შუაშია? ჩვენ მხოლოდ ვმსჯელობდით, – დიმიტრის არ ესიამოვნა პირდაპირ დასმული კითხვა და წამოწითლდა.

– იმ შუაშია, რომ, ჩემი აზრით, ადამიანს სხვისი განსჯის უფლება მაშინაც კი არ აქვს, როცა თვითონ არის უანგარო ქველმოქმედი. ასეთი ლაპარაკი ჩვენი ვაიპოლიტიკოსების დებატებს მაგონებს, – არ დაინდო მზიამ.

გიორგიმ იგრძნო, რომ სიტუაცია დაიძაბა და ხმამაღლა გამოაცხადა:

– გვეყოფა ზოგადსაკაცობრიო პრობლემებზე კამათი, ჩვენს საქმეს დავუბრუნდეთ! – მერე საათს დახედა და თქვა: – მგონი, დღეს ძალიან სერიოზული ამბები გველის, ისედაც მოგვიწევს ნერვიულობა და, რა საჭიროა, ზედმეტად გავიღიზიანოთ თავი?

– მართალი ხარ, – მაშინვე დაეთანხმა დიმიტრი, – საერთოდ არ უნდა წამოგვეწყო ამაზე კამათი და მსჯელობა.

– ჰოდა, შევწყვიტოთ უსარგებლო პოლემიკა და გადავიდეთ საქმეზე, – გიორგიმ მზიას შეხედა, – დაახლოებით ერთ საათში ნანიტა დაგირეკავს. მზად ხარ შესახვედრად? რამე ისეთი არ ჰკითხო ან არ უთხრა, რომ ყველაფერი გააფუჭო.

– ნუ გეშინიათ, ბატონო გიორგი, როცა საქმეზე მივდივარ, თავსაც და სიტუაციასაც ყოველთვის ვაკონტროლებ, – უპასუხა მზიამ, – მაგრამ, ძალიან დავიღალე, თან, რაღა დაგიმალოთ და, ცოტას ვნერვიულობ კიდეც, ამიტომ, სიმხნევისთვის მაგარი ყავა არ მაწყენდა. თქვენც ხომ არ მოგიდუღოთ?

– შენს მოდუღებულ ყავას სიამოვნებით დავლევ, არაჩვეულებრივი გამოგდის, ისევე, როგორც ყველაფერი დანარჩენი, – გაუღიმა გიორგიმ.

– ანუ, ჩემს ძმას იმის თქმა უნდოდა, რომ შენს მოდუღებულს დარიშხანსაც კი სიამოვნებით დალევდა, – გაეცინა დიმიტრის და მზიას თვალი ჩაუკრა.

– ზედმეტები მოგდის, ბატონო დიმიტრი, – განაწყენდა მზია და ყავის მოსამზადებლად გავიდა.

– ენას ვერ გააჩერებ? – შეუღრინა გიორგიმ ძმას.

– მე შენთვის ვცდილობ და შენზე ვზრუნავ, – თავი იმართლა დიმიტრიმ.

– მაგარი ზრუნვაა, მთლად დააფრთხე ეს გოგო – ჩაიჩურჩულა შეწუხებულმა გიორგიმ.

– ნუ გეშინია, მზია ის ჩიტი არ არის, ასე ადვილად დაფრთხეს, – ირონია გაერია ხმაში დიმიტრის.

– იცი, რას გეტყვი? ისევ ჩურჩულით უპასუხა გიორგიმ, – გირჩევნია, იმ ჩიტებს მიხედო, შენს თავში რომ დაფრთხიალობენ, თორემ, მალე ხუთი წლის ტუტუცა ბიჭს დაემსგავსები ლამის ნახევარ საუკუნეს მიღწეული კაცი.

– კარგი, გავჩუმდები. მართლა გეუბნები, არც ერთის წყენინება არ მინდოდა.

გიორგის რაღაც მწარე უნდა ეპასუხა, მაგრამ ამ დროს მზია შემოვიდა სინით ხელში, რომელზეც ყავით სავსე ორი ფინჯანი და ერთი მაღალი ჭიქა იდგა, რომელშიც ხილის წვენი ესხა. ყველამ უხმოდ აიღო თავისი კუთვნილი ჭურჭელი და ისე დალიეს, საერთოდ არაფერი უთქვამთ.

***

ნანიტამ ზუსტად 5 საათზე დარეკა და მზიას ვაკის პარკში დაუთქვა შეხვედრა:

– ზუსტად ექვსზე იქ ვიქნები, შადრევნის წინ რომ სკამებია.

– თქვენს სახლთან ახლოს ხომ არ გირჩევნიათ? – შესთავაზა მზიამ.

– არა, არ მინდა, შემთხვევით ნუცამ გამოიაროს და დამინახონ, – დაძაბული ხმით უთხრა ნანიტამ.

– კარგი, როგორც გნებავთ, ექვსზე იქ ვიქნები.

ქალმა უხმოდ გაუთიშა ყურმილი.

მზიამ დაცლილი ჭიქები გაიტანა, გარეცხა და ოთახში ცოტა აფორიაქებული დაბრუნდა.

– რა გჭირს? – გაუკვირდა დიმიტრის, – ცუდად გამოიყურები.

– ისეთი განერვიულებული ჩანდა ქალბატონი ნანიტა, რომ მეც გადმომედო, – თქვა მზიამ და თავისი ოთახისკენ გასწია, – თუ ჩემგან არც ერთს არაფერი არ გინდათ, ნელნელა მოვემზადები და წავალ.

– კარგი, – თავი დაუქნიეს ძმებმა, – ჩვენ კი მანამდე ცოტას დავისვენებთ.

ექვსის ნახევარზე მზია სახლიდან გავიდა. ვაკის პარკამდე ტაქსით მივიდა და, რადგან თხუთმეტი წუთით ადრე მოუწია მისვლა, ნაყინი იყიდა გულის გასაგრილებლად, თან, ისეთი სკამი შეარჩია, საიდანაც კარგად



ჩანდა აუზის წინ განლაგებული გრძელი სკამები – უნდოდა, შორიდანვე დაენახა ნანიტა და შინაგანად უკეთ მომზადებულიყო მასთან სასაუბროდ.

ზუსტად 6 საათზე ნანიტაც გამოჩნდა. სახეშეჭმუხნილი მოდიოდა და დაბნეულიც ჩანდა, თითქოს ეჭვი ეპარებოდა თავისი გადაწყვეტილების სისწორეში. მზიამ ითაკილა შორიდან თვალთვალი, წამოდგა და მისკენ გაემართა. ქალი დაბნეული ღიმილით შეხვდა გოგოს და მის გვერდით დაჯდომა შესთავაზა. მზია მორიდებით ჩამოჯდა და დაელოდა, სანამ ნანიტა რამეს იტყოდა, ის კი დუმდა და კარგა ხანს მიშტერებოდა სივრცეს. ბოლოს სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. ღერი ბოლომდე რომ ჩაიყვანა, მხოლოდ მაშინ მიუბრუნდა ჩუმად მჯდარ მზიას და უთხრა:

– არ მინდა, შენი მოთმინებით ბოროტად ვისარგებლო, მაგრამ, მიანც ასე გამომდის.

– არ არის პრობლემა, ქალბატონო ნანიტა, – დაამშვიდა მზიამ, – რადენ ხანსაც გნებავთ, იმდენ ხანს მოვიცდი. თუ ახლა არ შეგიძლიათ საუბარი, სხვა დროს შევხვდეთ ერთმანეთს.

– არა, ან ახლა, ან არასოდეს.

– კარგი, როგორც თქვენ გნებავთ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



## ალეკო გეფერიძის გახსენება

უკვე ორი წელი გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ, ჩვენო საყვარელო ბიძაშვილო.

უდროოდ დააკლდი შენს ოჯახსა და ახლობლებს. გვეამაყები და უსაზღვროდ გვენატრები, ჩვენო უკეთილშობილესო ადამიანო. გვიჭირს რეალობასთან შეგუება, რადგან შენ იყავი ჩვენი დიდი ოჯახის ძალა და იმედი. ყველას უხაროდა შენთან ურთიერთობა, რადგან შენში ერთად იყო სულიერი და ფიზიკური სილამაზე. შენ ხომ ყველას ჭირ-ვარამის გამზიარებელი იყავი!

შენს ოჯახში დღემდე ჩაუქრობელია სანთელი, რომელიც თქვენ გეკუთვნით და გინათებთ გზას მარადისობისკენ – მარტო არ დაგტოვა შენმა მამამ და ერთ წელიწადში შენთან წამოვიდა. თვალცრემლიანი დედა კი სანთლებს გინთებთ და ლოცულობს თქვენი სულებისთვის.

გპირდებით, ჩვენო ალეკო, შენს სახელს დავიწყება არ უწერია. ის უკვდავია ჩვენს გულებში – შენ ხომ ეს დაიმსახურე. უფალმა ნათელში გამყოფოთ!

**მამუკა და გელა გეფერიძეები**

# ყველა კაცი ერთნაირია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-24(703)**

### ზოგჯერ თქმა ჯობს...

ქეთიმ კარი გააღო, უსიტყვოდ, თავის დაქნევით მიესალმა მოსულს და ოთახში შეუძღვა.

– ალბათ, როგორ გაგიკვირდა, რომ დაგირეკე და ჩემთან მოსვლა გთხოვე, – წარმოთქვა დარცხვენით და ბიჭს დამნაშავესავით შეხედა.

თომამ სევდანარევი ღიმილით აიჩეჩა მხრები.

– იცი, რა, გუშინდელი დღის შემდეგ აღარაფერი მიკვირს. მგონი, გაოცების უნარიც დავკარგე...

– ვინმესთან მინდოდა ლაპარაკი... ძალიან ცუდად ვარ... უცებ აღმოვაჩინე, რომ შენ გარდა ვერავის დავურეკავდი და ვერ ვთხოვდი მოსვლას. ისე არ გამიგო, რომ ნათესავები ან ახლობლები არ მყავს, მაგრამ, ამ სიტუაციაში ისეთი ადამიანი მჭირდებოდა, რომელიც მხოლოდ მომისმენდა, რჩევა-დარიგებისა და სინანულიანი „ნწ, ნწ, ნწ-ს” გარეშე.

– საბოდიშო არაფერი გაქვს... – თომამ ბინაში მიმოიხედა, – ლამაზი სახლია, სადა და კომფორტული... არ გეკითხები, მარტო რატომ ხარ, თანაც, ტირილისგან დაწითლებული თვალებით... ქმარს ეჩხუბე? მაპატიე, რომ „შენობით” გელაპარაკები.

ქეთიმ ყავადანი ჩართო და სავარძელზე მიუთითა:

– დაჯექი. ყავას ხომ დალევ?

– თუ შენ გინდა... ჩემთვის ნაკლებად აქვს მნიშვნელობა, რას დავლევ. ესე იგი, სწორად მივხვდი – ქმარს ეჩხუბე.

– ჩხუბი აღარ ჰქვია იმას, რაც ჩემს ოჯახში მოხდა. სახლიდან წავიდა ვახო. არაფრის მოსმენა არ ინდომა. ისეთი სიტყვები მითხრა, გამეორებაც არ მინდა. მეშინია, რომ უკან აღარასდროს დაბრუნდება. აღარ სჯერა ჩემი და, არც ვიცი, რა უნდა გავაკეთო. ასეთი უსუსური არასდროს ვყოფილვარ, თან, მეშინია კიდეც, როგორ უნდა ვიცხოვრო მარტო...



– მგონი, იმ წვეულებამ ბევრს გაგვიფუჭა ცხოვრება, მაგრამ, ჩვენ არ უნდა მივცეთ მათ ამის საშუალება.

– კი მაგრამ, რანაირად?! წავიდა... შენ გითქვამს, რომ ერთად რამდენჯერმე ვიყავით კაფეში, – საყვედურნარევი კილოთი უთხრა ქეთიმ და ყავის ფინჯანი მიაწოდა.

თომა შეცბა:

– რატომ უნდა დამემალა სიმართლე? ჯერ ერთი, ტყუილი საერთოდ არ მეხერხება და, მეორეც – მიმაჩნია, რომ ტყუილი არასდროს არ არის გამართლებული. თავის მოტყუებაა ის, თითქოს ტყუილით პრობლემა გვარდებოდეს, პირიქით, კიდევ უფრო ართულებს სიტუაციას და ახალ-ახალ პრობლემას უმატებს. მით უმეტეს, რომ კაფეში წასვლა არაფერს ნიშნავს. შენი ქმარი, ეტყობა, ძალიან ეჭვიანი და დაკომპლექსებულია.

– ასეც ვერ ვიტყვი. ჩვენ მაშინ რთული ურთიერთობა გვქონდა.

– ჰო, ვიცი. მგონი, მაშინაც წასული იყო სახლიდან.

ქეთის სევდიანად გაეღიმა:

– იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ ჩემი ქმარი დაჩვეულია სახლიდან წასვლასა და უკან დაბრუნებას?

– არა, რა თქმა უნდა. იცი? მაშინ ნინიმ რომ მთხოვა, შენი თაყვანისმცემლის როლი მეთამაშა, მაშინვე არ მომეწონა ეს იდეა, არ იყო საჭირო.

– უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრეთ, – დამნაშავესავით ჩაილაპარაკა ქალმა.

– საქმეც ეგაა. ქალებმა კაცების ცნობა ვერ ისწავლეთ.

– არ უნდა მაგას ცნობა – ყველა კაცი ერთნაირია, – შეეკამათა ქეთი, – სხვათა შორის, უნდა ვაღიარო, რომ მაგ იდეამ იმუშავა, მაგრამ, ეტყობა, ვახოს ეჭვი მაინც ჩარჩა გულში და, იქ რომ დაგინახა...

– კი მაგრამ, როგორ მიცნო? მას ხომ ერთხელაც არ დავუნახივართ ერთად?

– არ ვიცი, – მხრები აიჩეჩა ქალმა, – ეგ კითხვა მეც გამიჩნდა, მაგრამ, ვერ ვხვდები, ვის შეიძლებოდა, ასე ზუსტად მიეთითებინა შენზე. თუმცა, ამას ახლა რა მნიშვნელობა აქვს. გამოსავალი უნდა ვიპოვო როგორმე... არ უნდა გეთქვა, ერთად რომ ვიყავით კაფეში.

– რას ამბობ, ძალიან სწორად მოვიქეცი, რომ ვუთხარი და არ ვიუარე. მე ხომ არ ვიცოდი, რა ინფორმაცია ჰქონდა ჩვენზე? ამიტომ, ვთქვი, რომ შენი პაციენტი ვიყავი... რომ არასდროს შენსავით ყურადღებიანი, პროფესიონალი სტომატოლოგი არ მყოლია... რომ სერიოზული ფობიისგან განმკურნე და მადლიერების გრძნობით აღსავსემ დაგპატიჟე კაფეში – სულ ეს იყო.

– და, მაგის გამო დაგიშინა მუშტები?!

თომამ ირონიულად ჩაიღიმა.

– რას იზამ... კომპლექსები გაქნევინებს ხოლმე მაგ მუშტებსაც. მისი მეგობარია მთავარი დამნაშავე – ვერ აიტანა, მისი ყოფილი შეყვარებული მე რომ მომყვებოდა ცოლად.

– უი, ჰო, ნინი... ეგ საერთოდ არ გამახსენდა! კი ვიცოდი, გიგის შეყვარებული რომ ჰყავდა, მაგრამ, ნინი თუ იყო ის გოგო, ჩემთვის არავის უთქვამს. მერე?

– მერე ის, რომ, ახლა ვხვდები, რა მოხდა რეალურად.

ქეთიმ ყურადღება დაძაბა.

– რა მოხდა? – ჰკითხა დაუფარავი ცნობისმოყვარეობით.

– გიგია ყველაფრის თავი და თავი, მასში დაგროვილი ბოღმა და აგრესია. მე, თურმე, სხვის ქალებზე ვნადირობ და, ამიტომ ჭკუა უნდა ესწავლებინათ. სასაცილოა, მაგრამ, მე ამ „ვაი-რაინდობამ“ სიყვარული დამაკარგვინა, თუკი ნინის საერთოდ ჰქონდა რაიმე გრძნობა ჩემ მიმართ.

– ნინიც გეჩხუბა?

– არა, არ მეჩხუბა. უბრალოდ, ადგა და იმასთან წავიდა – გიგის დაუბრუნდა.

– უი, საავადმყოფოშიც ერთად იყვნენ! – გაახსენდა ქეთის, – მაგრამ, ისე ვიყავი ჩემი პრობლემებით გაოგნებული, რომ ყურადღება არ მიმიქცევია.

– საავადმყოფოში? გიგი რომ ასე მაგრად არ მიცემია? – გაუკვირდა თომას, – თუმცა, მისგან მინი-სპექტაკლები მოსალოდნელი იყო. ალბათ, ნინის შეაცოდა თავი.

– არა, გიგი არაფერ შუაშია, მართლა. ლიზას შეექმნა პრობლემა და სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

– მართლა? რატომ? ეგ ვიღამ სცემა? – ირონიულად ჩაილაპარაკა ბიჭმა.

– ასე ნუ ამბობ, ცოდოა. ნაადრევი მშობიარობა დაეწყო და, არავინ იცის, როგორ დამთავრდება ეს ამბავი.

– მართალი ხარ, ცუდად გამომივიდა. ლიზას პატივს არ ვცემ, მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისთვის ცუდი მინდა. ესე იგი, ნინი და გიგი ერთად იყვნენ საავადმყოფოში? ყველაფერი გასაგებია...

– რა არის გასაგები?

– ის, თუ რატომ დამიბრუნა ნინიმ ბეჭედი, – ამოიოხრა თომამ, – თუმცა, არ გვინდა ამაზე, ისევ შენს პრობლემას დავუბრუნდეთ. აქ ხომ ამისთვის დამიძახე?

– ჰო, მაგრამ, არ ვიცოდი, შენც თუ ასეთი სერიოზული პრობლემა გქონდა.

– უკვე აღარ მაქვს. ვისაც არ უნდიხარ, უნდა გაუშვა.

– ვაიმე, ესე იგი, ვახო მეც უნდა გავუშვა? – შიშნარევი ხმით წამოიძახა ქეთიმ.

– არა, ეგ არ მითქვამს. შენ სხვა ხარ, შენ და ვახოს ოჯახი გაქვთ და უნდა შეინარჩუნოთ, მით უმეტეს, რომ ბავშვიც გყავთ. რატომ უნდა დაანგრიოთ ურთიერთობა არაფრის გამო?

– ეს ვახოს უნდა უთხრა, მე არაფრის დანგრევას არ ვაპირებ.

– ვეტყვი კიდეც, რა პრობლემაა?

– მართლა?

– ჰო. თუ შენ გინდა და მიგაჩნია, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იქნება, შემიძლია, დაველაპარაკო ვახოს.

– კიდევ რომ იჩხუბოთ? – დაფრთხა ქეთი, – არა, არა, სხვა რამე უნდა მოვიფიქროთ.

– არ ვიჩხუბებთ.

– ასეთი დარწმუნებული რატომ ხარ?

– იმიტომ, რომ მე უკეთესად ვიცნობ კაცის ფსიქოლოგიას. თქვენგან განსხვავებით, ანუ, ქალებისგან განსხვავებით, ჩვენ ბრაზი მალე გაგვივლის ხოლმე. შეიძლება, შენი ქმარი ნანობს კიდეც, რომ არ მოგისმინა.

– მეეჭვება. ვახო ძალიან უცნაურია და აშკარად ძალიან იყო გაბრაზებული. მითხრა კიდეც, შენი უპასუხისმგებლო საქციელის გამო ისეთი რაღაცა ჩავიდინე, რასაც ჩემს თავს არასდროს ვაპატიებო – ალბათ, შენთან ჩხუბს გულისხმობდა.

– მე რას გეუბნებოდი? აღარ ვიჩხუბებთ, დამიჯერე. წავალ, დაველაპარაკები. სად იქნება?

ქეთიმ მხრები აიჩეჩა:

– წარმოდგენა არ მაქვს. ამას წინათ რომ წავიდა, გიგისთან ცხოვრობდა.

– ეგ ცუდია. გიგისთან მისვლის სურვილი ნამდვილად არ მაქვს. ტელეფონის ნომერი მომეცი, დავურეკავ და შევხვდები.

ქეთი შეყოყმანდა:

– მართალი გითხრა, არ ვიცი, სწორად ვიქცევი თუ არა. მე შენთვის ყველაფერი არ მითქვამს.

– მერე, მითხარი.

– მერიდება. ეს ამბავი არავინ იცის, საერთოდ არავინ. ჯერ მეც არ ვარ კარგად დარწმუნებული და...

– ძალიან მაბნევთ, ქეთი, – რატომღაც, ისევ „თქვენობით" მიმართა ბიჭმა.

– მე თვითონ ვარ დაბნეული და იმიტომ... მოკლედ, მგონია, რომ ორსულად ვარ... – როგორც იქნა, თქვა ქეთიმ და ამოიოხრა, – ახლა ხვდები, რა საშინელ მდგომარეობაში ჩავიგდე თავი? ვახოს არ ვეუბნებოდი, მინდოდა, ბოლომდე დავრწმუნებულიყავი. ახლა თუ გაიგებს, შეიძლება, პირიქით, საერთოდ შემიძულოს. ვერაფრით დავაჯერებ, რომ ბავშვი მისია.

– რა სისულელეა! აი, ეგ სულ ტყუილი ეჭვია. არა მგონია, ვახო ასეთი უპასუხისმგებლო და არაადეკვატური იყოს. მე არ ვაპირებ მაგის თქმას, ჩემი ნუ შეგეშინდება. ეგ ისეთი რამეა, თვითონ უნდა უთხრა. მხოლოდ იმას შევეცდები, დავარწმუნო, რომ ჩვენ შორის არაფერი ყოფილა და მოგისმინოს.

– მეორე მიზეზიც არსებობს, ვიფიქრო, რომ ძალიან მძიმე სიტუაციაში ვარ – ვახო იტყვის, რომ ორსულობას მის დასაბრუნებლად, შესაჩერებლად ვიყენებ.

– სულ ნუ დამაკარგვინებ შთაბეჭდილებას შენს ქმარზე. მართლა არა მგონია, რომ ვახო ამაზეა წამსვლელი. არ ვიცნობ, მაგრამ, შენ რომ მითხარი, ნანობს შენთან ჩხუბსო, ამით მივხვდი, რომ კარგი ტიპია და ღირებულებებიც გააჩნია. მოკლედ, უნდა დაველაპარაკო... თუ შენ უკეთესი ვერსია გაქვს, მითხარი.

– არა, არანაირი ვერსია არ მაქვს, – თავი გააქნია ქეთიმ, – მოგცემ ვახოს მობილურის ნომერს. დღესვე დაურეკავ?

– არ ვიცი. უნდა მოვიფიქრო, რას ვეტყვი. როგორც კი გადავწყვეტ დარეკვას, მაშინვე გაგაგებინებ.

***

ზუკამ ვახოს კაბინეტის კარი შეღო და უფროსს გაოცებულმა ჰკითხა:

– აქ რა გინდა ამ შუაღამისას, ან, ეს ჩანთა რას ნიშნავს? მიემგზავრები სადმე და შენს მაგივრად მტოვებ? ამიტომ გამომიძახე?

– აი, შენს ადგილას ხუმრობის გუნებაზე ნამდვილად არ ვიქნებოდი, – ნიშნის მოგებით მიმართა ვახომ და სიგარეტს მოუკიდა.

– აუ, იმ „ფლეშ-მობის" გამო თუ უნდა მისაყვედურო, ეს მარტო ჩემი საქმეა. სამუშაო საათებში არ გამიკეთებია და თქვენი ძვირფასი დრო არ გამიფლანგავს.

– გეყოფა! შენმა უპასუხისმგებლო საქციელმა იმ ქალს საავადმყოფოში ამოაყოფინა თავი და ძალიან ცუდადაა არის.

– ვინ ქალს, რას მელაპარაკები? – ვერ მიხვდა ზუკა, – მეც მოვეწევ, თქვენის ნებართვით, თორემ, მეტისმეტად ავღელდი იმ ვიღაც ქალის ბედით.

– მე ლიზაზე გელაპარაკები.

ზუკას სანთებელა და სიგარეტი გაუშეშდა ხელში:

– რა? რა თქვი? ლიზა საავადმყოფოშია? რა დაემართა?

– „ფლეშ-მობს" ვერ უყურა გულგრილად და ნაადრევი მშობიარობა დაეწყო.

– მითხარი, რომ მატყუებ! – იბღავლა ზუკამ.

– არ გატყუებ. ჩავთვალე, რომ ეს უნდა გცოდნოდა, ამიტომაც დაგირეკე და მოგიყვანე. ტელეფონში ხომ ვერ გეტყოდი?

– რომელ საავადმყოფოშია? ახლავე მითხარი! – წამოხტა ზუკა.

– არ გაგიჟდე და იქ არ მიხვიდე, ქმარი თავზე ადგას. შენ, საერთოდ, ნორმალური ხარ?

– მითხარი, როგორ არის...

– არ ვიცი. რომ წამოვედი, ისევ გონდაკარგული იყო. სერიოზულად გეუბნები და გაფრთხილებ, იქ ფეხი არ მიადგა. სულ ნუ დაუნგრევ მაგ ქალს ცხოვრებას, მით უმეტეს, თუ გინდა, რომ კარგად იყოს.

– რომ მოკვდეს? ვაიმე, ეს რა ჩავიდინე, – თავზე იტაცა ხელები ზუკამ.

– ხომ ხედავ, შენი წინდაუხედაობითა და უპასუხისმგებლობით საქმე სადამდე მიიყვანე. ახლა მაინც მოიქეცი გონივრულად. გიგია იქ ნინისთან ერთად. დაურეკე და გეტყვის, როგორ არის.

– ვინ? გიგი? მაგას რაღა უნდა იქ?



– ლიზა ნინის მეგობარია, გიგი კი ნინის შეურიგდა. თუ გინდა, მე დავრეკავ.

– ჰო, რა... ძალიან გთხოვ, შენ დაურეკე. მე ხელები ისე მიკანკალებს, ნომერსაც ვერ ავკრეფ, – შეეხვეწა ზუკა და მუდარით სავსე მზერა მიაპყრო.

გიგიმ მობილურის ეკრანს დახედა და ნინის მიუბრუნდა.

– ვახო რეკავს. რა ვქნა, ვუპასუხო?

– რატომ არ უნდა უპასუხო? – გაოცდა ნინი.

– რა ვიცი, ასე გვიან რა უნდა უნდოდეს?

– ალბათ, ქეთის ლიზას ამბავი აინტერესებს. უპასუხე, რაღას ელოდები?

– კარგი... გისმენ, ვახო! რა ვიცი, აქ ვართ ისევ... ლიზა? მგონი, უკეთ... ბიჭი შეეძინა... ვერა, ჯერ ვერ მოვდივართ. ბავშვი არ არის კარგად, სუნთქვასთან დაკავშირებული პრობლემა აქვს და სისხლიც სჭირდება, უნდა გადაუსხან... ჰო, რა, მაგ პონტში ველოდებით მე და ნინი... შეიძლება, ჩვენ დავჭირდეთ დონორებად... რა? ზუკა? არ გაგიჟდეს და აქ არ მოვიდეს!.. მერე დაველაპარაკები!

ვახომ მობილური გათიშა და ზუკას შეხედა:

– გესმოდა?

– არა. ყურებში რაღაცა ხმაურობს. მითხარი, ძალიან გთხოვ.

– ბიჭი ჰყავს... ოღონდ, არ დაიწყო ახლა, რომ, შეიძლება, ეს ბავშვი შენი შვილი იყოს, თორემ, ისედაც გაბრაზებული ვარ და მთელი ქვეყნის ჯავრს შენზე ვიყრი.

– და... თუ მართლაც ასეა? – შესაბრალისად ამოიოხრა ზუკამ და თავი ჩაქინდრა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. თვალით დაიწყეთ მულტფილმის გმირის ხატვა

2. მიახატეთ მეორე თვალი და ყური





3. შემდეგ — „ცხვირი"



4. ხელში დააჭერინეთ „ქილა"





5. გამოკვეთეთ ტანი



6. მიახატეთ ფეხებიც



7. დაასრულეთ ნახატი



8. გააფერადეთ

ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ 10 განსხვავება





## იპოვე შესაბამისი ჩრდილები





## დაეხმარე გზის გაკვლევაში




# მუცელი და ფეხები

## (იგავ-არაკი)

მუცელი და ფეხები წაიჩხუბნენ, რომელ უფრო ღონიერი ვართო. ფეხები ამბობდნენ: ჩვენ რომ ღონიერები არ ვიყოთ, მუცელს როგორღა დავიკავებდითო.

ამაზე მუცელმა უთხრა:

– თქვე უბედურებო, აბა, ერთი მე არ გაჭმევდეთ და მაშინ ნახავდით, რა დღეში იქნებოდითო.

ლაშქარიც ეგრეა: ჯარის სიმრავლე ბევრი არაფერია, თუ ჯარს ბრძენი წინამძღოლი არა ჰყავსო.

## რიცხვრებუსი

3, , 5, , , , , 0



# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-24(703)

ასეთია ქურდული ცხოვრება – მკაცრი, სასტიკი და დაუნდობელი. ჩვენ – ნეპმანელი ქურდები, საკუთარ თავს არ ვინდობთ და ბოზსა და „ქათამს“ რა შეღავათი უნდა გავუკეთოთ... ქურდული რომანტიკის მიღმა, რომელიც, ძირითადად, კინოსა და ლიტერატურაშია აღწერილი, იმალება ის საშინელი ყოველდღიურობა, რასაც ღირსეულად მხოლოდ რჩეულები უძლებენ და ამ მძიმე ჯვარს ბოლომდე ატარებენ. ამიტომ, როდესაც ჩემთან მოდის ქურდის ტიტულის მაძიებელი ახალგაზრდა, საქმის კურსში მაყენებს და მეუბნება, რომ ქურდობა სურს, მას მე იქვე ვუყვები, თუ რა მოლიპულ გზაზე მოუწევს სიარული და დაფიქრებას ვურჩევ. ერთხელ, სროკიდან სულ რაღაც ხუთი დღის გამოსული ვიყავი, როდესაც სახლში ერთი ახალგაზრდა კაცი მეწვია. შუაღამე გადასულიყო. მთელი დღე ნაცნობ-მეგობრების მილბა-გასტუმრებაში გავატარე და ისე გადავიღალე, რომ საწოლზე ტანსაცმლიანად მივწექი და ჩამთვლიმა. ძილში კაკუნი მომესმა. წამოვდექი, კარი გავაღე და ზღურბლზე მდგარმა ახალგაზრდამ მკითხა:

– გამარჯობა. კობრა თქვენ ხართ?

– გაგიმარჯოს. შენ ვინ ხარ? – მივუგე ბიჭს.

– მე როინი მქვია, თქვენთან საქმე მაქვს. შეიძლება, შემოვიდე?

– შემოდი, – ვუთხარი როინს, წინ გავატარე და უკან გავყევი. ის ოთახში შევიდა, სავარძელთან შედგა და შემომხედა.

– რას დგახარ, დაჯექი, – ვუთხარი ბიჭს და სავარძელში ჩავეშვი, – გისმენ. თქვი, რა საქმე გაქვს.

– ქურდობა მინდა და თქვენთან იმისთვის მოვედი, რომ საქმის კურსში ჩაგაყენოთ.

– გასაგებია. გამაცანი შენი თავი.

სტუმარი საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდა და მითხრა:

– როინი მქვია და თვრამეტი წლის ვარ. თემქაზე ვცხოვრობ. თორმეტი წლიდან ვიპარავ და, მინდა, რომ ქურდი გავხდე.

– მშობლები გყავს?

– მხოლოდ დედა მყავს. დედისერთა ვარ და ჯარი არ მეხება. სკოლა არ დამიმთავრებია. მერვე კლასის შემდეგ პროფტექნიკურ სასწავლებელში გადამიყვანეს, მაგრამ, არ დავდიოდი. ამის გამო ბავშვთა ოთახში აღრიცხვაზე ამიყვანეს.

– რომ მითხარი, ვიპარავო, მაინც როგორ იპარავ, ჯიბგირობ თუ ბაითებს ქურდავ?

– პირველად მაღაზიებში ვიპარავდი, უფრო სწორად, საწყობებს ვქურდავდი. შევიპარებოდი ხოლმე იქ, დავიმალებოდი და, როცა ყველანი წავიდოდნენ, ვზიდავდი ტავარს. ახლა კი ბაითებზე ვჩალიჩობ. ზამოკის გაღება არ მიცდია და არ ვიცი. ბინებში ფანჯრიდან ვძვრები და ისე გამომაქვს.

– ბავშვთა ოთახში აღრიცხვის გარდა, მილიციამ თუ იცის შენ შესახებ რამე?

– არაფერი, – მტკიცედ მითხრა როინმა, – ერთხელაც არ აუღიათ ჩემზე ეჭვი. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მარტო, უპაძელნიკოდ ვჩალიჩობ, თანაც ხელთათმენებით და, ახლო-მახლო, ჩემს უბანში, არასდროს გამიკეთებია საქმე... სხვა უბნებში ვიპარავ.

– მოპარულ ტავარს რას უშვები?

– ადრე, საწყობებში რომ ვიპარავდი, ძირითადად პროდუქტები გამომქონდა და მე და დედა ვჭამდით. ახლა მხოლოდ ფულსა და ძვირფასეულობას ვიპარავ. ფულს ვხარჯავ, დანარჩენს კი ვინახავ.

– ესე იგი, დედაშენმა იცის, რომ ჩალიჩობ?

– დიახ. მხოლოდ დედამ იცის და მან მირჩია თქვენთან მოსვლა.

– მართლა? დედაშენი მიცნობს?

– დიახ. ის თქვენი კლასელი იყო, ნონა ჰქვია.

ნონას ხსენებაზე ძალიან ცუდ გუნებაზე დავდექი და დედა-შვილის მიმართ სიბრალულმა შემიპყრო. სოლოლაკელი ნონა ძალიან წესიერი, ლამაზი და ფრიადოსანი გოგონა იყო. სკოლის დამთავრებისთანავე ის ერთმა ბანდიტმა მოიტაცა და ცოლად მოიყვანა. იმ პერიოდში მე პირველ სროკზე წავედი და ციხეში შევიტყვე, რომ ის ბანდიტი მილიციასთან პერესტრელკაში დაიღუპა. აშკარა იყო, რომ როინი არეული ოჯახური პირობების გამო დაადგა პრესტუპნიკულ გზას. მას ვკითხე:

– რას საქმიანობს ახლა ნონა, მუშაობს სადმე?

– არა. მას კიბო სჭირს და ლოგინადაა ჩავარდნილი.

როინის სიტყვებმა უკიდურესად დამთრგუნა და თვალწინ წარმომიდგა ლოგინში მწოლიარე, მომაკვდავი ნონა, რომელიც ერთ დროს ძალიან ლამაზი იყო და დიდი წარმატების პერსპექტივა ჰქონდა ცხოვრებაში. მისმა ტრაგედიამ კი ეს მომავალი მოსპო და ახლა ის სიკვდილს ელოდა. შვილს კი, ალბათ, იმიტომ ურჩია ჩემთან მოსვლა და ქურდის ტიტულის ძიება, რომ ბიჭს მამის ბედი არ გაეზიარებინა და ტყვიით არ დაღუპულიყო. ნონა, ალბათ, ფიქრობდა, რომ ბიჭი პრისტუპნიკობაზე ხელს არ აიღებდა და, ბაბანდიტებას მის კანონიერი ქურდობა ერჩივნა. ან, შესაძლოა, ნონას სხვა გათვლა ჰქონდა და ჩემთან შეგნებულად გამოგზავნა – შეიძლება, ეგონა, რომ ბიჭზე ზემოქმედებას მოვახდენდი და მრუდე გზაზე სიარულს მოვაშლევინებდი. მე მეორე აზრს ჩავეჭიდე და, გადავწყვიტე, მისი გამოსწორება მეცადა, მაგრამ, ყოველივე ეს ძალიან ფრთხილად, შეფარულად უნდა მექნა, რათა როინი ვერაფერს მიმხვდარიყო. სტუმარს ვკითხე:

– განკურნების იმედი არ არსებობს?

– არანაირი. დედა უკვე მორფზეა და მე თვითონ ვუკეთებ წამალს.

– ძალიან ცუდია, ჩემო ძმაო, რომ ასეთი მძიმე მდგომარეობა გაქვს. ნონა უწესიერესი და უჭკვიანესი გოგო იყო. მართალია, მამაშენს არ ვიცნობდი, მაგრამ მისი ისტორიაც ცვეტში ვიცი. ქურდობა თუ გაქვს გადაწყვეტილი, სწორი ქენი, ჩემთან რომ მოხვედი, მაგრამ, მანამდე ძალიან შორი გზა გაქვს გასავლელი. უნდა დამიჯერო და რასაც გეტყვი, გააკეთო. წინააღმდეგ შემთხვევაში ეგ საქმე არ გამოვა. თანახმა ხარ?

– დიახ. თანახმა ვარ, რასაც მეტყვი, ყველაფერს გავაკეთებ.

– ჰოდა, ძალიან კარგი, – ვუთხარი როინს, – ერთი რაღაც უნდა გკითხო.

– მკითხე, კობრა, გისმენ.

– როინ, ძმაო, მოპარული ძვირფასეულობა ბევრი გაქვს?

– ზუსტად ნახევარი კილოგრამი ოქრო შემიგროვდა, თორმეტი ცალი ბრილიანტის თვალი, თორმეტი ცალი ლალის თვალი და სამი ფირუზი.

– გასაგებია. ესე იგი, რასაც გეტყვი, ყველაფერს დამიჯერებ?

– აბსოლუტურად ყველაფერს, – დამიდასტურა როინმა.

– პირველ რიგში, უჩემოდ, ჩემთან შეუთანხმებლად, ამიერიდან ნემსსაც აღარ მოიპარავ. გაწყობს?

– დიახ, მაწყობს.

– მეორე: მთელი შენი ძვირფასეულობა ფულად უნდა ვაქციოთ და ქურდულ საქმეს მოვახმაროთ. გაწყობს?

– რა თქმა უნდა, მაწყობს, – მითხრა ბიჭმა, – მე ისედაც გადაწყვეტილი მქონდა მთელი ტავარის გაყიდვა და ქურდებისთვის შეგზავნა ზონებსა და ციხეებში.

– არა, როინ, გაყიდული ტავარის ფულს ქურდებს კი არ შევუგზავნით, სვაბოდაზე მოვახმართ ქურდულ საქმეს და, თუ როგორ, ამას შემდეგ გადავწყვეტთ. ტავარს კი ერთ კაცს ჩავაბარებ, რომელიც ფულს მოიტანს.

– გასაგებია, კობრა. როგორც იტყვი, ისე მოვიქცევი.

– კარგი, – ვთქვი მე და კედლის საათს შევხედე, რომელიც ღამის ორ საათს უჩვენებდა და როინს ვკითხე, – გშია?

– არა.

– როინ, დღეიდან ჩვენ ძმები ვართ. ძმობაში კი ტყუილი არ მოსულა. ამიტომ, ერთ-



მანეთს ყოველთვის სიმართლე უნდა ვუთხრათ და არაფერი დავუმალოთ. მართლა არ გშია?

– არა. მართლა არ მშია, კობრა.

– მაშინ, წავედით შენთან, თემქაზე. ნონა უნდა ვნახო, – ვუთხარი როინს და ჩავიცვი.

მე, რა თქმა უნდა, შემეძლო როინის ჩემთან დატოვება, მაგრამ, ნონა მარტო იყო სახლში და რამე რომ დასჭირვებოდა, ხმის გამცემიც არ ჰყავდა. არც ბიჭის მარტო გაშვება მინდოდა ღამით, რადგან, მთელი ღამე მილიცია დადიოდა და, არ მინდოდა, შარს რომ გადაჰყროდა. თანაც, ინტუიციამ მიკარნახა, რომ ნონას ჩემი ნახვა უნდოდა. ერთი სიტყვით, ლენინის მოედნის მეტროსთან ტაქსიში ჩავსხედით და თემქისკენ ავიღეთ გეზი.

– გოგია, ბიჭო, ისევ ისეთი ხარ, როგორიც ადრე – სულ არ შეცვლილხარ, – მითხრა ნონამ, რომელიც ძველი ნონას აჩრდილიც კი არ იყო, კიბოს ისე გამოეხრა. ცრემლი ძლივს შევიკავე. საწოლზე დავიხარე, ვაკოცე და მივუგე:

– ნონა, ძვირფასო, ძალიან გამიხარდა შენი ნახვა. აღარც კი მახსოვს, რამდენი წელი გავიდა ჩვენი ბავშვობიდან.

– წავიდა „ჩვენი ბავშვობა და სილამაზე“, – თქვა ნონამ და დაამატა: – რა უბედნიერესი დრო იყო და მართლაც რა მალე გავიდა. ძალიან მენატრება ჩვენი უბანი, სკოლა, კლასი, ბავშვები, ხუჭუჭა...

ნონა გიჟდებოდა, ისე უყვარდა ხუჭუჭა, მაგრამ, ხუჭუჭას დაჟინებული ჰქონდა, კლასელის შეყვარება არ შეიძლება, რადგან დაძმები ვართო...

– სკოლის დამთავრების შემდეგ ხუჭუჭა არ მინახავს, – ვთქვი მე.

– ყური მოვკარი, რუსეთში მუშაობსო, – მითხრა ნონამ და როინს მიუბრუნდა: – დედიკო, სარდაფიდან წითელი ღვინო ამოიტანე, აი, ის, ორლიტრიანში რომაა დაბეჭდილი. ერთი ჭიქა მინდა დავლიო გოგიასთან ერთად.

– სიამოვნებით, – ვთქვი მე და როინი რომ გავიდა, ნონამ მითხრა:

– გოგია, ბიჭო, მართლაც ისევ ძველი გოგია ხარ და არ შეცვლილხარ.

– კარგი, რა, ნონა, გული გინდა გამიკეთო? – გამეცინა მე.

– გარეგნობა არ მაქვს მხედველობაში, თუმცა, გარეგნობითაც კარგი ხარ. ამ შემთხვევაში შენს გონებასა და სიკეთეს ვგულისხმობ – მიხვდი, რაშიცაა საქმე და აქ იმიტომ მოხვედი, ხომ არ ვცდები? თქვი, ნუ გეშინია. სანამ როინი სარდაფიდან ღვინოს ამოიტანს, ლაპარაკს მოვასწრებთ.

– ჰო, მე მგონი, მივხვდი. შენ, ალბათ, იმიტომ გამოგზავნე ჩემთან როინი, რომ მამამისის ბედი აიცილო. თუ გამოვასწორე, ხომ კარგი, თუ არა და, ბანდიტობას ქურდობა ჯობია. ასე არაა?

– ერთი ერთში ასეა და შენი იმედი მაქვს. მე ძალიან მალე მოვკვდები და როინს შენ გაბარებ. ვიცი, რომ უპატრონებ.

– ვუპატრონებ.

– ჰოდა, მორჩით ამაზე ლაპარაკს. ახლა უკვე მშვიდად ვარ და სიკვდილის აღარ მეშინია, – მითხრა ნონამ.

ამასობაში როინმაც ამოიტანა ღვინო. მე და ნონამ თითო ჭიქა შევსვით. მან დაგვლოცა. შემდეგ მარტო დარჩენა ისურვა და ერთ საათში სულიც მიაბარა უფალს.



ნონა რომ დავკრძალეთ და ორმოციც გადავიხადეთ, როინმა თემქის ბინა გაყიდა და საცხოვრებლად ჩემთან გადმოვიდა. როინის ნაჩალიჩევი ძვირფასეულობა ვერცხლისქუჩელ ანზორას ჩავაბარე და ერთი თვის მერე მან ძალიან ბევრი ფული მოიტანა. ნაწილით როინს დედისეული ბინა ვაყიდვინე სოლოლაკში. დანარჩენი თანხა კი ერთ ცეხავიკს მივეცი და როინი ძალიან სარფიანი საქმის სრულ წილში ჩავასმევინე. თან გავაფრთხილე, რომ ბიჭისთვის მთელი საქმე ესწავლებინა, როინს კი ვუთხარი:

– აი, ძმაო, პირველი დიდი ქურდული საქმე ჩაგაბარე და, აბა, შენ იცი, როგორ მოაბამ თავს. საქმე უნდა გაფართოვდეს, რომ უფრო მეტი შემოსავალი მიიღოთ და, ეს მაყუთი, უფრო სწორად კი, მისი საკმაოდ დიდი ნაწილი, ქურდულ ობშჩიაკს მოხმარდება. რას იტყვი, შეძლებ გაძღოლას?

– შევძლებ! – მტკიცედ მიპასუხა როინმა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, სულ რაღაც შვიდ წელიწადში როინმა მილიონები იშოვა და საქმეც ბრწყინვალედ აითვისა. ოცდახუთი წლის ასაკში, როინი უკვე ძალიან მდიდარი ადამიანი იყო და, ამის მიუხედავად, ერთი ცუდი თვისებაც კი არ შეუძენია, ანუ, ფულს ის არ გაუფუჭებია და ყველაზე მეტად სწორედ ეს მახარებდა. ის ბოლომდე მენდობოდა და აბსოლუტურად ყველაფერს მიჯერებდა. ერთ მშვენიერ დღეს როინმა დამირეკა და მითხრა:

– როდის გეცლება, რომ მოვიდე და პირისპირ დაგელაპარაკო?

– როცა გაგიხარდება. ხომ მშვიდობაა?

– კი, მშვიდობაა. ახლავე მოვალ.

– მარტო ვარ და გელოდები, – ვუთხარი როინს, ყურმილი დავკიდე და საათს შევხედე, რომელიც ღამის თერთმეტს უჩვენებდა.

როინი ზუსტად შუაღამეზე მოვიდა, გადამეხვია, მომიკითხა, სავარძლებში ჩავსხედით და მითხრა:

– გუშინ მთელი დღე ვფიქრობდი და ყველაფერს მივხვდი. შენთან კი მადლობის სათქმელად მოვედი.

მეც მივხვდი, რას გულისხმობდა როინი, მაგრამ, ჩემს სისწორეში რომ დავრწმუნებულიყავი, ვუთხარი:

– დააკონკრეტე.

– ჩემთვის „ქურდული საქმის“ ჩაბარება სხვა არაფერი იყო, თუ არა ქურდული საქმისთვის ჩემი ჩამოშორება და, ასე ვთქვათ, გამოსწორება, რისთვისაც დიდ მადლობას გიხდი. შენთან მე გადაუხდელ ვალში ვარ.

მე ღრმად ამოვისუნთქე, გამეცინა და როინს ვუთხარი:

– ჰოდა, აგაშენა ღმერთმა, გულიდან უზარმაზარი ლოდი მომხსენი. ნამდვილად არ ვიცოდი, როგორ მეთქვა შენთვის ეს ყოველივე და, შიში მქონდა, რომ ვერ გამიგებდა. ბოდიში უნდა მოგიხადო, რომ გატყუებდი, მაგრამ, ნონას შევპირდი, დაგიცავდი და სხვაგვარად მოქცევა არ შემეძლო.

– ჩემთან საბოდიშო არაფერი გაქვს. სიკეთე გამიკეთე და ბოდიშს მიხდი? – გაეცინა როინს, – შენ ჩემთვის მამასავით ხარ და შენი სიტყვა კანონია ჩემთვის. ერთი რამე უნდა გკითხო და შენი აზრი მაინტერესებს.

– მკითხე.

– კობრა, შენ რომ საქმეში გაყიდული ძვირფასეულობის ფული ჩამადებინე, იმის საშუალებით გავმდიდრდი. ის ძვირფასეულობა კი, ხომ იცი, რომ მოპარული მქონდა და დაზარალებულებისთვის ზარალის ანაზღაურება მინდა. რას იტყვი, გავაკეთო ეს?

– მშვენიერი აზრია.

– ესე იგი, წინააღმდეგი არ ხარ?

– რა თქმა უნდა, არა.

– ასეც ვიცოდი. ახლა მეც დიდი ლოდი მომეხსნა გულიდან, – მითხრა გახარებულმა როინმა. მან ყველა გაძარცულს ინკოგნიტოდ დაუბრუნა იმაზე მეტი თანხა, რაც მოპარული ნივთები ღირდა. როინმა ფოსტით გაუგზავნა ფული ამ ხალხს და ასეთი ორიგინალური ვაზვრატი განახორციელა.

დღეს როინი უცხოეთში ცხოვრობს ცოლშვილთან ერთად და ძალიან მსხვილი ბიზნესმენია. მას არასოდეს ვავიწყდები, ყოველთვის მეხმიანება და, მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის ფულის გამოგზავნას ვუკრძალავ, მსხვილ-მსხვილ გრევებს მიკეთებს. ვინ იცის, ახლა როგორ ნერვიულობს ჩემ გამო და, პაბეგში რომ ვარ, ეშინია, არ დამიჭირონ. სანამ ბოლო სროკზე წავიდოდი, ის რეგულარულად მაკითხავდა და დაჟინებით მთხოვდა, მასთან წავსულიყავი საზღვარგარეთ და იქ მეცხოვრა. ჩვენი ბოლო საუბარი მოსკოვში შედგა, ჩემს დაპატიმრებამდე სულ რაღაც ორი კვირით ადრე. მაშინ მე ერთ ჩემს ნაშასთან ვცხოვრობდი და საქმეს ვამზადებდი. როინმა იქაც მომაკვლია და, ერთმანეთის მოკითხვა რომ დავასრულეთ, მითხრა:

**ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია**

აგრძელებს მიღებას გიდის; ინტერნეტტექნოლოგის (კომპიუტერი); კორესპონდენტისა და მუსიკოს–რეპეტიტორის პროგრამებზე.

დიპლომი სახელმწიფოა, სწავლის ღირებულება ხელმისაწვდომი.

**მისამართი: კოსტავას N 47 (ფილარმონიასთან)**

**ტელ.:2936603; 599188924; 2935430; 2999626.**



– კობრა, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ?
– ვიცი.
– მე ხომ შენს სიტყვას არასდროს გადავსულვარ?
– არასდროს.
– ერთი თხოვნა მაქვს შენთან.
– მითხოვე, – ვუთხარი რონინს და რადგან წინასწარვე ვიცოდი ამ თხოვნის შინაარსი, დავამატე, – თუ შევძლებ, აუცილებლად შეგისრულებ.
– კობრა, როგორც შვილი, ისე გეუბნები და ნუ მიწყენ. დასვენების უფლება ყველას აქვს, მათ შორის ისეთ ღვაწლმოსილ პიროვნებას, როგორიც შენ ხარ შენს სფეროში. ამიტომ, გემუდარები, რომ ჩემთან წამოხვიდე და დაისვენო.

რონინმა ასე დიპლომატიურად იმიტომ მითხრა თავისი სათქმელი, რომ, ვერ შემომბედა, ქურდობას შეეშვიო. მე გამეღიმა და ვკითხე:
– ქურდობას შევეშვა?
– მინდა, რომ დაისვენო და მშვიდად იცხოვრო.
– ქურდებს რომ პენსია არ გვეკუთვნის?
– უბრალოდ, დაისვენე. ადამიანი ხარ და დასვენების უფლება ხომ გაქვს?
– მე ქურდი ვარ და ჩვენი კურორტი ციხე და ლაგერია. დასვენებით კი, შეიძლება, მხოლოდ მაშინ დავისვენო, როცა მიწაში ჩამაგდებენ. თუმცა, შეიძლება, არც იქ მქონდეს მოსვენება.
– მაპატიე, კობრა, რომ ამდენი გაგიბედე, მაპატიე, – მითხრა რონინმა და თავი ჩაღუნა, რადგან, მას მართლა ეგონა, რომ მაწყენინა. მე კი, პირიქით, მის სიტყვებში, მის საქციელში, შვილის მამისადმი უზომო სიყვარული და ზრუნვა დავინახე. მაგრამ, ქურდი ვარ და სხვაგვარად მოქცევა არ შემეძლო. რონინს თავზე ხელი გადავუსვი და ვუთხარი:
– პირიქით. შენ მაპატიე, რომ უარს გეუბნები, მაგრამ, სხვაგვარად ვერ მოვიქცევი. შენთან კი აუცილებლად ჩამოვალ სტუმრად და ცოტა ხნით მართლაც დავისვენებ.

ამ საუბრიდან ორი კვირის შემდეგ ციმბირში გამიშვეს „დასასვენებლად“, სადაც არაერთხელ ვყოფილვარ და თითქმის ყველა იქაურ „კურორტს“ კარგად ვიცნობ... საეტაპო ვაგონში რომ გამომამწყვდიეს, მატარებლის დაძვრამდე სულ რაღაც ნახევარიოდე საათით ადრე, რონინი მოიყვანა ეტაპის უფროსმა, ჩემს საკან-კუპეში შემოუშვა და თქვა:
– ათი წუთი გაქვთ სალაპარაკოდ.
რონინი გადამეხვია და მითხრა:
– ვიცი, უარს მეტყვი, მაგრამ, რომ არ გითხრა, ვერ მოვისვენებ.
– თქვი.
– კობრა, ოღონდ შენ მოისურვე და სამ დღეში სროკიდან გამოგიყვან. თუ ეს არ გინდა, მაშინ, სამ დღეში პაბეგს მოგიწყობ და არავინ არასდროს დაგიწყებს სერიოზულ ძებნას.
– არა, რონ. ჩავვარდი? სროკი ოტ ზვანკა დო ზვანკა უნდა მოვიხადო და ამაზე ლაპარაკში დროს ნუ გავფლანგავთ. ათი წუთი გვაქვს და მითხარი, შენ და შენი ცოლშვილი როგორ ხართ?
– ჩვენ რა გვიჭირს, აი, შენზე კი ძალიან ვნერვიულობ.
– ნუ ნერვიულობ. გამოვალ და აუცილებლად გესტუმრები.

ათი წუთი რომ გავიდა, რონინმა ასდოლარიანების მრგვლად დახვეული შეკვრა ჩამიდო ჯიბეში, სადაც ათი ათასი იყო და მითხრა:
– მითხრეს, მეტი არ დაუტოვო, თორემ, წავართმევთო და, იძულებული გავხდი, დავმორჩილებოდი. სროკზე არაფერი მოგაკლდება და თავს გაუფრთხილდი. ნახვამდის.

სანამ რუსეთში ვიჯექი, რონინის გრევი ყოველკვირეულად მომდიოდა. თბილისის ჯურღმულში კი, აბა ფული რაში მჭირდებოდა და მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის პროდუქტი აღწევდა ჩემამდე. ციხიდან რომ გამოვედი, რონინი იმიტომ ვერ დამხვდა, რომ გრიპის უმძიმესი ფორმით იყო დაავადებული და გერმანიის ერთ-ერთ კლინიკაში გათიშული იწვა. ხოლო, პაბეგი რომ ავიკიდე, გამოჯანმრთელებული რონინი სასწრაფოდ ჩამოვიდა თბილისში და ინკოგნიტოდ მინდოდა მისი ნახვა, რაზეც ჩემმა მასპინძელმა მითხრა.
– გიჟივით დაგეძებს, მაგრამ „სოდი“ აზის კუდზე და დაიწვები. ამიტომ, მასთან კონტაქტი გამორიცხულია.

ძალიან კი მინდოდა წლების უნახავ რონინთან შეხვედრა, მაგრამ, უსაფრთხოების მოსაზრებით ეს არ გავაკეთე, თუმცა, მე მას აუცილებლად ჩავაკითხავ. მართალია, რონინი ჩემი ღვიძლი შვილი არ არის, მაგრამ მე ის შვილივით მიყვარს და მისთვის თავს დავდებ, ისევე, როგორც ჩემი გიორგისთვის, თუმცა მე მას ჯერჯერობით არ ვიცნობ. ხუჭუჭას გადმოცემით, ჩემი გიორგი ჩემი ასლია და ხასიათიც ზუსტად ჩემი აქვს, მაგრამ ღმერთმა დაიფაროს, რომ ბედ-იღბლითაც მე დამემსგავსოს. ან კი რომელ წესიერ და მზრუნველ მამას სურს, რომ მისი პირმშო მრუდე გზას დაადგეს? მართალია, მე ჩემს შვილზე არ მიზრუნია და არც წესიერება მისწავლებია მისთვის, მაგრამ, მე ხომ ამის საშუალება იმის გამო არ მქონდა, რომ მისი არსებობის შესახებ არაფერი ვიცოდი. ჩემს სიტყვებზე მავანს, ალბათ, გაეცინება და იტყვის: რა, რომ გცოდნოდა, ქურდობაზე უარს იტყოდი და შვილის აღზრდაზე იზრუნებდიო? ქურდობაზე უარს, ალბათ, არ ვიტყოდი, შვილის აღზრდაზე ნამდვილად ვიზრუნებდი, თანაც, სხვებზე არანაკლებად, მაგრამ მისი არსებობის შესახებ მისი დაბადებიდან ოცი წლის შემდეგ შევიტყვე. დასანანი ფაქტია, მაგრამ, ფაქტია, ფაქტებს კი ვერსად გაექცევი, ამიტომ, ჯობია, რეალობას ვაჟკაცურად გაუსწორო თვალი და ძველი შეცდომა აღარ გაიმეორო. ამას წინათ მე და ჩემი მასპინძელი ვსაუბრობდით და მან მკითხა:
– კობრა, ძმაო, ცხოვრებას რომ თავიდან იწყებდე იმავე გზას აირჩევდი თუ რამე სხვა საქმეს მოჰკიდებდი ხელს?
– იმავეს ავირჩევდი, – მივუგე მე.
– მაშინ, ცოტა სხვანაირად გკითხავ.
– მიდი.
– ქურდობაზე უარს რა შემთხვევაში იტყვი?
– არანაირ შემთხვევაში.
– დარწმუნებული ხარ?
– კი.
– შენს ღვიძლ შვილს, შენს გიორგის რომ დასჭირდეს, არც მაშინ?
– ეს შეუძლებელია, – პირდაპირი პასუხისგან თავის არიდება ვცადე, მაგრამ მასპინძელი არ მომეშვა:
– რადგან დავიწყეთ, ბოლომდე მივყვეთ – ან „ჰო,“ თქვი, ან – „არა“.
– ჰო, – მძიმედ მივუგე მე.
– რა – „ჰო“? ზუსტად მითხარი.
– გიორგის რომ დასჭირდეს, თავს გავწირავ.
– თავგანწირვა ერთია, მითხარი, გიორგის გამო ქურდობაზე თუ შეგიძლია უარის თქმა?
– შემიძლია. გიორგის თუ დასჭირდა, მის გამო სიცოცხლესაც დავთმობ და ქურდის ტიტულსაც, – მივუგე ჩემს მასპინძელს და ცხოვრებაში პირველად უარვყავი ჩემი სტატუსი. მართალია, თეორიულად, ძმაკაცურ საუბარში და ერთი ერთზე, მაგრამ, მაინც უარვყავი და ამის გამო ისე ვინერვიულე, რომ წნევამ აიწია და წამალიც კი დავლიე.
– რა გჭირს, კობრა, ეს ხომ მხოლოდ ცარიელი სიტყვებია და მეტი არაფერი, ასე რამ გაგანერვიულა? – მითხრა ჩემმა მასპინძელმა, როდესაც აპარატმა მაღალი წნევა დამიფიქსირა და მან წამალი მომაწოდა.
– ჩვენს წრეში სიტყვა და საქმე ერთია, –

ახალგაზრდა ქალბატონს, ლია ხეოშვილს, სასწრაფოდ ესაჭიროება თირკმლის გადანერგვა. ჯერჯერობით, ასაკი ხელს უწყობს, ჩაუტარდეს ოპერაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ესეც დაგვიანებული იქნება. დიალიზზე მყოფი ველარ უძლებს საშინელ ტკივილებს. უმორჩილესად გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და თუნდაც 1 ლარით დაეხმაროთ ქალბატონს. წინასწარ გიხდით მადლობას.

**„ლიბერთი ბანკი“ ა/ა GE08LB2206048045060375, ლია ხეოშვილი**
**ტელ.: 571-77-76-76 – ლია, 574-77-76-76 თამრიკო – დედა.**

ვთქვი მე და კლოფელინი ენის ქვეშ ჩავიდე.

– შენ შენი საქმით უკვე დიდი ხანია, დაამტკიცე ყველაფერი. სანერვიულოც არაფერი გაქვს და დამშვიდდი.

– ჰმ, ადვილი სათქმელია! თავს ისე ვგრძნობ, როგორც შერცხვენილი, თავზე ლაფდასხმული ქურდი.

ჩემს მასპინძელს გაეცინა და მითხრა:

– მე არ ვიცი, ვინ შეადგინა თქვენი ფუნდამენტური კანონები, მაგრამ, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ის გენიოსი იყო და ადამიანის ფსიქოლოგიას ზედმიწევნით ზუსტად იცნობდა, რაშიც მე ახლა შენს მაგალითზე დავრწმუნდი.

– კონკრეტულად რას გულისხმობ?

– რას ვგულისხმობ და იმას, რომ ქურდს ცოლ-შვილის ყოლის უფლება არ უნდა ჰქონდეს და ეს კანონი აბსოლუტურად სწორია. ცოლ-შვილი, უფრო მეტად კი – შვილი, ის ბარიერია, რომელმაც შეიძლება, უკან დაგახევინოს და არაქურდული საქციელისკენ გიბიძგოს. რა, მართალი არ ვარ?

– აბსოლუტურად. მე ახლა არაქურდულად არ მოვიქეცი, როდესაც ქურდობასა და შვილს შორის შვილი ავირჩიე?

– შენ სწორად მოიქეცი და, ვინც გაგამტყუნებს, იმისი დედაც...

– შენ ხომ სტალინს ალმერთებ და სტალინის დედაც? მან ხომ შვილი გაწირა? – ვთქვი მე.

ჩემს მასპინძელს გაეცინა და მითხრა:

– არ გეწყინოს, კობრა, მაგრამ სად სტალინისა და გიორგი სააკაძის საქციელი, რომლებმაც შვილები სამშობლოს შესწირეს და, სად – ქურდის უარი თავის სტატუსზე შვილის გადასარჩენად? იმ შემთხვევაში იმათი საქციელია სწორი, შენს შემთხვევაში კი – შენი სწორი სიტყვა და, დამერწმუნე, რომ ეს მართლაც ასეა. თუ რამე გაწყენინე, ბოდიში გიხდი. სიტყვამ მოიტანა და დაივიწყე. არ ინერვიულო, დამშვიდდი და წყნარად დაიძინე. ღამე მშვიდობისა.

– ღამე მშვიდობისა, – მივუგე მასპინძელს და დავწექი, მაგრამ, არ დამეძინა.

მთელი ღამე ფიქრში გავატარე და ჩემს განვლილ ცხოვრებას თვალი გადავავლე. მოგონებებში წავედი და ყველა ის ადამიანი გამახსენდა, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ ცხოვრებაში და კონტაქტი მქონია. მათ შორის ცუდებიც იყვნენ და კარგებიც, სულელებიც და ჭკვიანებიც და უცებ ალვიქვი, თუ რა სასტიკია ცხოვრება და რა ძნელია ასეთ გარემოში ადამიანური სახის, სიკეთის შენარჩუნება და ბევრი რამ ვინანე, განსაკუთრებით კი ჩემი ცხოვრების ერთი ეპიზოდი გამახსენდა, რომელიც მორდოვიის ერთ-ერთი მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდა.

უკვე ქურდი ვიყავი და მორიგ სროკს სტროგაჩებში ვიხდიდი. თხუთმეტ ქურდს შორის ერთი ქურდი იყო, მეტსახელად „ჯინი". მას მკაცრი, დაუნდობელი ქურდის სახელი ჰქონდა და მრავლისმნახველი, სახელოვანი ქურდებიც კი ერიდებოდნენ. მარტო იმ ზონაში ჯინს ოცზე მეტი ადამიანი ჰყავდა გაფუჭებული, მათ შორის – ოთხი ქურდიც. მისი სახელი, რომ იტყვიან, ქუხდა. ერთ მშვენიერ დღეს, ჯინმა ჩვენს ერთ-ერთ კოლეგასთან, მეტსახელად „შულერთან," ცხრაასი მანეთი წააგო ზარში და თავანი სამ დღეში, ზუსტად შუადღეზე უნდა ჩაებარებინა. ეს თანხა საკმაოდ მცირე იყო საიმისოდ, რომ ფუფლოში გადავარდნილიყავი. მით უმეტეს, ჯინისთვის. მაგრამ, ისე მოხდა, რომ მისთვის ფულის შემოტანა დააგვიანდათ და მან დათქმულ დროს ერთი საათით გადააცილა. ზონის ქურდები ბარაკში ვიყავით შეკრებილები. ზუსტად პირველ საათზე, ანუ, უკვე ერთი საათით გადაცილებულ დროს, ჯინი ბარაკში დაბრუნდა, შულერს მაგიდაზე ფული დაუდო და უთხრა:

– აი, ძმაო, მიილე თავანი.

– ჯინი, საათის ცნობა ხომ იცი?

– რა, მერე? – კითხვითვე უპასუხა ჯინმა.

– მერე ის, რომ ერთი საათით დაიგვიანე და, აბა, მითხარი, რას ნიშნავს ეს?

– რას? – ირონიულად თქვა ჯინმა.

– იმას, რომ შენ ფუფლო გააკატავე, – სრულიად სწორად მიახალა შულერმა ჯინს.

– შენი დედაც! – აფეთქდა ჯინი, რომელიც ასეთ გაგრძელებას არ ელოდა და შულერს ისეთი წიხლი ამოჰკრა ყბაში, რომ ამ უკანასკნელმა სალტო გააკეთა და იატაკზე თავით დაერჭო. ჯინმა თვალი მოგვავლო ქურდებს, გასასვლელისკენ გაემართა და თქვა:

– აი, ძმებო, თავანი. აზრზე რომ მოვა, ჩაიბაროს, მე კი ჰაერზე გავისეირნებ.

– აბა, ერთი დატორმუზდი და შემოტრიალდი! – მივაძახე მიმავალ ჯინს, რომელიც გაჩერდა, შემობრუნდა და ზიზღნარევი ტონით მიპასუხა:

– აბა, ერთი გაიმეორე, რა წაისისინე, კობრა?

– ქურდს ხელი რატომ დაარტყი? – ვკითხე ჯინს და დავამატე: – თქვი, რა უფლებით?

– ქურდული უფლებით, – ისევ ირონიულად მითხრა ჯინმა.

– კარგად გააიასნე.

– ქურდი ვარ და ქურდს ქურდულად შევეხე. შენ რა, რამსები აგერია?

– რამსები შენ აგერია. ქურდს ფუფლოს ხელი მოხვდა. ერთი საათია, რაც ქურდი აღარ ხარ.

– რაო, რა თქვი, შე ბოზო, ქურდი არ ხარო? – იღრიალა ჯინმა და ჩემკენ გამოქანდა, მაგრამ, ფეხი დაუდეს, თავით შეასკდა მუხის უზარმაზარ მაგიდას და ბარაკის იატაკზე გაგორდა.

მე ჯინს მივვარდი და სხეულზე წიხლები დავუშინე, შემდეგ სხვა ქურდებიც ჩაერთნენ საქმეში, მათ შორის შულერიც და, ჯინი ისე ვცემეთ, რომ ფარშს დაემსგავსა. ცემას რომ მოვრჩით და ჯინი აზრზე მოვიდა, კუთხეში მივაგდეთ და ფუფლოში გადავარდნის გამო ქურდის ტიტული ჩამოვართვით. მხოლოდ მაშინ აღიქვა ჯინმა რეალობა, რომ ქურდი აღარ იყო, როდესაც თითოეულმა ჩვენთაგანმა ვუთხარით: „ქურდი არ ხარ" და, თანაც, გაშლილი ხელისგულები ვუტყაპუნეთ თავში...

– რას შვრებით, ძმებო, ერთი საათით გადაცილების გამო მაფუჭებთ? მაპატიეთ, დამტოვეთ ქურდად, – ტიროდა ჯინი.

– წადი, შენი ფუფლო დედაც... – ვაგინებდით ჯინს, შემდეგ თოთხმეტივემ ჩავავლეთ



ხელი და ბარაკიდან გამოვისროლეთ...

– მაპატიეთ, ძმებო, მაპატიეთ, ნუ გამრიყავთ და თქვენთან ყოფნის ნება დამრთეთ, – სლუკუნებდა ჯინი, რომელიც სულ რაღაც საათ-ნახევრით ადრე ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ ასე გაპრაშმანდოვკდებოდა...

ჯინი ბარაკის წინ ეგდო და ტიროდა. მისი ფასი გახვრეტილი კაპიკიანიც კი აღარ იყო და გამვლელსა და გამომვლელს მასზე ფეხების შეწმენდა შეეძლო. ქურდები ბარაკის წინ შევჯგუფდით, ვეწეოდით, თან არარაობად ქცეული ჯინის ცქერით ვერთობოდით და ვიცინოდით. ადამიანის უბედურებაზე სიცილი და ხალისობა კარგი საქმე არაა, მაგრამ, ჯინი ყველას ყელში გვყავდა ამოსული სწორედ მისი სიცუდის, სისასტიკისა და დაუნდობლობის გამო და, როგორც კი შესაფერისი მომენტი დადგა, იგივე გავუკეთეთ, რასაც ის სხვებს უკეთებდა.

– ნახე, ნახე ეს ბოზი, როგორ ქვეწარმავალივით დახოხავს, – თითი გაიშვირა შულერმა ჯინისკენ, რომელიც ჩვენკენ მოხოხავდა და მისკენ გადააფურთხა.

ჯინი ჩემთან მოხოხდა, მუხლებზე დადგა და მითხრა:

– კობრა, შენ ხომ კეთილი ხარ. გთხოვ, მიშუამდგომლო, რომ მაპატიონ და აღარასოდეს შევცდები. გთხოვ, კობრა, ძმაო...

– შენი ძმები პიდარასტები არიან, – დავუღრიალე ჯინს, ყბაში წიხლი ამოვცხე და კბილები დავაყრევინე, შემდეგ ბარაკში შევბრუნდი და ნარზე წამოვწექი.

– ნახე, ნახე, როგორ გააყრევინა, – ხარხარებდა შულერი, რომელსაც არც სხვები ჩამორჩებოდნენ და საძულველ ჯინზე გამარჯვებას ამგვარად ზეიმობდნენ.

იმ ღამეს ჯინის ეპიზოდი იმიტომ ამოტივტივდა ჩემს მეხსიერებაში ასე ნათლად, რომ ეს იყო ერთადერთი შემთხვევა ჩემს ქურდულ კარიერაში, როდესაც ადამიანს ასე სასტიკად და დაუნდობლად მოვექეცი. ჯინი ორ კვირაში გათავისუფლდა და უსახელოდ გავიდა ზონიდან, მანამდე გარეთ ათევდა ღამეს, რადგან ის არც ერთმა ბარაკმა არ შეიფარა, ქათმებთან კი თავად არ მივიდა, რომ საბოლოოდ არ გადაესვა ხაზი საკუთარი მესთვის. მის შესახებ წლების განმავლობაში არაფერი მსმენია და, მართლაც ძალიან გავოცდი, როდესაც ჯინს თბილისში შევხვდი.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**იშვიათად მინახავს ადამიანი, რომელიც თავის ოთხფეხა მეგობრებს შვილებივით უვლიდეს, ეფერებოდეს და ყველა „კაპრიზს“ უსრულებდეს. სწორედ ასეთია ჩელე, იგივე დათუნა გელაძე, რომელიც საზოგადოებამ მისი თბილი, უშუალო ბუნებით გაიცნო და შეიყვარა. წარმოიდგინეთ, სახლში ორი ტაქსას ჯიშის, მოცუცქნული ლეკვი და მათი უსაყვარლესი დედა-ტაქსა ჰყავს. ახლა კი, კიდევ ერთი ძაღლის „შვილებასაც“ გეგმავს. როგორც ამბობს, ეს არსებები მისთვის ძალიან ძვირფასია, მათი მოვლა სიამოვნებას ანიჭებს და ვერავის მისცემს უფლებას, მის ოთხფეხა მეგობრებს, თუნდაც წარბაწეული მზერა გააყოლოს.**

# ვის გამო გაიმეტა მოსაკლავად მეგობრები ჩელემ და ვინ დატოვებს ცოტა ხანში მას „ტრუსიკ-მაიკის“ ამარა

**ჩელე**: ბავშვობაში კატები მყავდა, მაგრამ რომ გითხრა, მათზე ისე ვზრუნავდი, როგორც ჩემს ახლანდელ შვილობილებზე-მეთქი, მოგატყუებთ. ბოლოს, ერთი კატა მყავდა, სახელად „ფეფო“. საწყალს მანქანამ დაარტყა და მოკვდა. ეს ნამდვილი ტრაგედია იყო ჩემთვის. ჩემს ვეტერინარ მეგობარს დავურეკე და დამწუხრებულმა შევჩივლე: ასე დამემართა-მეთქი. მირჩია, ერთი თვის ტაქსა რომ იყოლიო და გაზარდო, არ გინდაო? აი, სწორედ აქედან დაიწყო, ჩემი და „ლილუს“ მეგობრობა. „ფეფოს“ ტკივილი, ლილუმ გადამატანინა და ახლა მაგარი საჩუქარიც გამიკეთა – ორი უსაყვარლესი, ლეკვი, ცუგრიკო მაჩუქა.

**– ლეკვებს რა დაარქვი?**

– ორივეს ერთნაირი სახელი დავარქვი – „სუსუ." რომ დავუძახებ, ორივე ერთად მორბის და არ მჭირდება ცალ-ცალკე დაძახება. საქმე გავიიოლე. ვხუმრობ ხოლმე, ლილუ ჩემი შვილია და რა ადრიანად გამხადა ბაბუა-მეთქი ***(იცინის).*** სხვათა შორის, იცით, რა მაგარი მამა ჰყავთ ჩემს შვილიშვილებს? მოკლედ, ჩემი სიძეა, საბურთალოელი, კარგი ტიპი-ბიჭი, ყავისფერი ტაქსა „პეპე". კარგი სიძესიმამრობა გვაქვს. რომ დამინახავს, ისე ცუცნდრუკებს, ვხვდები, ძალიან უხარია ჩემი ნახვა. ორი წელია, რაც ლილუ ჩემი სახლის ბინადარი და ოჯახის წევრი გახდა და ისე „ვრეკავ," რომ მის გარეშე ველარც წარმომიდგენია ცხოვრება. ასე შემეყარა ძაღლომანია, რომელიც ძალიან კარგად მოვირგე და ისეთი ყურადღებიანი, თბილი პატრონი და მომვლელი ვარ, ბარე ორი ვერ დაიკვეხნის. ლილუს და ჩემი გაცნობა კურიოზით დაიწყო. რომ მივედი სანახავად, ჩემი ახლანდელი მეუღლე და მაშინ შეყვარებულიც გავიყოლე. რომ დავინახეთ, მოგვეწონა, ხელში ავიყვანეთ და ვეფერეთ. ესეც გათამამდა, ჩემს შეყვარებულს კისერზე აბობღდა და არ გაუშვა პირდაპირ კისერში? ***(იცინის)*** ისე შემიყვარდა პირველივე დანახვისას, რომ სოფოს კისერში ჩაფსმაც კი ვაპატიე, არ გავბრაზებივარ. დღესაც სულ ვეფერები, ლმობიერი ვარ ამათ მიმართ, ვერიდები დაყვირებას. სხვათა შორის, ძალიან განვიცადე ლილუს მშობიარობა. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს, ნამდვილად ბაბუა ვხდებოდი.



ჩემი სიძეა, საბურთალოელი, კარგი ტიპი-ბიჭი, ყავისფერი ტაქსა „პეპე". კარგი სიძესიმამრობა გვაქვს

**– ახლა, არ მითხრა, მის მშობიარობასაც დაესწარიო.**

– მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი. მეგობარმა ვეტერინარმა ამშობიარა, საკეისრო კვეთა ჩაუტარა და მან მითხრა: შენ არ შემოხვიდე, ცუდად არ გამიხდე, ვერ გაუძლებო. ვიდექი კორიდორში და ისე განვიცდიდი მის მშობიარობას, როგორც ნამდვილი მამა. ისეთი კარგი გრძნობაა მრავალშვილიანობა, რომ უახლოეს მომავალში, კიდევ ვაპირებ ერთი გერმანული ჯიშის ძაღლის აყვანას, რომელიც საკმაოდ დიდი იზრდება. მერე კი გავჩერდები. ისიც ლეკვია და ჯერ ლილუ მიხედავს, გაზრდის. მერე კი ის იზრუნებს ლილუზე. იმდენი ცხოველი უნდა გყავდეს, რამდენსაც მოუვლი. მე ამათ სიამოვნებით ვუვლი და მოვუვლი. უნდა ნახოთ, სახლში რომ ვბრუნდები, რა რეაქცია აქვთ, ამ საყვარლებს, სიხარულისგან ჩაფსმამდე მიდიან ***(იცინის).*** ღამით კი, საწოლში, სამივე ჩემს ფეხებთან წევს და ისე ვიძინებთ. არანაირ დისკომფორტს არ მიქმნიან. არც ბეწვი სცვივათ, ცოტას ჭამენ და არიან ძალიან მოსიყვარულეები ჩემს მიმართ. მეტი რა მოვთხოვო ამ ცუცქნებს? ჩემი რემონტი ამათ ცელქობას შეეწირა, მაგრამ არც კი მისაყვედურია მათთვის. ჯერ პატარები არიან და რა მოვთხოვო? არ დამავიწყდება, გავარემონტე ბინა და ლილუ დავტოვე სახლში. რომ დავბრუნდი, შპალერი არ დამხვდა კედლებზე. რას იზამ? მოსწყინდა მარტო და იცელქა. ახლა კი სუსუები აგრძელებენ დედის დაწყებულ საქმეს და ემტერებიან ჩემს რემონტს.

**– შენს ნივთებს არ იპარავენ და აფუჭებენ?**

– როგორ არა! ამათი გადამკიდე, ერთ დღესაც, თუ ტრუსიკ-მაიკით მიხილეთ, არ გაგიკვირდეთ ***(იცინის).*** ჩემს ნასკებს და ჩუსტებს იპარავენ, ღრღნიან და ჭამენ. ჩემს „კარლიკებს" ფულიც უყვართ, ოღონდ ხურდა კი არა, მსხვილი კუპიურები, ორმოცდაათ ან ოცლარიანი. ვხუმრობ ხოლმე, ერთი ყულაბა უნდა ვუყიდო, რომ ფულის ყადრი იცოდნენ, არ შეჭამონ და იქ დააგროვონ-მეთქი. ერთხელ, ჩემი მეგობარი დარჩა ჩემთან და დილით რომ წავიდა, მერე დამირეკა: პატრულმა გამაჩერა, მართვის მოწმობა აღარ მიდევს ჯიბეში და აბა, კარგად მოძებნე, მანდ ხომ არ დამივარდაო. ეგრევე მივხვდი, ლილუს თათი ერია ამ საქმეში. მოკლედ, მოუპარავს და შუაზე გაუგლეჯია. ასე რომ, თუ ერთ დღესაც, ჩემი ტაქსა საჭესთან სხვისი, მოპარული მართვის მოწმობით იხილეთ, არ გაგიკვირდეთ. სიგარეტიც უყვარს, იპარავს, ნამცეცებად აქცევს და ოთახში, ყველგან ყრის. შეიძლება, საწოლში ჩამილაგოს ნაგავი. მერე მელოდება, მაკვირდება, რა რეაქცია მექნება და კმაყოფილია, რომ ვნახულობ და ვბრაზობ ***(იცინის).***

**– ესე იგი, შენთან სტუმრობა სახიფათოა. გაქურდული და უფულო გამოხვალ ბინიდან, ანდა მართვის და პირადობის მოწმობის გარეშე?**

– ასე გამოდის ***(იცინის).*** სხვათა შორის, ბავშვები უყვართ ლილუსაც და სუსუებსაც. დაუჯდებიან გვერდით და მათთან ერთად თამაშობენ. მათ გვერდით ყოფნით ხვდები, რომ უყვარხარ, შენიანია, ერთგულია და გული შესტკივა შენზე.

**– ძალიან ყურადღებიანი ხარ მათ მიმართ. დავიჯერო, ასეთი ცელქები, ერთხელაც არ გაპარულან სახლიდან?**

– გაპარვით არა, მაგრამ ლილუ მყავდა მეგობრის „დაჩაზე" წაყვანილი. საქმე გამომიჩნდა, მე წამოვედი და ჩემი ძაღლები მათ მივაბარე. კაკლის ჩრდილში ნებივრობდა ლილუ და ეტყობა, მოსწყინდა, გაიპარა და დაიკარგა. ამას მე როგორ მეტყოდნენ? ხომ დავხოცავდი? თურმე, ენაგადმოგდებულები ეძებდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, იპოვეს და გადარჩნენ ჩემი ხელით დახოცვას. ზოგადად, ყველა ცხოველი მიყვარს და ვერ ვიტყვი: ფუ, ეს რას ჰგავს-მეთქი. ამას წინათ, აივანზე ვიდექით მე და ლილუ. გამვლელმა ტიპებმა ამოხედეს და ზიზღით თქვეს: ფუ, რას ჰგავსო. ათი წამი „ვიდეუღე", ბოლოს ვერ მოვითმინე და ისეთი გინება ავუტეხე, სულ მოვუკითხე კეთილ-კარგები. ახლა, ცხოვრებაში აღარ იტყვიან მსგავს რამეს. ზოგი ცხოველი კი ისეთი აგრესიულია, თუ საფრთხე იგრძნო, არ დაგინდობს. არ დამავიწყდება, გურიაში ვიყავი და გოჭებს მოვეფერე. გავიხედე, დედა ღორი არ გამოვარდა?! ძაღლივით იყეფებოდა და თან, ჩემკენ გამორბოდა. ალბათ, იფიქრა იმ ღორ-ძაღლამ, შვილებს ვპარავდი და იმდენი მარბენინა, ძლივს გადავურჩი დაგლეჯას. კარგა ხანი ღორების მეშინოდა ერთხელ კი, მამალი შემომაკვდა. არ მინდოდა მისი სიკვდილი. რომ აიფოფრა, თავი დავიცავი, ჯოხი მოვუქნიე და კისერი დაავგდო. ეს ცოდვა კარგა ხანს არ მასვენებდა. ახლახან, ერთი იდეა გამიჩნდა, გადავწყვიტე, ჩამოვაყალიბო ორგანიზაცია, რომელიც ინადირებს მონადირეებზე.

**– ეს როგორ გავიგოთ?**

– მონადირეები ხომ „კაიფობენ" ცხოველების მოკვლით, ჰოდა, კარგი იქნება, ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებულმა ადამიანებმა, მათზე რომ „იკაიფონ"?! ასე რომ, ვფიქრობ, ჩემს ორგანიზაციაში, ბევრი გაწევრიანდება, ვიქნებით არმია და დავიცავთ ცხოველთა უფლებებს.

**ნონა დათეშიძე**

**პროდიუსერი ნინო წიკლაური 6 წელია, მოსკოვში ცხოვრობს და იქ განაგრძობს საქმიანობას. ამ წლების განმავლობაში მის ცხოვრებაში არაერთი სიახლე დაფიქსირდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ მან ბედნიერება იპოვა და ალექსანდრ იაცკოვს გაჰყვა ცოლად. ჩვენი რესპონდენტი ამჟამად საქართველოშია და თავს ძალიან კარგად და კომფორტულად გრძნობს.**

# ვინ მოარგო ნინო წიკლაურს „კარგოს" ბიზნესი და რა გეგმები აქვს საქართველოში მას ზაფხულის პერიოდში

**– ბოლო 6 წელია, მოსკოვში ცხოვრობ და ამ ხნის განმავლობაში პირველად ჩამოხვედი საქართველოში. წარმომიდგენია, შენს გულში რა ხდება. რა გააკეთე პირველი, როცა ქართულ მიწაზე დადგი ფეხი?**

– მიწას ვაკოცე. საოცარი შეგრძნება იყო ამდენი წლის შემდეგ ქართულ მიწაზე ფეხის დადგმა.

**– ამ წლების განმავლობაში შენს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა – გასულ წელს ოჯახი შექმენი, რის შესახებაც ჟურნალ „თბილისელების" მკითხველმა უკვე იცის. ახლა ის გვითხარი, ამ ეტაპზე რას საქმიანობ მოსკოვში?**

– მოსკოვში ამ ეტაპზე ჩემი კერძო ბიზნესით ვარ დაკავებული.

**– რა ბიზნესია?**

– ეს არის „კარგოს" ბიზნესი, რომელიც მოიცავს ამა თუ იმ ქვეყნიდან რუსეთში სხვადასხვა პროდუქციის ტრანსპორტირებას. მართალია, ეს ჩემი კერძო ბიზნესია, მაგრამ, მე ჰობის უფრო დავარქმევდი. მიუხედავად ამ საქმიანობისა, პროდიუსერობისთვის თავი არ დამინებებია – მყავს ორი გოგონა, რომლებიც რუსულ „ვოისზე" გადიან. ამავდროულად, სიმღერის ტექსტებს ვუწერ რუსეთში ცნობილ მომღერლებს. თავიდან ერთ-ორ მომღერალს ვაჩუქე ტექსტი და, მართლა არ ველოდი, ისეთი შედეგი მომცა ამან. ჩემთან ცნობილი სახეები მოვიდნენ და ტექსტის დაწერა მთხოვეს. სხვათა შორის, ეს საქმიანობა ჯერ კიდევ თბილისში დავიწყე.

**– ვისთვის წერ ტექსტებს?**

– თავიდან, რა თქმა უნდა, ქართველებით დავიწყე. ეს იყო დიანა ღურწკაია, რომელსაც დავუწერე ტექსტი ორ სიმღერაზე და მერე კიდევ ერთი დავამატეთ. ერთ-ერთი სიმღერა ჰიტია, რომელსაც „ვ ეტომ გოროდე" ჰქვია. ამ სიმღერის პრემიერა მუსიკის სახლში შედგა და ძალიან დიდი გამოხმაურებაც მოჰყვა – მსმენელმაც მოიწონა და მასმედიამაც აიტაცა. „ა სტუდიოსთან" დღესაც ვთანამშრომლობ – ბორიას გავუგზავნე ტექსტი, რომელიც ძალიან მოსწონს და მალე ჩაიწერება კიდეც. ასევე, ვმუშაობ „დისკოტეკა ავარიის" სოლისტთან, რომელიც ამ ეტაპზე ცალკე მღერის. ვმუშაობ აზრამ რუსოსთან, რომელსაც უკვე ჩემი ოთხი თუ ხუთი სიმღერა აქვს ნამღერი, ახლო მომავალში კი კრისტინა არზაკაიტე და აზრამ რუსო გეგმავენ ჩემს სიმღერაზე დუეტის ჩაწერას. ეს ამბავი თბილისში გამოფრენის წინ გავიგე, რაც ძალიან გამიხარდა. ვმუშაობ დავით კალანდაძესთან, თამრო დუდუნიასთან და ასე შემდეგ.

**– თბილისში რამდენი ხნით ხარ ჩამოსული და თუ გეგმავ ამ ვიზიტის პარალელურ რეჟიმში მუშაობას?**

– ერთ-ერთი მომღერალი ძალიან მთხოვს ჩამოსვლას და თბილისში კლიპის გადაღებას. ველოდები, ასევე, მეორე მომღერალსაც, რომელიც რამდენიმე დღეში ჩამოვა და ბათუმში მივემგზავრებით კლიპის გადასაღებად, მეორე კლიპის გადაღება კი აგვისტოში იგეგმება. ალბათ, დასვენება არ მიწერია ამ ზაფხულს, თუმცა, ეს სასიამოვნოა, რადგან, აქაც სამუშაო რეჟიმში ვიქნები. როცა იმას აკეთებ, რაც გიყვარს, ეს ყველასთვის სტიმულია. შოუ-ბიზნესიდან რომ გამთიშო, ალბათ, მოვკვდები.



სექტემბრის ბოლოს აუცილებლად დავიწერთ აქ ჯვარს და ბევრ სტუმარსაც მოვუყრით თავს

**– ვინ არიან ის მომღერლები, რომლებსაც კლიპი უნდა გადაუღო საქართველოში?**

– ერთი გახლავთ პაულინა ანისენკო, დედით ქართველი და მამით პოლონელი გოგონა, ხოლო მეორე – სომეხი მომღერალი ჩინარ ისოიანი. ის არის სომხეთის „ვოისის" ფინალისტი. ჰოდა, როგორც ყველა სომეხს, მასაც უყვარს საქართველო, ბათუმი და ზღვა და ამიტომაც გადაწყვიტა ბათუმში კლიპის გადაღება.

**– ვიცი, რომ ბიზნესი ყოველთვის გაინტერესებდა, მაშინაც კი, როცა საქართველოში იყავი.**

– საქართველოში ყოფნის დროს არაერთი ბიზნესით ვიყავი დაკავებული. აქ ვმუშაობდი „პირველი სტერეოს" მუსიკალურ რედაქტორად; ასევე, ვიყავი კონცერტების ორგანიზატორი; პარალელურად, მქონდა სილამაზის სალონის ქსელი და ასე შემდეგ. რაც შეეხება ბიზნესს, რომლითაც მოსკოვში ვარ დაკავებული, ჩემმა მეუღლემ მომარგო. სექტემბეროქტომბერში კი მოსკოვში კარაოკე კლუბის გახსნას ვგეგმავ, რომლის გახსნაზეც აუცილებლად ჩამოვიყვან ძალიან ბევრ ქართველ მომღერალს. ერთ რამეს ვიტყვი: ჩემო კარგო ქართველებო! თქვენზე მაგარი არავინ მეგულება, თქვენ ყველაზე მაგრად მღერით და მართლა ყველაზე მაგრები ხართ. რუსეთში ვერავინ დაიტრაბახებს, რომ ქართველზე კარგად მღერის, თუნდაც ის, ვინც ახლა დიდ რუსულ შოუბიზნესშია. ყველა წარმატებული მომღერალი ქართველია. შეიძლება, მე არ ვარ მომღერალი, მაგრამ, სმენა მაქვს და ვხვდები, რომ ბევრ კარგ სიმღერას, რომლებსაც რუსეთში მღერიან, ბევრი ქართველი მომღერალი უკეთ შეასრულებდა.

**– მართალია მომღერალი არ ხარ, მაგრამ, მომისმენია შენი შესრულება და, ვაღიარებ, რომ საკმაოდ კარგად მღერი.**

– ვოკალის ერთ-ერთი უძლიერესი პედაგოგი მოსკოვში, რომელთანაც ძალიან ბევრი მომღერალი დადის მოსამზადებლად, არის მაიკო ბალანჩივაძე, რა თქმა უნდა, ისიც ქართველი. სულ მეუბნება, რა კარგი ხმის ტემბრი გაქვს, მოდი ჩემთან, გასწავლი სიმღერასო. ჩემს ქმარს რომ ვუთხარი, ასე მითხრეს-მეთქი, მიპასუხა, რატომაც არა, ვაენგამაც (მომღერალია) ხომ ეს-ესაა დაიწყო სიმღერაო. ასე რომ, გამორიცხული არაფერია, შეიძლება, მართლა მიხილოთ დიდ შოუ-ბიზნესში... ვხუმრობ, რა თქმა უნდა.

**– მოდი, შენს პირად ცხოვრებაზეც ვისაუბროთ. როგორ ცხოვრობ ასეთი საინტერესო და კარგი მეუღლის გვერდით? ბედნიერი რომ ხარ, ვხვდები.**

– მართლა ბედნიერი ვარ და ძალიან მიყვარს ჩემი მეუღლე. პირველ ყოვლისა, იმიტომ ვარ ბედნიერი, რომ შეყვარებული ვარ მასზე. ეს ადამიანი ჩემთვის უფლის საჩუქარია. ერთმანეთი ტაძარში გავიცანით – ერთ მოძღვართან დავდიოდით და ერთმანეთს შორიდან ვიცნობდით. სამი თვის განმავლობაში სულ მარტო მივდიოდი ტაძრიდან სახლში. ერთ დღესაც, შემომთავაზა, ყავა ერთად დავლიოთო, მერე ტელეფონის ნომრები გავცვალეთ და ასე ნელ-ნელა დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. დღემდე, ისე არ წავა სამსახურში, ეკლესიაში რომ არ შეიაროს. მართლა ვერ გადმოგცემ სიტყვებით იმ გრძნობას, რაც მასთან მაკავშირებს, ჩვენ ერთი მთლიანობა ვართ. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეუღლე რუსია, მაქვს მშვენიერი ოჯახი და მას ძალიან უყვარს ქართველები. საქართველოში ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავს – როგორც წარმატებული ბიზნესმენები, ასევე, ხელოვანი ხალხი და ასე შემდეგ. თავის დროზე მან ძალიან დიდი დრო გაატარა საქართველოში და ყველაფერი იცის ჩვენი ქვეყნის შესახებ. ძალიან უნდა, ჯვარი საქართველოში დავიწეროთ. მართლა არ მჯეროდა ასეთი ბედნიერების და, ვერ წარმომედგინა, როგორ უნდა გამხდარიყო ორი ადამიანი ერთი მთლიანობა.

**– როდის გეგმავთ ჯვრისწერას?**

– სექტემბრის ბოლოს აუცილებლად დავიწერთ აქ ჯვარს და ბევრ სტუმარსაც მოვუყრით თავს.

**მარიკა ხიდურელი**

(მე-18 გვერდიდან)

# რატომ დაინტერესდა მსოფლიოში პოპულარული „დისქავერის" არხი ქართული ნაქალაქევით

ვლესობა მოინდომებს აქ ტურისტულად ჩამოსვლას. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ექსპედიცია, უპირველესად, მსოფლიოს მასშტაბით საქართველოს პოპულარიზაციას ემსახურება.

სხვათა შორის, ერთი საინტერესო ფაქტიც მოხდა. ეკლესია რომ აღმოვაჩინეთ და უკან ვბრუნდებოდით, გზაში შეგვხვდა ცხენით მომავალი მამაო – ზესტაფონის მარგვეთისა და უბისას ეპარქიის წმინდა გიორგის ტაძრის მღვდელთმსახური პანტელეიმონ ჩუბინიძე, ვაჟებთან ერთად. მან იქვე გადაიხადა პანაშვიდი. ბარში ჩამოსულმა კი პატარა, ხის, მოსასვენებელ სახლში გვიმასპინძლა. ბრიუსმა, სუფრასთან მამაოს უთხრა საკმევლის სუნი მომეწონა, მესიამოვნა. სანამ საქართველოში წამოვიდოდი, სიზმარში, გარდაცვლილი მეუღლე გამომეცხადა და მითხრა: საქართველოში რომ წახვალ, დალოცვილი იქნები. ამიტომ, ვარ დღეს აქო. მამაომ კი უპასუხა, მარტო მაგის გამო არ ხარ აქ, გარდაცვლილი ცოლის სიზმარში გამოცხადება სხვა რამეზეც მიგანიშნებდა. აგერ მდინარე ჩამოდის და მოდი, მე მოგნათლავ ქრისტიანად ისე, როგორც ქრისტე მოინათლა მდინარეშიო. ბრიუსმა ხმაამოუღებლად გაიხადა და შევიდა მდინარეში. ასე გახდა ეკვადორელი, კათოლიკე ბრიუსი, ქართველი მართლმადიდებელი ანდრია. ნათლიები კი გავხდით მე და პროფესორი ოთარ ბაღათურია.

ასვლისას ვამბობდით, რომ ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ჩამოსვლისას კი ვთქვით: ჩვენ, უკვე, ერთი ოჯახი ვართო.

**ნონა დათეშიძე**

**„ცეკვავენ ვარსკვლავებში“ გამოჩენისთანავე, ნანა ნებიერიძემ ძალიან ბევრი ადამიანის სიმპათია და სიყვარული დაიმსახურა, რაც აშკარად დღემდე გრძელდება. მშვენიერი ქალბატონი ამჟამად მთლიანად შვილის, 20 წლის ნინას გათხოვების ამბებზეა გადართული.**

# რის გამო ჰქონდა ნანა ნებიერიძეს დეპრესია და როგორ გაუმკლავდა ის წლების წინ მიღებულ სერიოზულ ტრავმას

**ნანა ნებიერიძე:** დაკავებული ვარ იმით, რომ ჩემი უსაყვარლესი და ულამაზესი შვილი თხოვდება. თავიდან ცოტა გამიჭირდა ამასთან შეგუება, ეს ბუნებრივიცაა – დედა ვარ, ვიცოდი, ეს როდესმე მოხდებოდა... მაგრამ, ფაქტის წინაშე რომ დგახარ, ცოტა იძაბები. ძალიან მიხარია, ბედნიერი ვარ, რადგან სასიძო არაჩვეულებრივი ბიჭია. ორჯერ ბედნიერი ვარ, როდესაც ვხედავ, ჩემი შვილი როგორი ბედნიერია და უკვე ადგას თავის გზას.

**– როგორ ეგუებით სიდედრის ამპლუას?**

– ამის გამო ყველა დამცინის: ვაიმე, ნებიერიძე, შენ ხარ სიდედრი? ნეტავ, ჩემი სიდედრი ყოფილიყავი... მეც მინდა ასეთი სიდედრი... რა თქმა უნდა, ხუმრობენ. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად არის. ბებიობისთვისაც ვემზადები. უკვე ჩემი სიტყვა ვთქვი: ის ჩემი ბავშვი იქნება, წავიყვან, გავზრდი.

**– ასე მგონია, ძალიან მეგობრული დედა ხართ.**



– ზედმეტად მეგობრული ვარ. ხანდახან მავიწყდებოდა, რომ ჩემი შვილია. ერთადერთი, რაზეც მქონდა პრობლემა და ვჩხუბობდით, ეს გახლდათ სწავლა. ზარმაცი იყო, სხვა მხრივ, არაჩვეულებრივი ბავშვია. იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ჩემი შვილია, სწორად გამიგეთ. თავისი მინუსებიც აქვს, პლუსებიც, მაგრამ როგორც პიროვნება, მართლაც, არაჩვეულებრივია. მადლობა ღმერთს, რომ ასეთი შვილი მყავს. მე ცოტა სხვანაირად ვიზრდებოდი, სპორტს მივსდევდი, სულ წასული ვიყავი, მოსკოვში, კიევში ვსწავლობდი. ამიტომ, მგონი, ჩემს მშობლებს არ მოუწიათ ჩემზე ზრუნვა და ტანჯვა. ცოტა სხვანაირი დამოკიდებულება გვაქვს ერთმანეთის მიმართ. 10 წლის ვიყავი, როცა სულ მარტო გადავფრინდი კიევში, შეჯიბრებაზე მივდიოდი. დიდი მადლობა ჩემს მშობლებს იმისთვის, რომ არასდროს ვყოფილვარ მათზე ზედმეტად მიჯაჭვული. თავისუფალი ვიყავი. რა თქმა უნდა, როგორც მშობლები, მაკონტროლებდნენ, მეჩხუბებოდნენ, მასწავლიდნენ, მაგრამ ჩემს არჩევანში, საქციელში თავისუფალი ვიყავი.



**– ამ ასაკში, რომელშიც ახლა ნინაა, ის უკვე გყავდათ?**

– კი, მყავდა. ზუსტად 20 წლის ვიყავი, სპორტს რომ დავუბრუნდი და სერიოზულად ვემზადებოდი ოლიმპიადისთვის. ნინა ჟურნალისტიკაზე სწავლობს, სპორტთან კავშირი არ აქვს. თუმცა, ცურვა იცის, ჩოგბურთს თამაშობს, თხილამურებზე დგას, ცხენით ჯირითიც იცის, ცეკვაზე, სიმღერაზე დამყავდა – რაც შემეძლო, ყველაფერი მაქსიმალურად მივეცი. ჯერ ახალგაზრდაა, ყველაფერი წინ აქვს. მე ამხელა ქალი ვარ და როცა „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მივიღე მონაწილეობა, ძალიან ბედნიერი ვიყავი. კარგია, როდესაც პოპულარული ხარ, ხალხს მოსწონხარ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი საკუთარ თავში – მე ძალიან ბევრი რამ შემიძლია. ეს კი ძალიან დიდ ძალას მმატებდა. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი წლის ხარ. ადამიანი ბუნების საოცრებაა, მას ყველაფერი შეუძლია. უბრალოდ, სწორად უნდა მიუდგე, სწორად იფიქრო და მერე დარწმუნებული ვარ, ყველაფერი გამოვა. ჩვენ ხომ ვიცით ჩვენი შესაძლებლობები, ნებისმიერ ადამიანს ძალიან ბევრი რესურსი აქვს.



**– რა იყო თქვენი პირველი წარმატება?**

– ვიყავი ევროპის ჩემპიონი წყალში ხტომაში, იყო სხვა წარმატებებიც... მერე მქონდა სერიოზული ტრავმა – მე და ნინას მამა გავცილდით. მქონდა პაუზა, მაგრამ მერე ისევ დავიწყე ვარჯიში, რადგან მივხვდი: ეს იყო საქმე, რომელიც კარგად ვიცოდი. იმ მომენტში, ცოტა დაბნეული ვიყავი, დავიკარგე ცხოვრებაში, რადგან ეს ჩემთვის სერიოზული ტრავმა იყო. ამიტომ, რაც კარგად ვიცოდი და მიყვარდა, იქ დავბრუნდი და მივაღწიე კიდეც წარმატებას. ვარჯიში, ეს არის სერიოზული, ყოველდღიური, როგორც ფიზიკური, ასევე მორალური, ფსიქოლოგიური დატვირთვა. ამიტომ, იმ დროს ძალიან დამეხმარა. არ აქვს მნიშვნელობა, პატარა ხარ ასაკით, თუ დიდი – ეს ერთნაირი ტკივილია. შეიძლება, ახალგაზრდობაში უფრო მეტ პერსპექტივას ხედავ, ვიდრე ასაკში, მაგრამ ტკივილი მაინც ერთი და იგივეა. მე მარტო არასდროს ვყოფილვარ – ნინა მყავდა. მყავს დედა, მამა, ძმა, და, მეგობრები, უამრავი ხალხი. იოლად არა, მაგრამ თამამად ვგრძნობდი თავს და წინ მივდიოდი. ადამიანი ძლიერი უნდა იყო. ეს ცხოვრებაა და არავინ არაფრისგან დაზღვეული არ არის. არავინ იცის, ხვალ ან ზეგ რა მოხდება. ამიტომ, თუ შენ შინაგანად ძლიერი ხარ, ყველაფერს მიაღწევ. ტირილი, დეპრესიები არაფერს მოგცემს და არც არის საჩემო საქმე. თუმცა, მეც ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, ისეთი, როგორც სხვები: დეპრესიაც მქონია და ტირილიც ვიცი. უბრალოდ, ვცდილობ, ეს არავის ვაჩვენო. თამამად შემიძლია გითხრათ: ჩემი მშობლები ვერც ხვდებიან, როდის მაქვს სერიოზული პრობლემები, რადგან მაქსიმალურად ვცდილობ, ეს მათ არ ვაჩვენო. ამიტომ, რომ მიყურებენ, ამბობენ: ნებიერიძეს რა ენაღვლება, ყველაფერი კარგად აქვს. კი, კარგად მაქვს – აბსოლუტურად მართლები არიან, მაგრამ ცხოვრებაში სხვა რაღაცეებიც ხდება. როდესაც რაღაც პრობლემა ჩნდება, ჩვენ შეგვიძლია, ავირჩიოთ, რა არის კარგი და რა – ცუდი, რა – შავი და რა – თეთრი. ასეთ დროს ხვდები: იქ რაღაც შეცდომა დავუშვი, ახლა აღარ უნდა დავუშვა და ასე, ნელ-ნელა შეცდომებზე სწავლობ ცხოვრებას. ყოველთვის საკუთარ თავში ვეძებ და ვცდილობ, გავიგო, რა შეცდომა დავუშვი.

**– რა ხდება ამ ეტაპზე თქვენს პირად ცხოვრებაში?**

– სულ ვცდილობ, ვიცხოვრო ერთი დღით და მადლობა ღმერთს, რომ დღევანდელი დღით ასეთი ბედნიერი ვარ. მყავს ადამიანი, რომელიც ძალიან მიყვარს, გვერდში მიდგას და მეც მაქსიმალურად ვცდილობ, დავეხმარო.

**– როგორ მოგხიბლათ?**

– ორი სიტყვით შემიძლია ვთქვა: ერთი შეხედვით. რომ დავინახე, მივხვდი: ძალიან ახლოს არის ჩემს გულთან, სულთან. ასეთ ურთიერთობაში, ანუ, როცა ორ ადამიანს შორის ასეთი გრძნობა არსებობს, იქ ორმხრივია ყველაფერი. თუ გახსოვთ, „ნოკიას“ ერთ-ერთ მოდელში იყო ასეთი ფოტო: ჯერ დევს დიდი ქვა, მერე მასზე ცოტა პატარა, ასე პატარავდება ქვები და ბოლოში დევს ძალიან პატარა, რომელსაც მოჰყვება ისევ დიდი ქვა, მერე უფრო პატარა და ასე შემდეგ. ეს არის ბალანსი. თუ ამოვარდება ერთი ქვა, არ აქვს მნიშვნელობა, ის დიდი იქნება თუ პატარა, ბალანსი ინგრევა. ამიტომ, ამ ცხოვრებაში მთავარი ბალანსია. როცა ადამიანი წყნარად, მშვიდადაა, ეს მისთვისაც კარგია და სხვებისთვისაც.

**– თუმცა, ამ ბალანსის დაცვა არ არის ადვილი.**

– სწორედ, ეს არის ცხოვრება. რა თქმა უნდა, 20 წლის ასაკში ასე არ ვფიქრობდი, წლებს, გამოცდილებას ბევრი რამ მოაქვს. თან, ძალიან მიყვარს კითხვა, ბევრს ვკითხულობ – მაინტერესებს ადამიანების ურთიერთობა, რა არის ცხოვრება.

**– რა არის თქვენთვის ცხოვრება?**

– არ მინდა, ბანალურად გამომივიდეს: სიყვარული, ბავშვები და ასე შემდეგ. როცა შინაგანად მშვიდად ხარ, გიყვარს საკუთარი თავი, სხეული, შინაგანი განწყობა, მაშინ ხარ ბედნიერი და ეს არის ცხოვრება. როდესაც შენ ბედნიერი ხარ, მერე სხვებიც აუცილებლად კარგად იქნებიან. ამიტომ უნდა ვაჩუქოთ ადამიანებმა ერთმანეთს სითბო, ფლუიდები, ბევრი პოზიტივი.

**– როდესაც სპორტს ოფიციალურად დაანებეთ თავი, ალბათ, ეს იყო თქვენს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე რთული ეტაპი.**

– ძალიან რთული იყო. ოლიმპიადა არ მომიგია, მაგრამ, როცა პროფესიონალი სპორტსმენი ხარ, ამ სფეროში ამდენ ხანს ხარ დაკავებული, იქ ტურისტად წასვლას აზრი არ აქვს. თან, ნინა იმ დროს სკოლაში სწავლობდა, ვიფიქრე: როდემდე... ჯობია, მეტი დრო ჩემს შვილს ვაჩუქო-მეთქი. აი, ზუსტად იმ პერიოდში მქონდა სერიოზული დეპრესია. რომ ამბობენ ხოლმე: ასაკოვანი ადამიანები პენსიაზე გადიანო... დაახლოებით ამ მდგომარეობაში ვიყავი. ეს არის საშინელება. რაღაც პერიოდი სულ დაკავებული ხარ, სულ შრომობ და ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი მთავრდება და არ იცი, რა მოხდება. ნინა, ნინა, ნინა... მთლიანად მასზე ვიყავი გადართული. თუმცა, ახლაც თვე არ გავა, სიზმარში არ ვნახო ვარჯიში, ჩემი მწვრთნელი, აუზი... ისეთი ნიუანსები, რაც რეალობაში არ მახსოვდა. ძალიან მენატრება, ისევე, როგორც ცეკვები – ისე შემიყვარდა, ისე მენატრება ეს ყველაფერი... ლევანი თავისთავად, რადგან ძალიან გამიმართლა – არაჩვეულებრივი მეწყვილე მყავდა. სხვათა შორის, ახლახან შემომთავაზეს ფილმში გადაღება. როგორც მითხრეს, ყოფილ „მის საქართველოს“ ვთამაშობ, მგონი, შარში ვარ. ვნახოთ, რა იქნება, ვფიქრობ.

**იმ მომენტში ცოტა დაბნეული ვიყავი, ცხოვრებაში დავიკარგე, რადგან ეს ჩემთვის სერიოზული ტრავმა იყო. ამიტომ, რაც ვიცოდი კარგად, რაც მიყვარდა, იქ დავბრუნდი და წარმატებასაც მივაღწიე**

**– მანამდე ხომ იყო სპექტაკლი „ყინულის დედოფალი“.**

– ეს, საერთოდ, სხვა სამყარო იყო. პირველად იყო ჩემს ცხოვრებაში, ისე ვნერვიულობდი. ცხოვრებაში არ მიცეკვია და სცენაზე არ ვმდგარვარ. მაშინვე დავთანხმდი, ძალიან მაინტერესებდა, თან ვგიჟდები ზაალ ჩიქობავაზე, არაჩვეულებრივი პიროვნებაა, პროფესიონალი. ალბათ, ჩემში დაინახა ის, რაც სჭირდებოდა. რომ დამინახა, მაშინვე თქვა: ეს იქნება ყინულის დედოფალი, მიუხედავად იმისა, რომ მე და ყინულის დედოფალი საერთოდ განვსხვავდებით ერთმანეთისგან. ხასიათით, შინაგანად – სად ყინულის დედოფალი და სად – მე. მაგრამ, ვფიქრობ, შევძელი, ჩავერთე როლში. ყველაზე რთული ის იყო, ბავშვები რომ მოდიოდნენ და ამბობდნენ ჩემზე: ამ დეიდას ვერ ვიტან... მე ამ დროს გული მისკდებოდა, ვამბობდი: კარგი ვარ, თბილი ვარ და ვიხსნიდი ყველაფერს.

**ნათია უტიაშვილი**

# მარტივი და სასარგებლო

1


2



**1.** აგარაკზე წახვედით და პატარა ნიჩაბი დაგჭირდათ?! ან, თუნდაც, პატარა აქანდაზი, რომელსაც ჩვეულებრივ პირობებშიც კარგად გამოიყენებთ? მაშინვე მაღაზიაში ნუ გაიქცევით. საკუთარი ხელითაც მარტივად გააკეთებთ მას. კარგად დახედეთ ამ სურათებს. ხომ მართლაც ძალიან ადვილია? ასეთ პლასტმასის ჭურჭელში, ჩვეულებრივ, ჩასხმულია ხოლმე ხილის წვენი, ან, სულაც რომელიმე ქიმიური ან სარეცხი საშუალება – აქანდაზი-ნიჩბისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

**2.** საკვები, პური, ბურღული თუ შაქარი, ხშირად არის მოთავსებული ქაღალდის ან პოლიეთილენის შეფუთვაში. როცა მას გახსნით, ირღვევა ჰერმეტულობაც და, შეიძლება, დაიბნეს კიდეც, რის გამოც იძულებული ხდებით, გადაიტანოთ სხვა ჭურჭელში ან შეფუთვაში. თუმცა, არსებობს გამოსავალი – პოლიეთილენის ბოთლი... დიახ, ჩვეულებრივი ბოთლი, რომელშიც მინერალური და ჩვეულებრივი წყალია ჩასხმული. კარგად დახედეთ სურათებს. აიღეთ ბოთლი და გადაჭერით თავი ისე, რომ „ყელის" ქვემოთ სამი-ოთხი სანტიმეტრის სიგრძეზე პოლიეთილენი კიდევ დარჩეს. მერე ჩამოაცვით შეკვრას, ნაპირები გადმოკეცეთ ბოთლის ყელზე და მჭიდროდ მოუჭირეთ თავსახური – სულ ეს არის. არც დაიბნევა და არც გაფუჭდება.

# ფოკუსი – კარტის ამოცნობა

აიღეთ 21 კარტი და დააწყვეთ სამ პარალელურ მწკრივად, ანუ, შვიდ ვერტიკალურ კოლონად, სთხოვეთ რომელიმე მაყურებელს, დაიმახსოვროს ნებისმიერი ერთი კარტი და მიგითითოთ, რომელ მწკრივში დევს. ამის შემდეგ თითოეულ მწკრივში მდებარე კარტები აკრიფეთ სამ ცალკეულ დასტად და შუაში მოათავსეთ ის დასტა, რომელშიც დამახსოვრებული კარტი დევს. ამგვარად ერთად თავმოყრილის ამივე დასტა გადააბრუნეთ ისე, რომ ნახატები ქვემოთ მოექცეს.

ისევ დააწყვეთ 7-7 კარტი სამ კოლონად და სთხოვეთ მაყურებელს, გიჩვენოთ, რომელ მწკრივში აღმოჩნდა მისი დამახსოვრებული კარტი. ისევ სამ დასტად აკრიფეთ მწკრივები და შუაში კვლავ ის დასტა მოაქციეთ, რომელშიც ამჯერად აღმოჩნდა დამახსოვრებული კარტი. იგივე მოქმედება გაიმეორეთ მესამედაც. შემდეგ გადათვალეთ ათი კარტი და მეთერთმეტე აღმოჩნდება თქვენი გამოსაცნობი კარტი.

**ფოკუსის საიდუმლო:** ფოკუსი ყოველთვის რომ გამოგივიდეთ, ის დასტა, რომელშიც დამახსოვრებული კარტია, აუცილებლად დანარჩენ ორ დასტას შორის უნდა მოათავსოთ.



# რჩევები დიასახლისებს

* ჭურჭელზე თევზის, მჟავე კომბოსტოს და ნივრის სუნის მოსაცილებლად საჭიროა, ისინი გავრეცხოთ ძმრიანი თბილი წყლით (2 ლიტრ წყალზე 2 სადილის კოვზი ძმარი). თევზის სუნი შეგვძლიათ, მოაშოროთ ცხელი, ძალიან მარილიანი წყლითაც.

* ხელებსა და დანაზე თევზის სუნის გასაქრობად საკმარისია მცენარეული ზეთის წასმა.

* ხელებზე ხახვისა და ნივრის სუნი ადვილად გაქრება, თუ ცოტაოდენი ყავით გაიწმენდთ.

* კარტოფილის გათლისას ხელები არ გაგიშავდებათ, თუ წინასწარ დაისველებთ ძმრით და შეიშრობთ.

* თერმოსში არასასიამოვნო სუნის გასაქრობად, საკმარისია, მასში გამოავლოთ ძმრიანი წყალი.

* თუ სამუშაო ოთახში თამბაქოს კვამლი დაგროვდა და მისი განიავების საშუალება არ გაქვთ, ოთახში დაკიდეთ წყლით გაჟღენთილი ღრუბელი. ის შეისრუტავს მთელ კვამლს.

* იმ შემთხვევაში, თუ სწორად მოუვლით სამზარეულოს ჭურჭელს, ის გაცილებით დიდი ხნით შეინარჩუნებს პირვანდელ ბზინვარებასა და სილამაზეს.

***დაიმახსოვრეთ:***

1. თუჯის ჭურჭელი გაცილებთ დიდხანს გაძლებს, თუ გარეცხვის შემდეგ, არ გაამშრალებთ სამზარეულოს ნაჭრით. უმჯობესია, დადგათ დაბალ ცეცხლზე, რათა წყალი აორთქლდეს და ქაღალდის ხელსახოცებით წაუსვათ მცენარეული ზეთი.

2. არ გამოიყენოთ კოროზიით დაზიანებული ჭურჭელი მჟავე საკვების მოსამზადებლად. ასეთი პროდუქტების მომზადება უმჯობესია, უჟანგავი ლითონისა და ისეთ ჭურჭელში, რომლის ფსკერიც არ იწვავს

3. იმისათვის, რომ სპილენძის ჭურჭელს ბზინვარება დაუბრუნოთ, გაწმინდეთ მარილისა და ძმრის ნაზავით (პროპორციის 2:1). შემდეგ გარეცხეთ სუფთა წყლით და გაამშრალეთ ბამბის ხელსახოცით.

4. თუ უჟანგავი ფოლადის ჭურჭელზე მოთეთრო კვალი დარჩა წყლისგან, გაწმინდეთ მშრალი საკვები სოდით, მსუბუქი ნაჭრის დახმარებით, ტექსტურული ფოლადის მიმართულებით. გამოავლეთ და გაწმინდეთ ჩვრით.

5. ემალირებული ჭურჭელი ექსპლუატაციის წინ მაღალ ტემპერატურაზე გაახურეთ. ამისთვის, გაავსეთ ის პირთამდე, დაუმატეთ სუფრის მარილი (1 ლიტრზე საჭიროა 2 სადილის კოვზი) და მიიყვანეთ ადუღებამდე. გააგრილეთ და გადაღვარეთ სითხე.

# რატომ დაკრძალეს სპარსეთის სასულიერო პირის - მოგვის შვილი სვეტიცხოვლის საკურთხეველში

531 წელს ირანის ტახტზე ავიდა ხოსრევ (ხოსრო) პირველი ანუშირვანი. სპარსელებსა და ბიზანტიელებს შორის ბრძოლა მიმდინარეობდა სამხრეთ კავკასიაში და მცირე აზიაში ბატონობისათვის.

ამ დროს ბიზანტიის იმპერატორი გახლდათ იუსტინიანე პირველი. მას თავისი ინტერესების გატარება სურდა მთელ კავკასიაში. ეგრისზე გავლენა ჰქონდა, თუმცა ცდილობდა, ქართლის სამეფოზეც მოეპოვებინა გავლენა. მაგრამ, ამასთან ერთად, ძალიან სჭირდებოდა დროებითი შესვენება მაინც, აღმოსავლეთის ფრონტზე. ამიტომ, ძალიან აწყობდა ზავი სპარსეთთან.

532 წელს ბიზანტიასა და სპარსეთს შორის „საუკუნო ზავი" დაიდო, რომლის მიხედვითაც სპარსეთმა უარი განაცხადა ლაზეთ-ეგრისზე, ქართლი კი სათარეშოდ მას დარჩა.

ბიზანტიასთან დადებული ზავით ისარგებლა ხოსრევ შაჰმა და 535 წელს ქართლში მეფობა გააუქმა. ზოგიერთი ვარაუდით, ქართლის მცირე ნაწილში არ გაუქმებულა მეფობა.

ტფილისში იჯდა ირანის მარზპანი, – დაპყრობილი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი, შაჰის წარმომადგენელი, რომელიც განაგებდა ქართლს.

541 წელს, ხოსროს მმართველობის მეათე წელს ირანის ქალაქ განძაკიდან, რომელიც ურმიის ტბასთან იყო გაშენებული, ქართლში მოვიდა ერთი სპარსი ახალგაზრდა. ის სარწმუნოებით იყო მაზდეანი, მოგვის, მაზდეანთა მღვდელმსახურის შვილი. სახელად ერქვა გვირობანდაკი.

გვირობანდაკი დასახლდა მცხეთაში. სხვა ქვეყანაში წასვლა და ბედის ძიება იმ დროსაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მისი პროფესია გახლდათ მეხამლეობა ანუ ხარაზობა – კერავდა ფეხსაცმელს, როგორც ჩანს, ეს ხელობა მცხეთაში შეისწავლა.

ქართლში მაშინ ბევრი იყო წარმოშობით სპარსი. ციხეებშიც სპარსთა გარნიზონები იდგა.

მიუხედავად იმისა, რომ მოგვის, ანუ სპარსთა სასულიერო პირის შვილი იყო, გვირობანდაკი ინტერესდებოდა ადგილობრივი ხალხის, ქართველების, ქრისტიანების ცხოვრებით.

გავიდა ხანი, გვირობანდაკმა მიიღო ქრისტეს სჯული და ქრისტიანი ცოლი მოიყვანა. შესაძლოა, მისი მეუღლე ქართველიც ყოფილიყო. სპარსელთა სარწმუნოების ღალატი დამპყრობლების მხრიდან დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, რადგან პირიქით, სპარსელებს სურდათ, აღმოეფხვრათ ქრისტიანობა დაპყრობილ ქვეყანაში და მაზდეანობით უფრო მეტად განემტკიცებინათ თავიანთი ბატონობა ქართლში.

ერთხელაც მცხეთაში მაზდეანთა დღესასწაული – ტოზიკობა გაიმართა. მცხეთელმა ხელოსანმა სპარსებმა თავისი თანამემამულე გვირობანდაკიც, აწ უკვე ევსტათი, მიიწვიეს ტოზიკობაზე.

მან გაიცინა და უთხრა, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოება ქრისტიანობაა და მე კარგა ხანია, ქრისტეს ვილოცავო.

მცხეთელმა სპარსელებმა იჩივლეს და ევსტათის მცხეთის ციხის სპარსული გარნიზონის უფროსთან, ციხისთავ უსტამთან უჩივლეს. უსტამმა ევსტათი დაიბარა.

თავიდან შეეცა ახალგაქრისტიანებული, თუმცა მერე დიდი რწმენით ძალა მოიკრიბა და ეახლა ციხისთავს. უსტამმა გამოკითხა სადაურობა და მიზეზი წინაპართა სარწმუნოებიდან განდგომისა.

ევსტათი მცხეთელმა უამბო თავისი თავგადასავალი.

ციხისთავი დაემუქრა, გაწამებ თუ არ დაუბრუნდები ჩვენს სარწმუნოებასო.

ევსტათიმ მტკიცედ განუცხადა, რომ ქრისტეს სიყვარულით ტანჯვისთვის განმზადებული იყო.

ციხისთავს არ ჰქონდა მისი დასჯის უფლება, ამიტომ გააგზავნა ტფილისში, ქართლის მარზპანთან, არვანდ გუშნასპთან.

მაზდეანებმა ასევე ამცნეს უსტამს, რომ მცხეთაში სხვებიც ცხოვრობდნენ, რომელთაც ქრისტიანობა მიიღეს. ჩამოუთვალეს მათი სახელები: გუშნაკ, ბახდიად, ბურზო, პანაგუშნასპ, პეროზაკ, ზარმილ და სტეფანე.



ისინიც დაატყვევებინა მცხეთის ციხისთავმა და რვავე ქრისტიანქმნილი ქართლის მარზპანთან გააგზავნა.

რვა ქრისტიანი წარუდგინეს მარზპანს. ევსტათიმ ყველას მაგიერ განუცხადა არვანდ გუშნასპს, რომ ქრისტიანობა ჭეშმარიტი სარწმუნოებაა და ამიტომ გავხდით ქრისტიანებიო.

როგორც ჩანს, ქრისტიანობა ფეხს იკიდებდა ქართლში მცხოვრებ სპარსელებსა და სხვა უცხოელებს შორის. ამგვარი მაგალითები სხვა ქალაქებშიც იქნებოდა, ეს კი კატეგორიულად მიუღებელი იყო ირანის პოლიტიკისთვის. ამიტომ, ქართლის მარზპანი მკაცრად მოეპყრო დატყვევებულებს. ბრძანა, მათთვის თმა და წვერი მოეპარსათ, გაეხვრიტათ ცხვირები, ქედზე ჯაჭვი დაედოთ და ფეხებზე ბორკილები. ეცემათ და საპყრობილეში ჩაეგდოთ. იქვე განაცხადა: თუ რომელიმე მოინანიებდა და დაუბრუნდებოდა მაზდეანობას, დიდ საჩუქარს მისცემდა.

**ქართლის მარზპანი ცდილობდა, ევსტათი მცხეთელის დარწმუნებას, არ დაეღუპებინა შვილები და დაბრუნებოდა მაზდეანობას, მაგრამ უშედეგოდ**

ბახდიადი და პანაგუშნასპი შეშინდნენ და უარყვეს ქრისტიანობა. სხვები მტკიცედ ერთგულობდნენ ქრისტეს. მაშინ მარზპანმა ბახდიადი და პანაგუშნასპი გვერდით მოისვა, საჩუქრები შეჰპირდა, დანარჩენ ექვსს კი, მარზპანის ბრძანება აუსრულეს. აქვე გამოჩნდა არვანდ გუშნასპის დაპირების სიყალბე, სპარსულ სარწმუნოებაზე დაბრუნებულები კი გაათავისუფლა, თუმცა ერთი ფსირიდიც (ფულის უმცირესი ერთეული) კი არ მისცა.

ექვსი თვე საპყრობილეში ისხდნენ გაქრისტიანებული სპარსები.

ამ პერიოდში სპარსეთის შაჰმა არვანდ გუშნასპი თავისთან იხმო. გამგზავრების წინ მასთან მივიდნენ ქართლის კათალიკოსი სამოელ მეორე, ქართლის მამასახლისი გრიგოლი, ქართლის პიტიახში არშუშა, სხვა დიდებულები და სთხოვეს, გაეთავისუფლებინა ტყვე ქრისტიანები.

არვანდ გუშნასპი დათანხმდა. სპარსელებს, როგორც ჩანს, არ უნდოდათ, გაემწვავებინათ სიტუაცია.

ბახდიადს და პანაგუშნასპს ცხოვრება გამწარებიათ. ბახდიადი გაგიჟებულა, ხოლო პანაგუშნასპმა მათხოვრობაში გალია ცხოვრება.

სამი წლის მერე ქართლში მოვიდა ახალი მარზპანი – ვეჟან ბუზმირი. მასაც ეახლნენ დამსმენი სპარსები და მოითხოვეს გაქრისტიანებულების დასჯა.

ახალგაქრისტიანებულთაგან ზოგიერთი უკვე გარდაცვლილი იყო, სტეფანე და ევსტათი კი, ალბათ, ყველაზე მეტად აღიზიანებდათ მაზდეანებს.

როცა მცხეთიდან ტფილისს მიჰყავდათ წმინდა ევსტათი, მან იწინასწარმეტყველა, რომ თავს მოკვეთდნენ და დაემშვიდობა ცოლს, შვილებს, სიდედრს და ახლობლებს. მცხეთის ჯვარს რომ გაუსწორდნენ, შესთხოვა უფალს, მხეცთა საჯიჯგნად არ გაემეტებინა მისი ცხედარი და დაეფლათ მცხეთაში, სადაც გაქრისტიანდა. ოჯახის წევრები უკან მისდევდნენ და მისტიროდნენ ნეტარს.

ტფილისში მარზპანს ეახლნენ ასურელები და აუხსნეს, რომ სტეფანე მათი დაბიდან იყო, დედა, მამა, ძმები და დები ქრისტიანი ჰყავდა. ამიტომ, ვეჟან ბუზმირმა ის გაათავისუფლა.

გაიმართა ევსტათის საქმის განხილვა. მან უამბო ვეჟან ბუზმირს თავისი ცხოვრების შესახებ. მამა მოგვობას ასწავლიდა, მას კი სხვა სარწმუნოებების შესწავლაც უნდოდა. ამჩნევდა, რომ ცეცხლის თაყვანისცემა არ იყო ჭეშმარიტი სარწმუნოება, რადგან ღმერთის შექმნილია ცეცხლიც, რომელიც წყალს შეუძლია, ჩააქროს. ძიების დროს ის სინაგოგაშიც დადიოდა და სწავლობდა ებრაელთა სარწმუნოებას. შემდეგ ქრისტიანთა ეკლესიაშიც შევიდა. სამოელ არქიდიაკონი დაინტერესდა მისით. ჭეშმარიტების მძებნელმა სთხოვა და არქიდიაკონმა გააცნო მას ქრისტიანობა. შემდეგ სპარსი მოინათლა სამოელ მეორის, ქართლის კათალიკოსის მიერ (სამოელ არქიდიაკონი და სამოელ კათალიკოსი, როგორც ჩანს, ერთი და იგივე პიროვნებაა).

ევსტათი, როგორც მოგვის შვილი, განათლებული გახლდათ. რწმენის ძებნაში კი კიდევ უფრო გაიზარდა მისი ცოდნის თვალსაწიერი. ამიტომ, ძალიან კარგად უხსნიდა მარზპანს ქრისტიანობის არსს და გაქრისტიანების მიზეზს.

ქართლის მარზპანი ცდილობდა, ევსტათი მცხეთელის დარწმუნებას, არ დაეღუპებინა შვილები და დაბრუნებოდა მაზდეანობას, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ ბრძანა, წაეყვანათ და ღამით მოეკვეთათ თავი, რომ ქრისტიანებს თაყვანი არ ეცათ მისთვის. ცხედარი კი მხეცებისა და ფრინველთა საჯიჯგნად ქალაქგარეთ გაეტანათ.

ჯალათებმა სიკვდილის წინ ლოცვა მაინც აცალეს წმიდანს. არ უნდოდათ მისი მოკვლა, მაგრამ მაშინ ვეჟან ბუზმირი მათ დასჯიდა სიკვდილით. მოკვეთეს თავი წმინდა ევსტათის, ქალაქგარეთ გაიტანეს და დატოვეს.

სტეფანეს გაფრთხილებული ჰყავდა ქრისტიანები. ისინი გაჰყვნენ და ნახეს წმინდა ევსტათის ცხედარი. გადაასვენეს მცხეთაში და აუწყეს სტეფანეს. მან კი კათალიკოს სამოელს ამცნო.

წმინდა ევსტათი დაკრძალეს სვეტიცხოვლის საკურთხეველში.

ეს მოხდა დაახლოებით 550 წელს.

**გიორგი მახოზაშვილი**

**ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში გაზეთ „სახალხო განათლების“ ფურცლებზე იბეჭდებოდა ისტორიკოს მანანა ხომერიკის წერილების ციკლი, რომელიც ესპანეთში მცხოვრებ ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილების ოჯახს ეხებოდა. ეს წერილები, შინაარსის გარდა, ყურადღებას იპყრობდა მრავალფეროვანი და საინტერესო ფოტოებით. ქალბატონი მანანა, ფაქტობრივად, ამ ოჯახის მემატიანედ იქცა.**

# რატომ ამსგავსებდნენ ბაგრატ ბატონიშვილს მეფე ხუან კარლოსს და ირაკლი ბაგრატიონის რა სურვილი აასრულა ბუნებრივად, წლების შემდეგ იოანე (ხუან) ბაგრატიონმა

**– ქალბატონო მანანა, თქვენმა პროფესიამ თუ განაპირობა ის ფაქტი, რომ ესპანეთში მცხოვრები ბაგრატიონ-მუხტანბატონიშვილების ცხოვრების ერთგვარი მემატიანე გახდით და ამ კუთხით ბევრ საინტერესო ინფორმაციასა და ფოტომასალას ფლობთ.**

– მართალია, ისტორიკოსი ვარ, მაგრამ ამ თემით ჩემი დაინტერესება უფრო მეტად განაპირობა არა ჩემმა პროფესიამ, არამედ იმან, რომ ბატონიშვილ ირაკლი ბაგრატიონის დასთან, მარიამ ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილთან ახლო ურთიერთობა მაკავშირებდა. ბატონიშვილ მარიამს საკუთარი შვილები არ ჰყოლია, ამიტომ მთელ სიყვარულს დისშვილებსა და ძმისშვილებს უნაწილებდა, რომლებიც, იმავდროულად, ისტორიული პიროვნებები გახლდნენ. ისინი უცხოეთში ცხოვრობდნენ და მარიამ ბატონიშვილი გამუდმებით იღებდა მათ შესახებ ინფორმაციას. 1973 წელს მას დართეს ნება, გამგზავრებულიყო და გაეცნო ნათესავები. მარიამ ბატონიშვილი ამ ყველაფერს თბილისში მე მიზიარებდა. წლების განმავლობაში მიგროვდებოდა მისი მოყოლილი ინფორმაციები და სწორედ მისი თანხმობით დავიწყე ჩემს ხელთ არსებული მასალების ფართო მკითხველისთვის გაცნობა. მარიამ ბატონიშვილი მამარაგებდა ამ არაჩვეულებრივი ფოტომასალით.



ბაგრატ ბატონიშვილი, მისი მეუღლე და პატარა იოანე (ხუან) ბაგრატიონი

**– იმ პერიოდში ასეთი ტიპის პუბლიკაციების გამოქვეყნება არ იქნებოდა ადვილი და ალბათ, გარკვეულ რისკთანაც იყო დაკავშირებული.**

– მაშინ ამაზე არც დავფიქრებულვარ. ახლა რომ ვიხსენებ, იმ დროს სამი თემა იყო აკრძალული:1. რელიგია, 2. ბაგრატიონები და 3. ემიგრანტები. სამივე ეს თემა ერთად იყო გაერთიანებული ჩემს ინტერესებში. ეს ყველაფერი იმ დროს ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა – 1973 წელს მარიამ ბატონიშვილს სიონის ტაძარში შვილი მოვანათვლინე. როდესაც ესპანეთში მისი ძმა, ირაკლი ბატონიშვილი გარდაიცვალა, უწმიდეს და უნეტარეს ილია მეორესთან, რომლის აღსაყდრება ჯერ არ იყო მომხდარი, ჩემი თხოვნით, მიმიყვანა ჩემმა ნათლიამ, კათოლიკოს-პატრიარქის, მელქისედეკის ქალიშვილმა, ქალბატონმა ნინო ფხალაძემ. ილია მეორეს ვაუწყე ირაკლი ბაგრატინოს გარდაცვალების შესახებ და ვთხოვე, მისი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი ჩაეტარებინა. თანხმობის მიღების შემდეგ მასთან მივიყვანე ბატონიშვილი მარიამი და 1977 წლის 24 დეკემბერს, უწმიდესმა თავად ჩატარა ირაკლი ბაგრატიონის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი. მას ძალიან ცოტა ხალხი დაესწრო და მათ შორის ვიყავით მე და დედაჩემი. მეორე დღეს კი, 25 დეკემბერს, მოხდა ილია მეორის აღსაყდრება. შეიძლება, ეს ყველაფერი გარკვეული რისკს შეიცავდა იმ დროს. მინდა აღვნიშნო, რომ, პუბლიკაციების გამოქვეყნების მხრივ, ჩემზე მეტი რისკი გასწია, გაზეთის რედაქტორმა ბატონმა აპოლონ სილაგაძემ. ასეთი ფაქტიც მოხდა – მისთვის ზვიად გამსახურდიას ჯერ კიდევ გაპრეზიდენტობამდე ხუმრობით უთქვამს: შენს გაზეთს ბარემ მონარქისტული დაარქვიო. ეს, რასაკვირველია, ჩემი წერილებით იყო განპირობებული. მოგვიანებით, როდესაც ესპანეთში ჩავედი და ბატონიშვილი ხორხე გავიცანი, მან უკვე იცოდა ჩემი პუბლიკაციების შესახებ და ალბათ, აცნობიერებდა კიდეც, რომ გაზეთის რედაქტორის მხრიდან ეს გაბედული ნაბიჯი იყო. ამიტომ, მასთან გამომატანა ბარათი, სადაც პირადად უხდიდა ბატონ აპოლონს მადლობას. შეიძლება, ვიყავი დაკვირვების ქვეშ, მაგრამ, სიმართლე რომ გითხრათ, ამის გამო რამე პრობლემა არ შემქმნია.

**– სულ ცოტა ხნის წინ, ხუან ბაგრატიონი არაჩვეულებრივ გოგონაზე, ქრისტინე ძიძიგურზე დაქორწინდა. ხუან ბაგრატიონის კანდიდატურას საქართველოს ტახტის მემკვიდრედ განიხილავდნენ. რას მეტყვით ამის შესახებ?**

– ნებისმიერ დინასტიაში უპირატესობა ენიჭება რიგით პირველობას. გარდა ამისა, ჩვენში მეფობა მემკვიდრეობითი იყო და არა არჩევითი. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი მეთორმეტის ვაჟი, დავით ბატონიშვილი თავის ნაშრომებში ნათლად გვეუბნება, რომ ჩვენში მეფობა მემკვიდრეობითი იყო და არა არჩევითი. ამ საკითხს კარგი პასუხი გასცა თავად ბატონიშვილმა იოანემ (ხუან ბაგრატიონი), როდესაც თქვა, რომ მის პაპას, ირაკლი ბაგრატიონს, ჰყავდა უფროსი ვაჟი, გიორგი, იგივე ხორხე, ანუ იოანეს ბიძა. თავად იოანე გაიზარდა მონარქიულ ქვეყანაში და კარგად მოეხსენება ლეგიტიმიზმის ანბანი. ამიტომაც, ბაგრატიონთა მუხრანულ შტოში, მამამისის ჩათვლით, იოანე რიგით მეხუთე ბატონიშვილია და ვფიქრობ: ამით ყველაფერი ნათქვამია. თუმცა, ეს სრულიად არ აყენებს ჩრდილს მის წარმომავლობას. რაც მთავარია, ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ მისი სიყვარული საქართველოსადმი გამოწვეულია არა ეფემერული ოცნებებით მეფობაზე, არამედ ეს არის გულწრფელი გრძნობა, რომელიც ბავშვობიდან ჩაუნერგეს ოჯახში.

რაც შეეხება ბაგრატიონების მუხრანულ შტოს, ამის შესახებ ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია. თუმცა, დღეს შევეცდები რამდენიმე მომენტს გავუსვა ხაზი. ეს ოჯახი იძულებით აღმოჩნდა ემიგრაციაში. 1942 წელს ბერლინში შედგა „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის“ დამფუძნებელთა კრება, სადაც სრულიად საქართველოს სამეფოს ტახტის მემკვიდრედ ირაკლი მუხრანბატონიშვილი აირჩიეს. 1944 წელს ირაკლი ბატონიშვილი დაქვრივდა – მშობიარობას გადაჰყვა მისი მეუღლე (მათ ეყოლათ შვილი – გიორგი (ხორხე) ირაკლის ძე) იტალიელი გრაფიანია მარია ანტუანეტა პასკვინი. მან 2 წლის შემდეგ გადაწყვიტა, ხელმეორედ დაქორწინებულიყო. მისი საცოლე გახლდათ ესპანეთის ინფანტა, მერსედესი (ალფონსო მეცამეტის დისშვილი). მისმა სამეფო უმაღლესობამ, ინფანტ დონ ფერნანდომ, ბავარიის პრინცმა, საჭიროდ ჩათვალა შეკითხვით მიემართა მისი საიმპერატორო უმაღლესობისთვის, რუსეთის საიმპერატორო სახლის მეთაურის, დიდი მთავრის, ვლადიმირ კირილის ძისთვის, – შეეძლო თუ არა მას ეს სავარაუდო შეუღლება თანასწორუფლებიანად ეცნო, თუ მხედველობაში მიიღებდა საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტს და ასევე, საქართველოს სამეფო ოჯახის არსებულ მდგომარეობას. დიდმა მთავარმა, ვლადიმირ კირილის ძემ, შეისწავლა საქართველოს ისტორია, წერილობით დაუკავშირდა ისტორიკოსს, პროფესორ მიხეილ მუსხელიშვილს. 1946 წლის 5 დეკემბერს დიდმა მთავარმა, ვლადიმირ კირილის ძემ გამოსცა აქტი, რომელშიც ნათქვამია, რომ მას სამართლიანად და სასარგებლოდ მიაჩნდა ბაგრატიონთა უფროსი შტოს სამეფო ღირსების აღიარება და დადებითი პასუხი შეუთვალა ინფანტ დონ ფერნანდოს. საქართველოს სამეფო ოჯახის უფროსად აღიარებული გახლდათ თავადი გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი, ირაკლი ბაგრატიონის მამა. საქართველოში ეს აქტი 1990 წელს დიდი მთავრის, ვლადიმირ კირილის ძის პირადი



მარიამ ბატონიშვილი, გლორია კირბი და მანანა ხომერიკი

(გაგრძელება 78-ე გვერდზე)

# რა მითქმა-მოთქმა გამოიწვია „ცეკვავენ ვარსკვლავების" ბოლო ტურმა და რა მოხდა სინამდვილეში

*მიშა მესხი რომ საყვარელი და პოპულარული მსახიობია, ამაზე არავინ არ დავობს, მაგრამ, როგორც მაყურებელთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, ალბათ, პოპულარულ პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავებში" მონაწილეობით არ ასწევია მას რეიტინგი ისე, როგორც ამ პროექტის დატოვებით.*

*უკვე სარეკლამო ჭრის მომენტიდან ატყდა განხილვა, განსჯა და ვერსიების კორიანტელი იმის შესახებ, თუ რატომ მოიქცა ასე მიშა მესხი.*



*ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ წინა ტურში მიშა და მისი მეწყვილე, ჯულიანა ბარგ-ნარი, „ვეტოს" უფლებით დატოვეს პროექტში, რადგან, როგორც აღნიშნეს, აუტსაიდერებში მოხვდნენ და ხმათა უმრავლესობა ვერ დაიმსახურეს. იმ კადრებში აშკარად ჩანდა, რომ ამ გადაწყვეტილებამ მიშაც და ჯულიანაც გაახარა. ერთი კვირის თავზე კი, ისევ აუტსაიდერებში აღმოჩენილი მიშა მესხი ხმის მიცემის პროცესს არ დაელოდა და განაცხადა, რომ ყველას ყველაფრისთვის მადლობას უხდიდა და პროექტს ტოვებდა. პროექტის ერთ-ერთმა წამყვანმა, დუტა სხირტლაძემ ურჩია – ნუ ჩქარობ, ჯერ ხმის მიცემის პროცესს დაელოდე, რას გადაწყვეტს მაყურებელიო, რაზეც მიშამ უპასუხა – არ მაინტერესებს თქვენი „სიაფანდი" ხმის მიცემაო და სცენა დატოვა. მას უკან გაჰყვა მისი მეწყვილე – ჯულიანა.*

*„თბილისელები" შეეცადა, კულისებში შეეხედა, თუ რა ხდებოდა ამ პროექტის დაწყებამდე ან რა მოხდა მის შემდეგ. ამ მიზნით, ჩვენ დავუკავშირდით მიშას მეწყვილეს პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავებში" – ჯულიანა ბარ-გნარს, მიშას დას – მარი მესხს, თავად მიშა მესხსა და მის მეუღლეს – ია სუხიტაშვილს, მარიამ კუბლაშვილს, რომელიც სწორედ მიშას გვერდით იდგა აუტსაიდერებში ამ მოვლენების დროს და, ბოლოს, პროექტის პროდიუსერს – ნოე სულაბერიძეს.*




**– ჯულიანა, რა კომენტარს გააკეთებ შენი და მიშას მიერ პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავების" დატოვებასთან დაკავშირებით?**

**ჯულიანა ბარ-გნარი**: ამ თემაზე არანაირ კომენტარს არ გავაკეთებ.

**– მიგაჩნია, რომ მიშა სწორად მოიქცა?**

– სანამ ხმის მიცემის პროცესი დაიწყებოდა, მე მივეცი მიშას რჩევა. მართალია, მომისმინა მაგრამ, მოიქცა ისე, როგორც მას მიაჩნდა სწორად. მე პატივს ვცემ მიშას გადაწყვეტილებას. მიშა არის ჩემიანი და, ყოველთვის, როცა ჩემიანი იღებს გადაწყვეტილებას, რომც მიმაჩნდეს, რომ ეს გადაწყვეტილება არასწორია, მე მაინც ყოველთვის გვერდში დავუდგები. სხვას ვერაფერს გეტყვით.

**– მარი, რა მოხდა, რატომ არ დაელოდა მიშა ხმის მიეცემის პროცესს, რას გვეტყვი ამასთან დაკავშირებით?**

**მარი მესხი** *(მიშა მესხის და):* რაც სათქმელი ჰქონდა მიშას ამ თემასთან დაკავშირებით, თვითონვე თქვა, სანამ კადრიდან გავიდოდა. მე არაფერს დავამატებ, გარდა იმისა, რომ, მიმაჩნია, ჩემი ძმა სწორად მოიქცა.

**– სიტყვა „სიაფანდი" რატომ იყო ნახსენები?**

– არ მინდა ზედმეტი ლაპარაკი, ყველამ ყველაფერი იცის, რას გულისხმობდა მიშა ამ სიტყვაში. ხალხი დამიკავშირდა, ახლაც მიკავშირდება და ყველა ეთანხმება მიშას გადაწყვეტილებას. ამ შოუში არ უნდა გასულიყო მიშა. მიმაჩნია, რომ ამით რეიტინგი დაიგდო.

**– მიშა, როგორ ხარ?**

**მიშა მესხი**: ცუდ ხასიათზე ვარ.

**– რატომ დატოვე პროექტი „ცეკვავენ ვარსკვლავები"?**

– no coment!

**– ეს უცაბედი გადაწყვეტილება იყო თუ ამაზე მანამდეც ფიქრობდი?**

– არ მინდა ამაზე ლაპარაკი.

**– ია, რას მეტყვით მიშას მიერ პროექტის დატოვებასთან დაკავშირებით?**

**ია სუხიტაშვილი**: როცა გავიგე, რომ მიშა უნდა გასულიყო ამ პროექტში, თავისთავად, მხარი დავუჭირე. სხვა ქვეყნის შოუებიც მაქვს ნანახი და ძალიან მომწონს. „ცეკვავენ ვარსკვლავები," ზოგადად, ძალიან ლამაზი შოუა. რაც მოხდა გუშინ, იმასაც მხარს ვუჭერ, რადგან, მიშა არ არის ის ტიპი, რომ რაღაც გადაწყვეტილება ცხელ გულზე მიიღოს და შემდეგ ეს გადაწყვეტილება გაახმოვანოს. ეტყობა, რაღაცა იყო, თუმცა, არ ვიცი რა – ეს, ალბათ, მერე გაირკვევა, მაგრამ, მიშას გადაწყვეტილებას ნამდვილად პატივს ვცემ. სხვას მართლა ვერაფერს გეტყვით, იმიტომ, რომ რაღაც-რაღაცეები ბოლომდე არ ვიცი. გაირკვევა, ყველაფერი დალაგდება ცხოვრებაში. უბრალოდ, არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ ცოტა ნაწყენი ვარ ჟიურის წევრებზე, ზოგზე – მეტად, ზოგზე – ნაკლებად, რადგან, მიმაჩნია, რომ ძალიან კარგი ცეკვები აჩვენა მიშამ. ბევრს ნიშნავს კიდევ ის, რომ მიშა არის კინოს მსახიობი და არ არის სცენას შეჩვეული. ადამიანისთვის, რომელიც არ არის სცენაზე მუშაობას მიჩვეული, ძალიან რთულია, გამოვიდეს ამხელა აუდიტორიის წინაშე. შეიძლება, კარგად ცეკვავდე დისკოტეკებზე, მაგრამ, სამეჯლისო ცეკვები სულ სხვა რამაა, ურთულესია. მიმაჩნია, რომ მიშამ თავის მოვალეობას ძალიან კარგად გაართვა თავი და, მგონია, რომ ბევრად მეტ თუნდაც შექებას იმსახურებდა ჟიურისგან, ვიდრე ეს მათგან მესმოდა. ამიტომ, ცოტა ნაწყენი ვარ ჟიურიზე... ძალიან ნაწყენი ვარ...

რაც შეეხება მიშას წამოსვლას პროექტიდან, ჩვენ ამ გადაწყვეტილებაზე წინასწარ არ გვისაუბრია.

**– თქვენ მანამდე მონაწილეობდით ამ პროექტში, სანამ მიშა გავიდოდა „ცეკვავენ ვარსკვლავებში" და, ასე თუ ისე ჩახედული იყავით ამ პროექტის, ასე ვთქვათ, სამზარეულოში. როდესაც მიშა ამ პროექტში მონაწილეობის მიღებას გეგმავდა, თქვენც ურჩიეთ ამის გაკეთება?**

– მიშამ, უბრალოდ, თქვა, ხომ არ წავიდე „ცეკვავენ ვარსკვლავებშიო". მე ავუხსენი, რომ მართლა ძალიან შრომატევადია ამ შოუში მონაწილეობა. ყველას კარგად ახსოვს, რომ პროექტის ბოლოს სომალელ ბავშვს დავემსგავსე. მიხარია, რომ მაინც არსებობს ეს პროექტი, რადგან, აღმოჩნდა, რომ გვყავს სამეჯლისო ცეკვის ძალიან კარგი მოცეკვავეები, რომლებიც აქამდე არ ჩანდნენ. მიხარია, რომ ისინი გაიცნო ხალხმა და შეიყვარა. მე, რაც ზუსტად მახსოვდა, ის ვუთხარი მიშას, რომ ნამდვილად რთული და სანერვიულო იყო ამ შოუში მონაწილეობა. თან, შეიძლება, კარგად ცეკვავდე, მაგრამ, სამეჯლისო ცეკვები მართლა სხვაა – აქვს ძალიან რთული, არასტანდარტული თვლები. მიშამ – მე ამას გავაკეთებო. მე ვუთხარი, შენ თუ ამას გააკეთებ, ჩვენ შენ გვერდით ვართ-მეთქი. და ასეცაა.

**– სიტყვა „სიაფანდში" რას გულისხმობდა?**

– არ ვიცი. ამაზე თვითონ თუ არ აკეთებს კომენტარს, მე ნამდვილად ვერ გადავახტები თავზე ჩემს მეუღლეს.

**– მარიამ, მიშა მესხის მიერ პროექტის დატოვებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაზე მინდა შეგეკითხოთ.**



**მარიამ კუბლაშვილი**: პროექტის ფარგლებიდან გამომდინარე, იმის გამო, რომ ჩვენ ამ პროექტში მონაწილეობას დავთანხმდით და, რადგან პატივს ვცემთ სხვა მონაწილეებს, მსგავსი განცხადებები, ალბათ, არ არის მოსაწონი, თუმცა, მიშა ერთი მართალი ბიჭია, მართალი ადამიანია. ჩვენ ყველანი ბევრ რაღაცაში ვგრძნობთ უსამართლობას, მიშამ ველარ მოითმინა. შესაძლებელია, მან რაღაც იცის. მე ველაპარაკე დღეს და, მითხრა – პირიქით, მე შენთან მოვედი და პირველი შენ გადაგკოცნე, იმიტომ, რომ ძალიან მიყვარხარ და ეს ხალხს დავანახვეო. უბრალოდ მე ჩემი ვთქვი. მე მიშას ინდივიდუალიზმსა და მის პიროვნებას ვცემ პატივს, ის ძალიან მაგარი ტიპია. რაღაცა არ მოეწონა და პირდაპირ თქვა, თუმცა, შოუს ფორმატიდან გამომდინარე, მაინც არ უნდა გაეკეთებინა ეს, იმიტომ რომ, ეს შოუა და პატივს ვცემთ ამ შოუს და თვითონ „იმედის" ტელევიზიას ვცემთ დიდ პატივს. ძალიან მაგრები არიან, კარგი ატმოსფეროა და ამას არ იმსახურებენ, მაგრამ, იქ რა ხდება, უკვე არ ვიცი. ისე, რაღაც მითქმა-მოთქმა არის.

**– არასამართლიანობას აქვს ადგილი, შენი აზრით?**

– რაღაც მომენტში არის უსამართლობა.

**– ნოე, მიშას პროექტიდან წასვლაზე რა კომენტარს გააკეთებთ? თვითონ მიშამ არანაირი კომენტარი არ გააკეთა ამასთან დაკავშირებით.**

**ნოე სულაბერიძე**: მე მგონია, ისეთი არაფერი, ძალიან აღელვებული იყო და მაგის ბრალია. იმის იქით წყენა აღარ გაგრძელებია.

**– თქვენ დაილაპარაკეთ ამ პროექტის შემდეგ ერთმანეთთან?**

– კი, რა თქმა უნდა.

**– ანუ, მიშას წყენა აღარ აქვს?**

– რა თქმა უნდა, როდესაც პროექტს ტოვებ, ხანდახან, შეიძლება, ნერვებმა გიმტყუნოს – ასეთი რამე ყველას შეიძლება მოუვიდეს.

**– უსამართლობას არ ჰქონია ადგილი?**

– ჯერჯერობით არ ჰქონია.

**– ძალიან ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა „ცეკვავენ ვარსკვლავების" ამ საკონკურსო დღეს და, არ შემიძლია, არ გადავამოწმო ერთი კომენტარი, კერძოდ, ითქვა, რომ ნოე სულაბერიძე მიშა მესხის პროექტიდან წასვლის ინციდენტს შეეწირაო. ეს სიმართლეა?**

– არა, რა თქმა უნდა!

**– ნოეს სულაბერიძე არის პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავების" პროდიუსერი!**

– ასეა.

**ეკა სალაღაია**

# რა უნდა ვისწავლოთ ქართველებმა პოლონელებისგან

ნუ ვიტყვით, რომ ქართველები ყველაზე... ყველაზე ერი ვართ და საქართველოც



ყველაზე... ყველაზე... ქვეყანაა... გასაგებია, რომ სამშობლო ყველანაირი უნდა გიყვარდეს, მაგრამ შეუძლებელია, არ დავინახოთ ის, რაც ძალიან აკლია ჩვენს ქვეყანას და გულიც მწყდება, რომ ვერ ვიყენებთ იმ პოტენციალს, რომელიც მას აქვს.

რა უნდა ვისწავლოთ ქართველებმა პოლონელებისგან... დავიწყოთ იმით, რომ პოლონეთი ნამდვილად არის ქვეყანა, რომელიც უნდა ნახო და გაოცდე... დღეს ეს ბევრად გაადვილებულია. ავიაკომპანია „ვიზიარმა“ დანიშნა პირდაპირი რეისები ქუთაისიდან პოლონეთის ერთ-ერთ ულამაზეს რეგიონში სი-



ლიზიაში, კერძოდ, ქალაქ კატოვიცეში. ბილეთები ნამდვილად ხელმისაწვდომია, რაც პოლონეთში მოგზაურობას უფრო



ადვილებს. კატოვიცედან ერთ ნაბიჯზეა კრაკოვი – პოლონეთის გული, რომელიც აბსოლუტურად ცალკე საუბრის თემაა და სხვა რომ სულაც ვერაფერი ნახო, მარტო მისი სუნთქვის შემკვრელი სილამაზეც გეყოფა, პოლონეთში ხელმეორედ ჩასვლის სურვილი რომ გაგიჩნდეს. კრაკოვი მთლიანად მუზეუმი და პოლონეთის ნამდვილი მარგალიტია. ის ხუთი საუკუნის განმავლობაში იყო პოლონეთის სამეფოს დედაქალაქი. ყოველწლიურად მას ორი მილიონი ტურისტი ნახულობს. ქალაქის ძველი ნაწილი იუნესკოს მიერ მსოფლიო მემკვიდრეობად არის მიჩნეული.

პოლონეთით აუცილებლად მოიხიბლება ის, ვინც სიძველეების, სასახლეებისა და შუა საუკუნეების ციხესიმაგრეების მიმართ გულგრილი არ არის. აქ



თითქოს რაინდებს დაუტოვებიათ თავიანთი ანაბეჭდი და შენც უნებლიეთ ხდები ამ ყველაფრის ნაწილი, ზღაპარში ხარ და რეალობაში დაბრუნება არ გინდა.

კატოვიცეში ჩასულმა აუცილებლად უნდა ნახო პოლონეთის რელიგიური ცენტრი „იასნა გორა“. პოლონეთის ყველაზე წმიდა და ისტორიული მონასტერი, თავისი უნიკალური ბიბლიოთეკით და სახენაიარევი ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატით, რომელსაც „შავ მარაოს“ ეძახიან...

პოლონეთი არის ქვეყანა, სადაც პოსტინდუსტრიული ტურიზმია განვითარებული. სახელმა შეიძლება არ დაგაინტერესოთ, მაგრამ, როცა „გვიდოს“ ქვანახშირის მომპოვებელ მაღაროს ნახავთ, რომელიც მიწის ქვეშ სამას მეტრზეა განლაგებული და ინფრასტრუქტურა უმაღლეს დონეზეა მოწყობილი, მიხვდებით, რაზეა საუბარი. გიდთან ერთად ნახავთ ქვანახშირის მოპოვების მთელ ტექნოლოგიურ პროცესს, უძველესი დროიდან დღემდე...

არანაკლებ გამაოგნებელია უძველესი, მარილის მომპოვებელი მაღარო ვილიჩკაში, მიწისქვეშეთში – ასი მეტრის სიღრმეზე, თავისი მარილისგან გამოკვეთილი სამლოცველოებით, ჭალებით, დარბაზებითა და ბარებით.

მოკლედ, კატოვიცე უნდა აღმოაჩინო,



თავისი მთავარი სავიზიტო ბარათით, რომელიც თურმე ასე გვაკლია ქართველებს – წარმოუდგენელი სიმწვანე... პოლონელები, ფა-





ქტობრივად, პარკებში ცხოვრობენ... და გამაოგნებელი სისუფთავე... რაც შეეხება სტუმართმასპინძლობას... პოლონელები არათუ არ-



აფრით ჩამოუვარდებიან ქართველებს, იქ ტურისტი ყველაზე საპატიო სტუმარია თითოეული პოლონელისთვის.

**ნინო წულუკიძე**

# ბრძნული აზრები

**ფილოსტრატე**: ბევრს გაუწიე ანგარიში, მაგრამ, ენდე ცოტას.

**სოკრატე**: ბევრს შეუძლია დაუფიქრებლად თქვას, რამდენი მეგობარი ჰყავს.

**პლუტარქე**: თუ კარგად დავუკვირდებით წარსულს, აწმყოში არაფერი მოგვეჩვენება არც დიდად და არც პატარად.

**ვოლტერი**: ნამდვილი მხედართმთავარი უკან უფრო უნდა იყურებოდეს, ვიდრე წინ.

**ლაო ძი**: გიყვარდეს და გააკეთე, რაც გინდა.

**არისტოტელე**: იარაღი ათანაბრებს სუსტებს ძლიერებთან.

**ჰოლმსი**: ამ სამყაროში ის კი არ არის მთავარი, სად ვდგავართ, არამედ, ის, თუ რა მიმართულებით ვმოძრაობთ.

**ბელინსკი**: ვინც წინ არ მიდის, ის უკან მიდის, რადგან, მდგომარე მდგომარეობა არ არსებობს.

**ტუვიმი**: სისულელის ლაპარაკი შეიძლება, ოღონდ არა საზეიმო იერით.

**ბუასტი**: დამნაშავეების პატიება ნიშნავს, ავნო პატიოსან ადამიანებს.

**კენედი**: აპატიეთ თქვენს მტრებს, მაგრამ, არასოდეს დაივიწყოთ ისინი.

**შილერი**: ყველაზე დიდი გამარჯვება პატიებაა.

**შექსპირი**: მიჰყევი გონების ხმას და არა მრისხანებას.

**ლაროშფუკო**: ადამიანის ხასიათი უფრო მეტ ნაკლს შეიცავს, ვიდრე მისი გონება.

**ტორო**: ის, რაც ახალგაზრდა კაცში ენთუზიაზმი იყო, მოწიფულ ადამიანში ნებისყოფად გადაიქცევა.

**მირზა შაფი**: ზოგჯერ კარგი საჩუქარიც ელის კარგი საქმის ჩამდენს, მაგრამ, საქმე გააკეთე, საჩუქარი რომც არ ჩანდეს!

**ჯონსონი**: არასდროს მიზიდავდა საუბარი იმ ადამიანებთან, რომლებსაც უფრო მეტი ჰქონდათ დაწერილი, ვიდრე წაკითხული.

**ციცერონი**: მათ ისწავლეს სხვებთან საუბარი და არა საკუთარ თავთან.

**გოლდსმითი**: ნუ დამისვამთ უგუნურ შეკითხვებს და არ მოგატყუებთ.

**სენეკა**: ადამიანები სხვის საქმეში მეტს ხედავენ, ვიდრე საკუთარში.

**ავრელიუსი**: დიდების გართობას „საქმეები" ჰქვია; ბავშვებსაც აქვთ საქმეები, მაგრამ უფროსები მათ ამისთვის სჯიან და არავის ეცოდება არც ბავშვები და არც უფროსები.

**ფილდინგი**: ცუდ წიგნებსაც ისევე შეუძლიათ ადამიანის გაფუჭება, როგორც ცუდ ადამიანებს.

**მონტენი**: ძალიან სასარგებლოა, სხვების ჭკუით გააშალაშინო და გალესო საკუთარი ჭკუა.

**რუმფორდი**: ხალხი კეთილი თვისებებით რომ შეიმოსოს, ის ბედნიერი უნდა გახადო.

**ოსტინი**: მამაკაცებსა და ქალებს ერთნაირად სჭირდებათ სიცრუე. თუ სიცრუეს არ ეჯახებიან, ესე იგი, თავად ქმნიან მას.

**სანდი**: მამაკაცმა მიგატოვათ? ესე იგი, უბრალოდ, გამოუსადეგარი ნაწილი დაკარგეთ. ისწავლეთ, შეიყვაროთ ცხოვრება მამაკაცებზე მეტად!

# თუ გამოიცნობთ

1. ფარაონებს ეს მცენარე კალენდრის მაგივრობას უწევდა; არაბები იმ დიასახლისს მიიჩნევდნენ საუკეთესოდ, რომელიც მისი ნაყოფისგან მთელი თვის განმავლობაში ყოველდღე სხვადასხვა სადილის დამზადებას შეძლებდა; ის ძველი იუდეის ემბლემა იყო. **რომელი მცენარე?**

2. ობობები, თურმე, ძალიან მგრძნობიარენი არიან კარგი მუსიკისადმი. მაგალითად, თუ ობობას საცხოვრისის ახლოს დაუკრავთ ვიოლინოზე ან არფაზე, ის გამოვა და „დატკბება" ამ მშვენიერი მუსიკით. **რითაა გამოწვეული მათი ასეთი „მელომანობა"?**

3. სინამდვილეში, ისინი არც იმდენია, რამდენადაც ჩვენ გვეჩვენება. 25 მათგანს სახელი არაბებმა დაარქვეს, 20-ს ბერძნებმა, 10-ს რომაელებმა, თანამედროვე დროში მხოლოდ 3-ს დაერქვა სახელი. სხვათა შორის, მათ ნახევარს ბერძნული სახელები ჰქვია. **რას?**

4. ფოტოკოლაჟზე ერთი ცნობილი ადამიანის ორი ფოტოს ქვეშ წარწერაა: „ერთი დოლარი". **დაასახელეთ, ვინ არის გამოსახული ფოტოებზე.**

5. **რატომ დაერქვა** პარიზის ერთ-ერთ უბანს, სადაც სორბონის უნივერსიტეტია, „ლათინური კვარტალი?"

6. ცნობილი ესპანელი ამბობდა, რომ ეს ფრინველები უაღრესად სასტიკები არიან, მათ შეუძლიათ, თავიანთი მოძმეები სასიკვდილოდ დაკორტნონო, თუმცა, თავადვე შეუქმნა მათ ყველაზე კეთილი არსების იმიჯი. **რას?**

7. დოკუმენტურად დამტკიცებულია, რომ ამ ტერიტორიის პირველი ბინადრები ფინიკიელები იყვნენ. მოგვიანებით ისინი ბერძნებმა შეცვალეს, რომლებმაც დააარსეს კოლონია და განცალკევებულ კლდეზე ააგეს ჰერაკლე მეუდაბნოის, ეგრეთ წოდებული, „მონაზვნის ტაძარი," რომლის სახელსაც დღემდე ატარებს, თუმცა, ახლა ის აზარტული თამაშებითაა განთქმული. **დაასახელეთ ის.**

8. ერთხელ, საღამოს, როდესაც ფიზიკოსი ნიკოლა ტესლა ჩვეულებრივ, ხელჯოხით სეირნობდა, თავში ცვლადი დენის ელექტროძრავის შექმნის იდეა მოუვიდა და გააკეთა ის, რაც, ლეგენდის მიხედვით, გაცილებით ადრე, მეორე გენიოსმა გააკეთა. **ვინ?**

9. შუა საუკუნეებში ინკვიზიციას მიაჩნდა, რომ ერესი უბიქვიტარულია. **რას ნიშნავს** ლათინურად სიტყვა ubiqve, თუკი ეს სიტყვა, როგორც ცნება, ახლა ვირუსოლოგიაში გამოიყენება?

10. ისინი მხედართმთავარმა ჩჟუგე ლიანმა მტრის ბანაკში შიშის ჩასათესად გამოიყენა, მესამე საუკუნეში მათ ნამდვილად შეეძლოთ, შეეშინებინათ მოწინააღმდეგეთა მეომრები. ლიანი მათი საშუალებით მოკავშირე ჯარებს ატყობინებდა, რომ დახმარება სჭირდებოდა. ახლა კი ჩინელებს მიაჩნიათ, რომ, თუ მათში ჩადებ ფურცელზე დაწერილ სურვილებს, აგიხდებათ. **რაში?**

***პასუხები იხილეთ 58-ე გვერდზე***

# პოპულარულ ცდომილებათა ლექსიკონი

## ოქროს დიდ ნაწილს ოქროს საბადოებში მოიპოვებენ

ყველაზე უხვად ოქრო წყალში მოიპოვება და არა ხმელეთზე. ოკეანეებში თითქმის 9 მილიონი ტონა ოქრო დაცურავს, ანუ, დაახლოებით 200-ჯერ მეტი, ვიდრე კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში იქნა მოპოვებული ოქროს საბადოებში.

## ჰიპოკრატეს ფიცის მიზანია, დაიცვას ავადმყოფი

ეგრეთ წოდებული „ჰიპოკრატეს ფიცი" სრულებითაც არ ეკუთვნის ჰიპოკრატეს და მასში სულაც არ არის იმაზე ლაპარაკი, რასაც ჩვენ ვფიქრობთ.

როდესაც ჰიპოკრატე – ანტიკური ეპოქის ეს ცნობილი ექიმი – გარდაიცვალა (ძველი წელთაღრიცხვით 377 წელს), ასეთი ფიცის ხსენებაც არ ყოფილა. ბევრ სხვა რამესთან ერთად, მას ეს ფიციც მიაწერეს, საფიქრებელია, დამატებითი ღირსების მისანიჭებლად.

თვით ტექსტიც, არასწორად არის გაგებული. ფიცის თანამედროვე ვერსია, ეგრეთ წოდებული „საექიმო მცნება", 1848 წელს გამოქვეყნდა ჟენევაში. საექიმო საიდუმლოს დაცვის შესახებ თეზისთან ერთად ჰიპოკრატეს ფიცში არის პასაჟები, რომლებიც არა იმდენად ავადმყოფზე ზრუნვას ითვალისწინებს, რამდენადაც თვით ექიმთა ინტერესების დაცვას. მაგალითად: „მე ჩემს სამედიცინო ცოდნას გადავცემ მხოლოდ ჩემს შვილებს, ჩემი შვილების მასწავლებლებსა და ოფიციალურად დარეგისტრირებულ სტუდენტებს – სხვას არავის". შუა საუკუნეების ამ პირვანდელ ტექსტში არაორაზროვნად შეიმჩნევა განზრახვა, შეძლებისდაგვარად შემცირებულ იქნეს ექიმთა, ანუ კონკურენტთა რიცხვი. ჰიპოკრატეს ფიცის ზოგიერთ ვერსიაში აღნიშნულია, რომ ექიმმა უფასოდ უნდა აღმოუჩინოს დახმარება თავის კოლეგებსა და მათ ოჯახებს, ანუ, კვლავ და კვლავ ლაპარაკია სამედიცინო პროფესიის წარმომადგენლებისთვის გაწეულ დახმარებაზე.

## ევამ სამოთხეში შემეცნების ვაშლს გაუსინჯა გემო

არსად ბიბლიაში „ვაშლი" აკრძალულ ხილად არ არის დასახელებული. „მიუგო დედაკაცმა გველს: რაც კი ბაღშია, ყველა ხის ნაყოფი გვეჭმევათ, ოღონდ შუაგულ ბაღში რომ ხე დგას, იმის ნაყოფს ნუ შეჭამთ, – გვითხრა ღმერთმა; არ გაეკაროთ, თორემ, მოკვდებით" (დაბ. 3,2-3).

დანამდვილებით არავინ იცის, როგორ იქცა ბაღის შუაგულში მდგარი ხე ვაშლის ხედ. ამ ბიბლიური ტექსტის ავტორი, ალბათ, სულაც არ ფიქრობდა ვაშლზე, რომელიც საერთოდ არ ხარობს ახლო აღმოსავლეთში. უფრო საფიქრებელია, რომ ეს იყო ლეღვის ხე, რომლის ფოთლებიც აიფარეს ადამმა და ევამ მას შემდეგ, რაც ნაყოფს გაუსინჯეს გემო.

როგორც ჩანს, ვაშლი ბიბლიაში (არაზუსტ თარგმანებში) ბერძნული და კელტური მითების გზით მოხვდა. ამ ხალხებში ვაშლი სიყვარულის ქალღმერთის სიმბოლოა, ხოლო, რამდენადაც სასიყვარულო ურთიერთობები კეთილი ქრისტიანებისთვის რაღაც ცოდვისმაგვარად იყო მიჩნეული, აკრძალულ ხედ ვაშლი იქცა.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლa3-g3!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



ძვირფასო გოგონებო და ქალბატონებო, მოგმართავთ ყველას, ვისაც ოდესმე გაწყენინეთ, ვიცი, გულზე მოგეშვებათ. გამოჩნდა „სწერვა", რომელმაც ყველა თქვენგანის მაგივრად შური იძია – ჩემი ცოლი გახდა...

***

გურულმა ახალი, პლაზმური ტელევიზორი იყიდა.

– ძამა, მაი ტელევიზორი რო დეიდგი სახლში, უკეთ იცხოვრებ თუ რაი?

– არა, მარა, უკეთ ვხედავ სხვები ჩვენზე უკეთ რაფრა ცხოვრობენ...

***

„შენი"... უნივერსალური ფრაზაა, რომელიც ყველაზე კარგად გამოხატავს ტკივილს, გაბრაზებას, წყენას, სიხარულს, შიშს, გაოცებას...

***

არაფერს არ ინახავენ ისე კარგად ოჯახებში, როგორც ნივთს, რომლის სახელია: „შეიძლება, რამეში გამოგვადგეს".

***

სტიუარდესა დიდი მკერდით, მგზავრთან დაიხარა და ეკითხება:



– ჩაი გნებავთ თუ ყავა?

– რომელი რომლისაა...

***

ყველა ქალში ცხოვრობს ალქაჯი, კახპა, შტერი, მშვენიერი პრინცესა, ანგელოზი... დაიმახსოვრეთ, ვისაც გაალვიძებთ, იმას მიიღებთ.

***

კუპეში ახალგაზრდა ქალ-ვაჟს ერთმანეთთან ყოფნა მოუნდა. გადაუჩურჩულეს ერთმანეთს და ქალმა მოიფიქრა: ვითომ გული წამივა და შენ ექიმი ხარ...

მართლაც, გადაატრიალა გოგომ თვალები.

არიქა, ჰაერი სჭირდება, გარეთ გადით, ექიმი ვარ, მივხედავ! – იყვირა ბიჭმა. დატოვეს „ავადმყოფი" „ექიმთან"... „მკურნალობის" შემდეგ ბიჭმა კარი გააღო და მგზავრებს ეუბნება:

– ნემსი გავუკეთე, ავადმყოფი კარგადაა, ჩაეძინა...

– ექიმო, შარვალი შეიკარი, შპრიცი არ დაკარგო!

***

ბებია-ბაბუამ შვილიშვილს პორნოფილმის ყურებისას შეუსწრო... წუთით შედგნენ, მერე დასხდნენ ფილმს ბოლომდე უყურეს. ბოლოს ბებიამ ბაბუას სილა გაულაწუნა.

– მე – რატომ?

– ხომ გეუბნებოდი, ასე შეიძლება-მეთქი, შენ კიდევ – არა... არა!

***

– გოგი ძია, ნახე, რა ლამაზი ქალი მოდის...

– ეს შენთვისაა ქალი, ჩემთვის კი უკვე მხოლოდ პეიზაჟია.

***

ქალის თვალს უნიკალური სტრუქტურა აქვს: ხუთი მეტრიდან ამჩნევს ქმრის პიჯაკზე უცხო თმის ღერს, მაგრამ ამავე სიგანის გარაჟის კარს ზუსტად ვერ ხედავს.

***

– ექიმო, ხდება ისე, რომ თქვენ ერთ დაავადებას მკურნალობთ, გვამის გახსნა კი აჩვენებს, რომ სხვა ავადმყოფობით გარდაიცვალა?

– არა, ასეთი შემთხვევები არ გვქონია, ჩვეულებრივ, ჩვენთან იმ დაავადებით კვდებიან, რასაც ვმკურნალობთ.

***

შენ კეთილი ხარ? – ეს კარგია, ძალიან გამოადგებათ სხვებს.

***

ახალგაზრდა ნაგვის ურნასთან დგას და ეწევა.

– აქ რას აკეთებ? – ეკითხება ნაგვის გად-



ასაყრელად მისული, გაბრაზებული ქალი, – ვერა ხედავ ეს ნაგვის ადგილია.

– უკაცრავად, მობრძანდით, დაბრძანდით...

***

– რატომ არის საქორწინო ემბლემა ორი რგოლი?

– საწყისი ანგარიშია – 0:0.

***

დაწყებით კლასებში ბიჭები ლამაზ გოგონებს თავში ჩანთებს ურტყამენ, მერე კი უკვირთ, რატომ არიან ლამაზი ქალები ასეთი შტერები...

***

მოშე პარტიზანთა მეთაურთან მივიდა, რაზმში მიმიღეთო.

– უნდა გამოგცადოთ, – უთხრა მეთაურმა, პროკლამაციების დასტა მისცა და უთხრა, – გაავრცელე, ვნახოთ როგორ გაართმევ თავს ამ საქმეს და ჩაგრიცხავთო.

ერთი კვირის შემდეგ მივიდა მოშე მეთაურთან, ჯიბეებიდან და უბეებიდან ფულის შეკვრები ამოიღო და მაგიდაზე დაყარა.

– გადაითვალეთ, მგონი, კარგად გავართვი თავი...

## ცნობილი ადამიანების ინამახვილური გამონათქვამები

რამდენიმე ყმაწვილ კაცს ქართული სადილი გაეკეთებინათ და ქეიფობდნენ. ანტონ ლორთქიფანიძეც იქ იყო.

„მოთალი, თევზი, მწვანილი აუჭრელებდნენ წინ სუფრას..."

მოვიდა ბეჭი, ზედ მოჰყვა ჩიხირთმა, ჩიხირთმას მოჰყვა ფლავი.



ანტონი ფლავის ეშხმა უფრო წაიღო. და ისე სხაპასხუპით დაუწყო ჭამა, რომ კარგა მოგრძო ბეწვი გადააყოლა. წაავლო ბეწვს ხელი ამოსწია, ამოსწია და, რომ ძალიან გაგრძელდა, თვითონაც გრძლადა სთქვა:

– ვაიიიჰ! ქართულად არის გაკეთებულიო...

***

ერთს აზნაურიშვილს, გ. ტ-ძეს დუხჭირი ცოლი ჰყავდა. ერთხელ გადაეკიდა ქმარს: დღეობაში წამიყვანეო. ქმარმა ჰკითხა: რა გინდა დღეობაშიო? ცოლმა უპასუხა: მეც თვალს გავახელო.

– შენ კი გაახელ თვალს, მარა, მე უნდა დავხუჭოვო, – წარმოთქვა გულდაწყვეტილმა ქმარმა.

***

სენაკის სათავადაზნაურო სკოლა რომ აკურთხეს, აკაკიც დაესწრო და სიტყვაც წარმოთქვა. სადილზე სხვათა ღვინოთა შორის, კახური ღვინოც მოიტანეს ბოთლებით, დავით ჭავჭავაძის ნაფარეულის ზვრიდან. აკაკიმ მოატრიალა ბოთლი, ბოთლზე წარწერილს თითი დაადვა და თქვა:

– საკვირველი ხალხია ეს მეგრელები! ღვინოც კი ნაპარეული აქვთ.

„ნაფარეულის" მაგიერ ბოთლზე რუსულად „ნაპარეული" ეწერა.

***

ერთი წიგნი დაიბეჭდა, სათაურად ეწერა: „აკაკის ოხუნჯობანი". აკაკიმ წაიკითხა ის წიგნი, ბევრი ოხუნჯობა თავისად ვერა სცნო და თქვა:

– ეს რამდენი აკაკი ყოფილა ქვეყანაზედაო!

***

რაღაც ძველებურ საათს ყიდდა მეზობელი. დედაჩემს უნდოდა ყიდვა, აუტყდა მამას, ვიყიდოთ, ვიყიდოთო.

– რად გინდა, ქალო, ეს საათი, ციფერბლატი მეზობელთან იქნება და მე გირების კონწიალს ვუყუროო?!

(მანანა დუმბაძის ნამბობიდან).

# როგორ ჩამოიტანა ოჩამჩირიდან ომგამოვლილმა სამხედრო ექიმმა მიქსერი

**ნ. ბ.** ***(სამხედრო ექიმი):*** „90-იანი წლებია. ოჩამჩირიდან თბილისში ვბრუნდებოდით თხუთმეტამდე ექიმი და სამეგრელოს ტერიტორიაზე ქობალიას ხალხმა აგვიყვანა ტყვედ. რომ არ დაგვხოცავდნენ, ვიცოდით და, სხვა მხრივ, რა უნდა გვექნა, უაზრო ხელჩართულ ბრძოლას ხომ არ წამოვიწყებდით? ამიტომ, დავნებდით (რადგან სამეგრელოზე უნდა გამოგვევლო, იარაღი ოჩამჩირეში დავტოვეთ – ქართველებს ჩვენ არ ვესროდით და, ტყუილად უნდა გვეზარალა). დაგვსვეს საბარგო მანქანაზე, ჩაგვიყვანეს ზუგდიდში და ჩამოგვართვეს ყველაფერი. „ჩამორთმევა“ ლამაზად ითქმის, ფაქტობრივად, დაგვაყაჩაღეს. შიშვლები არ დაგვტოვეს, თორემ, რაც გვქონდა, მთელი ტანსაცმელიც წაგვართვეს და აბსოლუტურად ყველა ნივთი – კბილის საჩიჩქნი იყო თუ, უბრალოდ, ფურცელი. ტანსაცმელს იქვე იცვამდნენ, ნივთები კი თვალს მოაფარეს. ვსხედვართ მობუზულები, ერთმანეთშიც კი ვერ ვლაპარაკობთ – თავზე გვადგას ავტომატიანი მცველი. დარწმუნდნენ, რომ აფხაზეთიდან მომავალი ომგამოვლილი ექიმები ვართ და არა შევარდნაძის „აგენტები“, მაგრამ, რა გვიქნან, ჯერ გადაწყვეტილება არ აქვს მიღებული მთლად უფროსს. დიდი დრო არ გასულა, გავიხედეთ და, პირდაპირ ჩემკენ მოდის კბილებამდე შეიარაღებული, წვერიანი ახალგაზრდა ბიჭი და რაღაც მოაქვს. სანამ მოაღწია, სული დამელია ინტერესით – ნეტავ რა და რატომ მოაქვს-მეთქი. მოვიდა, დამიდგა წინ და დიდი პატივისცემით მეუბნება:

– ქალბატონო ექიმო, ჩვენ ველურები კი არ ვართ, ეს აპარატი თქვენთან იყოს,




ვინ იცის, ამით რამდენი კაცი გადაგირჩენიათ და კიდევ რამდენს გადაარჩენთ.

დავხედე და – მიქსერი უკავია ხელში. გადახარხარება მინდოდა, მაგრამ, როგორღაც მოვახერხე და თავი შევიკავე, ღიმილით გადავუხადე მადლობა. ის კი წავიდა კმაყოფილი, მაგრამ, მე რა ჯანდაბად მინდოდა მიქსერი? ტყვედ ვარ; მცივა – მოსახური არაფერი მაქვს; მშია – პურის ნამცეცს არავინ იძლევა, ხელში კი მიქსერი მიჭირავს (მერე კი დაგვაპურეს და პატივისცემით გამოგვისტუმრეს, მაგრამ, რამის დაბრუნებაზე საუბარი სისულელე იყო – ნაალაფარი უკვე გადანაწილებული ჰქონდათ).

ახლა, არ მკითხოთ, სწორედაც რომ, რა ჯანდაბად გინდოდა გაგანია ომში მიქსერიო. ოჩამჩირეში, ვისთანაც ვცხოვრობდი, იმ ოჯახის დიასახლისმა პატივისცემის ნიშნად მაჩუქა დაბადების დღეზე, თან, ერთგვარი დანანებით თქვა, აქ სანამცხვროდ დიდხანს არ გვექნება საქმე და შენ ღმერთმა სულ მხიარულებაში მოგახმაროს თბილისშიო. აბა, ამ სიტყვების მერე უმადურად ხომ ვერ მოვიქცეოდი – რომ წამოვედით, მომერიდა დატოვება და წამოვიღე. ახლა ტყვედ ვიყავი და ხელში მიქსერი მეკავა. გაგვათავისუფლეს, მაგრამ, იქ როგორღა დავტოვებდი მიქსერს – თავმომწონე მებრძოლებს სამედიცინო ხელსაწყო ეგონათ და, ამიტომ, წამოვიღე თბილისში. თუმცა, თბილისში ხომ, რაღა – დენი არ არის, უშუქობაა, ხალხი შიმშილობს და პურის რიგებია... რა ნამცხვარი, რის მიქსერი; ვერც ვერავის ვაჩუქე – მასხრად აგდება გამომივიდოდა და, სად შევკუჭე, აღარც მახსოვდა. მერე საცხოვრებელი გამოვიცვალე და მიქსერი იქ დარჩა. გავიხედე და, ერთ დღეს, ჩემი მეუღლე რომ შემოვიდა სახლში, კარებიდანვე შემომძახა, ყველაფერი სხვაგან როგორ უნდა დაგრჩესო და მიქსერი გამომიწოდა – ახალ მობინადრეს მისთვის მიუტანია სამსახურში, თქვენს მეუღლეს დარჩაო... ახლაც მაქვს ის ქუდბედიანი მიქსერი, ოღონდ, ერთი წელი მუშაობს და მეორე წელი – არა.“

**ჩაიწერა**
**მაია ჭელიძემ**

(73-ე გვერდიდან)

# რატომ ამსგავსებდნენ ბაგრატ ბატონიშვილს მეფე ხუან კარლოსს და ირაკლი ბაგრატიონის რა სურვილი აასრულა ბუნებრივად, წლების შემდეგ იოანე (ხუან) ბაგრატიონმა

ნებართვით გამოვაქვეყნე. ამ აქტმა შესაძლებელი გახადა ბატონიშვილი ირაკლისა და ინფანტა მერსედესის შეუღლება. მათ ორი შვილი შეეძინათ: მარია დე ლას პასი და ბაგრატ ჟან მარი, რომლებიც ახლო ნათესავები არიან ესპანეთის ახლანდელი მეფის. მათი ბებია ტერეზა ბურბონ ი ჰამსბურგი იყო ხუან კარლოსის პაპის, ალფონსო მეცამეტის და და მეფე ალფონსო მეთორმეტის ქალიშვილი, ესპანეთის ინფანტა. ხოლო დონ ფერნანდო, ბავარიის პრინცი დედის მხრიდანაც ბურბონი იყო. შეგვიძლია ვთქვათ, რომ იოანე (ხუან) ბაგრატიონის მამის ძარღვებში ჭარბად არის ბურბონების სისხლი. ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ ბაგრატ ბატონიშვილი, იოანე ბაგრატიონის მამა, ახალგაზრდობაში ძალიან ჩამოჰგავდა მეფე ხუან კარლოსს... ამასთან დაკავშირებით ერთი რამ მინდა გიამბოთ, რაც არსად მითქვამს. მის საიმპერატორო უმაღლესობას, მთავრინა ლეონიდას რომ ვესტუმრე, მან ასეთი რამ მომიყვა: ერთხელ თურმე პარიზში სტუმრად ეწვია ძმიშვილი, ბაგრატ ბატონიშვილი. მათ იქვე, ახლოს კაფეში ისაუზმეს. მეორე დღეს კაფეს მეპატრონეს მთავრინა ლეონიდასთვის საყვედურნარევი ტონით უთქვამს: თქვენო საიმპერატორო უმაღლესობავ, რატომ არ გამაფრთხილეთ, თუ საუზმეზე ხუან კარლოსი მოგყავდათ, – იმდენად იყო მათ შორის გარეგნული მსგავსება. მე კარგად მახსოვს ის დრო, როცა ირაკლი ბატონიშვილმა სთხოვა თავის დას, მარიამ ბატონიშვილს, ბაგრატისთვის ქართველი საცოლე შეერჩია. მარიამ ბაგრატიონმა 8 წელი მაგადანში გაატარა და ზოგადად, თავისი კარჩაკეტილი ცხოვრების წესი ჰქონდა. მისთვის წარმოუდგენელი იყო, აქეთ-იქით ევლო და საცოლე შეერჩია. თან, ისეთი წლები იყო, მას ეს არარეალურად მიაჩნდა. ამიტომ, ამ საკითხში დახმარება ვერ გაუწია. ბატონიშვილმა ბაგრატმა თავად შეარჩია საცოლე. ეს იყო ესპანელი მარკიზა, რომელიც, ჩემს ხელთ არსებული ფოტოდან თუ ვიმსჯელებთ, თავის ახლანდელ რძალს, იოანე ბატონიშვილის მშვენიერ მეუღლეს ჩამოჰგავს. ეს ფოტო, სადაც ბაგრატი, მისი მეუღლე და რამდენიმე თვის იოანეა აღბეჭდილი, სწორედ მარიამ ბატონიშვილისგან მაქვს. სხვათა შორის, ეს ფოტო იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ უკან ბაგრატის ხელით გაკეთებული წარწერა აქვს, სადაც შვილს ვანოს უწოდებს.

სხვათა შორის, ესპანეთში რომ ვიყავი მარიამ ბაგრატიონთან ერთად, არაჩვეულებრივმა ქალბატონმა, გლორია კირბიმ წაგვიყვანა ესკორიალში – ეს არის დიდებული ადგილი: სასახლეც, მონასტერიც და იმავდროულად, პანთეონიც, ძალიან შთამბეჭდავია. ამ პანთეონში კრძალავდნენ ესპანეთის მეფეებს და ინფანტებს. სწორედ იქ არიან დაკრძალული იოანე ბაგრატიონის ბებია და დიდი ბებია... სიმართლე გითხრათ, მე მათ ოჯახს არ ვიცნობ. თუმცა ვიცი, მშობლები არაფერს იშურებდნენ იმისთვის, რომ იოანეს კარგი განათლება მიეღო. ის იმ წელს დაიბადა, როცა მისი პაპა გარდაიცვალა, მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, წლების შემდეგ ბუნებრივად ასრულდა პაპამისის, ირაკლი ბატონიშვილის, სურვილი – მან შესანიშნავ ქართველ გოგონაზე იქორწინა. მინდა, ბედნიერება ვუსურვო სიყვარულით შექმნილ, დიდი ტრადიციების მქონე ქართულ ოჯახს.

**ნათია უტიაშვილი**

# It all starts with a NESCAFÉ

მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა შვეიცარულმა ბრენდმა NESCAFÉ-მ მასშტაბური რებრენდინგი დაიწყო. ყავა NESCAFÉ, რომელიც განსაკუთრებული გემოთი და არომატით გამოირჩევა, 75 წლიან ისტორიას ითვლის.

NESCAFÉ მომხმარებელს ახალ, დახვეწილ გემოს განახლებულ, თანამედროვე დიზაინის ქილაში სთავაზობს. ახალი ნესკაფე კლასიკი უფრო რბილია და დალევის შემდეგ სასიამოვნო გემოს ტოვებს, არომატი კი კიდევ უფრო ინტენსიური გახდა.

NESCAFÉ 100%-ით ნატურალური ხსნადი ყავაა, რომელიც უმაღლესი ხარისხის მარცვლებისგან მზადდება. ყავის თითოეული მარცვალი თქვენთვის სათითაოდ, სათუთად იკრიფება, ხოლო მოვლისა და მოყვანის დახვეწილი მეთოდები და წარმოებისას გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიები განაპირობებს იმ განსაკუთრებულ გემოს და არომატს, რომელიც NESCAFÉ-ს მარცვლიდან თქვენს ჭიქამდე მოაქვს. როგორც იცით, მხოლოდ ერთი კოვზია საკმარისი შესანიშნავი ყავის მოსამზადებლად.

გასინჯეთ ახალი NESCAFÉ და გახდით მსოფლიო მასშტაბის ინოვაციის თანამონაწილე აქ, საქართველოში.

## ყველაფერი იწყება ყავით ნესკაფე





გვ. 22

რატომ ეხსნება ეთერ ბერიაშვილს „მესამე ფილტვი“ საქართველოში ჩამოსვლისას



როდის ეშინია ნანიკო ხაზარაძეს საკუთარი თავის და რატომ არ ერევა ის შვილის ცხოვრებაში

გვ. 2



გვ. 69

ვინ მოარგო ნინო წიკლაურს „კარგოს“ ბიზნესი და რა გეგმები აქვს საქართველოში მას ზაფხულის პერიოდში



გვ. 23

რა აკავშირებს „X ფაქტორის“ მონაწილე მეგო ნუცუბიძეს და „TV 11-ის“ წამყვან სანდრო ლორთქიფანიძეს ერთმანეთთან და რას აღიარებს ის

ISSN 1987-569X


საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * №25 (704) * 23 – 29 ივნისი * ფასი 1,50 ლარი